კვირის პალიტრა
# გზა
N8(193) 19/II.-25/II.2004. ფასი 60 თ.



## რამ შეაცბუნა პრეზიდენტთან მჯდომი ნინო ბუაძე

## შეკითხვები, რომელიც მიხეილ სააკაშვილს სტადიონზე გაუჩნდა

## წინასწარმეტყველი, რომელსაც სტალინმა ბინა უბოძა



## თემა — დესპოტი ოჯახში



## ადამიანი, რომელიც გია თორთლაძეს არასოდეს დაავიწყდება

# დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

## დოკუმენტური მოთხრობების კრებული




**იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში**

**ფასი 2,5 ლარი**

№8 (193)
19 – 25 თებერვალი 2004
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
„ახალი ამორძალები“ ანუ სქესობრივი გადახალისება ქართულ პოლიტიკაში 3

**ერთი კითხვა** 4

**ფანი**
შეკითხვები, რომელიც პრეზიდენტს სტადიონზე გაუჩნდა 6

**აიწონა–დაიწონა**
რა უნდა იყოს მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტი? 8

**ასტროლოგი**
„პოლიტიკური წარმატებები ეკონომიკური წარუმატებლობებით დაიჩრდილება“ 10

**მარჩიელი**
„უყვარს, როცა ეალერსებიან, კოცნიან, ეპირფერებიან...“ 11

**კრიმინალი**
არასრულწლოვანი შვილის დედა ციხეში 8 წლის მანძილზე მოიხდის სასჯელს 12

**ცხოვრება**
„შეუძლებელია, მისი სისხლი ჩემს ძარღვებში არ ჩქეფდეს...“ 15

**ნამდვილი ამბავი**
ამბროსოვიჩის აღზევება და გასაჭირი 17

**საპატარძლო**
„შენ დიდი ცხოვრება გაგივლია... მე კი კვლავ მახსოვხარ...“ 18

**სასიძო**
„მანამ ვიღლი კენტად, ვიდრე სიყვარული არ მეწვევა...“ 19

**ტკივილი**
„გავრბოდი, რათა ქალაქში დარჩენილთათვის რადიოთი მიმეწვდინა ხმა...“ 21

**ტესტი**
ერთგული მკითხველი 23

**სახე**
„დღესაც ისეთივე განწყობით დავაბიჯებ – მინდა, ყველა უსინათლოს აეხილოს თვალი“ 24

**თემა**
დესპოტი ოჯახში 26

**გზავნილები**
„მაგარი მობილური „ვაფშე“ მაგრად „ასწორებს“...“ 29

**საქმე**
ქართულ ბიზნესინკუბატორში სხვადასხვა „ჯიშის წიწილები“ იჩეკებიან 32

## დესპოტი ოჯახში



ნონა გამუდმებით ისმენდა დედის ტირადებს იმის შესახებ, რომ მამა არასწორად იქცეოდა, რომ ყველა მამაკაცი ცუდია. ამან გოგონას ფაქიზ სულში ღრმა კვალი დატოვა და შედეგად, მის წარმოსახვაში მამის და საერთოდ, მამაკაცის ხატი მუქ ფერებად აღიბეჭდა...

26

## შეკითხვები, რომელიც პრეზიდენტს სტადიონზე გაუჩნდა

ვფიქრობ, ჩვენს პრეზიდენტს ნორმალურად არც დასცალდა თამაშის ყურება. მე კი, ნამდვილად გავიხარე. დამერწმუნებით, ასეთი შანსი ყველას როდი ეძლევა – 40 წუთი მე და საქართველოს პრეზიდენტი ერთად ვქომაგობდით ქართულ გუნდს! ყველაზე სასაცილო კი, იცით, რა იყო?..

6



## „გავრბოდი, რათა ქალაქში დარჩენილთათვის რადიოთი მიმეწვდინა ხმა...“



სანამ მე აფხაზეთში ვიყავი, ბიჭები ძალიან ღელავდნენ. ლევანი აეროპორტიდან სამჯერ დააბრუნა რობერტ სტურუამ. მამუკა ჩამოვიდა და ცხადია, გამოვაგდე. მაია ჯაბუა, ჩემი ყოფილი რძალიც ძალზე ღელავდა...

21

## „ვანო ზოდელავა ცდილობს, თავი შეიკავოს სასიყვარულო თავგადასავლებისგან“

საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას, ყოველთვის გულწრფელია. სიყვარულშიც კი, პრაქტიკულია, გრძნობების გამო, არასდროს შეიქმნის პრობლემებს. ქალებში პოპულარობით სარგებლობს, ის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მოსწონთ. მათთან საუბარი და თავის მოწონება სიამოვნებს...

11



**ტაძარი**
დიდი მარხვა 34
**სასარგებლო აზრები**
აფორიზმების ენციკლოპედია 35
**ფავორიტები**
ნისტელროი 200 გოლის გატანას აპირებს 36
**მინდვრებზე და მინდვრებს მიღმა** 37
**ავტო** 38
**შეუცნობელი**
წინასწარმეტყველების უცნაური ფენომენი 39
**რომანი**
რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42
**ბომონდი** 46
**სპორტული მოზაიკა** 48
**მოგზაურის დღიურები**
როგორ მოვხვდი კალათბურთის მატჩის ნაცვლად ჩიკაგოს საქონლის ბირჟაზე... 50
**...არასოდეს დამავიწყდება**
როგორ გადაარჩინა მაშველი ქართველმა მთამსვლელმა 52
**ვარსკვლავი**
დემი მური: „გემოვნებაზე არ დაობენ“ 54
**ჯანმრთელობა**
- გარდატეხის ასაკი და ჩვენი შვილები 56
- თაფლის რეცეპტები 57
- მედიცინის სიახლეები 57

**საკითხავი ქალებისათვის** 58
**იუმორი** 59
**ჰოროსკოპი**
კვირის (23-29 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
**სკანვორდი** 61
**შოუბიზნესი** 62
**ტესტი**
ფლობთ თუ არა საკუთარ თავს? 63
**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64


## შეუცნობელი – წინასწარმეტყველების ფენომენი



როცა ვანგას აგონიაში მყოფი ქმარი სიკვდილის სარეცელზე იწვა, ცოლმა მის სასთუმალთან დაიჩოქა და დიდხანს რაღაცას ჩურჩულებდა. მაშინ კი, როცა დიმიტრის სული სხეულს გაეყარა, მან დაიძინა და მეუღლის დაკრძალვამდე არ გაუღვიძიაო. გამოფხიზლების შემდეგ კი უთქვამს...

39

## როგორ მოვხვდი კალათბურთის მატჩის ნაცვლად ჩიკაგოს საქონლის ბირჟაზე...

მობილური აწკრიალდა. ხაზზე ტვირთის გადაზიდვის კომპანიის მეპატრონე, ედმონდი იყო.

— აკაკი, შეკვეთა მივიღეთ და სხვამ რომ არ დაგვასწროს, დროზე უნდა წახვიდე!

— სად უნდა წავიდე? — ვიკითხე და თან გულში ჩემს ბედს ვწყევლიდი...



50

## დემი მური: „გემოვნებაზე არ დაობენ“



ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში დემსა და ეშტონს დაქორწინება აქვთ განზრახული. ჟურნალ Globe-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ქორწილი, რომლის გადახდასაც ლას-ვეგასში აპირებენ, წყვილს სულ ცოტა ნახევარი მილიონი დოლარი მაინც დაუჯდება..

54

## *თავისუფალი თემა*

რესტორნიდან გამოსულმა ლიმ, მანქანაში ჩაჯდომამდე, გვანცას ენის ბორძიკით გადაულაპარაკა:

— რა ბანგივით სასმელი იყო. ლამისაა, ზეზეულად დამეძინოს...

— მეც... — უპასუხა გვანცამ. ალის კი პირზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა.



42


გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# „ახალი ამორძალები" ანუ სქესობრივი გადახალისება ქართულ პოლიტიკაში



ქალს ყოველთვის განსაკუთრებული დაფასება და პატივი ჰქონდა საქართველოში. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ ყველა ქართველი დედოფალი ან გმირი დედა სწორედ ქალი იყო და არა კაცი!.. ქალ-დედებს არც ქალი-ცოლები უდებდნენ ტოლს, ხომ გახსოვთ:

„მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები..."

აი, ასეთი იყო ქალი-დედა, ქალი-და, ქალი-ცოლი, თუმცა თანამედროვეობამ ამ ტიტულებს „ქალი-მამა" და „ქალი-ქმარიც" შემატა, რადგან მამაკაცების უქნარობის გამო, ოჯახის უფროსისა და მარჩენლის ტვირთიც ქალებმა აიღეს, ვითომ საქმის მკეთებელმა კაცებმა კი, პოლიტიკაში შერგეს თავები... — ეგრე სადაა, ძმაო, შენ წამოწვე პარლამენტარის ან მინისტრის სავარძელში და მთელი დღე მთქნარებასა და „მახათის ყრაში" გაატარო, საცოდავმა ცოლმა კი „სპიჩკა" და სანთელი გაყიდოს და სიმწრით ნაშოვნი „ორი კაპიკით" გარჩინოს?!. წავიდა ის დრო...



როგორც ჩანს, ასაკის გამო, ძველ პრეზიდენტს ქალისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ მოვიდა ენერგიული, ახალგაზრდა მამა-მარჩენალი, რომელმაც აშკარად იცის ქალის ფასიც და გემოც. მარტო ის რად ღირს, რომ ცოლადაც ქალი ჰყავს და თანაც, სხვებივით, ჯიხურში კი არ დასვა სავაჭროდ, თვითონ იწვალა და ხან დეპუტატის, ხანაც მინისტრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მწირი ხელფასით არჩინა ოჯახი.

დაუფასდა კიდეც ამაგი და ახლა უფრო მეტი გასაქანი აქვს, სისრულეში მოიყვანოს მისი პრიორიტეტული ოცნება ქართული პოლიტიკის „სქესობრივი გადახალისებისა". აქამდეც კი გამოერეოდა ხოლმე აგერ-ეგერ ქალი რაღაცა თანამდებობაზე, მაგრამ ვინ უსმენდა? ახლა იმოდენა სამინისტროები ჩააბარეს, რომ მათ გარეშე გამარჯობას ვერ ეტყვი მეზობელს.

რატომ?.. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქალი ნაზი და სუსტი არსებაა და ვერც 600 კგ ოქროს ზიდავს მოსაპარად და ვერც ასობით ვაგონს. მეორეც — თუ მაინც გარისკა და მოიპარა, გრძელი ენის წყალობით, აუცილებლად წამოსცდება ვიღაცასთან. ჩაშვება კი, თავადაც მოგეხსენებათ, რა მოდაშიცაა დღეს.

ჰოდა, ასე გამოჩნდნენ პირველი „ამორძალები" ქართულ პოლიტიკაში: ერთს რამდენიმე სამინისტროს გაერთიანების შედეგად მიღებული სამინისტრო ჩააბარეს. მანაც უცებ აითვისა, რომ მისი უპირველესი მოვალეობაა, მთავრობის ყოველ სხდომაზე იკითხოს: „რა ჯანდაბაა ეს ინფრასტრუქტურის სამინისტრო?.." მეორეს ბუნებისა და გარემოს დაცვა დაევალა და აწი თოფიარაღასხმული ივლის ტყეში, მგელმა რომ შველი არ შეჭამოს ან ირემს არ უკბინოს ფეხზე... სადაა შველი და ირემი? საცოდავი მგლები რკოსა და ზღმარტლის ჭამაზე არიან გადასულები.

მოკლედ, ამ სანაქებო ტენდენციას ვერც ჩემნაირმა პროვოკატორმა უპოვა წუნი და გადაწყვიტა, მხარი იმით დაუჭიროს, რომ უკეთესი ვარიანტებიც შესთავაზოს პრეზიდენტს: რატომ დავივიწყეთ ჩვენი აქტიური პოლიტიკოსი, ქალბატონი ლუიზა?! ნუთუ, აღარ გვახსოვს, როგორ ეშინოდათ მისი პარლამენტში?!. ის რომ გაბრაზდებოდა, საცოდავი მამაკაცები ხან ტუალეტში იმალებოდნენ, ხანაც ფანჯრებიდან ხტებოდნენ — სწრაფი სიკვდილი გვირჩევნიაო... ჰოდა, თავდაცვის მინისტრად რომ დაგვენიშნა, არ ეშველებოდა ჩვენს ქვეყანას?! წინა მინისტრიც კარგი იყო, მშვიდი, მაგრამ ბოევიკები ჩეჩნეთიდან რომ მოადგებოდნენ საზღვარს, სანამ ეს ეტყოდა — არ შემოხვიდეთო, — ისინი აფხაზეთში იყვნენ ფეხით გადასულები. ქალბატონი ლუიზა კი, ერთს რომ დასჭექს, მოყინული ბელურებივით ჩამოყრის რუსეთის თვითმფრინავებს...

გნებავთ, ქალბატონი მედეა ავიღოთ, მთელ კახეთს რომ აზანზარებდა მისი სახელის გაგონება. ჩაგვებარებინა მისთვის პოლიციის „სპეცნაზის" უფროსობა. ბატონი თემური ხომ მაინც „ტელევიზიონშჩიკობას" იწყებს. რომელი მიტინგი და საპროტესტო აქცია არ დაიშლება, ეს ქალბატონი რომ გამოჩნდება და ნაზად ეტყვის: სახლებში წაეთრიეთ, თორემ დედაი გიტირებთო!..

უკეთესსაც გეტყვით, ჩვენი შესანიშნავი ტელეწამყვანი, ღამღამობით რომ გვიმზერდა ეკრანებიდან, დღეს მაინც უმუშევარია და დაგვენიშნა გენპროკურორად. რომელი კორუმპირებული არ დაფქვავს სათქმელს, ის რომ შეკითხვებს დააყრის „9 ნომერი საფანტივით"?!

ასე რომ, ბოლომდე მიაწექით, ბატონო პრეზიდენტო და რაც შეიძლება მეტი და მეტი ქალი აიყვანეთ მწვერვალზე(!)...

P.S. — თქვენთან სტუმარია, ბატონო ყვარყვარე.

— რომელი პარტიიდანაა?

— არ ვიცი, მარა ისე, კაი ქალია.

— ქალი თუა, რა მნიშვნელობა აქვს რომელი პარტიიდანაა?! შემოუშვი!..

**პროვოკატორი**

# „ხელფასი არ უნდა ვუხადოთ მათ, ვინც სამსახურში ყავის დასალევად დადის...“

**— ბატონო გიორგი, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ერთ უწყებაში კულტურის სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის მოქცევა და ხომ არ გაგიჭირდებათ პროცესის მართვა, მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება არა გაქვთ?**

***გიორგი გაბაშვილი,*** *კულტურისა და სპორტის მინისტრი:*

— ჩემი აზრით, სწორია გადაწყვეტილება, რომ აღარ არსებობდეს ისეთი დეპარტამენტები და უწყებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან მინისტრთა კაბინეტს, რადგან ეს პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას გამორიცხავს. რაც შეეხება ერთ სამინისტროში სპორტისა და კულტურის სფეროების თავმოყრას, არა მგონია, ამით რომელიმე მათგანის მნიშვნელობის დაკნინება მოხდეს. უამრავ ევროპულ ქვეყანაში, სადაც ორივე დარგი მაღალ დონეზეა განვითარებული, კულტურა და სპორტი ერთი სამინისტროდან იმართება. ცხადია, მწირი საბიუჯეტო დაფინანსება საქმეს გაართულებს, მაგრამ ორივე დარგი კერძო ინვესტიციებსა და შემოქმედებით მიდგომაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ კულტურასა და სპორტში თანხების ჩადებას. თუმცა, არსებობს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია, მოუაროს კულტურულ მემკვიდრეობას და საერთო ეროვნული ღირებულების მქონე კულტურულ დაწესებულებებს. რაც შეეხება მართვას — უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ტიპის სამინისტრო, სადაც პასუხისმგებელი იქნება მინისტრი და ბუნებრივია, გადაწყვეტილებებსაც ის მიიღებს, მაგრამ ამავე დროს, ყველა სფეროს მართვა მაქსიმალურად საჯაროდ და კოლეგიალურად განხორციელდება. უნდა გითხრათ, რომ მოსმენის უნარი მაქვს და ყველა პროფესიონალის აზრს გავითვალისწინებ. თუ საჭიროება მოითხოვს, კადრების შემცირებასაც არ მოვერიდებით. სახელმწიფომ ხელფასი არ უნდა უხადოს იმ ადამიანებს, რომლებიც სამსახურში მხოლოდ ყავის დასალევად დადიან. ■

# „კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა მარტივი საქმე არაა“

**— ბატონო მიხეილ, რამდენად მისაღებია თქვენთვის ფინანსური პოლიციის შექმნა იმ სტრუქტურული ერთეულებით, რომელიც კანონპროექტშია დაფიქსირებული. ერთი უწყებისათვის ამხელა უფლება-მოვალეობების მინიჭება გადაჭარბებულად ხომ არ მიგაჩნიათ?**

***მიხეილ მაჭავარიანი,*** *„გაერთიანებული დემოკრატების“ ფრაქციის თავმჯდომარე:*

— ეკონომიკური დანაშაულების მოკვლევა და გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს პრეროგატივა იყო, თუმცა დღეს, ძალოვანი უწყების წარმომადგენლები ამ ფუნქციის, ფინანსური პოლიციისათვის გადაცემას დადებითად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური დანაშაულის მოკვლევა და გამოძიება მათ უწყებებს საერთოდ უნდა ჩამოერთვას. ვალერი ხაბურძანია მინისტრად დანიშვნის პირველსავე დღეებში აღნიშნავდა ამას. მშვენივრად ვიცი, რომ შს სამინისტროს მეექვსე განყოფილება და უშიშროების კონტრაბანდის სამსახური წურბლებივით „ასხედან“ საბაჟოს და საკუთარი „სტავკების“ მიხედვით, ქვეყანაში კონტრაბანდულ ტვირთს ატარებენ. სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი სტრუქტურა, რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას და თუკი განუბაჟებელი საქონელი შემოვა, სხვისკენ ვეღარ გაიშვერს ხელს, რადგან მოკვლევისა და გამოძიების ფუნქციაც მისი პრეროგატივა იქნება. თუმცა, აღნიშნულ კანონპროექტში დასაზუსტებელია, თუ რა იგულისხმება ფინანსური პოლიციის იმ უფლებამოსილებაში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, რევიზიის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებას ეხება. მინისტრობის პერიოდშიც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს ბიზნესმენების დამცავი მექანიზმი და გადასახადის გადამხდელს რაც შეიძლება ნაკლები მაკონტროლებელი აწუხებდეს. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, თუ როგორი იქნება ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა ხელფასები. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა მარტივი საქმე არაა და თუ მაღალი შრომის მაღალი ანაზღაურება არ ექნებათ, ცდუნებას ვერ გაუძლებენ და ეს სტრუქტურა თავიდანვე განწირული აღმოჩნდება. ■

# „პოლიტიკიდან ჩემი წასვლა გარკვეულწილად „ვარდების რევოლუციამ“ განაპირობა“

**— ბატონო დავით, პოლიტიკიდან წასვლა გადაგიწყვეტიათ. ეს ნაბიჯი „ახალი მემარჯვენეების“ დაბალმა რეიტინგმა განაპირობა თუ შიდაპარტიული პროცესებითაა გამოწვეული?**

***დავით კოდუაშვილი,*** *„ახალი მემარჯვენეების“ წევრი:*

— ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: არავითარ შიდაპარტიულ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს. მე პარლამენტიდან მივდივარ, მაგრამ პარტიის რიგებიდან წასვლას არ ვაპირებ. „ახლებში“ იმიტომ არ შევსულვარ, რომ მხოლოდ პარლამენტში მოხვედრაზე მეფიქრა. ამ ეტაპზე გადავწყვიტე, გავემიჯნო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას და ჩემი პროფესიით ვიმუშაო: მე იურისტი ვარ და მაქვს შემოთავაზება კერძო კომპანიიდან, სადაც არანაკლებ პროდუქტიულად ვიშრომებ. ეს არის ქართულ საწარმოთა განვითარების პროექტი, სადაც ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში კონსულტანტის ფუნქციებს შევასრულებ. ამის თაობაზე დავით გამყრელიძესაც ვესაუბრე. მას გული სწყდება ჩემი გადაწყვეტილების გამო, მაგრამ გაგებით შეხვდა ამ ნაბიჯს. რევოლუციამ „ახლების“ რეიტინგი საკმაოდ დაბლა დასწია. ახლა მიმდინარეობს მუშაობა, რომელმაც პარლამენტში პარტიის შესვლა უნდა უზრუნველყოს. მართალია, მე „ახალი მემარჯვენეების“ სიაში აღარ ვიქნები, მაგრამ ეს თანაპარტიელებთან კონტაქტის გაწყვეტას არ ნიშნავს. ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ ბევრი სტერეოტიპის გადასინჯვა მოითხოვა. გარკვეულწილად ამანაც განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება — დროებით გავემიჯნო პოლიტიკას. თუმცა მომავალში, აუცილებლად დავუბრუნდები ამ საქმიანობას. ■

## „მინისტრები არა პროფესიონალიზმის, არამედ ერთგულების ნიშნით შეარჩიეს“

**— პარლამენტმა ახალი მთავრობა დაამტკიცა. თქვენ, როგორც ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი, რას ფიქრობთ მინისტრთა კაბინეტის იმ შემადგენლობაზე, რომელიც ზურაბ ჟვანიამ წარმოადგინა?**

***ირაკლი გოგავა***, *პარლამენტის წევრი:*

— პროფესიონალები წინა პლანზე რომ არ არიან წამოწეულები, ეს აშკარაა. როგორც ჩანს, მინისტრთა კაბინეტი ერთგულებისა და სანდოობის ნიშნით დაკომპლექტდა. დანიშნული კანდიდატები ალბათ ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ის, რომ ზოგიერთი მათგანი სრულიად უცნობი სახეა, ტრაგედიად არ მიმაჩნია. არ არის აუცილებელი, რომ მინისტრი საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანი იყოს — მთავარია, პროფესიონალიზმი და პოლიტიკური ხედვა, რადგან ასეთი რანგის მოღვაწე თავისთავად, პოლიტიკოსიც უნდა იყოს. საქართველოში არსებობს იმის რესურსი, რომ გაცილებით ძლიერი მთავრობა დაკომპლექტებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მიმართ რაღაც სხვა ვალდებულებებია. თუმცა, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს მინისტრთა კაბინეტი და შეათანხმოს იგი პრეზიდენტთან. ასეთ შემთხვევაში, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არა ცალკეულ კანონებს, არამედ ერთიან პროგრამას უნდა განიხილავდეს, რომელიც იქნება რეალისტური და რომლისთვისაც შემდგომში, მთავრობას მოჰკითხავს — შეასრულა თუ არა იგი. უმჯობესია, ამ ეტაპზე, ნაკლები კრიტიკა გამოვთქვათ და დაველოდოთ იმ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში, თუ რადიკალურად არ შეცვლის სიტუაციას, მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტებს მაინც გამოკვეთს. ამ პერიოდში გამოჩნდება, რამდენად გაართმევენ მთავრობის წევრები თავს საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობას. რაც შეეხება ამა თუ იმ საკითხისადმი ჩემს დამოკიდებულებას — ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ყველა პოზიტიურ ნაბიჯს მხარს დავუჭერ, არასწორი ქმედების შემთხვევაში კი, თვალის დახუჭვას არ ვაპირებ. ■

## „თითქოს ბაგრატიონები არიან და დაუსრულებლად უნდა იმეფონ...“

**— ბატონო შალვა, ახალი ხელისუფლების არასწორ პოლიტიკურ კურსზე საუბრობთ, ამის პარალელურად კი, „ლეიბორისტები“ ცნობილ სახეებს კარგავენ: ამჯერად, ზურაბ ჟვანიამ დატოვა თქვენი რიგები. პარტიის დაშლის საშიშროების წინაშე ხომ არ დგახართ?**

***შალვა ნათელაშვილი***, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— ზურაბ ჟვანია წლების განმავლობაში, ჩვენი თანამებრძოლი იყო. მან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და არც გამკვირვებია, რადგან არ შეიძლება, ჩვეულებრივ ადამიანებს გმირობა მოსთხოვო. დღეს, ლეიბორისტული პარტია უპირისპირდება მონსტრს, რომელიც დაფინანსებულია სოროსისა და სხვა ანტიეროვნული ცენტრების მიერ. მათ მიერ ხელდასხმული პირები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ყველაფერს კადრულობენ — რეპრესიებს, დაჭერებს, სამსახურიდან მოხსნას და თუ საჭირო გახდა, დახვრეტასაც არ მოერიდებიან. როცა ჩვენ შევარდნაძეს ვებრძოდით, ზურაბ ჟვანიაც ჩვენთან ერთად იყო. ახლა მოვიდნენ მისი შვილობილები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ათი წელი გარანტირებული აქვთ ხელისუფლებაში ყოფნა და შემდეგაც, რაიმე ღონისძიებებით ისევ შეინარჩუნებენ თანამდებობებს. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ბაგრატიონები არიან და დაუსრულებლად უნდა იმეფონ. ამიტომ ვერავის დავავალდებულებ მხოლოდ იდეისათვის ბრძოლას. მათ ოჯახები, შვილები ჰყავთ და მშვიდი ცხოვრება უნდათ. ყველა ჩემსავით გადარეული არ არის, რომ უკან დახევა არ შეეძლოს. თუმცა, ცალკეული, შეშინებული ადამიანების გამო, პარტიას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. მე და პარტიის 220 ათასი წევრი არსად გაქცევას არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანია, ქვეყანა ხელიდან გამოვგლიჯოთ სოროსულ-შევარდნაძისტულ ბანდებს. ■

## „კოკო გამსახურდია ჟვანიას თანაგუნდელი არასოდეს გახდება“

**— გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოკო გამსახურდიამ სააკაშვილთან გაერთიანებაზე, „ჟვანიას ფაქტორის“ გამო განაცხადა უარი. თქვენ, როგორც მისი უახლოესი მეგობარი, ადასტურებთ თუ არა ამ ცნობას?**

***თედო პაატაშვილი***, *პარლამენტის წევრი:*

— გადაჭრით იმის თქმა, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერება, არ შემიძლია. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ კოკო გამსახურდია სააკაშვილის გუნდის წევრობაზე „ჟვანიას ფაქტორის“ გამო იტყვის უარს. საქართველოში ყველამ — და მათ შორის კოკომაც — მშვენივრად იცის, რომ წინა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ზურაბ ჟვანია შევარდნაძის ბინძური პოლიტიკის მხარდამჭერი და გამტარებელი იყო. იგი პირველი მიეკედლა შევარდნაძის ხელისუფლებას და მისი მარჯვენა ხელი გახდა — როცა ზვიადისტებს სისხლიანი ომი გამოუცხადეს, როცა აფხაზეთი დავკარგეთ და იარაღის გამოყენებით, მომიტინგეებს თბილისსა და სამეგრელოში არბევდნენ. ცალკეული პოლიტიკური შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ეს იყო მიზანმიმართული ანტიეროვნული პროგრამა, რომლის მთავარი პოლიტიკური მხარდამჭერი, ზურაბ ჟვანია გახლდათ. ეს კოკო გამსახურდიასთვისაც ცნობილია. „ნაციონალურ მოძრაობაში“ მისი მისვლა, პოზიტიური იქნებოდა პრეზიდენტისთვის: მისი ავტორიტეტი სახელისუფლებო გუნდის წარმატებებზე დადებითად აისახებოდა, მით უმეტეს, რომ გამსახურდია სააკაშვილის მიმართ თავის კეთილგანწყობას აფიქსირებს, მაგრამ ჟვანიას თანაგუნდელი ალბათ არასოდეს გახდება. ამ ფაქტორის გამო, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანებაზე სხვა ეროვნული პარტიების ლიდერებიც იტყვიან უარს. ზურაბ ჟვანიას საზოგადოებაში ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს, რის გამოც, სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, მათმა პარტიამ შეიძლება, იმ ხმების ნახევარიც კი ვერ მიიღოს, რომელიც „ჟვანიას ფაქტორის“ გარეშე გარანტირებული ჰქონდა. ■

***მოამზადა ხათუნა მაღრაძემ***

# შეკითხვები, რომელიც პრეზიდენტს სტადიონზე გაუჩნდა

## რამ შეაცბუნა ნინო ბუაძე

ნათია გუმბერიძე

**დიდი ხანია, აღარავის აკვირვებს რაგბის მატჩებზე სახეშეღებილი გოგონას გამოჩენა. უკვე სამი წელია, რაც ნინო ბუაძე, როგორც აქტიური ფანი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ თავისი უჩვეულო კოსტიუმებით, აქსესუარებით და ემოციით გაამხნევოს სპორტსმენები. ორიგინალური ტანსაცმლის კერვისას, ნინოსა და დედამისს ხშირად, ღამეც უთენებიათ. მატჩის დღეს კი, გოგონა გამთენიისას დგება და სტადიონისკენ სამი საათით ადრე მიეშურება...**

**როგორც ნინო თავად ამბობს, საქართველოს ნაკრების მორაგბეთა ბოლო შეხვედრის დროს განსაკუთრებული სიხარული ეწვია, რადგან რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, პირადად გაიცნო საქართველოს პრეზიდენტი და (ხუმრობა ხომ არ არის?!) 40 წუთის განმავლობაში მასთან ერთად ქომაგობდა ქართველ მოთამაშეებს...**



— თავიდან, ფეხბურთის გულშემატკივარი ვიყავი, მერე კი, სპორტის ამ სახეობას რაგბიც შეემატა. უცხოეთიდან ჩამოტანილმა პარიკებმა, ქართული დროშებითა და რაგბის სიმბოლოებით მოხატულმა სახემ, ჩაცმულობამ და გულწრფელობამ რაგბის სახედ და სიმბოლოდ მაქცია. შვიდკაცას ტურნირის დროს, გამოვიდა მაისურები და პლაკატები, ჩემი პორტრეტით, რომლითაც მთელი ქალაქი იყო მოფენილი. დამზადდა უზარმაზარი ლაითბოქსები; ჩემზე წერდნენ ჟურნალ-გაზეთებში, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში...

**— გაიხსენე, პირველად როგორ აღმოჩნდი სტადიონზე სახეშეღებილი?**

— 2001 წელს, საქართველო-იტალიის საფეხბურთო მატჩის დროს, პირველად გამოვჩნდი სახემოხატული: მარჯვენა ლოყაზე ქართული დროშა მეხატა, ხოლო მარცხენაზე — იტალიის დროშა. დღემდე შენახული მაქვს იმ თამაშის ბილეთები. საერთოდაც, ყველა თამაშის ბილეთებს ვინახავ და ზედ მოთამაშეებს ვაწერინებ ხოლმე ხელს; როგორც ველოდი, ჩემს გარეგნობას სხვაგვარად შეხვდნენ ფეხბურთის მაყურებლები: ზოგი ამბობდა — ამ ბავშვს საზღვარგარეთ ხომ არ ჰგონია თავიო?!. მეგობრები მიმტკიცებდნენ, რომ ეს სიგიჟე იყო და საქართველოსთვის მიუღებელი, მაგრამ მე არავისთვის მიმიქცევია ყურადღება — მთავარი ის იყო, რომ მინდოდა ფანობა, მსურდა, ასე გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ფეხბურთელების ან მორაგბეების მიმართ...

**— მშობლებს როგორი რეაქცია აქვთ, როდესაც უჩვეულოდ მორთულ შვილს სტადიონზე უშვებენ?**

— ოჯახში ყველანაირად მიწყობენ ხელს. დედაა ჩემი ვიზაჟისტი და ტანსაცმლის მკერავი. თუმცა, დედას ხშირად ეუბნებიან — რაში სჭირდება ეს? რატომ არ უშლი? 20 წლის გოგოა — რაღა დროს მისი ფანობააო?!

**ნანა პარკაძე,** *ნინოს დედა:*

— ყველა ასაკს თავისი სილამაზე და ხალისი აქვს. ეს არ უნდა ჩაახშო. მეც ბავშვობიდან ყოველთვის მქონდა საკუთარი აზრი. მშობლები რჩევას მაძლევდნენ, მაგრამ საკუთარ აზრს არასდროს მახვევდნენ თავს. მეც ჩემს შვილს სრულ თავისუფლებას ვაძლევ და რადგან ნინიკოს ეს მოსწონს, იყოს ფანი, რა არის ამაში ცუდი? მით უმეტეს, რომ გართობასთან ერთად, კარგად სწავლობს... წინაწარ ვიცოდი, თუ როგორ შეხვდებოდნენ ნინოს ფეხბურთის გულშემატკივრები და ამისთვის მზად ვიყავი. უბრალოდ, თავიდან, ნინოს ვკითხე, — ხომ არ გეშინია, მაყურებელმა ცუდად რომ მიგიღოს-მეთქი? თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორი გაბრწყინებული სახე ჰქონდა — დავრწმუნდი, რომ არაფრის ეშინოდა. ნინო ჰოროსკოპით ლომია და პოპულარობასთან ერთად პირველობაც უყვარს.



40 წუთი პრეზიდენტის გვერდით

**ნინო:**

— არა მგონია, დღეს საქართველოში იყვნენ ადამიანები, ვისაც პოპულარობა არ სურს და პირველობა არ ხიბლავს. პირველობისაკენ სწრაფვა ქართველების სენია. მეც მიყვარს ლიდერობა, თუმცა ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ადამიანი რასაც აკეთებს, გულით უნდა აკეთებდეს...

**— საერთოდ, მხოლოდ ქართველებს გულშემატკივრობ თუ ყოფილა შემთხვევები, როცა მოწინააღმდეგეთა გუნდს ქომაგობდი?**

— ყოველთვის ქართველებს ვგულშემატკივრობ, თუმცა ფეხბურთში ბავშვობიდან, ვარ იტალიის ფანი. ვგიჟდები იტალიის ნაკრებზე. წარმოიდგინეთ როგორ მიჭირდა, როცა საქართველო-იტალიის მატჩზე მივდიოდი!.. თუმცა, წუთითაც არ მიყოყმანია იმაზე, თუ ვის დავუჭერდი მხარს: როცა საქმე საქართველოს ეხება, მე ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვარ.

**— თავად მოთამაშეებთან როგორი ურთიერთობა გაქვს? ისინი რას ამბობენ შენ შესახებ?**

— ფეხბურთელებისგან განსხვავებით, კარგი ურთიერთობა მაქვს მორაგბეებთან. მე მათ პირადად ვიცნობ. თან შვიდკაცაზე, მორაგბეებმა „მიმითვისეს" და თავიანთ სიმბოლოდ ამირჩიეს...

**— ამ ბოლო დროს, მეგობრებიც ხომ არ აიყოლიე?**

— პირველადაც მეგობრებთან ერთად წავედი სტადიონზე, თუმცა ვერაფრით დავიყოლიე ისინი სახის მოხატვაზე... მას შემდეგ, ყველა თამაშზე ყოველი შემთხვევისთვის მიმაქვს პარიკები. მხოლოდ ერთხელ მოვახერხე, რომ მათთვის პარიკი დამეხურა. პორტუგალიასთან მატჩის დღეს კი, ერთმა ამბავმა გამახარა. იმ მეგობრის ძმა, რომელიც „ლექციებს" მიკითხავდა — პატარა აღარა ხარ და არ შეიძლება, ასეთი რაღაცების გაკეთებაო, — ჩემნაირად გამოწყობილი მოვიდა მატჩზე. მეც მაშინვე დავურეკე მე-



**ნანა პარკაძე (ნინოს დედა): ყველა ასაკს თავისი სილამაზე და ხალისი აქვს**

გობარს და ვუთხარი: მოდი, მე და შენი ძმა ერთად წავიყვანე ასათიანზე-მეთქი... საერთოდ, ჩემი მეგობრები მშვიდად სხედან თამაშის დროს. მე კი, არ შემიძლია ერთ ადგილზე გაჩერება — დავდივარ აქეთ-იქით, ვწივი, ვკივი, ისე, რომ მეორე დღეს, ხმა მაქვს დაკარგული... ერთადერთი, რაც გულს მტკენს, ის არის, რომ საქართველოში არ იციან გულშემატკივრობა. როცა ნამდვილი ფანი ხარ, ყოველთვის მოთამაშეების გვერდით უნდა იდგე — წააგებს შენი გუნდი თუ მოიგებს. ქართველები, თუ ატყობენ, რომ შეიძლება წავაგოთ, მიდიან და ტოვებენ სტადიონს, ილანძღებიან — არადა, ბოლო წუთებში სჭირდება იმ ბიჭებს მხარში ამოდგომა და სწორედ იმ წუთებში ხდება ხოლმე სასწაულები.

**— რამდენი დღით ადრე იწყებ ხოლმე კოსტიუმზე ზრუნვას?**

— ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი თვით ადრე დაგვიწყია, თუმცა, ისეთი შემთხვევაც იყო, როცა 10 წუთით ადრე შემოვირბინე შინ, ლურჯი მაისური ავიღე, დედამ ყელზე Georgia ამომიქარგა, შემდეგ შვინდისფერი სუფრა დავჭერით, ბალიშისპირი, შავი ნაჭერი ავიღეთ და უბრალოდ, „აიკინძა“ საქართველოს დროშა... ასე სახელდახელოდ გამოწყობილი გამოვცხადდი თამაშზე. რაც შეეხება ბოლო მატჩს და მისთვის შეკერილ კაბას — მის მომზადებას ერთი კვირა დასჭირდა. ყველაზე რთული უკანა ნაწილის მოქსოვა აღმოჩნდა. მასზე საქართველოს რუკაა გამოსახული, სადაც წითელი წერტილებით ქალაქებია აღნიშნული. ქვემოთ, მწვანე მოლის ფონზე რაგბის ბურთია ამოქარგული. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო. მე და დედამ ბოლო ღამე ფაქტობრივად, გავათენეთ. რაც შეეხება თვითონ იდეას, რომ უნდა ყოფილიყო ხუთჯვრიანი დროშა, ეს ერთგვარი სიამაყის გრძნობის გამოხატვაც იყო და პროტესტის გრძნობისაც: შარშან, ქართველი მორაგბეები ავსტრალიაში მიდიოდნენ, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, წესით მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, როგორც საქართველოს ფანი და რაგბის სახე. ასე იყო გადაწყვეტილი; ჩვენი მაშინდელი ხელისუფლებიდანაც მრავალი დაპირება მივიღე, დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით; ამბობდნენ — ეს პრობლემას არ წარმოადგენსო. ორიგინალური წერილიც მოვამზადე, ტექსტთან ერთად, ჩემი სურათი იყო, ფანის ფორმაში, სადაც ლოყაზე, სააკაშვილის დროშად მონათლული, ამჟამინდელი სახელმწიფო დროშა მეხატა. ამ ფოტომ ჩემი ბედი გადაწყვიტა. სწორედ ამის გამო ვერ გავემგზავრე ავსტრალიაში... ისღა დამრჩენოდა, რომ ყოველი თამაშის წინ, ტელეფონით გამემხნევებინა ჩემი მეგობრები... მთელი კვირა, სიცხე მქონდა, მაგრამ აეროპორტში მაინც დავხვდი მორაგბეთა პირველ ჯგუფს. როგორც მითხრეს, თურმე მელოდებოდნენ ავსტრალიაში და ყველა გაზეთი ჩემი სურათებით იყო აჭრელებული... არა უშავს, რაც იყო — იყო... რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ კი, იმავე დროშის წყალობით, ჩემდა საბედნიეროდ, პირადად გავიცანი მიხეილ სააკაშვილი.

**— კონკრეტულად რა ცდებზე საუბრობ?**

— ჯერ კიდევ ინაუგურაციის დღეს, მთელი საათი ვცდილობდი, ხალხში გავმძვრალიყავი, რომ წინა რიგებში აღმოვჩენილიყავი და ხელი ჩამომერთმია მიხეილ სააკაშვილისთვის. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. სხვათა შორის, მაშინ ბატონმა თემურ მღებრიშვილმა დამინახა. საოცრება ის არის, რომ რაგბის თამაშებზე დახატული არ მოვწონდი ხოლმე, მეუბნებოდა — შვილო რას ჰგავხარო?! — ინაუგურაციაზე კი, მისაყვედურა — რა არის, გოგო? დღეს რატომ არ ხარ შეღებილი? — დროშები სად არისო?!. აი, ასეა — დახატული, უკვე ყველას მოვწონვარ... შემდეგ გუდაურში შორიდან დავინახე, როგორ სრიალებდა თხილამურებზე სხვებთან ერთად ჩვენი პრეზიდენტი. სწორედ ეს მომწონს მასში — რომ ის ჩვეულებრივი მოქალაქეა, ხალხში ტრიალებს, ესაუბრება... ახლაც აღფრთოვანებული ვიყავი იმის გამო, რომ ტრიბუნაზე მის გვერდით ვიჯექი. მასთან საუბრისას, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვესაუბრებოდი არა პრეზიდენტს, არამედ ჩემს ძველ მეგობარს. თავად ქმნის ისეთ სიტუაციას, რომ შებოჭილად არ იგრძნობ თავს. საქართველოს პრეზიდენტი სტადიონზე რომ მობრძანდა, ეს ყველასთვის მოულოდნელი გახლდათ. ამან მთელი სტადიონი აღაფრთოვანა. მეც ახლოს მივედი, კარგად რომ დამენახა, თუ რა ხდებოდა მის გვერდით. ბატონ პრეზიდენტს ჩემი ჩაცმულობა მოხვდა თვალში, თავისთან მიმიხმო და მასა და გიორგი არველაძეს შორის მიმიჩინა ადგილი. ნამდვილად არ მოველოდი, რომ მის გვერდით აღმოვჩნდებოდი და თავიდან, ამან ცოტა არ იყოს, დამაბნია — მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ყველანაირად შეეცადა არ დავკომპლექსებულიყავი, მაინც შეცბუნებული ვიჯექი მის გვერდით, რადგან გარს გვეხვია უამრავი ჟურნალისტი. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია იყო ჟურნალისტების გარემოცვაში, მათი ყურადღების ცენტრში. ვფიქრობ, ჩვენს პრეზიდენტს ნორმალურად არც დასცალდა თამაშის ყურება. მე კი, ნამდვილად გავიხარე. დამერწმუნებით, ასეთი შანსი ყველას როდი ეძლევა — 40 წუთი მე და საქართველოს პრეზიდენტი ერთად ვქომაგობდით ქართულ გუნდს! ყველაზე სასაცილო კი, იცით, რა იყო? მე ჩვენი ბიჭების გარღვევების დროს, სათანადოდ ვრეაგირებდი, პრეზიდენტი კი მეკითხებოდა — მეც უნდა წამოვხტე და ასევე მოვიქცეო?.. მერე თავადაც ასე იქცეოდა... თან მთელი თამაშის განმავლობაში, წესებს ვუხსნიდი... ბოლოს ხელი ჩამომართვა და მითხრა — სასიამოვნო იყო შენი გაცნობაო.

**— ნინო შენი გატაცება რომელ ასაკამდე შეიძლება გაგრძელდეს?**

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ შვილიშვილებთან ერთადაც წავალ სტადიონზე დახატული.

■

**არადა, ბოლო წუთებში სჭირდება იმ ბიჭებს მხარში ამოდგომა**



**ყველაზე რთული უკანა ნაწილის მოქსოვა აღმოჩნდა**





# რა უნდა იყოს ახალი მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტი?

ლელა ჭანკოტაძე

***საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს. 17 თებერვალს, პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტი, როგორც ერთიანი გუნდი, თითქმის უპრობლემოდ დაამტკიცა. წინააღმდეგი მხოლოდ ხუთი დეპუტატი აღმოჩნდა. ზურაბ ჟვანიამ დასამტკიცებლად, საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა 15 მინისტრის მიერ დაწერილი პროგრამა — „ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის“, რომელშიც განსაზღვრულია ახალი მთავრობის პრიორიტეტები:***

**1. კორუფციის აღმოფხვრა;**
**2. გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელება;**
**3. ნათელი და დეტერმინირებული ანგარიშვალდებულება;**
**4. ბიუროკრატიის რიცხოვნობისა და მისი ზეგავლენის შემცირება;**
**5. გადაწყვეტილებების მიღებისას მოქალაქეთა მონაწილეობა;**
**6. საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმის ზრდა;**
**7. კანონის უზენაესობა და მის წინაშე უფლებების გათანაბრება;**
**8. ადამიანის უფლებების დაცვა.**

*რას ფიქრობენ დეპუტატები, ცნობილი ადამიანები და სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლები იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებები უნდა იყოს პრიორიტეტული ახალი მთავრობისათვის?*

**გენო კალანდია:**

— ჩვენთვის, „აფხაზეთის“ ფრაქციის წევრებისთვის პრიორიტეტული ცხადია, აფხაზეთის დაბრუნებაა. ამიტომაც არ იყო აფხაზეთის დეპუტაციაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება გოგა ხაინდრავას მიმართ. ამ თანამდებობაზე ჩვენთან შეუთანხმებლად კაცი არ უნდა დაემტკიცებინათ. როცა არსებობს აფხაზეთის დეპუტაცია და ლეგიტიმური ხელისუფლება, აზრი უნდა გვკითხონ. ორშაბათს, გოგა ხაინდრავას შევხვდით. სახელმწიფო მინისტრობა წინადღეს შესთავაზეს, ამიტომ ცხადია, პროგრამა მზად არ ექნებოდა. მივეცით საშუალება, შეიმუშაოს პროგრამა და ერთი თვის შემდეგ წარმოგვიდგინოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრაზე დიდი დებატები გაიმართა. ჩვენ დიდი პრეტენზიები გვაქვს იმ ადამიანის მიმართ, რომელიც აფხაზეთის საკითხზე იმუშავებს, რადგან დავრწმუნდით, რომ სანამ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მთავრობის პრიორიტეტი არ გახდება, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ.

**ელენე თევდორაძე:**

— ახალი მთავრობა განიხილება, როგორც ერთიანი გუნდი. ამ გუნდში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ცალცალკე არც ერთი მინისტრი არ ამბობს, რა უნდა იყოს პრიორიტეტული, რადგან მათთვის არსებობს მხოლოდ ერთობლივი პრიორიტეტი — ერთიანობა და თანაბარი ტემპით ყველა სფეროს ამუშავება. თუ ცალკეული მინისტრებისგან იმის მოსმენა მოგვიწევს, თუ რა არის მისთვის პრიორიტეტი, ისეთსავე მთავრობას მივიღებთ, როგორიც გვქონდა, რადგან გუნდსა და გუნდურ პრინციპზე საუბარიც ზედმეტი იქნება.

**— თვით ახალი გუნდის შემადგენლობა თუ იწვევს თქვენს ნდობას?**

— იუსტიციის მინისტრად მუშაობის პერიოდში, როგორც ვიცი, ზურაბ ადეიშვილმა ბევრი დაფინანსების წყარო გამონახა. მე მგონი, გიორგი პაპუაშვილსაც არ გაუჭირდება უცხოელებისგან დახმარებების მიღება, რაც საშუალებას მოგვცემს, იზოლატორში მყოფ ადამიანებს შედარებით უკეთესი პირობები შევუქმნათ. როცა ადამიანი წინასწარი დაკავების საკანში ზის, გაურკვეველია, დამნაშავეა ის თუ არა. შეიძლება, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნოს და გაათავისუფლოს კიდეც. მაგრამ ის უკვე საზოგადოებას ფსიქიკაშერყეული და დაავადებული უბრუნდება... დარწმუნებული ვარ, ახალი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ამ პრობლემას მოაგვარებს. ვიცი, რომ კარგი იურისტია. მას აქვს უძლიერესი პროექტი სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ და მზად არის საქმის გასაკეთებლად. ყველა მინისტრს არ ვიცნობ და ცხადია, ვერ ვიტყვი, რომ ნებისმიერი მათგანი საქმეს შესანიშნავად გაართმევს თავს. მაგრამ კარგად ვიცნობ ზურაბ ჟვანიას, ვენდობი მას და ვიცი, რომ ის დაუნდობელი იქნება მათ მიმართ, ვინც გუნდურ პრინციპს უღალატებს და თავის მოვალეობას არ შეასრულებს. ახალ მინისტრებს არც ერთი ძველი ცოდვა და ძველი მენტალიტეტის სიმძიმე არ აწუხებს — განსხვავებით ძველი მინისტრებისაგან. ისინი ცნობილი სახეები იყვნენ, მაგრამ რა გააკეთეს?! დემოკრატიულ ქვეყნებში არავის აინტერესებს, ცნობილი სახეა მინისტრი თუ არა, რადგან იქ მთავარია, გააკეთებს თუ არა ის საქმეს.

**ალეკო შალამბერიძე:**

— ახალი მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტა უნდა იყოს. ყველაზე მთავარი კი, ჩვენი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ამის საშუალება მაშინ გაჩნდება, როცა საგადასახადო კოდექსში გადასახადების შემცირებისკენ მიმართული ცვლილებები შევა. რაც შეეხება პენსიების გაზრდას — ჯერ მთავარია, დავალიანებების გასტუმრება, რაც ნაწ-

ილობრივ, თებერვალსა და იანვარში განხორციელდა კიდეც.

— **თქვენი აზრით, როდის უნდა იგრძნოს ხალხმა ახალი მთავრობის მიერ განხორციელებული, პოზიტიური ცვლილებები?**

— მინდა, რომ ხალხი ახალ მთავრობას ენდობოდეს. მერწმუნეთ, თითოეული მინისტრი თავს სულ მალე გამოავლენს, თუმცა, მიღებული პრაქტიკის თანახმად, პირველი შედეგების შეჯამება 100 დღის შემდეგ უნდა მოხდეს. ამ ხელისუფლებას ხალხმა იმხელა ნდობა გამოუცხადა, რომ თუ კარგ შედეგებს ვერ მიაღწევს და ხალხის ცხოვრება არ გაუმჯობესდება, მთავრობა მაშინვე უნდა გადადგეს. მაგრამ მე მგონია, რომ პირველი პოზიტიური ცვლილებები უკვე წლის ბოლომდე იჩენს თავს. მანამდე, რაიმე შედეგზე საუბარი უხერხულიც კი იქნება.

**ნოდარ ნათაძე:**

— ახალი მთავრობის პრიორიტეტი, დაკარგული ტერიტორიების შემოერთება უნდა იყოს. მუშაობა პირველ რიგში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საჭირო, კონკრეტული გეგმის შემუშავებით უნდა დაიწყოს. ეს უნდა მოხდეს არა ბოდენის გეგმით, არამედ რეალური გზით. დროა, ხელისუფლებამ სამოქმედო გეგმა დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს. კონსულტაციებისთვის, შეიძლება, ნებისმიერ ჯგუფს ან პოლიტიკოსს მიმართოს, მაგრამ გადაწყვეტილება, თავად უნდა მიიღოს და გამოაცხადოს, რომ ეს არის პრიორიტეტებს შორის უპირველესი.

**იური ჩიხრაძე:**

— მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს კორუფციის აღმოფხვრა. ერთი შეხედვით, ძალზე ზოგადი და გაცვეთილი ფრაზაა, მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ყველანი, კორუფციის შვილები ვართ. ფაქტია, რომ ასლარიანი ხელფასის მქონე მოხელე გადასარევად ცხოვრობს. ამიტომ უნდა ყველას, ნებისმიერი გზით მთავრობაში მოხვედრა. დროა, დაიმსხვრეს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, მთავრობაში მოხელედ მუშაობა, გამდიდრების საშუალებაა. უამრავი ადამიანი მაკითხავს ხოლმე თხოვნით — იქნებ, საბაჟოზე ან საგადასახადოში დამაწყებინოთ მუშაობაო... ახალმა მთავრობამ ისე უნდა იცხოვროს, რომ აღარავის გაუჩნდეს ამ მიზნით, ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. ეს უნდა გახდეს მათთვის პრიორიტეტი — სხვა პრობლემები თავისთავად მოგვარდება.

— **რამდენ ხანში იქნება შესაძლებელი პირველი შედეგების მიღწევა?**

— უკვე სამი თვეა, რაც ახალი ხელისუფლება გვყავს. ჯერჯერობით არანაირი წინსვლა არ გვეტყობა. რაც ბიუჯეტს იანვარში შეემატა, ეს შარშანდელ შემოსავლებზე გაცილებით ნაკლებია. დასამალი არ არის, რომ ისევ გროვდება „ობშიაკი", ისევ ილებენ ჩინოვნიკები ფულს და არც საგადასახადო სამსახურები გამოსწორებულან. ყველასათვის ნათელია, რომ ერთ კორუმპირებულს იჭერენ, მეორეს კი — არა. მთავარ დამნაშავეებს არ იჭერენ. თუ საქმის გაკეთება უნდოდათ, უკვე უნდა გაეკეთებინათ. რადგან არ გააკეთეს, ეს იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ არც ახალი მთავრობა გააკეთებს რამეს, მით უმეტეს — ას დღეში. ყველაფერი, რასაც ახალი მთავრობა ამ პერიოდში შემოგვთავაზებს, მხოლოდ წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის მიმართული ნაბიჯები იქნება...

**ნიკო ლეკიშვილი:**

— ჩემზე ძალზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ეკონომიკის მინისტრმა. სხვა მინისტრებსაც იმედის თვალით ვუყურებ. მე მგონი, საქმეს გაართმევენ თავს. განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ უშიშროების სამინისტროს ჩამოაცილეს ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამსახური. იმედი მაქვს, ასეთ სწორ ნაბიჯებს ახალი მთავრობაც გადადგამს. შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ ახალი მთავრობის წევრები გაიცნობიერებენ, რომ მათ მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯები, თანამდებობების დატოვების ფასად დაუჯდებათ. მიმაჩნია, რომ პრიორიტეტული, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა გახდეს. ეს სფერო განსაკუთრებით საჭიროებს დახმარებასა და შეღავათებს. სხვათა შორის, პირველ მთავრობაში (1995 წ.) მოქმედებდა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სპეციალური სააგენტო, რომელიც მერე რატომღაც დაიხურა — გააუქმეს. დროა, მთავრობამ პრიორიტეტად, ბიზნესის ხელშეწყობა და სიღარიბის დაძლევა გამოაცხადოს. საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია და ნორმალური ბიზნესგარემოს შექმნა უნდა მოხდეს.

**გია ნოდია,** პოლიტოლოგი:

— გარანტია იმისა, რომ ახალი მთავრობა კარგად იმუშავებს, ცხადია, არ არსებობს. მაგრამ მინისტრებმა წარმატებას რომ მიაღწიონ, საჭიროა ორი რამ: ერთი მხრივ, ნება, სურვილი და შემართება, მეორე მხრივ კი — კომპეტენცია. ვგულისხმობ არა პიროვნულ, არამედ კოლექტიურ, გუნდურ კომპეტენციას. თუ სწორად არ შეარჩევენ პრიორიტეტებს, შედეგზე საუბარიც ზედმეტი იქნება. ისინი ახლებურად მოაზროვნე ადამიანები არიან და იციან, თუ რას ნიშნავს მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული ქმედება. ცხადია, განსაკუთრებით დიდი, ზურაბ ჟვანიას როლი იქნება. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის დღეს, ყველა სფერო პრიორიტეტულია. ეს ახალი მთავრობის პროგრამიდანაც ჩანს. საიდან დაიწყებენ მუშაობას — ამას სულ მალე ვნახავთ.

**მურთაზ გიუნაშვილი,** *ფიზიკოსი:*

— მაინტერესებს, რა უნდა ვქნათ იმ ხალხმა, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრეთ?.. ძალიან მინდოდა, საზღვარგარეთ მესწავლა, მაგრამ ამაზე ოცნებაც კი არ შემეძლო. ვინ დამაფინანსებდა?.. დღეს კი, თუ ოქსფორდის ან იელის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული არ ხარ, ახალი ხელისუფლება გვერდით არ დაგიყენებს და შანსს არ მოგცემს... საიდან, რომელი სახსრებით ისწავლა ამ ხალხმა უცხოეთში? ზოგიერთ უნივერსიტეტში სწავლა ხომ, წელიწადში 80.000 დოლარი ჯდება?! მთავრობაში ის მინისტრები მოვიდნენ, ვინც მოპარული ფულის წყალობით შეიძინა ცოდნა. იქნებ, ყველა მათგანმა დაასახელოს წყარო, საიდანაც მათი სწავლა-განათლება და უცხოეთში ცხოვრება ფინანსდებოდა?!. თუ ასე აუცილებელია საზღვარგარეთ სწავლა, მაშინ ახალი მთავრობის პრიორიტეტად სწორედ ეს უნდა იქცეს: ნებისმიერ მსურველს ობიექტური ტესტირების შემდეგ, უცხოეთში სწავლის გაგრძელების საშუალება უნდა მიეცეს. კანცელარიის უფროსიც ინგლისიდან ჩამოიყვანეს. მაშინ რატომღა ფუნქციონირებს უძველესი სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა „სახელოვანი" სასწავლებლები?!. სანამ პრიორიტეტებად, სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის დახმარება, უფასო განათლება და უფასო სამედიცინო დახმარება არ იქცევა, აზრი არა აქვს სხვა პრიორიტეტებზე საუბარს. ■



# პოლიტიკური წარმატებები ეკონომიკური წარუმატებლობებით დაიჩრდილება...

***როგორი იქნება თებერვალი? როგორ წარიმართება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის მოლაპარაკება? რა ცვლილებებია მოსალოდნელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?.. ამ კითხვებს ასტროლოგი და ნათელმხილველი მარინა ბაბ-უშანა გასცემს პასუხს. ის პოლიტიკოსთა პირადი ჰოროსკოპებით შეეცდება, გრძელვადიანი პროგნოზები გააკეთოს...***

ლელა ჭანკოტაძე

– თუ ადამიანს უნდა, უფრო კარგად შეიცნოს საკუთარი თავი, უნდა იცოდეს პირადი ჰოროსკოპი, რომელიც გვეხმარება იმაში, რომ გავიადვილოთ ცხოვრება, გავიგოთ, სად არის ჩვენი ადგილი, რა საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი, იღბლიანი იქნება თუ არა ქორწინება, რა დროსაა ხელსაყრელი, საქმიანი გარიგების წარმოება და ა.შ. აუცილებელია ვიცოდეთ, რომელი თვე და თვის რომელი რიცხვები იქნება ჩვენთვის უკეთესი.

**— ე.ი. შეგიძლიათ თქვათ, როგორი იქნება თებერვალი?**

– 20 თებერვლიდან, მზე შედის თევზების ნიშანში, სადაც ახლა პლანეტა ურანი დგას და იქ კიდევ 7 წელი დარჩება. თებერვლის ბოლოს, თევზების ნიშანში დადგება პლანეტა მერკურიც. ამიტომ საკმაოდ დაძაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე იქნება, როგორც თებერვალი, ასევე მთელი აპრილი. თებერვლის ბოლოს, მოსალოდნელია მკვეთრი ცვლილებები, სტრესები, ნაჩქარევი და არასწორი გადაწყვეტილებები, მაგრამ შეგვიძლია, თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მშფოთვარე თებერვლის ბოლო და კიდევ უფრო დაძაბული აპრილი, მართალია, ჩვენთვის ძნელი ასატანი იქნება, მაგრამ ისეთი არაფერი მოხდება, დიდი ხნის მანძილზე რომ ვერ დავივიწყოთ. ამ დროს, არ ღირს მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების წარმოება ან დიდი და სარფიანი საქმეების წამოწყება. აპრილის დასაწყისამდე, ბევრი სიურპრიზი გველოდება – ამინდის ცვალებადობის მხრივ. სიცხეს ყინვა შეცვლის, თოვას – მზე ან წვიმა; გამორიცხული არ არის მეწყერი. მარტის ბოლოს, შესაძლებელია, წყალდიდობაც იყოს. წელს, მთელ მსოფლიოში წყალდიდობა სერიოზულ პრობლემად იქცევა.

**— რომელ რიცხვებში გამწვავდება პრობლემები?**

– 19, 20, 21 ყველაზე დაძაბული დღეები იქნება. უმჯობესია, გააკონტროლოთ თქვენი ნერვული სისტემა, მოთოკოთ ემოციები, არ შეეცადოთ, სპონტანურად გაჩენილი იდეების განხორციელებას, თავი შეიკავოთ მძაფრი შეგრძნებებისგან – ასეთ შემთხვევაში, ფიასკო არ აგცდებათ. ყველაზე სასურველია, დროის უმეტესი ნაწილი ახლობლებისა და მეგობრების წრეში გაატაროთ, ურთიერთობები მოაწესრიგოთ და გააჯანსაღოთ. მოსალოდნელია კამათი, ჩხუბი და უსიამოვნო ამბები. საერთოდ, პერიოდს, როცა ურანის პლანეტა თევზების ნიშნის ქვეშაა მოქცეული, როგორც ნგრევის პერიოდს, ისე აფასებენ. ,,ვარდების რევოლუცია“ და თევზების ზოდიაქოთი ურანის შეცვლა პარალელურად ხდებოდა... არსებობს კიდევ ერთი დამთხვევა: მსოფლიოს ასტროლოგიურ პრაქტიკაში ყველა სახელმწიფოს თავისი ზოდიაქოს ნიშანი აქვს – მაგალითად, რუსეთი მერწყულია, ისრაელი – თევზები, ამერიკა – კიბო, ესპანეთი – მშვილდოსანი. საქართველოც მშვილდოსანია. ის ფაქტი, რომ ჩვენი პრეზიდენტიც მშვილდოსანია, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის ბოლოს, პლანეტა პლუტონი მიუახლოვდება პრეზიდენტის ჰოროსკოპში განლაგებულ პლანეტა მერკურის და მზეს, მაგრამ ამ პოზიტიურ და უმნიშვნელოვანეს პერიოდზე სხვა დროს ვისაუბროთ...

**— თუ შეგიძლიათ, ცოტა რამ თავად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი ჰოროსკოპის შესახებ გვითხრათ?**

– მზე-მერკურის შეერთება მშვილდოსანში ნიშნავს, რომ ის ორიენტირებულია საკუთარი თავის გამოვლენა-წარმოჩენაზე. მისი პროგნოზირება შეუძლებელია. ეს თავად მასაც არ შეუძლია. არასდროს იცის, თუ როგორი რეაქცია ექნება ამა თუ იმ მოვლენაზე ან რა ფორმით გამოხატავს ემოციებს. ის არაპროგნოზირებად ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება. ჩვენი პრეზიდენტი ტიპური მშვილდოსანია, თავისი სწრაფი, ორიგინალური და მასშტაბური აზროვნებით. მისი ეს თვისებები 25-26 თებერვალს პრეზიდენტ ბუშთან მისი შეხვედრის დროსაც იჩენს თავს. მათ შორის არ შედგება საუბარი გლობალურ პრობლემებზე, ისინი ახალი ურთიერთობების დამყარებაზე საუბარს და ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას დაუთმობენ დროს – არანაირ სხვა მნიშვნელოვან საკითხზე საუბარი არ წარიმართება. შეხვედრა უჩვეულო

**მარინა ბაბუშანა: მსოფლიოს ასტროლოგიურ პრაქტიკაში ყველა სახელმწიფოს თავისი ზოდიაქოს ნიშანი აქვს**



იქნება და წინასწარ დადგენილ ფორმატში ვერ მოთავსდება. ეს ვიზიტი კიდევ ერთხელ დაგვანახვებს, რომ ახალი ტიპის და ყველასგან გამორჩეული პრეზიდენტი გვყავს, რომელსაც პირველობის სურვილი მუდამ თან სდევს და ცდილობს, საკუთარი პიროვნებით ადამიანები აღაფრთოვანოს. ის ნებისმიერ სიტუაციაში ახერხებს, იყოს ორიგინალური და შორსმჭვრეტელი.

— **თუ შეგიძლიათ თქვათ, როგორი იქნება მისი პრეზიდენტობის პირველი თვეები?**

— აქილევსის ქუსლად მისთვის ეკონომიკა იქცევა. პოლიტიკური წარმატებები ეკონომიკური წარუმატებლობებით დაიჩრდილება... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ ის მეგობრების დაკარგვის „უნარით არის დაჯილდოებული“, ამიტომ ბევრი მისი მეობარი სულ მალე, ოპოზიციონერთა ბანაკში აღმოჩნდება. მაისში, უკვე გარკვეული იქნება, თუ ვინ სად და ვის გვერდით დადგება. მე მგონი, მიხეილ სააკაშვილის გვერდით მხოლოდ ახალი სახეები იქნებიან... საპარლამენტო არჩევნებამდე, პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მისი ბანაკიდან არ წავა. არჩევნების შემდეგ კი, საკმაოდ მძლავრი ოპოზიციის ჩამოყალიბებას უნდა ველოდოთ. დაიძაბება ურთიერთობა აჭარასთან. ბევრი შეცდომა იქნება დაშვებული საკადრო პოლიტიკაში. ზოგიერთი მინისტრის სახელი სულ მალე, დავიწყებას მიეცემა. ახალი კადრებიდან მხოლოდ რამდენიმე გაამართლებს, ისიც — ნაწილობრივ.

— **შესაძლებელი თუა, რომ სააკაშვილმა დიქტატურის დამყარებაზე იფიქროს?**

— მისი პირადი ჰოროსკოპიდან ჩანს, რომ გამორიცხულია, დიქტატორი გახდეს. ეს არ მოხდება. დიქტატორისთვის დამახასიათებელი თვისებები შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მის ჰოროსკოპში პლანეტების განლაგება ამაზე არ მიუთითებს. დიდი მომავალი ექნება, მაგრამ — არა საქართველოში.

*„გზის“ მომდევნო ნომერში მარინა ბაბ-უშანა შეეცდება, გაგვარკვიოს ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას ხასიათის თავისებურებებში, პასუხს გასცემს კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ბალანსი „სამეულს“ შორის, რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მათ შორის განხეთქილება და როგორი დამთხვევები არსებობს მიხეილ სააკაშვილისა და სხვა პრეზიდენტების პირად ჰოროსკოპებში...*

■





# „უყვარს, როცა ეალერსებიან, კოცნიან, ეპირფერებიან...“

**ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა განაგრძობს ფოტოსურათებით იმ ადამიანების ბედის ამოცნობას, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ და ხშირად ცდილობენ, ოსტატურად შენიღბონ თავიანთი უარყოფითი თვისებები... ამჯერად მარჩიელი გვიზიარებს იმის პროგნოზს, თუ რა ელის უახლოეს მომავალში თბილისის მერს ვანო ზოდელავას, მსახიობ-პაროდისტ ლევან შენგელიასა და ჟურნალისტ სერგი გვარჯალაძეს.**

*ლელა ჭანკოტაძე*

## „ვანო ზოდელავა ცდილობს, თავი შეიკავოს სასიყვარულო თავგადასავლებისგან“

— ის ნამდვილი კონსერვატორია, რაც ხშირად, მისთვის საზიანოა. ჰგონია, რომ ყოველთვის თვითონ არის მართალი და იცის, რა უნდა აკეთოს. არავის ენდობა და ყოველთვის, საკუთარი თავის იმედადაა. უყვარს ოცნება, საკუთარი თავის, გმირად წარმოჩენა, მაგრამ ამას მხოლოდ შინაურ სიმყუდროვესა და საშინაო ფლოსტებში ფეხგაყრილი აკეთებს. მამაცი და გაბედული ადამიანია. ისეთი მტკიცე ხასიათის პატრონია, რომ თუ დასჭირდება, ღიმილით შეეგებება სიკვდილს. მისგან კარგი მეომარი დადგებოდა. მე მგონი, ის წინა ცხოვრებაში მამაცი და უშიშარი რაინდი იყო.

— **რა არის მისი წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზი?**

— ის საოცრად შრომისმოყვარეა. აქვს კიდეც იმის საფუძველი, რომ აქტიურობდეს. მისთვის ფული ციდან არ ცვივა. მას აქვს უნარი, დაუღალავად იშრომოს, რათა უზრუნველყოს თავისი ცხოვრება. მას დაბადებიდანვე ეწერა გამდიდრება. ყისმათიანი ადამიანია. რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა. მუდამ იცის, სად ჯობია, რომ დადგეს, სად არის მისი ადგილი. რისკიანი არ არის, ისეთ რამეს არ გააკეთებს, რასაც წინასწარ, ათასჯერ არ აწონ-დაწონის.

— **როგორია მისი ინტიმური სამყარო?**

— საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას, ყოველთვის გულწრფელია. სიყვარულშიც კი, პრაქტიკულია, გრძნობების გამო, არასდროს შეიქმნის პრობლემებს. ქალებში პოპულარობით სარგებლობს, ის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მოსწონთ. მათთან საუბარი და თავის მოწონება სიამოვნებს, მაგრამ ამაზე შორს არ მიდის — ცდილობს, თავი შეიკავოს სასიყვარულო თავგადასავლებისგან.

— **რა ელის?**



— მას ცხოვრებაში ჰქონდა და კიდევ ექნება აღმასვლაც და დაღმასვლაც. ეს, როგორც ფინანსურ, ასევე გრძნობების სფეროს ეხება. მან გამოიარა გზა ხელმოკლეობიდან სიმდიდრემდე. მომავალშიც ასე იქნება. მას ბედნიერი და უზრუნველი სიბერე ელის.

### „ლევან შენგელია იოლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ“

— ენერგიულ, თბილ, გულკეთილ ლევან შენგელიას ბედი წყალობს. იღბლიანია. ამიტომ შეუძლია, ყველა სურვილი აისრულოს. რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა. დიდ წარმატებებს მიაღწევდა, ბიზნესში რომ ეცადა ბედი. ის ადამიანებისაგან ბევრს მოითხოვს. თვითონაც ყოველთვის მზადაა, სხვისთვის უშურველად დაიხარჯოს. უყვარს მბრძანებლობა. ძალზე ნაზი და ამასთანავე ვაჟკაცური ადამიანია. მისი ხასიათის ძირითადი ნიშანია სიკეთე. შეგიძლიათ, ნებისმიერ სიტუაციაში ენდოთ. საუკეთესო მეგობარია და თავისი მეგობრებისთვის შეიძლება, საკუთარ პრინციპებსაც კი უღალატოს.

— **როგორ აეწყობა მისი ცხოვრება? როგორი მომავალი აქვს?**

— მას სამი შვილი ეყოლება. ბედნიერი მამა იქნება. მისი ერთ-ერთი შვილი იღბლიან ვარსკვლავზე იქნება დაბადებული.

— **როგორია მისი ინტიმური სამყარო?**

— უყვარს, როცა ეალერსებიან, კოცნიან, ეპირფერებიან. თუ მისი გულის დაპყრობა გსურთ, უთხარით, რომ ნამდვილი ვაჟკაცია და რომ ისე, როგორც იგი, ჯერ არავინ გყვარებიათ... ლევანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ მასზე. თუ მისი სიყვარულის ობიექტი გინდათ გახდეთ, არასდროს დაამციროთ, თორემ, ის სამუდამოდ შეგიძულებთ. სიყვარულში ულალატოა, გულწრფელია და თუ მას მართლა შეიყვარებთ, სიკვდილამდე თქვენი ერთგული დარჩება. შესანიშნავი მეუღლე იქნება.





— **რას მალავს?**

— ძალიან ამაყია. ღალატს არავის აპატიებს.

### „სერგი გვარჯალაძეს ძალების მოსინჯვა სხვა სფეროში მოუწევს“

— მის თვალებში ჩანს, რომ უჭირს ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა. თითქოს იღბლიანია, უმართლებს კიდეც, მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით. ყოველთვის უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ იმაზე მეტს იმსახურებს, ვიდრე ცხოვრებისგან იღებს. ამწუთას, მისი თვალებიდან მხოლოდ ქაოსი გამოსჭვივის... მუდამ სიახლის ძიებაშია, მაგრამ მოუწევს ფარ-ხმლის დაყრა, განვლილის დავიწყება და სხვა სფეროში ძალების მოსინჯვა. სერგი ჯერ პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას გადაწყვეტს, შემდეგ კი, ბიზნესში გადაინაცვლებს. მისი ადგილი იქაა, სადაც დიდი ფული ტრიალებს. მას სიმდიდრე და ფუფუნება ელოდება.

— **როგორ აეწყობა მისი პირადი ცხოვრება?**

— ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილია და იდეალის ძიება შეწყვიტა. სურს, მრავალი სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდეს, ამიტომაც სიბერეში, როცა განვლილ გზას გადახედავს, მისგან გულნატკენ რამდენიმე ქალს და ორ შვილს აღმოაჩენს... ერთი რამ კი უნდა ვთქვა: თუ იოლად შეუძლია, ჩამოშორდეს საყვარელ საქმეს, საყვარელ ქალს ძნელად შეელევა და ყოველი განშორება მისთვის საშინლად მტკივნეული იქნება.

— **რას მალავს?**

— ამბიციურია და მიაჩნია, რომ ისეთი პროფესიონალია, რომლის მსგავსი არ არსებობს... საკუთარი შეცდომების აღიარება არ უყვარს. ყოველი მარცხი შეცდომად კი არა — ცხოვრების მორიგ საფეხურად მიაჩნია. თითოეულ საფეხურს კი, ის დიდებისკენ მიჰყავს... ასეთია სერგის ვირტუალური სამყარო... ■



# არასრულწლოვანი შვილის დედა ციხეში 8 წლის მანძილზე მოიხდის სასჯელს

## წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევმა ქალმა მეგობარი მამაკაცი დანით დაჭრა

**41 წლის ქალი, არასრულწლოვანი შვილის დედა სამსჯავროს წინაშე, ადამიანის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით წარდგა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, მისთვის ამ სახის დანაშაულის ჩადენა პირველი არ იყო. 1996 წელს, მარინა მოდებაძე ბათუმში ახალგაზრდა კაცის მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ და სასჯელის ზომად, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს. საქმის მასალების თანახმად, მორიგი დანაშაული მან თბილისში ჩაიდინა. მსხვერპლი ამჯერადაც მამაკაცი აღმოჩნდა, თუმცა, საბედნიეროდ, დანით მიყენებული სახიფათო ჭრილობის მიუხედავად, იგი სიკვდილს გადაურჩა.**

მარინა მოდებაძე ქმარ-შვილთან ერთად ქუთაისში ცხოვრობდა. ბათუმში მომხდარი მკვლელობისთვის დაპატიმრებული, სასჯელს ქალთა საერთო რეჟიმის კოლონიაში იხდიდა, მაგრამ იქ მხოლოდ 7 წელი დაყო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინების საფუძველზე, მოდებაძე ციხიდან ვადამდე, პირობით გათავისუფლდა. განსაზღვრული სასჯელიდან მოსახდელი დარჩა 1 წელი, 3 თვე და 13 დღე. სამართალდამცავთა თქმით, მოდებაძე ამ ვადის ამოწურვასაც არ დაელოდა, ისე ჩაიდინა მორიგი დანაშაული.

თავად მოდებაძემ ბრალი კატეგორიულად უარყო, მაგრამ მისი პოზიცია არც პროკურატურამ და არც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარეს. აღსანიშნავია, რომ მოდებაძემ 1996 წელს ჩადენილი დანაშულის დროსაც, დანა გამოიყენა.

ბრალდების თანახმად, 2003 წლის 29 სექტებერს, თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე დროებით მცხოვრებ მარინა მოდებაძეს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა მეგობართან — ვეფხია ბაქრაძესთან. შელაპარაკების მიზეზი, მობილური ტელეფონი იყო. ჩხუბის დროს, ქალმა დანას დაავლო ხელი და ბაქრაძეს იგი მუცლის არეში ჩაარტყა, რითიც სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა. საქმის მასალების თანახმად, ამ ამბავს, მოდებაძის ბინაში მყოფი მადონა უშაკოვა შეესწრო. რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილას მივიდა ბაქრაძის ნაცნობი — მამუკა ჩიტაშვილი, რომელმაც იგი საავადმყოფოში წაიყვანა.

დაზარალებულმა ვეფხია ბაქრაძემ სასამართლო კოლეგიას განუცხადა, რომ მარინა მოდებაძე 2003 წლის ზაფხულში გაიცნო და დაუმეგობრდა. 29 სექტემბერს საღამოს, დაახლოებით 6 საათისთვის, მოდებაძეს ის შინ ესტუმრა თავის ნაცნობ მამუკა ჩიტაშვილთან ერთად. ბაქრაძის თქმით, მათ იქ, მოდებაძის გარდა, ქალის მეგობარი მადონა უშაკოვაც დახვდათ. *„ჩიტაშვილი მალე წავიდა... მარინამ მობილური ტელეფონის დაბრუნება მომთხოვა. ტელეფონი ლომბარდში იყო დაგირავებული, გამოსახსნელი თანხა მოცემული ჰქონდა, ამიტომაც ვუთხარი, რომ უახლოეს ხანში, მოვაგვარებდი ამ პრობლემას და მობილურს მივუტანდი. ამის შემდეგ, იგი სამზარეულოში გავიდა, მე ამ დროს სავარძელში ვიჯექი. მალე დაბრუნდა და მოულოდნელად დანა მარცხენა მხარეს, გულმკერდის არეში ჩამარტყა. დანა მხოლოდ დარტყმის მომენტში შევნიშნე და ამიტომაც, მოულოდნელობის გამო, წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოვასწარი. მოდებაძემ დანა იატაკზე დააგდო და ტირილი დაიწყო“*, — აღნიშნა ბაქრაძემ დაკითხვისას.

დაზარალებულის თქმით, ჭრილობა პატარა ჩანდა და ამიტომაც იფიქრა, რომ სერიოზული არაფერი იქნებოდა. მაგრამ ცოტა ხანში, ცუდად გახდა. შემთხვევის დროს ბინაში მყოფი მადონა უშაკოვას თქმით, იმ დანით, რომლითაც მოდებაძემ ბაქრაძე დაჭრა, რამდენიმე წუთით ადრე, სამზარეულოში ის საზამთროს ჭრიდა და მერე, იქვე მაგიდაზე დადო. *„დანის დარტყმის მომენტი არ დამინახავს, მაგრამ შევნიშნე, მოდებაძემ ბაქრაძის მუცლიდან დანიანი ხელი როგორ გამოსწია... ბაქრაძემ პერანგი და მაისური აიწია და მაშინ დავინახე, რომ მარცხენა ძუძუს ქვეშ მას ჭრილობა ჰქონდა“*, — განაცხადა უშაკოვამ. რაც შეეხება ჩიტაშვილს, მან აღნიშნა, რომ მოდებაძესთან სტუმრობამდე, ბაქრაძე დაჭრილი არ ყოფილა. *„ხელმეორედ მისულს კი, ის დაჭრილი დამხვდა“*, — თქვა ჩიტაშვილმა სასამართლო სხდომაზე.

შემთხვევის ადგილზე დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლები გამოცხადდნენ. მათი თქმით, მარინა მოდებაძემ დანაშაული მაშინვე აღიარა. *„თქვა, რომ ძალიან უყვარდა ბაქრაძე და რატომ ჩაიდინა ეს, არ იცოდა“*, — აღნიშნა ერთ-ერთმა მოწმემ.

მოდებაძე იმავე დღეს დააკავეს, მისი ბინიდან კი დანაშაულის იარაღი — დანა ამოიღეს. საქმის მასალებში დევს ეჭვმიტანილად დაკითხვის ოქმი, სადაც მოდებაძე დანაშაულს აღიარებს. მოგვიანებით, მან ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენება მას ფიზიკური ზემოქმედების შედეგად დააწერინეს. მოდებაძის თქმით, იგი სწორედ იმ პოლიციელებმა სცემეს, რომლებიც მის დაკავებაში მონაწილეობდნენ. დაკავების მონაწილე პირები დაიკითხნენ, მაგრამ მათ მოდებაძის სიტყვები არ დაადასტურეს. აღიარებითი ჩვენების ჭეშმარიტებაში არც პროკურატურას და არც სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია. პროკურატურამ მოდებაძეს ბაქრაძის მკვლელობის მცდელობაში დასდო ბრალი და სასამართლოში საქმე შესაბამისი მუხლით გადააგზავნა. თუმცა, პროცესის მსვლელობის პერიოდში, ბრალდების მხარემ პოზიცია შეიცვალა. პროკურორის თქმით, სასამართლო გამოძიების დროს გაირკვა, რომ ადგილი ჰქონდა არა დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობას, არამედ სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანებას.

მარინა მოდებაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი თქმით, მას ბაქრაძისთვის დანით სხეულის დაზიანება არ მიუყენებია. *„იგი უკვე დაჭრილი იყო, როცა ჩემთან სახლში მოვიდა. მე მაშინვე პირველადი დახმარება აღმოვუჩინე, ჩიტაშვილმა კი, ამის შემდეგ, ის საავადმყოფოში წაიყვანა“*, — განაცხადა მოდებაძემ. დაზარალებულმა ბაქრაძემ ეს სიტყვები არ დაადასტურა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ მოდებაძეს მისი მოკვლა არ უცდია. *„ეს რომ ნდომებოდა, განახორციელებდა კიდეც, რადგან ხელს არავინ უშლიდა და ვერც მე ვუწევდი წინააღმდეგობას. მან დარტყმისთანავე დანა ძირს დააგდო, შემდეგ კი, პირველადი დახმარება გამიწია“*, — აღნიშნა დაზარალებულმა.

საბოლოოდ, სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო, რომ დანაშაული სწორედ ისეთ ვითარებაში მოხდა, როგორც ამას დაზარალებული და მოწმე უშაკოვა აღწერენ. შესაბამისად, განსასჯელი სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანებაში დაადანაშაულეს. სასჯელის ზომად კოლეგიამ მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მსჯავრდებულს განაჩენის გასაჩივრება საკასაციო წესით შეუძლია, თუმცა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ჯერჯერობით უცნობია.

■



# კანონიერი ქურდი ნარკოტიკის შენახვისთვის დააკავეს

2004 წლის 30 იანვარს ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარში ე.წ. კანონიერი ქურდი — 47 წლის ვლადიმერ კოხრეიძე დააკავეს. როგორც პოლიციის თანამშრომლები აცხადებენ, პირადი ჩხრეკისას მას ჯიბეში 0,022 გ ნარკოტიკული ნივთიერება უპოვეს. შესაბამისად, სამართალდამცავებმა კოხრეიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით აღძრეს. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს დადგენილება კოხრეიძის მხარემ თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

პატიმრის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ პოლიციამ კოხრეიძე სრულიად უდანაშაულოდ და უსაფუძვლოდ, ფაქტობრივად, მხოლოდ სახელისა და გვარის გამო დააკავა. მათივე თქმით, ვლადიმერ კოხრეიძე წლების მანძილზე, რუსეთში, კერძოდ — მოსკოვში ცხოვრობდა და საქმიანობდა. საქართველოში 2004 წლის იანვრის ბოლოს, ოჯახის წევრების მოსანახულებლად და საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად (9 თებერვალს) ჩამოვიდა. *„მოსკოვში მისი საქმიანობა დანაშაულთან კავშირში არაა. არც საქართველოში დაუშავებია რამე. საერთოდ, ისეთი ბუნების ადამიანია, რომ წარმოუდგენელია, მან ვინმეს ავნოს ან რაიმე დააშავოს. არაერთხელ გვითქვამს ოჯახში — ბაგა-ბაღის დირექტორად უნდა ემუშავა-თქო. მიუხედავად ამისა, უდანაშაულო კაცს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცეს, ისე დააკავეს. საწოლიდან წამოაგდეს და საცვლის ამარა, ფეხშიშველი გაიყვანეს ოთახიდან“*, — ამბობს კოხრეიძის მეუღლე.

საოლქო სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვისას, წარმოდგენილი იყო მოწმე, რომელიც სამართალდამცავებმა კოხრეიძის პირად ჩხრეკას დაასწრეს. ამ მოწმის ჩვენების საფუძველზე, კოხრეიძის მხარე ეჭვობს, რომ დაკავებულს ნარკოტიკი თავად პოლიციელებმა ჩაუდეს.

**გოჩა ხარშილაძე,** მოწმე: *„ხაშურის რაიონის პოლიციაში მიმიყვანეს და მითხრეს, ჩხრეკას უნდა დაესწროო. დაკავებული ვინ იყო, არ ვიცოდი. ჩხრეკა პოლიციის შენობაში ჩატარდა. პირველად რომ გაჩხრიკეს, ვერაფერი უპოვეს, გარდა სამი ხელსახოცისა. ხელსახოცებში არაფერი იდო. ცოტა ხანში, ერთ-ერთმა სამართალდამცავმა თქვა — თავიდან გაჩხრიკეთო. ამჯერად, მარჯვენა მხრიდან ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, ისიც ვერ დავინახე, ჯიბიდან ამოიღეს თუ არა შეფუთული ნარკოტიკი“.*

საოლქო სასამართლომ ვლადიმერ კოხრეიძე კვლავ წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ხაშურის რაიონის პოლიციის გამომძიებლის — გოჩა ღუღუნიშვილის თქმით, კოხრეიძის დაპატიმრება აუცილებელი იყო, რადგან შესაძლოა, მას გამოძიებისთვის თავი აერიდებინა. *„თუკი მისი აყვანის ან ჩხრეკის დროს რამე უკანონობას ჰქონდა ადგილი, გამოძიების პროცესში აუცილებლად გაირკვევა“*, — აცხადებს გამომძიებელი. ■

# პოლიციამ ავტომანქანების გამტაცებელთა დაჯგუფების 5 წევრი დააკავა

24 წლის ვლადიმერ გოდელაძე, 23 წლის შალვა ფუტკარაძე, 21 წლის რამაზ შიუკაშვილი, პაატა გოგიაშვილი და 20 წლის გიორგი ბერიანიძე — სამართალდამცავთა თქმით, ის პირები არიან, რომლებიც თბილისში ავტომანქანების გატაცებით იყვნენ დაკავებულები. თუმცა, იმასაც ვარაუდობენ, რომ გამტაცებელთა ორგანიზებულ დაჯგუფებაში სხვა პირებიც შედიან. მათი ვინაობის დასადგენად, შესაბამისი ორგანოები მუშაობენ, რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ხუთ პირს, სამართალდამცავებმა ისინი უკვე დააკავეს. ერთი მათგანი — გოდელაძე, რომელსაც ტუსიას და გეზრულიჩას მეტსახელით იცნობენ, წარსულში მრავალჯერაა ნასამართლევი, როგორც ამბობენ, იგი ჯგუფის ლიდერი იყო.

პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ამ პირებმა 2003 წლის 7 დეკემბერს, შპს „დოკმოტორსიდან“ კორპორაცია „პეტროგრად ინტერნეიშენელ ლიმიტედის“ კუთვნილი 4 „ტოიოტა-ჰაი-ლუქსის“ მარკის ავტომანქანა გაიტაცეს, შემდეგ კი, მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, მფლობელისგან 40 ათასი დოლარი მოითხოვეს.

2004 წლის 8 იანვარს, მათ აშშ-ის საელჩოს მანქანა „ტოიოტა ლენდ-კრუიზერი“ გაიტაცეს, შემდეგ კი იგი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 1.000 დოლარად გაყიდეს. ჩხრეკისას, ვლადიმერ გოდელაძის დროებითი საცხოვრებელი ბინიდან პოლიციის თანამშრომლებმა ნომერწაშლილი „მაკაროვის“ პისტოლეტი (1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით) და „კალაშნიკოვის“ ავტომატი (1 მჭიდითა და 29 საბრძოლო ვაზნით) ამოიღეს. პირადი ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი რამაზ შიუკაშვილსაც აღმოაჩნდა. პოლიციამ მისგან „მაკაროვის“ პისტოლეტი (1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით) ამოიღო.

რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ 22 იანვარს, აღნიშნული ბანდიტური ჯგუფის წევრებმა დიღმის მასივიდან მოქალაქე ირაკლი წილოსანს BMW-ს ჯიპი მოსტაცეს და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ოსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ასეულის მეთაურს — ვიქტორ მამიტოვს 15.000 დოლარად მიჰყიდეს.

რამდენიმე დღის წინ, 22 წლის მამიტოვი პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკების დროს დაიჭრა და ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა ბოროტმოქმედთა მიერ გატაცებული რამდენიმე მანქანა უკვე ამოიღეს და კანონიერ მფლობელებს დაუბრუნეს. გაყიდვამდე, გატაცებული ავტომანქანა ბოროტმოქმედებმა თბილისში, ცოდნისკარის ქუჩაზე მცხოვრებ ბადრი მიქაიას საცხოვრებელი სახლის ეზოში გადამალეს. სამხრეთ ოსეთში მანქანა გატაცებიდან მესამე დღეს გადაიყვანეს. ■



## ვაშლიჯვრის ტერიტორიიდან ორი ჩეჩენი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა

2004 წლის 16 თებერვალს, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებული ჩეჩნები — ხუსეინ ალხანოვი და ბექხან მულკოევი მოულოდნელად გაუჩინარდნენ. რამდენიმე დღეა, ახლობლები მათ ვერსად პოულობენ. როგორც ამბობენ, 16 თებერვალს ალხანოვი და მულკოევი ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან გავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. ისინი საღამოს, რეგისტრაციის გასავლელად უნდა მისულიყვნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, მაგრამ არც იქ უნახავს ვინმეს.

შეგახსენებთ, რომ გირევის საგუშაგოსთან დაკავებულ მულკოევსა და ალხანოვს საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში ადანაშაულებდნენ. სასამართლომ ისინი უდანაშაულოებად ცნო.

## „მაგთიკომის“ ოფისიდან უნიღბო ყაჩაღებმა 10.000 ლარის გატაცება მოახერხეს

13 თებერვალს, ფოთში, „მაგთიკომის“ ფილიალს ყაჩაღები დაესხნენ თავს. ორი ბოროტმოქმედი ფილიალის ოფისში დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის შეიჭრა და იარაღის მუქარით, იქ მყოფ თანამშრომლებს ფული მოსთხოვა. თავდამსხმელებმა ოფისიდან 10.000 ლარისა და ერთ-ერთი თანამშრომლის მობილური ტელეფონის გატაცება მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ მათ ნიღბები არ ეკეთათ. ისინი არც სამართალდამცავი ორგანოების სიახლოვეს შეუშინებია: „მაგთიკომის“ ოფისიდან 50 მეტრში შს სამინისტროს ფოთის სამმართველოს ერთ-ერთი ქვეგანყოფილებისა და ქალაქის პროკურატურის შენობები მდებარეობს.

■

*მოამზადა მეგი ცანავამ*



## «შეუძლებელია, მისი სისხლი ჩემს ძარღვებში არ ჩქეფდეს...»



**ამ ცოტა ხნის წინ, ჟურნალ „გზაში“ შემოგთავაზეთ სტატია — „გუგულის ბუდე — ბავშვი სხვის ოჯახში“, რომელშიც გაერთიანებული იყო რამდენიმე გაშვილებული ბავშვის ამბავი. ისინი თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებს ეძებდნენ. სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ირმა არსენაძე დაგვიკავშირდა და დახმარება გვთხოვა: ის თვითონ ყოფილა გაშვილებული. ამბავი, რომელსაც ახლა შეიტყობთ, საჩხერეში მოხდა. იმ დღიდან, 30 წელი გავიდა. ირმა ბიოლოგიურ მშობლებს ეძებს. მიაგნო კიდეც, მაგრამ დედა უარყოფს, მამას კი, მე და ირმა ერთად შევხვდით და ქვემოთ მათი შეხვედრის დეტალებსაც გიამბობთ.**

*მარი ჯაფარიძე*

— უკვე 12 წელია, ჩემს ბიოლოგიურ მშობლებს ვეძებ. ძაფის ბოლომ ერთ ჭიათურელ ქალბატონთან მიმიყვანა...

— **მოდით, თავიდან დავიწყოთ. თუ იცით, როგორ მოხდა თქვენი გაშვილება?**

— 9 დღის ჩვილი ვყოფილვარ, როდესაც ჩვრებში გახვეული, კალათში ჩაწვენილი, ერთ-ერთი ოჯახის აივანზე დამტოვეს. კალათში წერილიც ყოფილა. როგორც გავიგე, ჩემს გამზრდელ მამას სცოდნია, რომ იმ დღეს, მათ ოჯახში უნდა მივეყვანე, მაგრამ ცოლისთვის არაფერი უთქვამს. გამზრდელი დედა თავდაპირველად, უარზე ყოფილა: თუ ბავშვს არავინ მოიკითხავს, მხოლოდ ამის შემდეგ ვიშვილებ, რადგან არ მინდა, პაწია შემიყვარდეს და მერე ვინმემ წამართვას — ამას ვერ გადავიტანო... ისევ სამშობიაროში დავუბრუნებივარ. შემდეგ, საქმეში მილიცია ჩარეულა, ჩემი მშობელი დედა უნახავთ, ხელწერილი ჩამოურთმევიათ, რომ არასოდეს მომიკითხავდა და ამ ღვთისნიერმა ცოლ-ქმარმა მიშვილა.

— **როდის შეიტყვეთ, რომ ისინი თქვენი ნამდვილი მშობლები არ იყვნენ?**

— ექვსი წლის ვიყავი, როდესაც ჩემს ბიძასთან და ჩემს კბილა ბიძაშვილთან ერთად მივდიოდი, გზად მათი ნაცნობი ქალი შეგვხვდა. მან ჩვენი (ბავშვების) ვინაობა იკითხა. ბიძაჩემმა უთხრა: ეს ჩემი შვილია, ეს კი — ძმისშვილიო. ქალმა შეიცხადა — უი, ეს ის გოგონაა, ნაშვილები რომ ჰყავთო? პირველად მაშინ გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი. შოკირებული დავრჩი, მაგრამ ახლაც მიკვირს, ასე პატარა ბავშვმა როგორ მოვახერხე თავის შეკავება და მშობლებს არ შევატყობინე, რომ მათი საიდუმლო გამჟღავნდა. ცხადია, მაშინ ვერ მოვახერხებდი მშობლების მოძებნას, მაგრამ 18 წლის გავხდი თუ არა, მაშინვე შევუდექი ამ საქმეს.

— **ვის მიმართეთ?**

— იმ ადამიანებს ვერ დაგისახელებთ — ძირითადად, ნათესავების გამოკითხვა დავიწყე და მათ მიამბეს დეტალები. შემდეგ ისიც შევიტყვე, რომ დედა ჭიათურელი ყოფილა, სამშობიაროში მუშაობდა და მამაჩემიც იქაური გინეკოლოგი ყოფილა...

— **რატომ გაგაშვილათ?**

— მაშინ მას უკვე ორი ბიჭი ჰყავდა და ქმართან გაყრილი გახლდათ. როგორც ჩანს, საქვეყნოდ თავის მოჭრას მოერიდა და გამაშვილა.

— **დედას ესაუბრეთ?**

— არა. მასთან საუბრის საშუალება არ მომეცა. ჩვენ შორის მისი ნათესავები ჩადგნენ... უზომოდ მაინტერესებდა,

როგორი იყო. ჩვენს სოფელში მას ბევრი ნათესავი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი – მისი რძალი – რომ გარდაიცვალა, სამძიმარზე მივედი. მე იმ ოჯახს არ ვიცნობდი, მაგრამ დედის სანახავად გადავწყვიტე მისვლა. რომ დამინახა, იკითხა – ამას აქ რა უნდაო?!. ძალიან ვგავართ ერთმანეთს... შევუთვალე – ვიცი, შენი შვილი რომ ვარ და შენთან საუბარი მსურს-მეთქი. უარი მივიღე. დედამ უარმყო. ამბობს, რომ ცილს ვწამებ და მისი შვილი არა ვარ, მაგრამ პოლიციაში დევს მისი ხელწერილი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ უარს ამბობს ჩემს დედობაზე და არასოდეს მომიკითხავს. მისი შვილები – ჩემი ძმები – უკვე დიდები არიან. ისინი თბილისში, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში მუშაობენ. მათი დედის ამბავი რომ გამჟღავნდეს, დარწმუნებული ვარ, ძალზე განრისხდებიან და ეს ქალი ალბათ სწორედ ამას ერიდება. მე რომ გავაქტიურდი, შემდეგ შემომითვალა – დედაშენმა ჩემს ხელში იმშობიარა (ის ბებიაქალი გახლავთ), პირველად, მე აგიყვანე ხელში, მაგრამ ჩემი შვილი არა ხარო. მაშინ ვთხოვე, გაემჟღავნებინა, ვინ იყო ის ქალი.

**— და რა პასუხი მიიღეთ?**

– ამას მხოლოდ გამზრდელი დედის თანდასწრებით გეტყვიო... ჩემმა გამზრდელმა დედამ არ იცის, რომ ჩემთვის ცნობილია ეს საიდუმლო. რომ შეიტყოს, ძალზე ინერვიულებს და შესაძლოა, ვერ გადაიტანოს ეს ამბავი. ამიტომ ვერიდები მასთან ამ თემაზე საუბარს. ეს კარგად მოეხსენება იმ ქალბატონს და სწორედ ამიტომ მივიღე ასეთი პასუხი... როდესაც მამა კვდებოდა, დამიძახა და მოკლედ მიამბო ჩემი თავგადასავალი. მითხრა, სად იყო ის წერილი შენახული, რომელიც ჩემთან ერთად კალათში იდო. ეს წერილი ყველა საიდუმლოს ახდიდა ფარდას, მაგრამ როგორც ჩანს, დედამ იეჭვა, რაზე ვისაუბრებდით მე და მამა და წერილი იქ აღარ დამხვდა... ჩემი ბიოლოგიური დედა ჩემი დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ, შვილებიანად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და დღესაც აქ ცხოვრობს. მისი კოორდინატები ჩემთვის ცნობილი არ არის. ძალიან მინდა მასთან საუბარი. თანახმა ვარ – ნუ გაიგებენ მისი შვილები – უბრალოდ, დამელაპარაკოს და გამარკვიოს იმაში, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მტანჯველია, როცა ასეთ სიტუაციაში ხარ... რაც შეეხება გამზრდელ დედას – მე ის ძალიან მიყვარს და სულ ტყუილად შიშობს, რომ თუ ნამდვილ დედას ვიპოვი, ამით ჩვენი ურთიერთობა შეიცვლება.

**— მამა? რა იცით ნამდვილი მამის შესახებ?**

– მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ თბილისელია, რამდენიმე წლის განმავლობაში, ჭიათურაში მუშაობდა, დღეს კი თბილისის ერთ-ერთი სამშობიაროს მთავარი ექიმის მოადგილე გახლავთ. მასთან დაკავშირება არ მიცდია. თუმცა მეუბნებიან – თუ მაგ კაცს გაესაუბრები, არ დაგიმალავს და ყოველივეს გიამბობსო.

*სახელითა და გვარით ამ პიროვნების მოძებნა არ გამჭირვებია. ბატონ გიორგის (სახელი შეცვლილია, რადგან სიმართლის დადგენამდე, მისი ვინაობის გამჟღავნებას მოვერიდეთ) სამსახურში ვეწვიე. როდესაც საქმის ვითარება გავაცანი და ვუთხარი – თქვენი 30 წლის ქალიშვილი გეძებთ-მეთქი, – ბატონი გიორგი წამით შეყოვნდა, შემდეგ ხმამაღლა გაიცინა... ირმას დაბადების ზუსტი თარიღი დავუმალე და ვთხოვე, გაეხსენებინა, რომელ წლებში მუშაობდა ჭიათურაში. აღმოჩნდა, რომ 1972-დან 1973 წლის მარტამდე, სწორედ იმ სამშობიაროში საქმიანობდა. შემდეგ, რამდენიმე თვით, კვლავ თბილისში გადმოსულა და 1974 წელს, ჭიათურის ჯანდაცვის განყოფილების მოთხოვნით, რაიონში დაბრუნებულა და კიდევ რამდენიმე წელი უმუშავია. ბატონმა გიორგიმ ვერც ის ქალბატონი გაიხსენა, რომელიც სავარაუდოდ, ირმას დედა გახლავთ და ირწმუნებოდა, რომ მას ჭიათურელი ქალბატონისგან შვილი არ შესძენია. მაგრამ ირმასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა და არც მამობის დასადგენად ჩასატარებელ ტესტირებაზე უთქვამს უარი.*

*ირმა 1973 წლის 10 სექტემბერსაა დაბადებული – ე.ი. მისი ჩასახვის პერიოდში, ბატონი გიორგი ჭიათურაში იმყოფებოდა, დაბადების დროს კი – უკვე აღარ.*

*ჩვენი საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ირმასა და ბატონი გიორგის შეხვედრაც შედგა. მე და ირმა კაბინეტთან ველოდით, როდესაც ბატონი გიორგი ერთ-ერთი პალატიდან გამოვიდა. შემნიშნა თუ არა, მაშინვე მზერა ირმაზე გადაიტანა და კაბინეტში შევიძღვა. პირველი კითხვა, რომელიც ირმას დაუსვა, მისი დაბადების თარიღს ეხებოდა. პასუხი რომ მიიღო, შემდეგ ჭიათურაში თავისი მუშაობის პერიოდები დაუსახელა და აღმოჩნდა, რომ ის წლები, რომელიც ჩემთან საუბრისას დააფიქსირა, მცდარი ყოფილა: ბატონი გიორგის თქმით, ის პირველად ჭიათურაში 1974 წელს ჩასულა... შემდეგ ის ქალბატონიც გაიხსენა, რომელიც ირმას დედა გახლავთ და თქვა – არ დავმალავ, რომ ჭიათურაში მეგობარი ქალი მყავდა, მაგრამ არა – დედათქვენი, ევ იმ დონის ქალბატონი არ გახლდათ, რომელთანაც ასეთ ურთიერთობას გავაბამდიო... ირმას ურჩია, კარგად დაედგინა ყველაფერი და შემდეგ მისულიყო მასთან.*

*ბატონ გიორგის რომ დავემშვიდობეთ, ირმამ მითხრა: შეუძლებელია, მისი სისხლი ჩემს ძარღვებში არ ჩქეფდეს – რომ ვუყურებდი, ასე მეგონა, ჩემი უმცროსი შვილი მელაპარაკებოდაო... თუ ტესტირება ჩატარდება, სიმართლის დადგენა შესაძლებელი უნდა იყოს. შედეგებს, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში გაცნობებთ. ქალბატონს, რომელიც ირმაში თავის შვილს ამოიცნობს, ვთხოვთ, დაგვიკავშირდეს. ჩვენი მხრივ კი, ვპირდებით, რომ მის ვინაობას არ გავამჟღავნებთ.*

■





# ამბროსოვიჩის აღზევება და გასაჭირი

**მურმან ხაჭაპურიძე**

შარშან, ნოემბრის „ცხელ“ დღეებში, ქუთაისიდან თბილისში კარგა ხნის გადმოსახლებული იმერელი თავისუფლების მოედანზე, 9-ბალიანი შტორმისას აღელვებული ზღვასავით მშფოთვარე, „ნაციონალების“ მიტინგზე, ლანჩხუთელ ნაცნობს შეხვდა. მოკლე მოკითხვის შემდეგ, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— მე რომ მჭირს, მთელ მსოფლიოში არავის ჭირს იმისთანა ამბავი. ცხოვრებაში ბევრი კურიოზი ხდება, მარა რაც მე საქართველოს პრეზიდენტთან მაერთიანებს, ასეთი რამ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეს არ აერთიანებს თავის პრეზიდენტთან...

— რა გაერთიანებს ასეთი პრეზიდენტ შევარდნაძესთან, შე აბდალო?.. — დაეჭვებით იკითხა გაგულისებულმა გურულმა.

— რა და ახლავე გეიგებ! ჯერ ერთი, შევარდნაძე ახალგაზრდობისას, ქუთაისში რომ მუშაობდა, სწორედ მან მიმიღო კომკავშირში. მერე იყო და, სადაც იმან მიიღო უმაღლესი განათლება, მეც იმ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ფაკულტეტიც ერთნაირი დავამთავრეთ... შემდეგ, მეც იმ შენობაში მომიწია მუშაობა, სადაც ახალგაზრდობისას შევარდნაძე მუშაობდა. ასე რომ, მეც და ჩემმა პრეზიდენტმაც სწავლისას და მუშაობისას, ერთი და იმავე კედლების მტვერი კარგა გვარიანად ვყლაპეთ. ხანდახან, თვეობით უმუშევრობაც ორივეს გამოგვიცდია, მარა ღმერთმა არ გაგვწირა და ცხოვრების კიბეზე მაინც სულ მაღლა-მაღლა მივიწევდით...

— კიდევ, კიდევ? — გაიფხორა ისედაც გაფხორილი გურული.

— კიდევ რაღა გინდა?!. ამაყად აათვალიერა იმერელმა ნაცნობი და „კოზირი“ „მოიმარჯვა“: — კიდევ ის, რომ მეც, პრეზიდენტივით, ამბროსოვიჩი ვარ! სადაც კი ვყოფილვარ — სამსახურში, წვეულებაზე, ქორწილსა თუ ქელეხში — ყველგან ამბროსოვიჩით მომმართავდნენ, ჩემი სახელი კი, კაცმა არ იცოდა და არც არავის აინტერესებდა. პატარა საქმე ხომ არაა — 35 წელი ამბროსოვიჩი გეძახონ ყველგან!.. ერთხელ, პანაშვიდზე ჭირისუფალმა ქალმა ჩემი დანახვისთანავე შემოსძახა: — ადე, ბიჭო სევასტია, ამბროსოვიჩი გვესტუმრაო!.. სამსახურში ახალბედა ჟურნალისტებს, დიპლომანტ-ეკონომისტებს, დისერტანტებს, დამწყებ რევიზორ-შემმოწმებლებს, სტატისტიკოსებს ჩემთან აგზავნიდნენ — ამბროსოვიჩთან მიდით, ის გაგცემთ ყველაფერზე ამომწურავ პასუხს, დაგეხმარებათ და ყველაფერს გაგიკეთებთ, მაგის იმედად ვართ ყველაო... მარა-ა... — უცებ, ნირი წაუხდა, გასაჭირი რომ გაახსენდა. — ახლა აღარ იკითხავ, ბოლოს როგორ დასრულდა ყოლიფერი? სიმწრით ნაშრომ-ნაცოდვილარი შენობიდან გამოგვრეკეს და ორთაჭალაში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან ახლოს გვიკრეს თავი... ძველ შენობაში ორი წელი მაკითხავდა თურმე, გაჭირვებული ხალხი, იქ დამხვდური კი პასუხობდა: ამბროსოვიჩს კრწანისში მიაკითხეთო. ჰოდა, თურმე, ასეთი პასუხით გაწიწმატებული ადამიანები აპროტესტებდნენ — გვამასხარავებთ და პრეზიდენტთან გვაგზავნით კრწანისში თუ რაიაო?! ყოფილა ერთი შეხლა-შემოხლა ამის გამო, სანამ გაარკვევდნენ, რომელ ამბროსოვიჩზე იყო ლაპარაკი... რაღა დაგიმალო და, ჩემი სამსახურებრივი საქმიანობის ბოლო დღეები ჩემთვისაც ნამეტანი მძიმედ წავიდა. სპეცგანკარგულებით, ზუსტად ნოემბერში, კრწანისიდან გუდა-ნაბადი ამიკრეს და გურჯაანელი კახელების საახალწლოდ ნაჩუქარი კახური ქუდის ამარა, უმუშევარი დამტოვეს... ვის რაღად უნდა ჩემი ცოდნა, გამოცდილება, დასაქმების პრობლემებზე შედგენილ-დაწერილი 140-გვერდიანი წიგნი, რომელშიც ახალგაზრდობა დავმოძღვრე და გზაც დავულოცე?!. ახალშექმნილი სამსახურის ახალმა უფროსმა, მაუზერმომარჯვებული ძველი რევოლუციონერივით ხელცარიელს, (ვარდი მაინც დაეჭირა ხელში იმ დალოცვილს...), პირდაპირ მომახალა: შენთვის აღარ არის აქ ადგილი, უნდა გადადგე — წახვიდეო!.. დავრჩი ასე, ნირწამხდარი და უნებურად გავიფიქრე: — ღმერთო, ყველას უშველე, ოღონდ — „შერეკილების“ „აბი გლუკოზას“ მეთოდით მკურნალობა მაინც თავიდან აცილე-მეთქი!.. მაგრამ როგორც გარეკილ „შერეკილს“ ვერაფრით შეაჩერებ, ისე ვერც „აბი გლუკოზა“ უშველის ზოგიერთ „ურიკინეს“... წლების წინ, ძველი პარლამენტის ფანჯრებიდან მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნაზე იმდენი „უბერეს“, რომ სიმღერა — „უბერავს და უბერავს“ დაიწერა კიდეც. ახალი ხელისუფლების ფავორიტებმა კი, ძველად, მარტო „შებერვას“ რომ დაეუფლნენ, ტონალობა უხეიროდ დაარღვიეს და ახლა ერთმანეთს „უბერავენ“, მარა რას „უბერავენ“!.. მე კი, აღარც 14 ლარი პენსია მაქვს, აღარც ვინმეს ვახსოვარ, ვეღარც ამბროსოვიჩობით მომაქვს თავი. ერთადერთ იმედად ისღა დამრჩენია, ძველი ჟურნალისტობა გავიხსენო და მემუარების წერას შევუდგე... ■

# „შენ დიდი ცხოვრება გაგივლია... მე კი კვლავ მახსოვხარ...“

მარი ხაფარიძე

***ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ წინა ნომრის „საპატარძლო“, მოდელი სოფო თუთისანი გახლდათ. სოფოს უამრავი ნაცნობი თუ უცნობი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა და მისით თვით „შავი პრინცი“ და „ჯოკერიც“ დაინტერესდნენ, ოღონდ — საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, კერძოდ — კლიპში გადასაღებად. იმედია, მალე ვიხილავთ ეკრანზე, მანამდე კი, სოფოს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გაგაცნობთ.***

„სოფო, თუ მართლა ისეთი ხართ, როგორც ინტერვიუში ჩანს და ეგ ყველაფერი ქალური დიპლომატია არ არის, მაშინ იდეალური ქალბატონი ბრძანებულხართ და უსაზღვრო სიყვარულს იმსახურებთ“.

„სოფო, შენ თუთისანი კი არა — „ოქროსანი“ უნდა იყო. ულამაზესი ხარ. მარი, მიაწვდინე ჩემი ხმა, გენაცვალოს ჩემი თავი“.

„სოფო, მოგიტაცებენ! მე ხომ ვიცი, ქვეყნად რა ხდება: შენ თუ გიხილა, ანგელოზიც ქურდი გახდება“.

„სოფო, სიმართლე გითხრა, არც კი ვიცი, რატომ ვწერ „მესიჯს“. ვფიქრობ, მეფე თამარის ხატებამ გამაბედვინა, რომელიც ფოტოზე შენს ზურგს უკან ჩანს... თუ... თუ... ცდა ბედის მონახევრეაო? თუ სიტყვებმა გაგაბრაზა, გაკიცხვას მივიღებ“.

„სოფო, ძალიან ლამაზი გოგო ხარ. მიყვარხარ და შენს შვილს შვილად მივიღებ. მთის წვერზე, გამოქვაბულში გაცხოვრებ. დამირეკე“.

„სოფო, ძალიან მენატრები, ჩემო სიცოცხლევ. უშენოდ ძალიან ძნელია. შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ. დანახვისთანავე შემიყვარდი. ძალიან გიხდება თხილამურები, ველი შენს ზარს, სიხარულო და ბევრს გკოცნი“.





ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი 18 წლიდან
☎822 009 005
„მაგთი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.


„სოფო ძალიან მიყვარს, მაგრამ ვიცი, ცოლად არ გამომყვება, რადგან მასზე პატარა ვარ. ვუსურვებ კარგ ბედსა და ორმხრივ სიყვარულს“.

„სოფო, არ ვიცი, გახსოვარ თუ არა, მაგრამ შეგახსენებ ჩემს თავს: ლევანი მქვია, შენ მაშინ გასათხოვარი იყავი, როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდით... რუსთაველის მეტროს ჩასასვლელთან სიგარეტს ვყიდულობდი. წვიმდა. ღამე იყო... შენ ტაქსის ელოდი, ჩემი მანქანა კი, იქვე იდგა. ბევრი გეხვეწე — შინ მიგიყვანმეთქი, — მაგრამ ვერ დაგითანხმე. მხოლოდ სახელი და გვარი დაგტყუე. მეც გაგეცანი და გთხოვე — მხოლოდ ის მითხარი, გათხოვილი ხარ თუ არა-მეთქი... შემდეგ ტაქსიც გამოჩნდა, მძღოლს ფული გადავუხადე და თვალი დანანებით გავაყოლე მანქანას, რომელშიც იჯექი. ნომერი დავიმახსოვრე და ეს მანქანა ორი თვის განმავლობაში ვეძებე. რომ ვიპოვე, დიდხანს ვემუდარე — გაიხსენე, ივლისის 18-ში, ის ლამაზი გოგო სად მიიყვანემეთქი, — მაგრამ ამაოდ... ისეთი გვარი გაქვს, გამორიცხულია, სხვა იყო, თანაც, შენი სახე არასოდეს დამავიწყდება... შენ დიდი ცხოვრება გაგივლია მას შემდეგ. უკვე შვილიც გყავს... მე კი კვლავ მახსოვხარ... ახლა, შემთხვევით ვნახე „გზა“ და შენი სურათი... ინტერვიუს რომ ვკითხულობდი, ვფიქრობდი — ჟურნალისტს მოვძებნი და ვთხოვ, სოფოსთან დამაკავშიროს-მეთქი, — მაგრამ წვალებაც არ დამჭირდა: მარის ტელეფონის ნომერი იქვე იყო მითითებული. სოფო, ნუ დამკარგავ... ველი შენს გამოხმაურებას...“

„სოფო, საოცარი ქალი ხარ და საოცრად ლამაზი შვილი გყოლია. მაგის მამობაზე აბა, ვინ იტყვის უარს?! ორივეს — დედა-შვილს მკლავებს გადაგიშლით და მიგიღებთ ჩემს ბუდეში“.

„კარგ ქალს კარგი პატრონი სჭირდება. ჩემზე კარგ პატრონს სად იშოვი?! დაცვის თანამშრომელი ვარ, ორმეტრიანი და ჯან-ღონით სავსე ბიჭი. „აბა, ვინმე გაგეკაროს, თავში ჩავცხებ კომბალს ყველას მე...“

„ძალზე ჰეროვანი და ნაზი ხარ, გოგოვ! თუ ჩემი არ გახდები, ჯერ თავს მოვიკლავ, მერე შენ მოგკლავ... ოღონდ, არ მითხრა, პირიქით მოიქეციო, თორემ... გადამიყვარდები“.

„ნაზი ხარ და ნარნარი, შუშპარა და მჩქეფარე, როცა მოვკვდე, ჭირიმე, ფერფლად გადამეყარე... სოფო, იჩქარე, თორემ, მართლა მოგიკვდები, ჩემო სიხარულო. თაზო“.

„ისეთი ერთგული და კარგი გოგოს პოვნა, როგორიც შენ ხარ, მართლაც სირთულეს წარმოადგენს. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებ. ჩემი შვილიც ცოლს გასცილდა და ერთი ანგელოზივით გოგონა ჰყავს — სწორედ შენი თეკლას ტოლია. იქნებ, ერთი ლამაზი, ქართული ოჯახი შექმნათ?! მე გვერდით დაგიდგებით, შვილებს გაგიზრდით, თქვენ თქვენი საქმე გექნებათ და თუ ერთმანეთი შეგიყვარდებათ, ურიგო ოჯახს არ შექმნით... სადედამთილო“.

*სოფოს დაწვრილებით ვუამბობ მისი თაყვანისმცემლების შესახებ და იმედია, სწორ არჩევანს გააკეთებს.*

■



***რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, კალათბურთელი გახლავთ. ის „დინამოს“ წევრია. სიმაღლით ორი მეტრი და ორი სანტიმეტრი გახლავთ. ინტერვიუზე შესათანხმებლად, „დინამოს“ პრესმდივანს რომ ვუთხარი — „სასიძოდ“ მინდა, მაშვალი ვარ-მეთქი, — გულიანად იცინა... ვაკო ბეჟანიშვილი 28 წლის გახლავთ. მისი ინტერვიუდან კი შეიტყობთ, თუ როგორი გოგონები მოსწონს, როგორ დაიჭირეს „ერმიტაჟში“ ანტიკვარული საათის ქურდობისთვის და იმასაც გაგიმხელთ, რომ თუ კარგ გოგოს „დავაჯახებ“, მალარიჩსაც იკისრებს...***

# „მინდა ვიპოვო კოლეგა, ვისთან სიყვარული არ მეზარება...“

**მარი ჯაფარიძე**

*ახლა კი — მცირე ინფორმაცია მისი ოჯახის წევრების შესახებ:*

დედა: მარინა ბეჟანიშვილი, ბავშვთა ნევროპათოლოგი.

ძმა: საბა, ექიმი. დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ძმა: მიშკა, ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელი (არ იცის, რას აკეთებს, მაგრამ იცის, რომ ტექნიკასთან აქვს საქმე...).

და: ნუციკო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. გათხოვილია.

**— ვაკო, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?**

— 21 მაისს ვარ დაბადებული, აქედან გამომდინარე, ტყუპი გახლავართ. ამ ნიშნისთვის დამახასიათებელია ხასიათის ხშირი ცვლილება და მართლაც, ასეთი ვარ: შესაძლოა, დღეში ათჯერ შემეცვალოს განწყობა.

**— საკუთარი თვისებებიდან რომელი მოგწონს?**

— არც ერთი. ძალიან ძნელია, თავი იქო... შემიძლია გითხრათ, რა მაქვს ცუდი: უზომოდ ჯიუტი ვარ. თუ გავჯიუტდი — მორჩა, ვერავინ გადამაფიქრებინებს. შესაძლოა, მივხვდე, რომ ჩემთვის სწორედ ისე ჯობს, როგორც სხვა მეუბნება, მაგრამ პრინციპულად არ მოვიქცევი ისე და მაინც ჩემებურად გავაკეთებ ყველაფერს... საერთოდ, უბოროტო ადამიანი ვარ. არასოდეს მშურს სხვისი წარმატება და ყოველთვის ვცდილობ, თუ ვინმეს ვჭირდები, მასთან გავჩნდე და დავეხმარო.

**— ბოღმიანი ხარ?**

— არა, ბოღმიანი არა ვარ. წყენას გულში არ ჩავიდებ. შესაძლოა, გულდაწყვეტილმა 2-3 დღე ვიარო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მავიწყდება. თუმცა, იმასაც გააჩნია, თუ ვინ მაწყენინებს: საყვარელი ადამიანისგან უფრო მეტკინება გული, ვიდრე უბრალო ნაცნობისგან... სამაგიეროს არავის გადავუხდი — უბრალოდ მივახვედრებ, რომ მეწყინა.

**— გაბრაზებას როგორ გამოხატავ? გინება ხომ არ გჩვევია?**

— სიტუაციას გააჩნია. ხანდახან ვიგინები კიდეც. რომელი ქართველი კაცი გინახავთ, რომ არ იგინებოდეს?.. ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: ჩვენს გუნდში ცოტა ხანი, ხორვატი კალათბურთელი თამაშობდა. ერთხელ გვკითხა — რას ნიშნავს, ყოველ წუთს რომ ამბობთ — „ჩემი დედა?..“ — ავუხსენი ინგლისურად, რასაც ნიშნავს. გადაირია, გაოცებისგან ხელებს შლიდა — რატომ, ჩემი დედაო?.. შემდეგ, მაგრად დაამუღამა და თვითონაც წარამარა გაიძახოდა — დავიღალე, ჩემი დედაო... — ან კიდევ — პასი, პასი ჩამომაწოდე, ბოზიშვილი ვიყოო!.. გულიანად ვიცინოდით ხოლმე, როცა ის ამას ამბობდა. ერთხელ რესტორანში ვიყავით და ეს ხორვატი ბიჭიც გვახლდა. ისეთი სტუმარი მოვიდა, რომელიც მას არ იცნობდა. გავაცანით. იმან ინგლისური კარგად არ იცოდა და ლამის ენა მოიტეხა ხორვატთან საუბრისას. უცებ, ეს უკანასკნელი მოუბრუნდა და ჰკითხა — რატომ, ჩემი დედაო?.. სტუმარი კინაღამ გაგიჟდა... ასე რომ, ხორვატსაც ვასწავლეთ გინება და ჩვენთვის ხომ უცხო ხილი არ არის.

**— ვფიქრობ, არც მუშტი-კრივის გამართვაა შენთვის უცხო ხილი...**

— არა, ჩხუბი არ მიყვარს...

**— მაშ, შუბლზე ნაიარევი რატომ გაქვს?**

— *(იცინის)* კოღომ მიკბინა...

**— და ვიღაც კეთილისმსურველმა ის კოღო უროთი მოკლა, არა?..**

— არა, არა, ურო არ იყო. ახლაც არ მახსოვს, რა საგანი მომხვდა თავში. ეს ნაიარევი ერთ-ერთი მანდილოსნის გამო დამრჩა. თუმცა, ის ქალი ჩემთვის არაფერს ნიშნავდა, მაგრამ იმ დროს, მას ჩემი მხარში დგომა და დაცვა სჭირდებოდა და უკან როგორ დავიხევდი?! ჰოდა, სამახსოვროდ „შრამი“ დამრჩა...

**— მოწესრიგებული ადამიანი ხარ?**

— კი. რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსეთში ვთამაშობდი, შემდეგ — ბათუმის გუნდში. ამის გამო, ოჯახიდან შორს გახლდით და სწორედ მაშინ მივეჩვიე საკუთარ თავზე ზრუნვას. როდესაც მარტო ცხოვრობ, იძულებული ხარ, თვითონაც მოწესრიგდე და ბინაც მოაწესრიგო... ორი წელია, რაც ოჯახში დავბრუნდი და ცოტა გავზარმაცდი, მაგრამ მაინც ვცდილობ, ჩემი ნივთები მივალაგო ხოლმე და ჭირად სხვას არ გავუხდე...

**— ოჯახში რის გამო გსაყვედურობენ ხოლმე ყველაზე ხშირად?**

— დედა სულ იმის გამო მსაყვედურობს, რომ შინ იშვიათად ვარ. მეუბნება: ძმაკაცებში ნუ დახეტიალობ, ცოლი მოიყვანე და ოჯახს მოეკიდეო...

**— მერე, შენ რა აზრის ხარ?**

— ვფიქრობ, მართლაც დროა, დავოჯახდე. უკვე 28 წლის ვარ. ჩემს უახლოეს მეგობრებს უკვე ორ-ორი შვილი ჰყავთ და ლამაზი ოჯახები აქვთ. მათ შვილებს რომ ვუყურებ, მეც მიჩნდება სურვილი, რომ



ნაიარევი ერთ-ერთი მანდილოსნის გამო დამრჩა

დავოჯახდე...

— **ამდენ ხანს რატომ ხარ უცოლოდ?**

— კონკრეტულ მიზეზს ვერ გეტყვით. ვფიქრობ, ჯერ არ მწვევია ისეთი სიყვარული, რომ ოჯახის შექმნა გადამეწყვიტა. ოცდაერთი წლის ვიყავი, როცა ერთი გოგო შემიყვარდა და მისი ცოლად მოყვანა გადავწყვიტე. ოჯახში განცხადებაც გავაკეთე ამის თაობაზე და ატყდა ერთი ამბავი: რა დროს შენი ცოლია? თვალი გაახილე, გაიარ-გამოიარეო! — მეუბნებოდნენ. მერე, რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ ის გოგო დავკარგე.

— **გული გწყდება?**

— არა, გული ნამდვილად არ მწყდება და ახლა ვფიქრობ — არც მყვარებია, რადგან, რომ დავშორდი, ორი კვირის შემდეგ, უკვე აღარც მახსოვდა... გოგო რომ შემიყვარდეს, ისეთი უნდა იყოს, როგორიც მე მინდა. შესაძლოა, აბსურდულ რაღაცას ვამბობ, მაგრამ ასეა. არავითარ შემთხვევაში არ დავქორწინდები მხოლოდ იმის გამო, რომ უკვე დროა, ოჯახი შევქმნა და შვილები მყავდეს. აუცილებლად უნდა შემიყვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მანამდე ვივლი კენტად, ვიდრე სიყვარული არ მეწვევა. ეს უნდა იყოს ჭეშმარიტი, ძლიერი და „დამანგრეველი" ორმხრივი გრძნობა...

— **როგორი ხდები, როცა შეყვარებული ხარ?**

— საერთოდ, ხალისიანი ადამიანი ვარ, მაგრამ როდესაც შეყვარებული ვარ, უფრო ხალისიანი ვხდები — ყველაფერი ლამაზად მეჩვენება და ყველაზე რთულ პრობლემასაც ძალზე მსუბუქად ვუყურებ.

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— კონკრეტულად გეტყვით — კარგი გოგონები... პირველ რიგში, უნდა მომეწონოს გარეგნობით. შემდეგ შევისწავლი მის ხასიათს და თუ დამაკმაყოფილებს, ვფიქრობ, შემიყვარდება კიდეც. ეს ორი კრიტერიუმი ცალ-ცალკე, ჩემთვის არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ერთობლიობაში გამოიწვევს გრძნობას.

— **აზიატი ხარ?**

— ვფიქრობ, რომ არა. არ მიმაჩნია, რომ ცოლი შინ უნდა იჯდეს და მელოდოს. თუმცა, ვფიქრობ — სანამ ბავშვი მცირეწლოვანია, დედამ უნდა გაზარდოს, ამიტომ სასტიკი წინააღმდეგი ვარ ძიძის ყოლის. სკოლის ასაკს რომ მიაღწევს, შემდეგ უკვე შეიძლება, რომ გადიას მიაბარო და ცოლმა იმუშაოს, თუმცა — არა იმიტომ, რომ ოჯახი შეინახოს — უბრალოდ, სადმე წასასვლელი ხომ უნდა ჰქონდეს!.. არც ჩაცმულობაზე მაქვს პრეტენზია — რაც მოუხდება, ის ჩაიცვას.

— **განათხოვარ ქალს თუ მოიყვან ცოლად?**

— თუ შემიყვარდება, მოვიყვან. მაგრამ განათხოვარსაც გააჩნია: აუცილებლად დავინტერესდები განქორწინების მიზეზითა და მისი შემდგომი ცხოვრებით... თუ ერთხელ არ გაუმართლა და ქმარს გაეყარა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ცუდი ქალია... განათხოვარი და პატიოსანი ქალი ჩემთვის მისაღებია, ოღონდ, ვიმეორებ — უნდა შემიყვარდეს.

— **სიგარეტსა და სასმელზე რას გვეტყვი? როგორი სიმთვრალე გაქვს?**

— ვეწევი და იშვიათად, ვსვამ კიდეც. შარიანი არა ვარ. მე თვითონ არავის „ვეშარები" ხოლმე და აყალმაყალის წამომწყები არასდროს ვარ...

— **ოდესმე, დანაშაული თუ ჩაგიდენია?**

— ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ლენინგრადში შემემთხვა. მაშინ იქაურ გუნდში ვთამაშობდი და ბიჭები „ერმიტაჟში" შევედით. რამდენიმე დღით ადრე, იქიდან სურათები მოუპარავთ და დაცვა გაძლიერებული გახლდათ. ერთ-ერთ დარბაზში შევნიშნე ძალზე ლამაზი და ორიგინალური საათი, რომელიც თავის დროზე, პეტრე პირველის კუთვნილება ყოფილა. ნივთი იმდენად მომეწონა, რომ სურვილი გამიჩნდა, შევხებოდი. წინ წითელი ლენტი იყო გაბმული, გადავაბიჯე და საათს ხელი შევახე. წამში, დაცვის ბიჭები გაჩნდნენ, იატაკზე დამაწვინეს, ხელები გადამიგრიხეს და ბორკილები დამადეს... შემდეგ გაირკვა, რომ დამნაშავე არ ვიყავი და გამომიშვეს.



პირველ რიგში, უნდა მომეწონოს გარეგნობით. შემდეგ შევისწავლი მის ხასიათს

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— აბა, როგორ გითხრათ... კალათბურთელი ვარ. ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ ვერ მოგატყუებთ — ეკონომისტი ვარ-მეთქი. გაუნათლებელი არა ვარ, მაგრამ რადგან ერთი დღეც არ მიმუშავია ამ დარგში, ვერ დავიბრალებ — სპეციალისტი ვარ-მეთქი. ეკონომისტი მქვია, ვიცი, დღეს საქართველოს კვალიფიციური კადრები სჭირდება, მაგრამ პრეზიდენტს ჩემი იმედი არ ჰქონდეს...

— **ვაკო, წელან მითხარი, რომ შენი და ოჯახის წევრების დაუკითხავად გათხოვდა. გვიამბე, რა მოიმოქმედე, როცა ამის შესახებ შეიტყვე?**

— ვიცოდი, რომ ნუციკოს შეყვარებული ჰყავდა — ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" წევრი: ჩემი სიძე ილია კანდელაკი გახლავთ. ეს ბიჭი სულ ცდილობდა ჩემთან დაახლოებას, მაგრამ მე არ მივეცი ამის საშუალება... ნუციკოს კი სულ ვეუბნებოდი — ჯერ ოცი წლის ხარ, პირველი სიყვარული გეწვია და გგონია, რომ ქვეყნად სხვა ბიჭი არ არსებობს; გაიხედ-გამოიხედე, ჯერ ადრეა შენი გათხოვება-მეთქი. ერთ დღეს, დამირეკა სიძის ძმაკაცმა და მაუწყა — გაიპარნენ, პარიზში წავიდნენო... თავი მოვიკატუნე — დამირეკონ, არაფერს ვეტყვი, მივულოცავ-მეთქი, — მაგრამ ამან არ გაჭრა. რამდენიმე დღის განმავლობაში, არ დაურეკავთ, შემდეგ, უკვე გული მომიბრუნდა და რომ შემეხმიანნენ, მართლა მთელი გულით მივულოცე... ახლა, ნუციკოს რომ ვუყურებ, ვხედავ, რომ ბედნიერია და სათქმელი რაღა მაქვს?! ისიც, ხან კალათბურთელების „დინამოს" თამაშებზე დადის, ხან ფეხბურთელების

— **ჯუჯღუნი თუ გჩვევია?**

— კი, ჯუჯღუნა ვარ. დავუშვათ, სადილს მარილი აკლია. არავითარ შემთხვევაში არ დავამატებ. ავჯუჯღუნდები, კერძს გვერდზე გადავდგამ და არ შევჭამ...

— **გარიგებით ცოლის მოყვანაზე რა აზრის ხარ?**

— გააჩნია, რა შემთხვევაში... ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნათესავებს გამოუჩენიათ ინიციატივა და შემოუთავაზებიათ — გოგოს გაგირიგებთო. დავინტერესებულვარ გოგონას ვინაობით, მაგრამ არც ერთ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. თქვენ თუ „გამიჩალიჩებთ" კარგ გოგოს, მაღარიჩი ჩემზე იყოს. ჩემი ოჯახიც მადლიერი დაგრჩებათ და ყველაზე საპატიო სტუმარიც იქნებით...

— **ბედისწერის გჯერა?**

— არა, ბედისწერის არ მჯერა. ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ განაგებს... აუ, ძალიან მაინტერესებს, ვინ გამოეხმაურება ჩემს ინტერვიუს...

— **გაინტერესებს და ყველა მონაცემსა და ტელეფონის ნომერს მოგაწვდი. ახლა კი, შედეგს დაველოდოთ...**

*გოგონებო, ვისაც „სასიძო" მოგეწონათ, დამირეკეთ ან გამოგზავნეთ „მესიჯი" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გული მიგრძნობს, კარგ მაღარიჩს უნდა გამოვკრა ხელი...* ■

# „გავრბოდი, რათა ქალაქში დარჩენილთათვის რადიოთი მიმეწვდინა ხმა...“

## ძირძველი თბილისელი ქალბატონი სოხუმში დაბრუნებაზე ოცნებობს

***ნათელა ბერიკაშვილს** აფხაზეთიდან დევნილები კარგად იცნობენ. მისი ხმა თითოეული მათგანისთვის ნაცნობი და მშობლიურია და მათში მოგონებებსა და სევდას აღძრავს. ოცდახუთი წლის მანძილზე, ქალბატონი ნათელა თავისი ტკბილი ხმით ამბობდა: „ლაპარაკობს სოხუმი!“ დღეს ამ ფრაზის გაგონება უამრავი ადამიანისთვის მხოლოდ ოცნებადაა ქცეული...*

*ნათელა ბერიკაშვილი მამუკა ბერიკასა და ლევან ბერიკაშვილის დედაა. ის ახლა თბილისში ცხოვრობს და არ კარგავს იმედს, რომ ოდესმე, სოხუმში დაბრუნდება.*



*ლელა ჭანკოტაძე*

**— როგორ მოხვდით სოხუმში? რატომ წახვედით თბილისიდან აფხაზეთში საცხოვრებლად?**

— დავიბადე და გავიზარდე თბილისში. 46-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. შემდეგ, უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი. მერე გავთხოვდი. ჩემმა მეუღლემ მამია ბერიკაშვილმა კონსერვატორია დაამთავრა. ერთ დღეს ის კულტურის მინისტრმა გამოიძახა და, როგორც ახალგაზრდა კომპოზიტორს, სოხუმში მუშაობა შესთავაზა. მამიამ ამის შესახებ რომ მითხრა, ცხადია, არ გამიხარდა: არ მინდოდა, თბილისი, ჩემი მშობლები და მეგობრები დამეტოვებინა. მაგრამ მაინც დავთანხმდი, რადგან მოვილაპარაკეთ, რომ მხოლოდ სამი წლით წავიდოდით. წავედით. იმ დროს, მამუკა უკვე ექვსი წლის იყო, ლევანი კი, სოხუმში დაიბადა. მახსოვს, პირველი განცდა, რომელიც სოხუმის ნახვისას დამეუფლა: ულამაზესი, თეთრი გედივით ლამაზი ქალაქი იმწუთასვე შემიყვარდა... ვისთანაც ჩვენ გვქონდა ურთიერთობა, ყველა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ჩემი მეუღლე ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, დირექტორი აფხაზი გახლდათ. მამია, როგორც ქართული, ასევე აფხაზური სპექტაკლებისთვის წერდა მუსიკას. მუსიკალურ ტექნიკუმშიც ასწავლიდა. მეც დავიწყე მუშაობა და ბევრ ადამიანს დავუახლოვდით. ამიტომაც არის ძალზე მტკივნეული ჩვენთვის ის ტრაგედია, რომელიც შემდეგ დატრიალდა.

**— რადიოში როგორ მოხვდით? როგორ დაიწყეთ დიქტორად მუშაობა?**

— როცა უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი, ჩვენი დეკანი მერი მელია, გამოთქმისა და ინტონაციების დასახვეწად, ფრანგულ წინადადებებს აუდიოფირზე გვაწერინებდა და გვასმენინებდა, რათა დაგვეფიქსირებინა, თუ რა შეცდომებს ვუშვებდით. ამ ჩანაწერებს თვითონაც უსმენდა. ერთხელ დამიბარა და მითხრა: შენ ისეთი ხმა გაქვს, დიქტორი უნდა გახდეო... მისმა ნათქვამმა ძალზე გამახარა: რადიო ბავშვობიდან მიყვარდა, დედაჩემს სულ ვეხვეწებოდი — წამიყვანე და მაჩვენე, საიდან გვესაუბრებიან დიქტორები-მეთქი. ეს თხოვნა შემისრულა. მისი დაქალი სადგურის რადიოს დიქტორად მუშაობდა და მასთან მიმიყვანა. ისეთი ბნელი ოთახი იყო, რომ დავიბენი და ვერ გამეგო, თუ როგორ მუშაობდნენ იქ დიქტორები... როცა სოხუმში გადავედით, ჩემს ქმარს ვთხოვე: რადიოში დამაწყებინე მუშაობა-მეთქი. რადიოკომიტეტის თავმჯდომარე მისი დაქალი გახლდათ, მაგრამ ჩემთვის სამსახური მაინც ვერ სთხოვა. ერთ დღეს, ჩვენთან სტუმრად მოვიდა ოჯახის ახლო მეგობარი შოთა გაბელაია. ის რადიოში დიქტორად მუშაობდა. ჩემი ოცნება მას გავანდვე. მოდი, შეგამოწმებენ და ვნახოთ, რა გამოგივაო, — მითხრა. მივედი. გამსინჯეს, მოვეწონე და შემცვლელ დიქტორად ამიყვანეს. მაშინ იქ დიქტორად ქალბატონი ქეთო გეჯაძე მუშაობდა. სულ მალე, ის თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მისი ადგილი მე დავიკავე. ეს იყო 1968 წელს. ამის შემდეგ, 25 წელი ვიმუშავე სოხუმის რადიოში დიქტორად. არაჩვეულებრივ ლიტერატურულ კომპოზიციებს დგამდა ჩემი რედაქტორი ადამ ადამია, ასე რომ, მხოლოდ ახალ ამბებს და გაზეთის მიმოხ-



ნათელა და მამია ბერიკაშვილები მეგობართან ერთად, სოხუმში (1980-იანი წლები)


მამუკასთან ერთად

ილვებს კი არ ვკითხულობდი. 55 ლიტერატურული გადაცემა რადიოს ოქროს ფონდში შევიდა. ეს გადაცემები ახლა ალბათ აღარც არსებობს... ხომ შემეძლო, ერთი გადაცემა მაინც გადამეწერა და წამომეღო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ სოხუმი დაეცემოდა. ახლა სოხუმის რადიო ისევ ფუნქციონირებს, მაგრამ — ქართული რედაქციის გარეშე. ჩემი სახლიც ისევ დგას, მხოლოდ სამზარეულოა დანგრეული. იქ ჩემი მეზობელი აფხაზების ოჯახი შესახლდა. მათ იქ ისე უჭირთ, რომ ტელეფონის ფული ვერ გადაუხდიათ, ამიტომ ვეღარ ვურეკავ და არ ვიცი, რას აკეთებენ, როგორ უვლიან ჩემს სახლს. მაგრამ ამას წინათ, მოახერხეს და ჩემი ძველი ფოტოსურათები გამომიგზავნეს...

— **თქვენ თქვით — ბევრი აფხაზი მეგობარი მყავდაო. რა დაგამახსოვრდათ მათი ტრადიციებიდან?**

— ძალიან მომწონს მათი დატირების წესი: როცა სატირალში სამძიმრის სათქმელად მიდის ადამიანი, მას ყველა ჭირისუფალი ფეხზე ადგომით ეგებება... სტუმრის მიღების არაჩვეულებრივი ტრადიციაც აქვთ: ოჯახიდან სტუმარს უსაჩუქროდ არ გამოუშვებენ... უფროსების პატივისცემა ქართველებმაც ვიცით, მაგრამ აფხაზებში ეს უფრო შესამჩნევი იყო. სამსახურში სამი რედაქცია გვქონდა: ქართული, რუსული და აფხაზური. როცა აფხაზურ რედაქციაში შევიდოდი, ჩემზე უმცროსები აუცილებლად ფეხზე ადგებოდნენ ხოლმე, უფროსები კი — წამოიმართებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენთვის აფხაზეთიც დაიკარგა და აფხაზების ტრადიციებიც...

— **აფხაზ მეგობრებთან რაიმე კავშირი ხომ ვერ შეინარჩუნეთ?**

— ძალიან უხარიათ, როცა ვურეკავ. ახლახან მოსკოვში ვიყავი წასული. იქიდან სოხუმის ტელევიზიაში დავრეკე. თავმჯდომარე ჩემი მეგობარი იყო, მის მოადგილეს ვესაუბრე. იცით, როგორ გაუხარდა? — შენი ხმა მესმის? ნეტავ, ოდესმე თუ შევხვდებითო?.. — მეუბნებოდა. ყველას უხარია, ვისაც ტელეფონით დავურეკავ ხოლმე. ჩემი ქმარი აფხაზეთში ხომ იმიტომ იყო მიწვეული, რომ მათი კულტურის განვითარებაში შეეტანა წვლილი. ხშირად ყოფილა — აფხაზებს მისი სიმღერა უმღერიათ და ბოლოს გაუგიათ, რომ ავტორი ქართველი, ბერიკაშვილი იყო... ძალზე კარგი ურთიერთობები გვქონდა აფხაზებსა და ქართველებს. ომი 14 აგვისტოს დაიწყო, 12-ში კი, მახსოვს, ჩვენი აფხაზი მეზობლები ბაზარში წავიდნენ, სურსათი მოიტანეს და ერთად გავშალეთ სუფრა... მართალია, მიტინგები სისტემატურად იმართებოდა, მაგრამ ჩვენ ვცდილობდით, კარგი ურთიერთობა შეგვენარჩუნებინა.

— **თქვენ როდის დატოვეთ სოხუმი?**

— მე იქ ბოლომდე ვიყავი. საშინელი დღეები იდგა. შიმშილი მძვინვარებდა. იშვიათად, ,,წითელი ჯვარი“ თუ შემოიტანდა ჰუმანიტარულ დახმარებას — ეს იყო და ეს. შიმშილისგან 30 კგ დავიკელი. ხშირად ვიმალებოდით ,,პადვლებში“. მაგრამ ბოლო ღამე მაინც განსაკუთრებით აუტანელი აღმოჩნდა: ქალაქი იბომბებოდა; დილით ,,პადვლიდან“ რომ ამოვძვერი, გავოგნდი — სამარისებური სიჩუმე იდგა. ეს გამოთქმა ადრეც ხშირად გამიგონია, მაგრამ ნამდვილი სამარისებური სიჩუმე რას ნიშნავს, მხოლოდ იმ ადამიანებმა ვიცით, ვინც დაბომბილ ქალაქში დავრჩით: ფოთოლი არ შრიალებდა, ჩიტიც კი არ ჭაჭანებდა... სამსახურში გავიქეცი. თბილისელი ქალი სოხუმში საქართველოს მთლიანობას ვიცავდი, არადა შემეძლო, საფრთხის მოახლოებისთანავე წამოვსულიყავი და ყველაფერი წამომეღო... გავრბოდი, რათა ქალაქში დარჩენილთათვის რადიოთი მიმეწვდინა ხმა. უცებ, დიმა ჯაიანი დავინახე. გადაირია: აქ რა გინდა? აფხაზებმა დაიკავეს ქალაქი, ახლავე ჩაჯექი მანქანაში, აქაურობას უნდა გაგარიდოო!.. — სახლში შევივლი და რამეს წამოვიღებ-მეთქი, — ვუთხარი. — წუთის დაკარგვაც არ შეიძლებაო! — მითხრა და წამომიყვანა ასე, სამალავიდან ამოსული, პატარა ხელჩანთის ამარა. აეროპორტამდე ძლივს მივაღწიეთ. იქ საშინელება ხდებოდა. თვითმფრინავში მთელი ქალაქი ხომ ვერ ჩაეტეოდა? — არადა, გადარჩენა ყველას უნდოდა. საშკა იოსელიანის ნეშტს მოასვენებდნენ. მითხრეს: მოჰკიდე ჩასასვენებელს ხელი და იქნებ ასე შეხვიდე თვითმფრინავშიო. მაგრამ ხალხის ტალღამ უკან გადმომაგდო. მფრინავთან მივედი, ვთხოვე: წამიყვანეთ-მეთქი. — რას ამბობთ, ქალბატონო? ხომ ხედავთ, მე თვითონ დავრჩი უადგილოდო... — მიპასუხა. — თენგიზ კუპატაძის და ვარ-მეთქი, — ვუთხარი (ჩემი ძმა თბილისის აეროპორტის უფროსი იყო). — თუ მფრინავი დავდექი, ეს თენგიზის დამსახურებააო, — თქვა, — რამდენჯერმე დაგვაბარა, ჩემი და წამოიყვანეთო. — მერე დაუძახა ბიჭებს, ამიყვანეს და თვითმფრინავში ლიუკიდან შემაგდეს... ვიფიქრე — გადავრჩი, მალე თბილისში ჩავალ-მეთქი, — მაგრამ ამ დროს დაიწყო აეროპორტის დაბომბვა; თან, პილოტმაც გამოგვიცხადა: იმდენი ხალხი ხართ, თვითმფრინავი ვერ აფრინდებაო... ვინ ჩავიდოდა უკან?! წუთით გავიფიქრე: ალბათ, ეს არის ჩემი ბედისწერა-მეთქი. მაგრამ სასწაული მოხდა და გადავრჩით. როგორღაც გამოვაღწიეთ იქიდან. ცხადია, ვერ მივხვდი, თუ რამ გადაგვარჩინა... გავიდა დრო. ჩემმა ძმამ ოპერაცია გაიკეთა. მის სანახავად მფრინავები მოვიდნენ. ერთმა მათგანმა მკითხა: ქალბატონო ნათელა, ვერ მიცანით? მე ის ვარ, ვინც სოხუმიდან წამოგიყვანათო, — შემდეგ კი მფრინავებს უამბო, თუ რისი წყალობით გადავრჩით: თურმე იმდენ ხანს ულია მიწაზე, სანამ იმ ადგილს არ გავცდით, რომელსაც ბომბავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ აფრენილა.

— **თქვენი შვილები ამ დროს,**

***იქ ჩემი მეზობელი აფხაზების ოჯახი შესახლდა. მათ ისე უჭირთ, რომ ტელეფონის ფული ვერ გადაუხდიათ, ამიტომ ვეღარ ვურეკავ...***

**უკვე თბილისში იყვნენ?**

— სკოლა რომ დაამთავრეს, ორივე თბილისში წამოვიდა. ჯერ მამუკა, ექვსი წლის შემდეგ კი — ლევანიც. დედაჩემმა მამუკას გადაუფორმა თავისი ბინა. მაგრამ ომმა უსახლკაროდ რომ დაგვტოვა, მამუკამ ის ბინა გაყიდა, უფრო პატარა დაცემულიყო... პურის რიგში ვიდექი. ცუდად გავხდი, მაგრამ მაინც მივედი რადიოში. თანამშრომლებს გვეგონა, რომ აფხაზები შემოვიდოდნენ და დაგვხოცავდნენ; ჩვენი იმდღევანდელი განწყობა ჩავწერეთ, მაგრამ ეს ჩანაწერი რადიოში დარჩა...

## *ნამდვილი სამარისებური სიჩუმე რას ნიშნავს, მხოლოდ იმ ადამიანებმა ვიცით, ვინც დაბომბილ ქალაქში დავრჩით...*

იყიდა და დარჩენილი ფულით ძმა დააბინავა... სანამ მე აფხაზეთში ვიყავი, ბიჭები ძალიან ღელავდნენ. ლევანი აეროპორტიდან სამჯერ დააბრუნა რობერტ სტურუამ. მამუკა ჩამოვიდა და ცხადია, გამოვაგდე. მაია ჯაბუა, ჩემი ყოფილი რძალიც *(ლევანის ცოლი. — ავტ.)* ძალზე ღელავდა, სულ მირეკავდა — ჩამოდი, ჩამოდიო, — მეუბნებოდა, მაგრამ არ მქონდა უფლება, იქაურობა მიმეტოვებინა... 1993 წლის თებერვალში, ჩემი ქმარი ცუდად გახდა. მივხვდი, მისი აღსასრული მოახლოვდა. თბილისში წამოვიყვანე, რადგან სოხუმში ვერ დავასაფლავებდი: სასაფლაოები ქალაქგარეთ იყო, იქამდე რით მივიყვანდი? — ქალაქში ხომ ურიკებიც აღარ დადიოდა!.. აქ ორი კვირაღა იცოცხლა. დაკრძალვის შემდეგ, ისევ სოხუმში დავბრუნდი. რადიოში ჩემი ხმა ისევ რომ გაისმა, უამრავმა ადამიანმა დაგვირეკა და გვითხრა: იმედი ჩაგვესახა, რადგან ნათელა ბერიკაშვილი დაბრუნდაო. მე მათ ვჭირდებოდი და ისინი — მე... ომის პერიოდში, ადამიანებს შორის განსაკუთრებული სიყვარული სუფევდა. მეზობლები ხეებს ტოტებს ჭრიდნენ და შეშად მაძლევდნენ... გაგრა რომ დაეცა, სოხუმი პანიკამ მოიცვა, რადგან ეს იყო ნიშანი იმისა, რომ შეიძლებოდა, სოხუმიც

— **თბილისში დაბრუნებულმა, იოლად მოიკრიბეთ ენერგია? როგორ დაიწყეთ ისევ დიქტორად მუშაობა?**

— ძალზე სტრესულ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ საქართველოს რადიოში ყველამ ისე თბილად მიმიღო, რომ ტკივილები გამიყუჩდა... ერთ დღეს, ვიჯექი და ველოდი, როდის დაიწყებოდა ჩემი გადაცემა. ჩავრთე მიკროფონი და მოულოდნელად გამოვაცხადე: „ლაპარაკობს სოხუმი!“ თავზარი დამეცა. აღარ ვიცოდი, რა მექნა... გადაცემა რომ დამთავრდა, ვიფიქრე: ვახტანგ ნანიტაშვილი *(საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორი. — ავტ.)* დარეკავს და გამაგდებს-მეთქი... მაგრამ სოხუმი მარტო ჩემი ხომ არ არის? — ყველას ტკივილია!.. ეს შეცდომა მაპატიეს. მწერალი ევგენი აქუბარდია მოვიდა და მითხრა: ქალბატონო ნათელა, გავიგონდი, როცა გავიგონე — „ლაპარაკობს სოხუმი!“ — გეხვეწებით, იქნებ კიდევ შეგეშალოთო!.. გავიდა ორი თვე და ისევ შემეშალა... აი, ასე — ვცხოვრობ თბილისში და სოხუმიდან დაძახებას ველოდები. პირველი, ვინც ჩავა სოხუმში და რადიოთი გამოაცხადებს: „ლაპარაკობს სოხუმი! ჩვენ აქ ვართ!“ — მე ვიქნები. ეს არის ჩემი ოცნება. სხვა ოცნება მე არა მაქვს... ■



ქმართან, მამია ბერიკაშვილთან, უმცროს ვაჟთან — ლევანთან და შვილიშვილთან ერთად

---

ტესტი

# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. „ლევ ტოლსტოის სიკვდილზე“ — რომელი ქართველი პოეტი გამოეხმაურა ამ ლექსით დიდი რუსი მწერლის გარდაცვალებას?**



ა) ილია ჭავჭავაძე;
ბ) აკაკი წერეთელი;
გ) ვაჟა-ფშაველა.

**2. რომელ ცხოველს შეუძლია არეგულიროს საკუთარი გულისცემა?**



ა) ნიანგს;
ბ) სპილოს;
გ) კოალას.

**3. რა არა აქვს თავის სახლში ბილ გეიტსს?**



ა) კომპიუტერი;
ბ) ტელევიზორი;
გ) ტელეფონი.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*



საქართველოში ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ქართული მხატვრული ფილმი — „მე ვხედავ მზეს“ არ უნახავს. მისი გადაღებიდან თითქმის 40 წელი გავიდა. ჩვენც მთავარი გმირის — სოსოია მამალაძის როლის შემსრულებელს, ბატონ გელა ჭიჭინაძეს ვესტუმრეთ. სოსოიასეული ღიმილით შემოგვეგება კაცი, რომელმაც ქართულ კინოში ერთადერთი სახე შექმნა.



# „დღესაც ისეთივე განწყობით დავაბიჯებ - მინდა, ყველა უსინათლოს აეხილოს თვალი"

*მაია კახიძე*

— **ბატონო გელა, როგორ ბრძანდებით?**

— ღვთის წყალობით, არა მიშავს რა. მართალი გითხრათ, ჟურნალისტებს იშვიათად ვახსენდები. თან, მერიდება კიდეც — ისეთი არაფერი გამიკეთებია...

— **თქვენ ნოდარ დუმბაძის სოსოია გააცოცხლეთ ეკრანზე — განა ეს ცოტაა?**

— მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ვერ გავაცნობიერე, თუ რა მოხდა ფილმში ჩემი მიწვევით. დღევანდელი გადასახედიდან, სხვანაირად ვაფასებ ყველაფერს. ის დიდებული მსახიობები, ვის გვერდითაც მთელი ერთი წლის განმავლობაში მომიწია ყოფნა, ყველა გამორჩეული ვარსკვლავია: ლია ელიავა, სესილია თაყაიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, თენგიზ არჩვაძე, გრიგოლ ტყაბლაძე, კუკური (ზურაბ) ლაფერაძე... ქალბატონი ლანა ღოღობერიძე (*ფილმის რეჟისორი. — ავტ.*) ხომ ისეთი გულისხმიერებით მექცეოდა, რომ უფრო გაბედული გავხდი. ყველაზე უმცროსები მე და ლეილა ყიფიანი ვიყავით. თავს გვევლებოდნენ, მზრუნველობას არ გვაკლებდნენ და, რაც მთავარია, გვიადვილებდნენ გადაღების პროცესს. მათ გვერდით მუშაობა ძალიან მეამაყება. იმ ერთმა წელმა საოცარი ბედნიერება მომანიჭა. იცით, გადასაღებ მოედანზე ყველა, სოსოიას მეძახდა. გელა რომ მერქვა, იმ პერიოდში, მგონი, აღარც იმათ ახსოვდათ და აღარც — მე.

— **ვინ მიგიწვიათ მთავარ როლზე?**

— 15 წლის აღმოვჩნდი გადასაღებ მოედანზე. მანამდე, პიონერთა სასახლეში დავდიოდი, დრამწრეზე. მე და ცნობილი გია ფერაძე ვმეგობრობდით და სწორედ გიამ მიმიყვანა იქ. არაჩვეულებრივი პედაგოგი მყავდა — ვახტანგ სულაქველიძე. ბატონმა ვახტანგმა პატარა ბიჭს თავის სპექტაკლში მთავარი როლი მომანდო. იმხანად, მარჯანიშვილის თეატრშიც მიმიწვიეს — ანზორ ქუთათელაძემ დადგა „ჯარისკაცის ქვრივი“ და ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე ჩემი სცენური დედა გახდა. ერთი წელი ამ სპექტაკლში ვთამაშობდი ზურიას როლს... ლანა ღოღობერიძეს ასისტენტი ჰყავდა — ლია ელიავა (*შემდგომში, რამდენიმე ფილმის დამდგმელი რეჟისორი. — ავტ.*). 61-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და სწორედ ლია მოვიდა ბიჭების სანახავად. გაიკითხ-გამოიკითხა და ჩემზე უთხრეს — არტისტობსო. სკოლიდან კინოსტუდიაში წამიყვანეს, ბევრი სინჯი გადაიღეს, გრიმს მიკეთებდნენ, სხვადასხვა ტანსაცმელს მაცმევდნენ და რასაც მეუბნებოდნენ, მეც გულმოდგინედ ვაკეთებდი. თითქმის ორი თვე, არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ერთ დღესაც, მაცნობეს, რომ დამტკიცებული ვიყავი სოსოია მამალაძის როლზე.

— **ლეილა ყიფიანი, ხატიას როლის შემსრულებელი, სინჯებზე გაიცანით თუ გადასაღებ მოედანზე?**

— სინჯებზე. თანატოლები ვიყავით და თავიდანვე გულწრფელი ურთიერთობა დამყარდა ჩვენ შორის. ლეილა ყიფიანი მართლა საოცრებაა და ძალიან მიყვარს. ისეთი სიფრიფანა იყო, ისეთი ნაზი... ამასთანავე, არაჩვეულებრივი იუმორითაც გამოირჩევა... ფილმის გადაღება 1965 წელს დასრულდა — ე.ი. 39 წელია, სოსოია ჩემი ცხოვრების თანამდევია, მაგრამ ხატიამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩემს სულში, რადგან დღესაც ისეთი განწყობითა და სურვილით დავაბიჯებ — მინდა, ყველა უსინათლოს თვალი აეხილოს...

— **დანარჩენი მსახიობების შესახებ რას გაიხსენებთ?**

— მსახიობები და ვარსკვლავები ისინი არიან თუ არიან, თორემ, 15 წლის ბიჭმა არტისტობის რა ვიცოდი?! „მამიდაჩემის“ — ლია ელიავას სილამაზით დატყვევებული ვიყავი. თენგიზ არჩვაძემ კი, მართლაც, გამზარდა, კაცობა, ადამიანობა მასწავლა... თითოეულ მათგანზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო. საოცარია — ჩვენი ვარსკვლავები ამ ფილმში, ფაქტობრივად, ეპიზოდურ როლებს თამაშობენ! მაგრამ როგორ თამაშობენ?! ქალბატონი სესილიას დარი მსოფლიოში არავინ მეგულება, გადასაღებ მოედანზე გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა... იპოლიტე ხვიჩია ხომ, სადაც გამოჩნდებოდა, ყველგან სიცილს იწვევდა... სხვათა შორის, სასმელიც პირველად, გადაღების დროს დავლიე. ხომ გახსოვთ, მდინარეში თევზს რომ ვიჭერ?.. გადაღებები სოხუმის შემოგარენში მიმდინარეობდა და ისე ციო-



ნინო ქმართან, გიორგი ჩხიკვაძესთან და შვილებთან — ლევანსა და ერეკლესთან ერთად

და, აკანკალებული შევდიოდი წყალში. „სოსოიას რუსს“ მსახიობი გლებ სტრიჟენოვი ასახიერებდა და სწორედ თენგიზ არჩვაძისა და მისი თხოვნით დამალევინეს არაყი. ჰოდა, უფრო გაბედულად შევედი ყინულივით ცივ წყალში...

**— თევზს მართლა იჭერდით თუ წინასწარ დაჭერილი გამოიყენეთ?**

— მართლა ვიჭერდი და ძალიან საინტერესო პროცესი იყო. საერთოდ, ძალიან მიყვარს თევზაობა და ნადირობა. მონადირეთა კავშირის წევრიც ვარ. საქართველოში ტყე არ დარჩენილა, მე რომ არ მენადიროს. როცა მუხლი მიჭრიდა, ჯიხვსაც ვკლავდი...

**— ნანადირევსაც მიირთმევთ თუ მხოლოდ ნადირობის პროცესი განიჭებთ სიამოვნებას?**

— ნადირის თირკმელს და ღვიძლს უმად გეახლებით, თბილს — ძალიან გემრიელია, შემწვარს გაცილებით სჯობს, მაგრამ ჩვენში არ არიან ამას მიჩვეულნი... თევზს ანკესით ვიჭერ. ათასგვარი კერძის რეცეპტი ვიცი და ჩემს ნახელავს გემრიელად შეექცევიან ხოლმე.

**— ერთი რეცეპტი მაინც გაგვიმხილეთ?**

— მაგალითად, დიდი მდინარის თევზს შემდეგნაირად ვამზადებ: ტაფაზე ვაწყობ დამტვრეულ წალამს, შემდეგ ვასხამ ერთ ჭიქა თეთრ ღვინოს, ისე, რომ წალამს არ ამოშორდეს, მერე დავდებ გამოშიგნულ-გასუფთავებულ-დამარილებულ თევზს და ტაფას თავსახურს ვახურავ. ღვინო ხუთ წუთში ორთქლდება და თევზიც მზად არის...

**— საინტერესოა, რატომ არ მოისურვეთ მსახიობობა?**

— ფილმი ეკრანზე რომ გამოვიდა, მართლაც, პოპულარული ბიჭი გავხდი, შეხვედრებზე, კაფე-სალამოებზე მიწვევდნენ. თავადაც უზომოდ მიყვარს პოეზია, ლექსებიც წამიკითხავს, მაგრამ ფილმზე მუშაობა რომ დამთავრდა, სწორედ მაშინ შემისრულდა 16 წელი და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, არქიტექტურულზე. არქიტექტურამ მიმიზიდა, მომწონდა, ხელმეწიფებოდა — ადრეული ბავშვობიდან ვხატავდი და სამხატვრო აკადემიამ გადაწონა.

**— კინოში აღარ მიუწვევიხართ?**

— როგორ არა?! რეზო ჩხეიძემაც დამიძახა და ნანა მჭედლიძემაც, მაგრამ უარი ვთქვი... მოკლედ, არ შედგა ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა. მაგრამ ახლა, როდესაც 56 წლის ვარ, მყავს ხუთი შვილი და ხუთი შვილიშვილი, გულწრფელად გეტყვით — ერთ კარგ როლს სიამოვნებით ვითამაშებდი, ოღონდ — აუცილებლად კარგ როლს!..

**— 40 წლის შემდეგ, მოგენატრათ გადასაღები მოედანი და კამერა?**

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, დიდი სურვილი მაქვს, ერთხელ კიდევ ვითამაშო კინოროლი. აკი გითხარით — 40 წლის წინ, პატარა ვიყავი და ხეირიანად ვერც მივხვდი, თუ რა მოხდა...

**— როცა ამ ფილმს ტელევიზიით უჩვენებენ, შვილები და შვილიშვილები რას გეუბნებიან?**

— უხარიათ, მეფერებიან. მათი ბედნიერი თვალების დანახვა მეც ძალიან მსიამოვნებს. ვიდეოზე აქვთ ჩაწერილი.

**— არც ერთს არ სურს მსახიობობა?**

— ჯერჯერობით, არა. ოთხი გოგო და ერთი ბიჭი მყავს, შვილიშვილი კი — სამი ბიჭი და ორი გოგო. ბარემ, „საიდუმლოსაც“ გაგიმხელთ: მესამე ცოლი მყავს და სამივესთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. თქვენთან შეხვედრამდე, პირველ ცოლთან გავიარე და იქიდან მოვდივარ...

**— რომელთან რამდენი შვილი შეგეძინათ?**

— პირველთან ერთი ქალიშვილი მყავს — ნინო. უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა. სიძე გიორგი ჩხიკვაძე გახლავთ და პირველი შვილიშვილები — ლევანი და ერეკლე მათ მაჩუქეს. მეორე ცოლთან ბიჭი მყავს — ლუკა. კონსერვატორია დაამთავრა, ვალტორნის კლასით. ამჟამად გერმანიაში, ბრემენში ცხოვრობს. მას ქალ-ვაჟი ჰყავს — ლუკა-უმცროსი და ქეთი. გული მწყდება, თავისი სპეციალობით რომ არ მუშაობს. მესამე ცოლთან სამი გოგონა შემეძინა — მარიანა, სალომე და ქრისტინე. მარიანაც გამითხოვდა და ლიზიკო მაჩუქა. სალომე ხელოვნებისა და კულტურის უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში სწავლობს, დიზაინი, სამოდელო ხელოვნება აინტერესებს. უმცროსი — ქრისტინე კი, მე-9 კლასის მოსწავლეა. აი, ასეთი დიდი ოჯახის მამა და ბაბუა ვარ.

**— წარმოშობით რაჭიდან ხართ, არა?**

— რაჭველი ჭიჭინაძე გახლავართ. ამბროლაურის რაიონში ერთი ლამაზი სოფელია — სალხინო, სადაც მხოლოდ ჭიჭინაძეები ცხოვრობენ. ბებია-ბაბუისგან პატარა ფიცრული სახლი დამრჩა. მერე ავდექი და თვითონ ავაშენე. ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ძალიან უყვართ იქ ჩასვლა. მამაჩემი კი, ტყიბულში მუშაობდა. 12 წლისა ვიყავი, ტყიბულიდან რომ გადმოვედით თბილისში. თავიდან, საბურთალოზე ვცხოვრობდით. კარგა ხანია, ვერაზე დავმკვიდრდი.

**— ახლა სად მუშაობთ?**


მარიანა და ლიზიკო

— არსად, მაგრამ ჩემი პროფესია დიდ სიხარულს მანიჭებს — არქიტექტორი ხომ უნივერსალს ნიშნავს?! არქიტექტორმა ყველა სფერო ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს, რადგან არაფრისგან უნდა შექმნას მშვენიერება... იმედს არ ვკარგავ, რომ მალე დავუბრუნდები ჩემს პროფესიას, მით უმეტეს — წელიწადზე მეტია, აღარ ვსვამ: გულმა რომ შემაწუხა, სერგო ორჯონიკიძესთან — „ზურიკელასთან“ მივედი *(„მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ზურიკელას როლის შემსრულებელი, ექიმი-კარდიოლოგი გახლავთ. — ავტ.)*

**— ბატონო გელა, ფერწერაშიც ვმუშაობო, ბრძანეთ და პერსონალური გამოფენის მოწყობას არ აპირებთ?**

— დიახ, ფერწერაში მუშაობაც ძალზე მიყვარს. გამოფენებში ვმონაწილეობ ხოლმე, მაგრამ პერსონალური გამოფენა არ მქონია და არ ვიცი, მექნება თუ არა ოდესმე. უპირველესად, არქიტექტორ-დიზაინერი გახლავართ და უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია. იმდენად მიყვარს, უარი რომ ვთქვი კინოზე, არ ვნანობ. თუმცა, არც იმას დაგიმალავთ, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ვერასოდეს დავივიწყებ ფილმს — „მე ვხედავ მზეს“ და ქართული კინოსა და თეატრის იმ ვარსკვლავებს, რომლებმაც 15 წლის ბიჭი მეგობრად მიმიღეს. და კიდევ — ნოდარ დუმბაძეს, რომელსაც ფილმის დასრულების მერეც ხშირად ვხვდებოდი... ძალიან მტკივა მისი არყოფნა. საერთოდ, ბევრ რამეზე მტკივა გული. ხომ ხედავთ, სრულიად გავჭაღარავდი, საფიქრალ-სადარდებელი კი არ გველევა. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ... მოკლედ, იმედს გაუმარჯოს! სოსოიაც ხომ იმედით ელოდა ხატიას თვალების ახელას... ■

# დესპოტი ოჯახში

## „შვილებისთვის თითიც არ დაუკარებია — დედის ბანჯვას გვაყურებინებდა...“

**ვინ შეიძლება იყოს ოჯახში დესპოტი? ის, ვინც გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენს ოჯახის წევრების მიმართ თუ ის, ვინც ცდილობს, მეტი თავისუფლება მისცეს მათ და განზე დგომას აჯობინებს? თურმე დესპოტი, მზრუნველი დედაც შეიძლება აღმოჩნდეს და ერთი შეხედვით, მოსიყვარულე ბებიაც...**

**თუ რას გრძნობენ იმ ოჯახის წევრები, რომელთაგან ერთ-ერთი დესპოტია, თუ როგორები იზრდებიან ბავშვები დესპოტი მშობლების ხელში, ამას ჩემს რესპონდენტთა მონათხრობიდან შეიტყობთ.**

*ლელა ჭანკოტაძე*



**ხათუნა, 28 წლის:**

— ჩემი მამამთილის შესახებ მინდა გიამბოთ. მან ოჯახის წევრები გაგვამწარა, გაგვაბოროტა. ნამდვილი დესპოტია. დღის 12 საათზე ილვიძებს, რადგან მუშაობას შუაღამისას ამთავრებს. ყველანი ფეხის წვერებზე დავდივართ, რომ ხმაურმა არ გამოაღვიძოს, თორემ, ყვირილითა და გინებით აიკლებს მთელ სახლს. არადა, ორი პატარა ბავშვი მყავს, მათი გაჩუმება ძალზე ძნელია... ერთხელ, დილით, საწოლიდან ვერ ავდექი: მაღალი სიცხე მქონდა. ქმარს ვთხოვე: ბავშვები დედაჩემთან წაიყვანე, თორემ, თუ ახმაურდნენ, მამაშენი გადაირევა-მეთქი. არ დამიჯერა. სამსახურში არ წავალ და მე მოგივლით სამივესო. მერე ჩამეძინა. რამდენიმე წუთში, საშინელმა ღრიალმა გამომაღვიძა. წამოვვარდი და ინსტინქტურად ბავშვებს ვეცი: ვიფიქრე, ახმაურდნენ და ბაბუა ნამდვილად დახოცავს-მეთქი. დაფეთებულმა, ორივე ბავშვი გულში ჩავიკარი. მათ კი შეეშინდათ და მოულოდნელობისგან აყვირდნენ... თურმე, არანაირი ღრიალი არ ყოფილა — უბრალოდ, დაძინებისას, ისეთი დაზაფრული ვიყავი, რომ მომეჩვენა ან დამესიზმრა... მამამთილს გაეღვიძა, გაიბუტა და სახლიდან გაიქცა. დედამთილმა წუწუნით მთელი ოჯახი აიკლო: საწყალი კაცი, მთელი ღამე იმუშავა, მოსვენება არ აცალეთ, მშიერი, ნეტავ, სად წავიდაო?! ეს იმდენჯერ გაიმეორა, რომ ბავშვებს ჩავაცვი და დედასთან წავედი. ქმარიც გამომყვა... უკვე ცხრა თვეა, რაც ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. უკან დაბრუნებას არ ვაპირებთ, პირიქით, მშვიდად ვართ — დესპოტი კაცი შენიშვნებით თავს აღარ გვაბეზრებს.

— **იქნებ, არ ღირდა სახლიდან გაქცევა უმნიშვნელო უსიამოვნების გამო?**

— უფრო სერიოზული უსიამოვნებებიც ამიტანია, მაგრამ ბოლოს, მოთმინების ფიალა ამევსო. ყველაფერს აქვს საზღვარი. გვეყოფა მეც და ჩემს შვილებსაც ჯოჯოხეთში ცხოვრება! სუფრასთან დაძაბულები ვისხედით, გვეშინოდა, რომელიმე ბავშვს ჭამის დროს არ ეხმაურა. მისი თანდასწრებით კიტრი ვერ გვეჭამა — მაშინვე გვისაყვედურებდა: პირს რამხელაზე აღებთ, როგორ ახრამუნებთო?! ტელეფონი თუ დარეკავდა, ყველას შიშის ზარს გვცემდა — ვაითუ, ვინმე ისეთი გვირეკავდა, ვინც მას არ მოსწონდა ან ხომ შეიძლებოდა, ტელეფონით საუბარი გაგვგრძელებოდა?! ათას შენიშვნას მოგვცემდა... მისი ცოლი ამ ყველაფერს უდრტვინველად იტანდა: აბა, რა ვქნა, ოჯახი წვრილმანების გამო დავანგრიოო?! — გვეკითხებოდა. ვერ ხვდებოდა, რომ მთელი ცხოვრება დესპოტის გვერდით გაატარა... ახლა ჩემს ოჯახთან ერთად ცალკე ვცხოვრობ, მაგრამ მამამთილის დესპოტობის ნიადაგზე შეძენილ ჩვევებს მაინც ვერ ვიშორებ: ვცდილობ, მაგიდაზე სამარილე არ დამრჩეს ან ნივთებს არ შევუცვალო ადგილი... ჩემი ქმარი ხშირად იხსენებს ერთ ამბავს. ჩვენი ქორწილის დღეს, როცა სახლი სტუმრებით იყო სავსე, უთქვამს: ხშირი სტუმრიანობა მასპინძლის უკულტურობაზეც მეტყველებს და სტუმრისაზეცო... ამის შემდეგ, ვინღა მოვიდოდა?! თვეები ისე გადიოდა, ჩვენი სახლის ზღურბლს არავინ გადმოაბიჯებდა. ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო. როგორც ჩემი დედამთილი ამბობს, ეს ყველაფერი წვრილმანებია, მაგრამ არ მინდა, ჩემმა შვილებმა არაჯანსაღ ატმოსფეროში იცხოვრონ. მეშინია, ბაბუის დესპოტიზმმა მათზე უარყოფითად არ იმოქმედოს.

*ზოგჯერ დესპოტი მხოლოდ დედა ან მამა კი არა, ერთდროულად ორივე მშობელია. ხშირად, ეს მაშინ ხდება, როცა ისინი განქორწინებას აპირებენ. ამ დროს ბავშვი დილემის წინაშე დგება — ვისთან დარჩეს? რომელი აირჩიოს — დედა თუ მამა? რა გავლენას ახდენს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ცოლ-ქმრის გაყოფა შვილებზე? გვესაუბრება ბავშვთა ფსიქოლოგი* ***ქეთინო თავართქილაძე:***

— ერთ-ერთი მშობლის „ბანაკში“ ბავშვის „ჩაწერა“ მეორისათვის ძლიერ ფსიქოლოგიურ დარტყმას წარმოადგენს. მშობელი ბავშვის გადაბირებას ცდილობს, რადგან ფიქრობს: თუ ბავშვი ჩემკენაა, ესე იგი, მე მართალი ვარო... ასე იქცევა ბავშვი იარაღად ცოლ-ქმრის ბრძოლაში. ეს სიტუაცია არა მარტო გარეგნულადაა რთული, არამედ, პირველ რიგში, შინაგანადაა პრობლემატური. ბავშვი გამუდმებით შფოთავს, შიშობს, ეჭვიანობს, რომ ის რაღაცას ისე ვერ აკეთებს და ამისთვის ოდესმე დაისჯება — რამაც შეიძლება ადამიანი სერიოზულ ნევროზულ დარღვევამდე მიიყვანოს. გარდა ამისა, ოჯახური განხეთქილება ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის სქესობრივი იდენტიფიკაციის პროცესზეც: ბავშვის მიერ სქესის გაცნობიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დედასთან და მამასთან დამოკიდებულება. შემდგომში, საწინააღმდეგო სქესისადმი უკვე ზრდასრული ადამიანის დამოკიდებულებასაც არაცნობიერად სწორედ მშობლებთან ბავშვობის დროინდელი ურთიერთობები განსაზღვრავს.

— **რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს მშობლების დესპოტიზმის უარყოფითი გავლენა ზრდასრული ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაში?**

— ის ან სათანადოდ ვერ ითვისებს საკუთარ სქესობრივ როლს, ან ვერ ახერხებს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. თუმცა, უმეტესწილად, ერთი მეორეს ახლავს თან... 24 წლის ნონა, დედის აქტიური ჩარევით, მის მიერ არჩეულ მამაკაცზე გათხოვდა. ნონას მშობლები განქორწინებულები იყვნენ. შვილისთვის გაბედნიერების მისალოცად, ხანმოკლე ვიზიტით, დიდი ხნის უნახავი მამაც მივიდა. საქორწინო ცერემონიის შემდეგ კი, ღამით, ნეფესთან მარტოდ დარჩენილ პატარძალს ფეხები წაერთვა... ქალიშვილი უამრავ ექიმს უჩვენეს. ექიმთა უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ ნონას ისტერიკული ხასიათის დარღვევა ჰქონდა. ამ დროს, კუნთებისა თუ ნერვების ორგანულ დაზიანებას ადგილი არა აქვს, მაგრამ ადამიანს მაინც არ შეუძლია, სხვის დაუხმარებლად სიარული. როგორც გაირკვა, ნონა 8 წლის იყო, როცა მისი მშობლები განქორწინდნენ. დედამ აუკრძალა მამას ბავშვის ნახვა. ნონა გამუდმებით ისმენდა დედის ტირადებს იმის შესახებ, რომ მამა არასწორად იქცეოდა, რომ ყველა მამაკაცი ცუდია. ამან გოგონას ფაქიზ სულში ღრმა კვალი დატოვა და შედეგად, მის წარმოსახვაში მამის და საერთოდ, მამაკაცის ხატი მუქ ფერებად აღიბეჭდა... დედის ერთი შეხედვით უწყინარი მისწრაფება, მამის წინააღმდეგ გოგონასთან ერთ „ბანაკად" გაერთიანებულიყო, ნონასთვის ცხოვრებისეულ დრამად იქცა, ხოლო დედა — ტიპურ დესპოტად მოგვევლინა... არანაკლებ დამღუპველია, დედის წინააღმდეგ მამისა და ვაჟის გალაშქრება. დედისა და ზოგადად ქალისადმი ნეგატიური განწყობა, ანალოგიურად ამახინჯებს ახალგაზრდა კაცის ურთიერთობებს ქალთან. საშინელებაა, როცა ბავშვი ერთ მშობელს, როგორც დამცველს, სიყვარულის ობიექტს მიეჯაჭვება და ამ დროს, მეორე მშობლის ეშინია, რადგან ფიქრობს, რომ ის დესპოტია. მაგრამ მას ვერ აცნობიერებს, რომ არანაკლები დესპოტია ისიც, ვინც მას დამცველად მიაჩნია...

**ნატო, 45 წლის:**

— მინდა გიამბოთ ქალზე, რომელიც სამაგალითო დედადაა მიჩნეული ჩვენი ნათესავებისა და ნაცნობების წრეში. ყველა ცდილობს, მასავით შრომისმოყვარე და მზრუნველი იყოს ეს რომ გავაცნობიერე, სიამაყით ავივსე, ვფიქრობდი — როგორი სამაგალითო დედა მყოლია-მეთქი!.. მაგრამ წლები გავიდა და მივხვდი, რომ მის ჩრდილში მოვქცეულვარ, მისი გამუდმებული მეთვალყურეობის და გადაჭარბებული ყურადღების მსხვერპლი გავმხდარვარ... 45 წლის ქალი ვარ. დედა კი, დღემდე ისე მექცევა, როგორც პატარას, რომელსაც დილით კარაქიანი პური უნდა აჭამო, ძილის წინ კი — მაწონი... ზოგჯერ მინდა, ყვირილი მოვრთო და საწოლში მორთმეული საუზმე შორს მოვისროლო, მაგრამ ვერ გაიგებს, ვერ მიხვდება, თუ როგორ მაწუხებს თავისი მზრუნველობით. ათი წლის წინ ვთხოვე: საღამოს, მეტროსთან ნუ დამხვდები, შინ მარტო მოვალ, როგორც ზრდასრულ ადამიანს შეეფერება-მეთქი. 35 წლის ქალს სრული სერიოზულობით მიპასუხა: ვინმემ რომ შეგაშინოს, მერე სად წავიდე? თუ ჩემთან სიარული გრცხვენია, უკან ჩუმად გამოგყვებიო... ჩემმა ძმამ ცოლი რომ შეირთო, დედა გაბოროტდა. რაღა ვქნა, ბიჭმა საბანი რომ გადაიხადოს, დილით უჭმელი რომ წავიდეს, ჩასიძებულ კაცს, ვინ მიეფერებაო?.. ვთხოვე, რძლისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და შეაპარა: იქნებ ღამით, ბიჭს საბანი დააფარო ხოლმეო... რძალმა გაოცებულმა შეხედა და სიცილით უპასუხა: ბიჭი მუცელში მიზის, თქვენი შვილი უკვე კაცია და თუ უნდა, სადარბაზოში დაიძინებს — მისი ნებააო... ალბათ, მიხვდებით, რა დღეში ჩავარდებოდა დედაჩემი ამ პასუხის გამო...

— **იქნებ ჯობდა, აგეხსნათ მისთვის, რომ გადამეტებული ყურადღებით გაწუხებდათ...**

— დედას ვერაფრით ავუხსნი, როგორ მოქმედებს ჩემზე, რომ მის ხელში თავს სრულფასოვან ადამიანად ვერ ვგრძნობ. ის ასე გაზარდეს, როგორც უამრავი ქალი, რომელმაც საკუთარი „მე" დაივიწყა და შვილების ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ დედამ ცხოვრების საშუალება არ მოგვცა — თავის ნებაზე გვაცხოვრა. ცხოვრების წესი და პირობები თავადვე განგვისაზღვრა. ახლა კი, მე და ჩემს ძმას გვეუბნება — ჭკუას ვერ იყენებთო... გუშინ ცუდად მეძინა. დილით დედა საწოლიდან შეწუხებული და უბედური წამოდგა. რა ვქნა, რატომ ვერ დაიძინე, რა მოხდა, რამე ხომ არ გტკივაო? განა არა მაქვს უფლება, თუ მოვინდომებ, ღამე გავათენო?! ღმერთმა შვილი არ მადირსა. რომ მყოლოდა, ალბათ, არასდროს ვიქნებოდი ისეთი, როგორიც დედაჩემია. რამდენიმე წლის წინ, ერთი კაცი გავიცანი. მომეწონა. მართალია, უკეთესი შემეფერებოდა, მაგრამ იდეალის ძებნაში წლები გაფრინდა. იმ ასაკში აღარა ვარ, როცა წუნიაობა საქმეს რგებს. ბოლოს ის კაცი დედასაც გავაცანი... მომეწონა, მაგრამ ისეთი თვალები აქვს, მეშინია, ყოფილ ცოლს არ შეურიგდესო, — მითხრა. ეს ფრაზა გონებაში ჩამიჯდა, მოსვენება აღარ მომცა. მისი დავიწყება და თავიდან ამოგდება ვეღარ შევძელი... ბოლოს, იმ კაცს უარი ვუთხარი. აი, ასეთი გავლენა აქვს დედას ჩემზე. ის ჩემთვის ჯალათივითაა, მაგრამ ამის გაგება არ უნდა. ცხოვრების საშუალებას არ მაძლევს, თავის ჭკუაზე მატრიალებს. შარშან კონსულტაციისთვის ფსიქოლოგს მივმართე, სწორედ მან ამიხსნა, რაც ხდებოდა ჩემს თავს, თორემ, მე მზრუნველ დედას საკუთარი ნებით დესპოტს ვერასდროს ვუწოდებდი.

**ლია ჭილაშვილი,** *ფსიქოლოგი:*

— ოჯახში დესპოტი შეიძლება, ბავშვიც იყოს. ბავშვი, რომელიც ყველას საკუთარ ნებაზე ატარებს და აიძულებს მშობლებს, მისი ყველა კაპრიზი შეასრულონ, დესპოტია. ის იარაღად ტირილს, გაბუტვას ან „შიმშილობის გამოცხადებას" იყენებს... მაგრამ უფრო ხშირად, დესპოტად რომელიმე მშობელი, იშვიათად — ბებია ან ბაბუა გვევლინება. თუმცა, დესპოტი მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. ფსიქოლოგები ასეთ ადამიანებს ფარულ აგრესორებს ვეძახით. ფარული აგრესორია ისიც, ვინც ოჯახის წევრებს ზედმეტი ყურადღებით აბეზრებს თავს და ისიც, ვინც უყურადღებობით სტკენს გულს.

— **თქვენ თუ გყოლიათ ასეთი პაციენტები?**

— მყავდა პაციენტი, რომელიც დედამთილს უჩიოდა — ბავშვს ჩემს წინააღმდეგ განაწყობსო. ბებია შვილიშვილს ანებივრებდა, ხშირად მიჰქონდა მის-



**გამუდმებით ისმენდა დედის ტირადებს იმის შესახებ, რომ მამა არასწორად იქცეოდა, რომ ყველა მამაკაცი ცუდია**

თვის საჩუქრები და გამუდმებით ჩასჩიჩინებდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის — ბებია უნდა ჰყვარებოდა; საღამოს, როცა დედა სამსახურიდან ბრუნდებოდა, შვილი აღარ ეკარებოდა... ესეც დესპოტიზმია: ბებია ბავშვის მოსყიდვას ცდილობდა და დედას აძულებდა... მყავდა პაციენტი, რომლის მშობლებიც ერთმანეთთან ხშირად ჩხუბობდნენ. ამის გამო, გოგონამ მამის მიმართ პატივისცემის გრძნობა დაკარგა. გაიზარდა, დაქალდა, მაგრამ მამაკაცების მიმართ უპატივცემულობა მისი ხასიათის განუყოფელ თვისებად იქცა. ცდილობდა მის აღმოფხვრას, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ერეოდა... საერთოდ, როცა მშობლები ერთმანეთთან ხშირად ჩხუბობენ, შვილის სწორად აღზრდას ვერ ახერხებენ. ზოგი ბავშვი ძალზე ითრგუნება, ზოგი — აგრესიული ხდება. ასეთი დამახინჯებული ფსიქიკის მქონე მოზარდები მთელი ცხოვრების მანძილზე ავლენენ უარყოფით დამოკიდებულებას მშობლების მიმართ...

**კობა, 38 წლის:**

— სულაც არ მინდა, ჩემი ამბავი შემზარავი გამოვიდეს, მაგრამ ის, რაც უნდა გიამბოთ, ვფიქრობ, არავისთვის იქნება იოლი წასაკითხი. მე იმ იშვიათ ადამიანთა რიგს მივეკუთვნები, რომლებსაც ბავშვობა არ ჰქონიათ. კარგი არაფერი მაქვს გასახსენებელი, პირიქით — ვცდილობ, დავივიწყო ის წლები, რომელმაც მთელ ჩემს მომავალს უარყოფითი კვალი დაატყო... ჩემი ბავშვობის ყოველი დღე იმაზე ნერვიულობით იწყებოდა, თუ როგორ ხასიათზე გაიღვიძებდა მამაჩემი, ხოლო ყოველი საღამო მთავრდებოდა პანიკური შიშით — ვაითუ, მამა მოვიდოდა და დაგვხოცავდა... ჩემი უმცროსი და საღამოობით, ფერს კარგავდა, ვეღარ მეცადინეობდა და ადგილს ვერ პოულობდა. მშობლები სულ ექიმებთან დაატარებდნენ — არადა, მას არაფერი სჭირდა — მხოლოდ მამის შიში ტანჯავდა...

— **ნუთუ, მამას არ უყვარდით?**

— იქნებ ვუყვარდით კიდეც, მაგრამ თავისი არსებობით გვანადგურებდა. გამუდმებით სტრესულ მდგომარეობაში გვამყოფებდა, ხშირად სვამდა და მერე დედას სცემდა. ერთხელ, ჩვენს სკოლაში ხანძარი გაჩნდა. ბავშვები ძლივს გადაგვარჩინეს. მამაჩემი მაშინვე მოვარდა. თავგანწირვით ებრძოდა ცეცხლს, ყველა მასზე ლაპარაკობდა, მისით აღფრთოვანებულები იყვნენ. მე კი, მერჩივნა, ცეცხლს შთაენთქა ჩემი სხეული... ჯერ იყო და, სიკვდილს ვნატრობდი, მოგვიანებით კი აღმოვაჩინე, რომ მამაჩემის სიკვდილზე ვოცნებობდი... საღამოს თუ დაიგვიანებდა, მაშინვე ვიწყებდი ფიქრს: იქნებ, ავარიაში მოყვა? იქნებ, მოკლეს? ნეტავ, ვინმე მოვიდეს და მისი დაღუპვა შეგვატყობინოს-მეთქი!.. ასეთმა მტანჯველმა ფიქრმა მეხუთე კლასიდან შემიპყრო. გასაკვირია, ახლა საკუთარ თავს რომ ვეღარ ვცნობ და გამუდმებით ფსიქიატრის წინ სავარძელში ვზივარ?!. დამავიწყეთ ბავშვობა და მეც ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი გავხდები, აღარაფერზე დავიწუწუნებ. მამაჩემის წყალობით, საკუთარ თავში მამაკაცი ვერ აღმოვაჩინე. როცა ატირებულ და აკანკალებულ დას ვხედავდი, როცა იატაკზე დაგდებული და მამის წიხლებისგან სახედალურჯებული დედა შველას მთხოვდა, მე კი უმწეოდ ვიდექი, — მაშინვე გასაგები იყო, რომ ჩემს სულში კაცურ თვისებებს ვეღარ ვიპოვიდი... უფროს ძმებს, როგორც წესი, დების დაცვა ევალებათ. მე კი ჩემს დას ვერ ვიცავდი, შევეგუე იმ აზრს, რომ მის გონებაში ლაჩარი ბიჭის ტიპს მივეკუთვნებოდი...



სკოლა რომ დავამთავრე და ჯარში გამიწვიეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. თავისუფლების ორმა წელმა სულზე მომისწრო. უმეტესობისთვის ჯარი აუტანელი იყო, მე კი ნეტარება მომიტანა. თუმცა, ღამღამობით მესიზმრებოდა, როგორ კლავდა მამა დედას და ამის გამო ვიტანჯებოდი. ისიც ხშირად მახსენდებოდა, სკოლიდან შინ მიმავალი, როგორი შიშით შევხედავდი ხოლმე ჭიშკარს: სულ მეგონა, ერთ დღესაც, იქ ბევრი ხალხი დამხვდებოდა — იმის ნიშნად, რომ მამაჩემმა წიხლების ცემით დედა მოკლა... არ იფიქროთ, თითქოს მათ „მამას“ ან „დედას“ ვეძახდი. უბრალოდ, ახლა ასე უფრო მიადვილდება — თქვენც იოლად გაიგებთ, ვისზე ვლაპარაკობ...

— **დედას რატომ აღარ „ეძახდით“ დედას?**

— მისი თეორია, თითქოს ქმარს ჩვენი — შვილების გულისთვის „შეაჭამა“ თავი, გულის ამრევია. სწორედ მან გამოგვიტანა მე და ჩემს დას სასტიკი განაჩენი. მან გვაიძულა, ისეთი კაცის გვერდით გვეცხოვრა, ვისი შიშითაც ბევრჯერ ჩამისველებია. ბოლოს, ეს მეცხრე კლასში მომივიდა... უფლება არ გვქონდა, შინ ამხანაგი მოგვეყვანა — მამა ხმაურს ვერ იტანდა და იმიტომ. სკოლაში ცუდ ნიშანს თუ მივიღებდით, ვაი, ჩვენი დედის ბრალი: შვილებს არასდროს გვეჩხუბებოდა, ჩვენთვის თითი არ დაუკარებია — დედის ტანჯვას გვაყურებინებდა და ამით გვსჯიდა... მეზიზღებოდა. ეს გრძნობა უფრო და უფრო აუტანელი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ გახდა... შინ აღარ დავბრუნდი. ბებიაბაბუასთან ჩავედი. მათ შემიკედლეს, დამაქორწინეს. ახლა ცხრა წლის შვილი მყავს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არა ჩემი წარსული, რომელიც მუდამ თან მდევს და რომლისგან გათავისუფლებაც არაფრით შეიძლია...

— **შენმა დამ თუ შეძლო ცხოვრების მოწყობა?**

— არც მე და არც ჩემს დას საწუწუნო აღარაფერი გვაქვს. საკუთარი შრომით იმდენი მოვახერხეთ, რომ ბინებიც შევიძინეთ და მყუდრო ბუდეებიც მოვიწყვეთ. ჩემი და უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მასთან მამაჩემი სტუმრად მიდის ხოლმე. მე კი მამა რვა წელია არ მინახავს და არც მინდა, ოდესმე შემხვდეს. ზოგჯერ დედა მესტუმრება ხოლმე. ვიცი, რომ ვუყვარვარ და ჩემი გულგრილობა საშინლად ტანჯავს, მაგრამ ჩემს გულში მისი სიყვარულისა და თანაგრძნობისთვის ადგილი აღარ დარჩა. ზოგჯერ მის მიმართ აგრესიულიც კი ვხდები. იმიტომ, რომ ყველა ჩემი პრობლემისა და უსიამოვნების მიზეზი, სწორედ დედაა. მას რომ მე და ჩემი და ტანჯვისთვის არ გავეწირეთ, ახლა ბედნიერი ვიქნებოდი. ბინა და ცხოვრების კარგი პირობები ვერ დაგიკარგეთო, — მეუბნება. — მამაშენს რომ გავშორებოდი, რითი მერჩინეთ? ორ ბავშვს მოვლა ხომ უნდოდაო?! არადა, მე და ჩემს დას მხოლოდ ოჯახური მყუდროება გვჭირდებოდა, სხვა არაფერი. ■

მარი ხაჟარიძე

# „მაგარი მობილური



## „ვაფშე“ მაგრად „ასწორებს“...“

*დღევანდელი „გზავნილების“ მთავარი „გმირი“, მობილური ტელეფონი გახლავთ. ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ როგორ ახერხებდნენ ჩემი კოლეგები რესპონდენტების „დაჭერას“ მაშინ, როდესაც მობილური ტელეფონი არ არსებობდა. არც ისე ადვილი იქნებოდა მათი „სესხბანკში“ თუ თათბირებსა და ბანკეტებზე პოვნა...*

*წარმოიდგინეთ, ახლა, ერთი დღით, ყველა მობილური რომ გამოირთოს, რამდენ შეყვარებულ წყვილს ჩაეშლება პაემანი, რამდენი საქმე დარჩება გასაკეთებელი და რამდენი „მესიჯი“ — გაუგზავნელი... მაშ, ვნახოთ, რა როლს თამაშობს ის ჩვენი მკითხველების ცხოვრებაში.*

### „მათი სიყვარული „მესიჯებით“ დაიწყო“

„ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ჩემს მეგობარს ეხება. თაკო და დათო ბათუმელები არიან. თაკო ჩემი მეგობარია, დათო კი — ჩემი ბიძაშვილი. ისინი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. შემდეგ, მე თაკოს მობილურიდან ზარი გავუშვი დათოსთან, მან გადმორეკა, გოგონას ხმა მოეწონა, შემდეგ „მესიჯი“ გამოუგზავნა და ასე დაიწყო მათი სიყვარულის ამბავი. შემდეგ, ჩემს ბიძაშვილს გავუმხილე, რომ თაკო სწორედ ის გოგო გახლდათ, რომელიც ჩემთან გაიცნო და გაუხარდა, რადგან მაშინ ძალზე მოეწონა... რამდენიმე ხნის შემდეგ, დათომ ჩემს მეგობარს სიყვარული აუხსნა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ თაკო დათოს ძმას, გიოსაც შეუყვარდა. მან გოგოსგან უარი მიიღო, ამიტომ გადაწყვიტა, შეყვარებულები ერთმანეთისთვის დაეშორებინა. თაკოს შესახებ ისეთი რამ შეიტყო, რის გამოც ოჯახი მეც მიშლიდა მასთან მეგობრობას. არ იფიქროთ, რაღაც საშინელი წარსული ჰქონდა — უბრალოდ, ერთი პატარა უსიამოვნო დეტალია, რომელიც არცთუ ისე მნიშვნელოვანი გახლავთ. ამის შესახებ გიომ დედამისს უამბო. ბიცოლაჩემმა თაკო საშინლად შეიძულა და განაცხადა — ასეთ რძალს ოჯახში არ შემოვუშვებო!.. შემდეგ, ყველა ნათესავმა შეიტყო ეს ამბავი და ყველაფერში მე დამადანაშაულეს. დათომ ეს ყოველივე არ იცის, არადა, მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ... არ ვიცი, რით დამთავრდება მობილურით დაწყებული სიყვარული. ნია“.

### „პატარა, მარტო მობილური მომწონს...“

„ჩემი მობილური ტელეფონი ისეთი „ციცქნა“ გახლავთ, რომ „ცეროდენას“ ვეძახი. ასეთი მოდელის ტელეფონი ჯერ არავის ხელში არ მინახავს, ვინც კი თვალს მოჰკრავს, ყველა მისით ინტერესდება. ერთ საღამოს, მახოსთან (ჩემი მეგობარია) ერთად კაფეში ვიჯექი. იქვე, გვერდით მაგიდასთან სამი გოგონა იჯდა. მობილური მაგიდაზე იდო. შევნიშნეთ, რომ აპარატს აკვირდებოდნენ. ერთი მათგანი მოგვიახლოვდა და მთხოვა — თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ახლოდან შევათვალიერებო. — იქვე, სკამზე ჩამოჯდა და ხელში კარგა ხანს ატრიალა. შემდეგ ერთმანეთს გავესაუბრეთ, გავიცანი, ტელეფონის ნომერიც გამოვართვი და ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. იმ საღამოსვე „დავუმესიჯე“: რადგან ჩემი პატარა მობილური ასე მოგეწონა, ხვალ შევხვდეთ და კიდევ გაჩვენებ-მეთქი. — იცით, როგორი პასუხი მივიღე? — შევხვდეთ და მაჩვენე, ოღონდ გაითვალისწინე, რომ პატარა, მარტო მობილური მომწონსო... ამ პასუხმა დამაინტრიგა. — მე შენ გიჩვენებ, დიდისა და პატარის გარჩევას-მეთქი, — ვიფიქრე და სერიოზულად მოვემზადე შემდეგი დღისთვის... იმის შემდეგ, 7 თვე გავიდა. სააღდგომო მარხვის შემდეგ კი, მე და შორენას ქორწილი გვაქვს. აი, რა შედეგი მომიტანა მობილურმა ტელეფონმა. მისი მადლობელი ვარ, რომ დიდი სიყვარული მეწვია. პირდაპირ ასეთი პასუხის გაცემას აბა, როგორ გაბედავდა?! „მესიჯით“ კი, უფრო იოლია — რაც გინდა, მისწერე... შორე, ჩემი სიცოცხლე ხარ!.. ამ „მესიჯს“ კი, სხვა ტელეფონით გიგზავნით, რადგან ჩემი „ცეროდენა“ უკვე შორენას კუთვნილება გახლავთ. ანდრო“.

### „რა გაჯანჯალებს? „დრუჟბაზე“ ხომ არ ზიხარ?“

„ყველაფერს ძალზე მოკლედ მოგიყვებით. ამ ორი წლის წინ, ერთი მაგარი ქალი გავიცანი. გათხოვილი აღმოჩნდა, მაგრამ ამის გამო უკან არ დამიხევია... როგორც იქნა, შევაბი. ერთმანეთს ხან სად ვხვდებოდით და ხან — სად... მთელი ჩემი ფინანსები სასტუმროების მეპატრონეების ჯიბეში მიდიოდა. ბოლოს, მომწყინდა და ამ ჩემს „კნეინას“ ვუთხარი — შენთან შინ მოვალ, მაინც სამსართულიან, კერძო სახლში ცხოვრობ, უამრავი ოთახი გაქვს, ისე შემოვიპარები, რომ ვერავინ გაიგებს-მეთქი. უარი მტკიცა. ამის შემდეგ, აღარ ვხვდებოდი, უფულობას ვიმიზეზებდი და თავს ვარიდებდი. იძულებული გახდა, შინ მივეწვიე. შუაღამისას მივადექი მათი სახლის ჭიშკარს. შეთანხმებისამებრ, ყველა კარი ღია დამხვდა. არ დავმალავ, რომ მეშინოდა, მუხლები მიკანკალებდა

და მეც ერთიანად ვთრთოდი. გარედან რომ დავურეკე — მოვედი-მეთქი, — მობილურის გამორთვა დამავიწყდა და ისე ჩავიდე ჯიბეში. ქვევით კართან ელისო დამხვდა და ერთ-ერთი ოთახისკენ გამიძღვა. აკანკალებული მივყვებოდი და თან გულში ვიგინებოდი. ოთახში შევედით და მაშინვე ქალს ვეცი, მალე რომ წამოვსულიყავი იქიდან. ელისო იცინოდა — რა გაკანკალებს? „დრუჟბაზე" ხომ არ ზიხარო? — მაგრამ მე არ მეცინებოდა... ექსტაზში რომ შევედი, სწორედ ამ დროს, მობილურმა დარეკა. თითქოს ცივი წყალი გადამასხესო — ერთიანად დავკარგე ყველაფრის სურვილი... ბევრი ვეცადე, მაგრამ იმ ღამით არაფერი გამომივიდა... ახლა იძულებული ვარ, ჩემი შემოსავლის უმეტესი ნაწილი ისევ სასტუმროების „ფონდში" გადავრიცხო... ლადო, 35 წლის".

## „...ასე გამაბედნიერა შენმა ნომერმა"

„ქუთაისელი გახლავართ. ზაფხულში, ბათუმში ერთი ბიჭი გავიცანი. ერთმანეთი მოგვეწონა და საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით. ის თბილისელი იყო. ძირითადად, ერთმანეთს „მესიჯებით" ვეკონტაქტებოდით. მაგრამ კვირაში ერთხელ, ქუთაისში ჩამოდიოდა, მთელ დღეს ერთად ვატარებდით ხოლმე, საღამოს კი უკან მატარებლით ბრუნდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შევატყვე, რომ ჩემ მიმართ გაცივდა: შეხვედრებსაც მოუკლო, ტელეფონზე აღარ მპასუხობდა, ხან რას იმიზეზებდა, ხან — რას... ძალიან ვნერვიულობდი. დღემდე არ ვიცი მიზეზი, რის გამოც დამშორდა. ერთ დღესაც, დავრეკე და ოპერატორმა მაცნობა — ნომერი, რომელიც თქვენ აკრიბეთ, ქსელიდან დროებით გამორთულიაო... ასე ძალზე დიდხანს გაგრძელდა. მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მქონდა, არ ვიცოდი — სად ცხოვრობდა, არ ვიცნობდი მის მეგობრებს, არც სახლის ტელეფონის ნომერი მიკითხავს ოდესმე. სად უნდა მომეძებნა? იძულებული ვიყავი, დაველოდებოდი, როდის ჩართავდა ტელეფონს. ყოველდღე ვრეკავდი, ვამოწმებდი, ხომ არ ჩაირთო-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში, მთელი წელი გავიდა. გასულ ზაფხულს, გვიან ღამით, ისევ ავკრიბე ვატოს ნომერი და აღმოჩნდა, რომ ტელეფონი ჩართული იყო. რომ მიპასუხა, სიხარულით წამოვიძახე — ვატო, სად დაიკარგე, შე უგულო?! ერთხელ მაინც რატომ არ დამირეკე-მეთქი?.. აღმოჩნდა, რომ ის, ვისაც ველაპარაკებოდი, ვატო სულაც არ იყო, მას ნომერი „მაგთის" ოფისში შეუძენია და ვატოს არც კი იცნობდა. მეორე დღეს, თავად დამირეკა და მომიკითხა. შემდეგ „მესიჯი" გამომიგზავნა... არ დამიმალავს, ვინ იყო ჩემთვის მისი ნომრის ყოფილი პატრონი... ისე შევეჩვიე ამ ახალი „ვატოს" არსებობას, რომ ძველი სულ დამავიწყდა... სექტემბერში, ერთმანეთს შევხვდით კიდეც. ერთმანეთი მოგვეწონა და სულ მალე, ქორწილიც გვექნება. მის ოჯახში მიღებული ვარ და უკვე რძალს მეძახიან. ასე რომ, ძალზე ბედნიერად ვგრძნობ თავს... ალბათ ასეთი ბედი მქონდა, რომ აუცილებლად ამ ნომრის მფლობელს უნდა გავყოლოდი ცოლად. ვატო, გმადლობ. იქნებ გახსოვარ? ახლა ალბათ მიხვდები, ვინ ვარ. შენი ტელეფონის ნომერი იყო: 8.99.51.18... ასე გამაბედნიერა შენმა ნომერმა... სალომე, 22 წლის".

## „პატიმარი „მესიჯებით" შემიყვარდა..."

„გამარჯობათ. ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომელიც ჩემთვის ტრაგედია გახლავთ და ის სწორედ მობილურთანაა დაკავშირებული. მე ვარ ვიოლა, 32 წლის, მყავს ორი შვილი. მეუღლე კი, სწორედ მობილურის წყალობით დავკარგე. ჩემი ოცნება გახლდათ ტელეფონი. მეუღლეს გული გავუწყალე, სანამ არ ვაყიდვინე. როგორც ჩანს, გული უგრძნობდა, რომ რაღაც ხიფათი ელოდა და მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე... ყველაფერი კი, ორი წლის წინ, ასე დაიწყო: საღამო ხანს, უცხო მამაკაცმა დამირეკა. — სხვაგან მოხვდით-მეთქი, — ვუპასუხე... შემდეგ, „მესიჯი" გამომიგზავნა — ლამაზი ხმა გაქვსო, — მწერდა. თავდაპირველად, მის „მესიჯებს" არ ვპასუხობდი. შემდეგ ავყევი. ჩვენ შორის დიდი მიწერ-მოწერა გაჩაღდა. როდესაც მისი ვინაობით დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ პატიმარი იყო. ასე, უნახავად, „მესიჯებით" შემიყვარდა ალეკო. ისიც სიყვარულს მეფიცებოდა. ერთი წლის შემდეგ, ველარ მოვითმინე, რომ არ მენახა და ციხეში მივაკითხე... სამი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით პირისპირ... ერთი კვირის შემდეგ, კვლავ მივაკითხე... შემდეგ, ერთდღიანი პაემანი მოაწყო და მასთან მთელი ღამე დავრჩი... ჩვენმა პაემნებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ასე გაგრძელდა 7 თვის განმავლობაში. მეფიცებოდა — მიყვარხარ და რომ გამოვალ, ცოლად მოგიყვანო. ერთ საღამოს (მის გამოსვლამდე 3 თვე იყო დარჩენილი), მეუღლესთან კამათი მომივიდა. მაშინვე პირში მივახალე ყველაფერი და, ბუნებრივია, მასთან ველარ გავჩერდებოდი. ჩემი შვილებიანად ნაქირავებ ბინაში გადავედი, იმ იმედით, რომ ალეკო მალე გათავისუფლდებოდა და შევუღლდებოდით... „პერედაჩები" მანამდეც მიმქონდა ხოლმე. ამის შემდეგ, უკვე მისი ტანსაცმელი და თეთრეულიც შინ მომქონდა გასარეცხად... გათავისუფლების შემდეგ კი, გამომიცხადა, რომ ცოლიც ჰყოლია და სამი შვილიც... ის თავის ოჯახში დაბრუნდა, მე კი, საყვარლადაც აღარ ვუნდივარ. ქალების მეტი



„კვირის პალიტრის" სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის" გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
$15^{00}$-დან $18^{00}$ სთ-მდე „კვირის პალიტრის" ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

რა არისო? სხვა მოძებნა და საერთოდ აღარ მეკონტაქტება. ქმარიც დავკარგე და ცხოვრების იმედიც. ახია ჩემზე, მაგრამ რაღა დროისაა?!"



## „მისი ქურდული წარსული მიშლის ხელს..."

„გამარჯობათ. მე 30 წლის რეზო გახლავართ. ერთხელ, ჯინსის შარვლის საყიდლად „დინამოს" ბაზრობას ვეწვიე. მობილური ტელეფონი შარვლის უკანა ჯიბეში მედო. დახლთან, შარვალს ვარჩევდი, როდესაც ვიგრძენი, რომ ჯიბე შემიმსუბუქდა. სწრაფად მოვტრიალდი და მივხვდი — ქურდი ის გოგონა იყო, რომელიც უცებ მიტრიალდა და ხალხში შერევას ცდილობდა. გამოვედევნე და მალე დავეწიე კიდეც. ხელი მაგრად ჩავავლე, გვერდზე გავიყვანე და ვუბრძანე — აბა, სწრაფად დამიბრუნე ჩემი მობილური, თორემ, განანებ-მეთქი! — უცოდველი კრავივით აახამხამა წამწამები და აქეთ დამანამუსა: როგორ კადრულობთ, ახალგაზრდა კაცი, ტყუილად ბრალს რომ მდებთო?!. — ერთი კი გავიფიქრე — იქნებ, შევცდი-მეთქი, — მაგრამ გადავწყვიტე, ბოლომდე მივყოლოდი. ხელი ჩავავლე და ტანსაცმლის გასასინჯ ოთახში შევიყვანე. გავჩხრიკე, მაგრამ ტელეფონს ვერ მივაგენი. ხელის ფათურისას, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა... საკოცნელად გავიწიე და უარი არ უთქვამს. ალბათ იფიქრა — ვაკოცნინებ, ხელებს მომიფათურებს და თავს დამანებებსო, — მაგრამ მე მეტი მოვინდომე... უადგილო ადგილას რომ მოვუფათურე ხელი, მივხვდი — ჩემი ტელეფონი სწორედ იქ იყო. შარვლის ღილი შევუხსენი და, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ტელეფონიც ამოვაძვრინე... არ მოვეშვი — გარეთ გამოვიყვანე, მანქანაში ჩავსვი და ჩემი მეგობრის დაკეტილ ბინაში მივიყვანე... მოკლედ, ქალწული აღმოჩნდა... უკვე დიდი ხანია, ჩვენი ურთიერთობა გრძელდება. მიყვარს. მისი ცოლად შერთვაც გადავწყვიტე, მაგრამ მისი ქურდული წარსული მიშლის ხელს. რომ ჰკითხო, იმ დღეს, საჯიბგიროდ მხოლოდ მეოთხედ იყო გამოსული, მაგრამ არ ვიცი, ვენდო?.. მოკლედ, დიდ გასაჭირში ვარ ჩავარდნილი... აუცილებლად შეგატყობინებთ, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებ..."

## „ამ მობილურის გადამკიდე, მგონი, მთლად ხელიდან წავედი..."

*ახლა კი, მოკლე „მესიჯებს" გადავხედოთ:*

„ბარბაროსას, ჩემს „ტურფას" ისეთი „მესიჯი" გავუგზავნე ინკოგნიტოდ, რომ 130 ლარი გადაიხადა, ავტორის ვინაობის დასადგენად. ზაო, ეს მე ვარ, შენი ბოლო ბედი. ჩვენ ვუხდებით ახალციხეს".

„მობილური ტელეფონი რომ არ არსებობდეს, რა მეშველებოდა?! ჩემი შეყვარებული ჩემგან ძალიან შორსაა და რომ მომენატრება, „მესიჯებს" ვუგზავნი ხოლმე. ლადო, მენატრები..."

„მგონი, შემიყვარდა ის ბიჭი, რომელსაც ძლივს ვიცნობ. მობილურის ნომერი სამჯერ მთხოვა, მე კი, ცაში ავიხედე... ვნანობ... რომ მიმეცა, ამ „მესიჯს" ხომ აღარ „დავჯღაბნიდი"?!. ქეთევანი".

„ძალიან მიყვარს ჩემი მობილური, რადგან ხშირად მესმის დათუშკის ხმა. უზომოდ მიყვარხარ... შენი სიცოცხლე".

„როდესაც ჩემმა ქმარმა იძულებული გამხადა, სახლიდან ჩემს ორ შვილთან ერთად სამუდამოდ გავქცეულიყავი, მობილურით დავუკავშირდი ჩემს მეგობრებს და ყველა ერთდროულად ჩემთან გაჩნდა..."

„მობილური მაგარი გამოგონებაა. მობილურით გავიცანი ნათია მაისურაძე, რომელიც უზომოდ მიყვარს. რეზი".

„მარი, ამ მობილურის გადამკიდე, მგონი, მთლად ხელიდან წავედი: ხან ვის „დავუმესიჯე" და ხან ვის. თეთრ რაშზე ამხედრებულ უფლისწულებად მეზმანებოდნენ... რამდენიმეს შევხვდი კიდეც, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არ ღირს დეპოზიტის ხარჯვა, როცა არ იცი, ვინ არის შენი „მესიჯის" ადრესატი. გულგატეხილი".

„როცა ცოლზე ვბრაზდები, სიდედრს „ვუმესიჯებ" ინკოგნიტოდ და უკანასკნელი სიტყვებით ვაგინებ. აუჰ! რა მაგარი რამეა ეს მობილური!"

„მობილური ტელეფონი — ეს ერთადერთი ნივთია, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნის, ამიტომ უზომოდ მიყვარს. ასე მგონია, ის ჩემი მეგობარი და გაჭირვების ტალკვესია. თუ ტელეფონი ცალმხრივადაა ჩართული, მე ავად ვარ. მზია".

„ახლა მობილური მარტო ტელეფონი აღარ არის — ის ფოტოაპარატიცაა, ვიდეოკამერაც და კომპიუტერიც. ეს არის ნივთი, რომელსაც ვერ დაშორდები — ძალიან მაგარია და იმიტომ. ვატო".

„კარგია, როცა მობილური გაქვს, მაგრამ თუ მაგარი მობილური გაქვს, „ვაფშე" მაგრად „ასწორებს". სოსო".

„მე შენს თვალებში სიმკაცრე დავინახე, არც კი მოიხედე, როცა დაგინახე... ნია ისაკაძე, რომ მიყვარხარ, ახლა უკვე ნაღდად ვიცი. გიო".

„მიყვარს ბიჭი, რომელიც ჩემზე 21 წლით უფროსია. უფრო სწორად, ის უკვე კაცია, მე კი მხოლოდ 19 წლის ვარ. მობილურით გავიცანი... დაიწვას ის დღე! რა უნდა ვქნა, არ ვიცი".

*დღეს „გზავნილები" ამით დავასრულოთ. ბოლო „მესიჯმა" კი, მომდევნო წერილის თემა მიკარნახა: ასაკობრივი სხვაობა შეყვარებულებს შორის. გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება — რა სიკეთე მოუტანია თქვენსა და თქვენს შეყვარებულს შორის არსებულ სხვაობას და რა პრობლემებს წააწყდით ამის გამო. გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.*

■



ქართული ბიზნესინკუბატორის მესვეურები (შუაში – ნინო ელიზბარაშვილი)

**როდესაც ბიზნესინკუბატორის არსებობის შესახებ შევიტყვე, ვერაფრით ამეხსნა, თუ რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა ამგვარ დაწესებულებას. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ეს ის ადგილია, სადაც ბიზნესმენი ქალბატონები „იჩეკებიან“. ეს ინკუბატორი ბიზნესმენ ქალთა ასოციაციის ხელშეწყობით დაარსდა, რომელსაც ქალბატონი ნინო ელიზბარაშვილი ემსახურება. ამ უცნაური სახელწოდების დაწესებულებაზე სასაუბროდ სწორედ ქალბატონ ნინოს შევხვდი.**

# ქართულ ბიზნესინკუბატორში სხვადასხვა „ჯიშის წიწილები“ იჩეკებიან

*ემა ტუხიაშვილი*

– როდესაც პირველად ამ შენობაში დავბინავდით, ყველა ფიქრობდა, რომ წიწილების ინკუბატორი იხსნებოდა და ვერაფრით გაეგოთ, ასეთი ლამაზი შენობა *(ეს ინკუბატორი ყიფშიძის ქუჩაზე, ახალ შენობაში მდებარეობს)* რატომ შევარჩიეთ.

**— ბიზნესინკუბატორის შექმნის იდეა საიდან დაიბადა?**

– 1997 წელს, სასწავლო პროგრამით გახლდით წასული ამერიკის შეერთებულ შტატებში და თავად გავიარე პრაქტიკა ამგვარ ინკუბატორში. მართალია, ის ბიზნესინკუბატორი გაცილებით ფართო მასშტაბის და მრავალპროფილიანი იყო, ვიდრე ჩვენი, მაგრამ ამერიკიდან რომ დავბრუნდი, მტკიცედ გადავწყვიტე, ასეთი რამ ჩვენთანაც დამეარსებინა. დახმარებისთვის ბევრ დონორ ორგანიზაციას მივმართე, მაგრამ ყველამ შორს დაიჭირა თავი. ვინაიდან მათი გათვლებით, ამგვარი პროექტის განხორციელება უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. იდეის განხორციელება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ დახმარება მეგობრებს ვთხოვე და მცირე სახსრებით ერთი სარეცხი მანქანა და საუთოო დანადგარი შევიძინე. სასტუმრო „საქართველოში“ ერთი პატარა ოთახი ვიქირავეთ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ერთ-ერთი პირველი კერძო სტრუქტურა შევქმენით. სხვათა შორის, ეს ბიზნესი ჩვენთვის საკმაოდ შემოსავლიანი აღმოჩნდა. ამასობაში კი, ჩვენი პროგრამის სარფიანობაში ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციის დარწმუნებაც მოვახერხეთ და ბიზნესიც გავაფართოეთ.

**— უფრო კონკრეტულად გვითხარით, რას ნიშნავს ბიზნესინკუბატორი?**

– ბიზნესინკუბატორი გახლავთ პრაქტიკული ბაზა დამწყები მეწარმეებისთვის. ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ, მცირე ბიზნესს მიჰყონ ხელი. ირჩევენ მათთვის სასურველ სფეროს და ჩვენს ინკუბატორში, თეორიულ მეცადინეობებთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც გამოიმუშავებენ. ვაძლევთ რჩევებს – თუ სად შეიძინონ ნედლეული, როგორ აწარმოონ სწორი ფინანსური გათვლები, როგორ მოიზიდონ სათანამშრომლოდ პროფესიონალები...

**— მაგრამ ამგვარი ცოდნის შეძენა ალბათ მატერიალურ საზღაურს მოითხოვს...**

– ჩვენ გვაქვს, როგორც ფასიანი, აგრეთვე უფასო სასწავლო პროგრამები. ჩვენ მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამები ხშირად იმარჯვებს ტენდერში და საგრანტო



შარშან, ჟენევაში ჩატარდა მეწარმე ქალთა მეორე ფორუმი, სადაც ჩვენი პროდუქციის გამოფენაც მოეწყო

| აქლემის ნაშიერი | ალკოჰოლური სასმელი | ხის ქერქქვეშა მკვრივი ნაწილი | სიტყვის ნაწილი, კავშირშია აერნაოსნობასთან | სახელმწიფო ევროპაში | ვეტერანი ფეხბურთელი გივი ... | დაფქული მარცვლის გარსის ნარჩენი |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |

| იტალიური მაფია „... ნოსტრა“ | ლევან ლელაშვილის მეტსახელი | „ჯერ მწარე ..., კვლავ ტკბილი...“ | წანაზარდი პირუტყვის თავზე | სიო | ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი | დადებითად დამუხტული ელექტრონი | „ჭირი იქა, ლხინი ...“ | ხის გ... არდ... |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |




თანხების მოზიდვის შემთხვევაში, მსმენელებს სასწავლო კურსს უფასოდ ვუტარებთ. სრული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში კი, მსმენელებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.

**— ალბათ თქვენი ინკუბატორის აღსაზრდელები ძირითადად, ქალბატონები არიან, ხომ?**

— მართალია, ქართული ტრადიციების თანახმად, ოჯახის მარჩენლად ყოველთვის მამაკაცი ითვლებოდა, მაგრამ დღეისათვის მოხდა ფუნქციების გადანაწილება ქალსა და მამაკაცს შორის. 90-იანი წლები უმძიმესი პერიოდი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. მაშინ ბევრი განათლებული ქალბატონი იძულებული გახდა, ოჯახი სახლიდან გამოტანილი ნივთების გაყიდვით ერჩინა. მამაკაცებს, ღირსების შელახვად მიაჩნიათ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა. ქალი, რომელსაც შვილი მშიერი ჰყავს, უკან არაფერზე დაიხევს. ამიტომ, ამ უკანასკნელ პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესში ძირითადად, ქალების რეალიზაცია მოხდა... ჩვენს ბიზნესინკუბატორში 670 მეწარმეა მომზადებული და ისინი უმეტესად, ქალბატონები არიან, მაგრამ არც მამაკაცებს ვეუბნებით უარს. ხშირად მოდიან ჩვენთან უკვე ასაკოვანი ქალბატონები, რომლებმაც ვერ იშოვეს სამსახური საკუთარი პროფესიით და სურვილი აქვთ, შემოსავლიანი ბიზნესი წამოიწყონ.

**— ბიზნესის ყველა სფეროს თქვენი ინკუბატორი ალბათ ვერ მოიცავს. გვითხარით, კონკრეტულად რას ეუფლებიან თქვენი მსმენელები?**

— პირველ რიგში გეტყვით, რომ 1999 წლიდან, ჩვენი ბიზნესინკუბატორი მცირე სესხების გაცემის პროგრამას ახორციელებს. ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები კი, დევნილი და მოსახლეობის ღარიბი ნაწილის წარმომადგენელი ქალბატონები არიან. დღესდღეობით, ეს პროგრამა 3500 ადამიანს მოიცავს. სამომავლოდ, დაგეგმილი გვაქვს, რომ ანალოგიური — მცირე სესხების პროგრამა კახეთსა და ქვემო ქართლში განვახორციელოთ. პირველი, რაც ბიზნესინკუბატორში შემოსვლისას მოგხვდებათ თვალში, არის პატარა მინიმარკეტი, სადაც სასურსათო ბიზნესით დაინტერესებულ მსმენელებს ვასწავლით სწორი მარკეტინგის წარმოებას. გვაქვს ლექციების მთელი კურსი იმის ასათვისებლად, თუ როგორ მოემსახურონ მომხმარებელს. აქვეა პატარა საცხობი, სადაც მსმენელები ეუფლებიან არა მხოლოდ კულინარიულ ოსტატობას, არამედ სწავლობენ, თუ როგორ უნდა გაუძღვნენ ამგვარი საცხობის საქმიანობას. ჩვენ მათთან ერთად ვადგენთ ბიზნესგეგმას, ვაწარმოებთ ფინანსურ გათვლებს, მეზობელ ოთახში მდებარეობს პატარა სამკერვალო საამქრო, რომელიც წარმოადგენს ჭრა-კერვის სასწავლო ბაზასაც, და ამავე დროს, მცირე საწარმოს მშვენიერი ნიმუშია მათთვის, ვისაც სურვილი აქვს, სამკერვალო ბიზნესი წამოიწყოს. გვაქვს აგრეთვე გობელენების საამქრო, სადაც ახალგაზრდა ქალბატონებს ქართული ტრადიციული ორნამენტებით ქსოვის კულტურას ვასწავლით. ხშირად ვაწყობთ ჩვენი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. მაგალითად, ბოლო ასეთი გამოფენა, ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით, შარშან დეკემბერში გაიმართა. პირველად ასეთი გამოფენა-გაყიდვა ნიდერლანდების საელჩოს ხელშეწყობით მოვაწყვეთ. საკმაოდ საინტერესო პროექტი გახლდათ: შევკრიბეთ ხანდაზმული ქალბატონები, რომლებიც საკმაოდ კარგად იცნობდნენ გობელენით ქსოვის ხელოვნებას. ერთ-ერთი მათგანი ასი წლის გახლდათ. ფაქტობრივად, ეს ქუდების გამოფენა იყო, რომლის ექსპონატები შემდეგ, ობოლ ბავშვებს დავურიგეთ. მსგავს გამოფენებს უცხოეთშიც ვაწყობთ ხოლმე. შარშან, ჟენევაში ჩატარდა მეწარმე ქალთა მეორე ფორუმი, სადაც ჩვენი პროდუქციის გამოფენაც მოეწყო და კარგი შეფასების დასტურად, სერტიფიკატი გადმოგვეცა... ჩვენს ბიზნესინკუბატორში მოქმედებს სილამაზის სალონი, სადაც ისწავლება, როგორც სადალაქო ხელოვნება, ასევე ამგვარი ბიზნესის მართვის საფუძვლები. აქვეა მცირე ქიმწმენდის საამქრო, ფეხსაცმლის ატელიე. ყველაზე საინტერესო კი, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრია, სადაც ნებისმიერი მეწარმისათვის საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი. ამ საინფორმაციო ცენტრში შესულია მონაცემები ყველა ქართველი მეწარმის, ბიზნესმენისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ. მჭიდრო კავშირები გვაქვს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ, ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრთან.

**— საქართველოს სხვა რეგიონშიც ხომ არ აპირებთ ამგვარი სასწავლო პროგრამების ჩატარებას?**

— ჩვენ ვმართავთ ფორუმებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ერთი წლის განმავლობაში, ჩვენთან ლექციებს კითხულობდა ამერიკელი ბიზნესკონსულტანტი ქალბატონი ლორეტა ლანდი. უკანასკნელ ხანს კი, ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ოთხი ბიზნესკონსულტანტი იტალიიდან და მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამის ფარგლებში, ორმოცდაათი მეწარმე ქალბატონი მოვამზადეთ.

**— რა ჯილდო გადმოგცათ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, როცა მასთან ერთად ფოტოსურათს გიღებდნენ?**

— ბატონი ედუარდი ესტუმრა ჩვენს ბიზნესინკუბატორს და პირადად გადმომცა ღირსების ორდენი მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ჩვენი სტუმარი იყო აგრეთვე თითქმის ყველა ქვეყნის ელჩი საქართველოში. ჩვენი ორგანიზაცია დიდი ბრიტანეთის პროფესიონალ და ბიზნესმენ ქალთა ორგანიზაციის წევრიცაა, მე კი, ევროპის ეკონომიკური კომისიის ექსპერტი გახლავართ.

■

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...ნის ...ჭელი | მდიდრული აგარაკი | მინის ჭურჭელი | სიხარულის შეძახილი | აკვნის ატრიბუტი | მულტფილმი „..., დამაცადე“ | რეპტილია | მზის ღმერთი | ხორცეული პროდუქტი | პატარა ტანის ადამიანი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალ ზელანდიაში გავრცელებული ფრინველი | სპირტში გახსნილი ფისი (აპრიალებენ ხეს) | ვულკანური მასა | სამაგიდო თამაში | მკვეხარა | ქართველი კუტიურიე ბაკურ ... | მსახიობი იპოლიტე ... | |

შორენა მერკვილაძე

# დიდი მარხვა

*წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვის დღეებიდან აღდგომის მარხვა — ანუ დიდი მარხვა მნიშვნელობით, სიმკაცრითა და სადღესასწაულო განწყობით, სრულიად გამორჩეულია. დიდი მარხვის დაცვით, ყველაზე აღმატებული საეკლესიო დღესასწაულის — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად ვემზადებით.*

*დიდმარხვა შვიდი კვირის მანძილზე გრძელდება, მთელი ეს პერიოდი, არის გახსენება მაცხოვრის ორმოცდღიანი მარხულობისა და მისი ვნებისა. აქედან გამომდინარე, სააღდგომო მარხვა ორ ნაწილად იყოფა. მარხვის პირველ ნაწილში, წმინდა ეკლესია იხსენიებს მაცხოვრის ორმოცდღიან მარხულობას იუდეის უდაბნოში. ბოლო შვიდი დღის მანძილზე — ანუ ვნების შვიდეულში კი, ხდება მოხსენიება დედამიწაზე უფლის მიერ გატარებული უკანასკნელი დღეებისა, როდესაც მოხდა მისი გაცემა და ჯვარზე ვნება.*

*დიდმარხვას წინ უძღვის — მეზვერისა და ფარისევლის კვირა; უძღები შვილის კვირა და ხორციელისა და ყველიერის კვირიაკეები. დიდმარხვის დაწყების წინ, ყველიერის კვირის დასასრულს, წმინდა ეკლესიის მიერ დადგენილია შენდობის — ანუ მიტევების კვირა, რომლის შემდეგაც იწყება დიდი მარხვა...*

*რატომ უძღვის წინ დიდმარხვას მეზვერისა და ფარისევლის კვირა და სხვა კვირიაკეები? რა დანიშნულება აქვს შენდობის კვირას? იცვლება თუ არა საეკლესიო ცხოვრება დიდმარხვის პერიოდში? — ამ და სხვა საკითხებს, ქრისტეშობის სახელობის ტაძრის მოძღვარი,* ***დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე*** *განგვიმარტავს.*



— ნებისმიერი დიდი საქმის დაწყების წინ, ხდება მომზადება. დავუშვათ, ვემზადებით გამოცდების ჩასაბარებლად, მოუმზადებლად თუ მივალთ, ბუნებრივია, გამოცდებს ვერ ჩავაბარებთ. ასევე საჭიროა მომზადება დიდი მარხვის დაწყების წინ. ამიტომაც არის დადგენილი წმინდა ეკლესიის მიერ მოსამზადებელი კვირიაკეები — მეზვერისა და ფარისევლის კვირა; უძღები შვილის კვირა და ხორციელისა და ყველიერის კვირიაკეები. ამ პერიოდში ხდება მორწმუნეთა მომზადება დიდი მარხვის დასაწყებად. ეკლესიის განჩინებით, მოსამზადებელ კვირიაკეებში ძლიერდება სინანულის ლოცვების კითხვა.

მეზვერისა და ფარისევლის კვირის დასაწყისში — საკვირაო წირვაზე, ეკლესია იხსენიებს იგავს მეზვერისა და ფარისევლის შესახებ (იგავს შეიძლება გავეცნოთ ლუკას „სახარებაში“), რომლითაც მორწმუნეებს შეახსენებს, რომ მარხვა უნდა დავიწყოთ არა ამპარტავნებითა და ფარისევლურად, ფარისევლის მსგავსად, არამედ მეზვერის მსგავსად — სინანულით; უძღები შვილის კვირის დასაწყისში, საკვირაო წირვაზე კი, ხდება ძე შეცდომილის იგავის გახსენება (იგავს გაეცნობით ლუკას „სახარებაში“, თავი 15). შეცდომილი ძის იგავის გახსენებით, წმინდა ეკლესია შეგვახსენებს, რომ როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუკი მას გულწრფელი სინანულის განცდა ექნება, ღმერთი უდიდესი სიყვარულით მიიღებს, ისეთივე სიყვარულით, როგორითაც შეცდომილი ძე მიიღო მისგან უარყოფილმა მშობელმა, როდესაც კვლავ ოჯახს დაუბრუნდა. უძღები შვილის კვირის დასასრულს, ხდება ხორცთა აკრება — ე.ი. ამ დღის შემდეგ, მორწმუნენი აღდგომის დღესასწაულამდე აღარ იხმევენ ხორცს. ყველიერის შვიდეულში დაშვებულია რძის ნაწარმისა და კვერცხის ხმევა.

— **დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდი მთავრდება შენდობის ანუ მიტევების კვირა დღით. რა დანიშნულება აქვს შენდობის კვირას?**

— შენდობის კვირა სათავეს იღებს ასკეტი მამების ცხოვრებიდან: დიდმარხვის დაწყების წინ, ასკეტი მამები მონასტრებიდან გადიოდნენ და ცალ-ცალკე მიდიოდნენ უკაცრიელ ადგილებში, სადაც მთელი დიდი მარხვის მანძილზე, უდიდეს ასკეტურ ღვაწლში იმყოფებოდნენ. ამ ხნის მანძილზე, რომელიმე მათგანი შეიძლებოდა, ამა სოფლიდან გასულიყო, ამიტომ უდაბნოში წასვლის წინ, ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და ერთმანეთისგან ცოდვათა შენდობას, მიტევებას ითხოვდნენ. შემდეგ ეს ჩვეულება წმინდა ეკლესიამ ერში მცხოვრებ ადამიანთათვისაც დაადგინა, რომელიც დღემდე გრძელდება. დიდმარხვის დაწყების წინ, საკვირაო წირვის და ქადაგების დასრულების შემდეგ, მღვდელი მრევლს მოუწოდებს, რომ ერთმანეთს სთხოვონ ურთიერთშენდობა, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვათა გამო. მიტევების კვირა დღეს ცოდვათა შენდობა უნდა ვთხოვოთ ყველა ახლობელს.

— **იცვლება თუ არა საეკლესიო ცხოვრების ჩვეული წესი დიდმარხვის პერიოდში?**

— დიდმარხვის პერიოდში საეკლესიო ცხოვრება სრულიად განსხვავებულია, — იცვლება, როგორც საეკლესიო ღვთისმსახურებები, ასევე საეკლესიო საკითხავები. ქრისტიანული ღვთისმსახურების წიგნებში საერთოდ, ხშირად გვხვდება მოწოდება სინანულისკენ, მაგრამ დიდმარხვის პერიოდში, საკითხავ ლოცვებში კიდევ უფრო ძლიერდება სინანულისკენ მოწოდება. ამ პერიოდში ასევე იცვლება სამღვდლო შესამოსელიც: ფერად შესამოსელთა ნაცვლად, ღვთისმსახურების აღსრულების დროს, სამღვდლო პირები შავი შესამოსლით იმოსებიან, გარდა კვირა დღისა (კვირადღე, როგორც საუფლო დღე, დიდი მარხვის დროსაც გამოირჩევა სხვა დღეებისგან). გარდა სამღვდლო შესამოსლისა, დიდმარხვის დაწყების წინ, ტაძრის ყველა ფერად შესამოსელს, შავი ფერის შესამოსლით ცვლიან — ფარდებს, ანალოღიაზე გადასაფარებელს და სხვა.

— **რა დანიშნულება აქვს შავი ფერის შესამოსლით ფერად შესამოსელთა შეცვლას?**

— შავი სინანულის ფერია; როდესაც დიდი მარხვის პერიოდში, ყველაფერი შავი ფერის შესამოსლითაა შემოსილი, ეს შეგვახსენებს, რომ გაძლიერებული სინანულის — ანუ ცოდვათა გამო ტირილის დროა დამდგარი.

**— დიდი მარხვის პერიოდში, წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია „ეფრემ ასურის ლოცვის“ კითხვა. როგორ უნდა ვიკითხოთ „ეფრემ ასურის ლოცვა“ და რა მნიშვნელობა აქვს მას?**

— მონასტრებში, სადაც საეკლესიო ტიპიკონი სრულად სრულდება, ეს ლოცვა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იკითხება: ეს ხდება მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ წმინდა ეკლესიის მიერ მორწმუნეთათვის ,,ეფრემ ასურის ლოცვის‘‘ კითხვა დადგენილია დიდი მარხვის პერიოდში. ,,ეფრემ ასურის ლოცვაში‘‘ გადმოცემულია განსაცვიფრებელი სინანული, ამიტომ ამ ლოცვის წარმოთქმა ადამიანს სინანულის გამძაფრებაში ეხმარება. ,,ეფრემ ასურის ლოცვის‘‘ დროს კეთდება ოთხი სრული (დიდი) და თორმეტი არასრული (მცირე) მეტანია:

,,უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობისმოყვარებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე (დიდი მეტანია).

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე, მონასა შენსა (დიდი მეტანია).

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე. ამინ (დიდი მეტანია).

ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე (12-გზის მცირე მეტანია)‘‘.

ლოცვა იკითხება თავიდან ბოლომდე და სრულდება დიდი მეტანიით.

,,ეფრემ ასურის ლოცვას‘‘ ვწყვეტთ პარასკევის მწუხრიდან კვირის მწუხრამდე, შემდეგ კვლავ განახლდება. შეიძლება, ლოცვა შევწყვიტოთ შაბათ-კვირას და ორშაბათიდან განვაახლოთ.

**— დიდი მარხვის პერიოდში ასევე იკითხება ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“. როგორ უნდა ვიკითხოთ კრიტელის „დიდი კანონი“?**

— კრიტელის ,,დიდი კანონი‘‘ ტაძარში იკითხება დიდმარხვის პირველ კვირაში, ყოველდღიურად. მორწმუნეს მისი წაკითხვა შინაც შეუძლია, მთელი დიდი მარხვის პერიოდში — სრულად ან ნაწილ-ნაწილ, ცხოვრების წესიდან გამომდინარე. არ იკითხება შაბათ-კვირას, მსგავსად ,,ეფრემ ასურის ლოცვისა‘‘.

**— დიდი მარხვის პერიოდში, შაბათ-კვირას მარხვა შედარებით მსუბუქდება. მაგალითად, წყდება „ეფრემ ასურის ლოცვის“ კითხვა, მეტანიები და სხვა. რატომ არის საჭირო შაბათ-კვირას მარხვის შემსუბუქება?**

— საერთოდ, დიდი მარხვა საკმაოდ მძიმე მარხვაა — როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით. ეს მარხვა ადამიანისგან დიდ ღვაწლს მოითხოვს. წმინდა მამები დიდმარხვას ამსგავსებენ დიდ გზას, რომლის გავლის დროსაც, ადამიანს გზადაგზა შესვენება სჭირდება. ასევე ისვენებენ შაბათ-კვირას, მარხვის შემსუბუქებით, მორწმუნენი, რომლებიც მარხვას ჯეროვნად იცავენ, რათა არ მოხდეს ადამიანის სულიერი და ხორციელი დაუძლურება. შაბათ-კვირას დაშვებულია ერთი ჭიქა ღვინის მიღებაც.

**— დიდი მარხვის მესამე კვირა იწოდება ჯვართაყვანისცემის კვირად. რა მნიშვნელობა აქვს ჯვრის თაყვანისცემას, რომელიც ამ კვირაში ხდება?**

— ჯვართაყვანისცემის კვირაში, ტაძრის შუაგულში გამოსვენებულია პატიოსანი ჯვარი, რომელსაც თაყვანს სცემენ მორწმუნენი. ჯვრის თაყვანისცემას უდიდესი სულიერი მნიშვნელობა აქვს: თუკი ადამიანი დიდმარხვის გარდასულ კვირებში მარხვას ჯეროვნად იცავდა — გაძლიერებულად ლოცულობდა, კითხულობდა ,,ეფრემ ასურის ლოცვას‘‘, აღასრულებდა მეტანიებს და სხვა ყველა იმ წესს, რომელიც მოეთხოვება მარხვის პერიოდში — მას სჭირდება სულიერი შეწევნა. ამიტომ მარხვის შუა გზაზე, წმინდა ეკლესია გვახსენებს და გვაძლიერებს ჯვრის ძალით. ხოლო მათ, ვინც ფარისევლურად მარხულობდა, შეახსენებს, რომ ადამიანი უფლის წინაშე ვალდებულია, ისე ზიდოს საკუთარი ჯვარი, როგორც მას მოეთხოვება, რაც მარხვის ჭეშმარიტად ანუ ჯეროვნად დაცვასაც გულისხმობს. ამიტომ უნდა ვიმარხულოთ არა სხვათა დასანახად, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი მარხვა უფლისთვის სათნო იყოს.

დიდი მარხვის პერიოდში, წმინდა ეკლესია მომეტებულად ზრუნავს მიცვალებულთათვისაც. გარდა იმისა, რომ დიდმარხვის მე-2; მე-3 და მე-4 შაბათს, დაწესებულია მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენიების დღეები, დიდმარხვის დაწყების წინ, ტაძარში უნდა შევაგზავნოთ სპეციალური — ორმოცდღიანი მოსახსენიებელი, სადაც ჩავწერთ გარდაცვლილ ახლობელთა სახელებს, რათა მოხდეს მათი მოხსენიება ორმოცი დღის განმავლობაში.

■





,,ეშმაკნიც დაგვემორჩილებიან სახელითა შენითა‘‘, — მოციქულებმა უთხრეს მოძღვარს საქადაგებლად წასვლის წინ, რაზედაც იესომ მიუგო: ,,ნუ გიხარიათ, რომ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქვენი დაიწერა ცათა შინა‘‘.

***ლუკა (10, 17)***

ბრძენმა კაცმა ყოველთვის უნდა აირჩიოს ის გზები, რომელიც დიდ ადამიანებს გამოუვლიათ და მიჰბაძოს მათგან ყველაზე უფრო შესანიშნავ მოღვაწეებს. ასე რომ, თუ ამ ნაცად გზაზე მათ დიდებას ვერ მიაღწევს, რაღაც სხივს მაინც გადმოიღებს.

***ნიკოლო მაკიაველი***

ჩემი ერთადერთი ძალა ჩემი შეუპოვრობაა.

***ლუი პასტერი***

ჭეშმარიტების აღმოჩენა მდგომარეობს არა ფაქტების უხვად დამოწმებაში, რაც ადამიანს პედანტად აქცევს, არამედ საჭირო ფაქტების გამოყენებაში, რაც მას ფილოსოფოსად ხდის.

***ჰენრი თომას ბოკლი***

უსაფუძვლო ქება და ქათინაური არც მაქებელს სდებს პატივს, არც საქებელს.

***ფრიდრიხ გრიმი***

ჩემი მუსიკა მსოფლიოს საკუთრებაა.

***იოჰან სებასტიან ბახი***

სამწუხაროდ, სისტემებს მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ადამიანებს.

***ბენჯამინ იზრაელი***

არა არის რა იმაზე უფრო სირცხვილი, რომ იყო უსარგებლო საზოგადოებისათვის და თავისთვის, გეყოს გონება მხოლოდ იმისათვის, რომ არაფერი აკეთო.

***ბლეზ პასკალი***

# ნისტელროოი 200 გოლის გატანას აპირებს

ცოტა ხნის წინ, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა შედეგიანმა ფორვარდმა, რუდ ვან ნისტელროოიმ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2008 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. ჰოლანდიელს 127 მატჩში 100 გოლი აქვს გატანილი და როგორც თავად ამბობს, ამ რიცხვის 200-მდე გაზრდას აპირებს. ამაში ალბათ 27 წლის ნისტელროოის გულშემატკივრებს ეჭვი ნამდვილად არ შეეპარებათ, რადგან ერთ სეზონში 30 გოლის გატანა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.



2004 წლის დასაწყისი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობისთვის. ინგლისურმა სუპერკლუბმა ჯერ ალექს ფერგიუსონთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, შემდეგ კი, რუდ ვან ნისტელროოისთან. სხვათა შორის, ჰოლანდიელ ფორვარდთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ფეხბურთელი ანაზღაურებით უკმაყოფილო არ დარჩენილა. მით უმეტეს, რომ იგი ნებისმიერი ევროპული საკლუბო გრანდისთვის სასურველ მოთამაშედ ითვლება. ნისტელროოის შეძენა ისეთ ფინანსურ მონსტრებსაც კი სურდათ, როგორებიც არიან: „რეალი“ და „ჩელსი“, თუმცა ამ გუნდებს თავიანთი გეგმების რამდენიმე წლით გადადება ან ჰოლანდიელის სანაცვლოდ „მანჩესტერისთვის“ ასტრონომიული თანხის შეთავაზება მოუწევთ.

რუდ ვან ნისტელროოი „მანჩესტერმა“ 2001 წლის აპრილში 19 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. მას შემდეგ ალექს ფერგიუსონის გუნდის თავდასხმა გულშემატკივრებს ჰოლანდიელის გარეშე ვერც წარმოუდგენიათ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, სამი წლის მანძილზე რუდმა კლუბის ყველა რეკორდი გააუმჯობესა. იგი ორჯერ დაეუფლა ინგლისის ჩემპიონის ტიტულს, ზედიზედ ორჯერ გახდა უეფას ჩემპიონთა ლიგის, ხოლო ერთხელაც — პრემიერ-ლიგის საუკეთესო ბომბარდირი.

ამჟამად ვან ნისტელროოი 19 მილიონზე გაცილებით ძვირად ფასობს, თუმცა მის გაყიდვას „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯერჯერობით ნამდვილად არ აპირებს. არადა, ოთხი წლის წინ, იგი საკუთარ თავს ყველაზე უიღბლო ფეხბურთელად მიიჩნევდა. 2000 წლის მარტში, პსვ-ს შემადგენლობაში ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში მან მუხლის ტრავმა მიიღო. მალე რუდი საცდელი ვადით „მანჩესტერის“ შემადგენლობაში აღმოჩნდა, სადაც ვარჯიშის დროს კვლავ დაიზიანა მუხლის მყესი და მთელი 10 თვით გამოეთიშა ფეხბურთს. ჰოლანდიურ და ინგლისურ კლუბებს შორის ნისტელროოის ტრანსფერი ჩაიშალა (ფორვარდში ბრიტანელები 18,5 მილიონ გირვანქა სტრელინგს იხდიდნენ), ხოლო რუდი იძულებული გახდა, ევროპის ჩემპიონატი გამოეტოვებინა. მიუხედავად ამისა, მანჩესტერელები მაინც განაგრძობდნენ დაკვირვებას თავდამსხმელზე, რომელიც 2001 წლის მარტში, პსვ-სა და ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა. უკვე აპრილში კი, იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა.

სამი წლის განმავლობაში „მანჩესტერის“ რიგებში ასპარეზობისას მან ევროტურნირებში 28 გოლი გაიტანა და დენის ლოუს მიღწევა გაიმეორა. როგორც მოსალოდნელია, უახლოეს მომავალში, ნისტელროოი ამ შედეგს გააუმჯობესებს და ერთპიროვნულ რეკორდს დაამყარებს. 2002 წელს ჰოლანდიელმა ზედიზედ რვა მატჩში შეძლო გოლების გატანა და 48 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა. სწორედ იმ სეზონში, ნისტელროოი იქცა ფეხბურთელად, რომელმაც ბოლო 15 წლის მანძილზე პირველად შეძლო სეზონში 30 გოლის გატანა.

„შეუძლებელია, კლუბში მისი როლის გადაჭარბებით შეფასება. მას შემდეგ, რაც რუდი ჩვენს რიგებშია, მან ყველა რეკორდი გააუმჯობესა, რაც მიზნად ჰქონდა დასახული. ნისტელროოი საუცხოო შენაძენია ჩვენთვის და მოხარულები ვართ, რომ ის გუნდში რჩება“, — კმაყოფილებას ვერ ფარავდა ალექს ფერგიუსონი მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა „მანჩესტერთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით ბევრს მივაღწიე, მაგრამ მომავალში უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. ასე რომ, ძალისხმევას არ დავიშურებ“, — აცხადებს თავად რუდ ვან ნისტელროოი, რომელმაც კარიერა „დენ ბოსხში“ დაიწყო და ამ კლუბში 1997 წლამდე თამაშობდა; 1998 წელს კი, უკვე „ჰერენვენის“ მაისურით, 134 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც იგი პსვ-მ 5 მილიონი დოლარად შეიძინა. „ეინდჰოვენის“ რიგებში რუდმა პირველივე სეზონში 31 გოლი გაიტანა და მთელ ევროპაში შეუპოვარი გოლეადორის სახელი დაიმკვიდრა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ჰოლანდიელ თავდამსხმელზე ევროპული საკლუბო გრანდები უკვე ნადირობდნენ. ■

# „რომა" არ იყიდება!

ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსულ ნავთობკომპანიას, „ნაფტა-მოსკოვს" იტალიური „რომას" შეძენის სურვილი გამოუთქვამს. რუსები მზად იყვნენ, 400 მილიონი ევრო გადაეხადათ. თავად რომაელები ამ ინფორმაციას უარყოფენ და ამტკიცებენ, რომ ვალების მიუხედავად, კლუბი კვლავაც მყარად დგას ფეხზე. სხვათა შორის, იტალიაში ამჟამად ძნელად მოიძებნება ისეთი გუნდი, რომელსაც ვალი არა აქვს. თანაც, მიმდინარე სეზონში „რომა" სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერია და ქვეყნის თასის დასაუფლებლადაც აქტიურად იბრძვის. ასე რომ, კლუბის მესვეურებს მაინცდამაინც არ უნდა აშინებდეთ მომავალი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცოტა ხნის წინ, რომან აბრამოვიჩმა რომაელებს, ფრანჩესკო ტოტისა და ემერსონის სანაცვლოდ, 120 მილიონი ევრო შესთავაზა.

# საჩუქრად 25 ათასი კიგანისაგან



ინგლისის თასის გათამაშების მეოთხე რაუნდში „სიტი" ანგარიშით 0:3 აგებდა „ტოტენჰემთან", თანაც, მანჩესტერელები ათნი თამაშობდნენ და მაინც, ამ ვითარებაშიც კი, ალბიონზე მოიძებნა კაცი, რომელმაც გაბედა და კევინ კიგანის გუნდზე დადო ფსონი. ეს გახლდათ 33 წლის პოლ მაკენი. აღსანიშნავია, რომ როდესაც მაკენი ტელეფონით ტოტალიზატორში ფულს დებდა, „მანჩესტერ სიტის" მოგებაზე კოეფიციენტი 1:250-ზე გახლდათ. „კიგანმა და კომპანიამ" კი, მართლაც სასწაული მოახდინა და არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ ერთი ბურთის სხვაობით მოიგო კიდეც. სწორედ „სიტის" მიერ გატანილმა ოთხმა გოლმა გაამდიდრა მაკენი 25 ათასი გირვანქა სტერლინგით. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, ამ გუნდის ქომაგი არ ყოფილა. უფრო მეტიც — პოლი თურმე „სიტის" ყველაზე დაუძინებელ მტერს, „მანჩესტერ იუნაიტედს" ქომაგობს. გასათვალისწინებელია, რომ ინგლისში კევინ კიგანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ამიტომ, შეიძლება პოლ მაკენმა „სიტის" მოგებაზე ფული სწორედ მისი გამოცდილების საფუძველზე დადო... ერთი სიტყვით, მატჩის შემდეგ, პოლს შამპანურიც გაუგზავნია კიგანისთვის, თუმცა ისიც აღუნიშნავს, რომ „მანჩესტერ სიტის" ქომაგობას არც მომავალში აპირებს.

# კლინსმანი ამერიკაშია

გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, იურგენ კლინსმანი ამერიკული საფეხბურთო კლუბის, „ლოს-ანჯელეს გელექსის" ტექნიკურ მრჩევლად დაინიშნა. იგი კონსულტაციას გაუწევს არა მარტო მოთამაშეებს, არამედ მწვრთნელებსაც. გარდა ამისა, იურგენს უცხოურ გუნდებთან კავშირების დამყარება და საერთაშორისო ტურნირებში „ლოს-ანჯელეს გელექსის" მონაწილეობის ორგანიზებაც ევალება. სწორედ კლინსმანის ინიციატივით, ცოტა ხნის წინ, ამერიკულ კლუბს ავსტრიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, ანდრეას ჰერცოგი შეუერთდა.

# რუნის 23 წლის გოგონა უჩივის



„ევერტონისა" და ინგლისის ეროვნული ნაკრების ვარსკვლავი, უეინ რუნი უახლოეს მომავალში, ჩვენებას მისცემს სამართალდამცავ ორგანოებს. 23 წლის გოგონა ამტკიცებს, რომ უეინმა მას მანჩესტერის ერთ-ერთ ღამის კლუბში სახეში შეაფურთხა. „8 თებერვალს, ღამის სამ საათზე, კლუბში 18 წლის ახალგაზრდამ სახეში შეაფურთხა 23 წლის გოგონას, რომელმაც მაშინვე მიმართა პოლიციას," — განაცხადა The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მანჩესტერის პოლიციის პრესმდივანმა. ცხადია, რუნის ადვოკატები ამ ბრალდებას უარყოფენ: „უეინის მიმართ წაყენებულ ბრალდებას საფუძველი არ გააჩნია. ეს ჩვეულებრივი ცილისწამებაა". თავად ფეხბურთელი კი თანახმაა პოლიციასთან თანამშრომლობაზე, რათა ამ ინციდენტს ნათელი მოეფინოს.

# ალკოჰოლი ბესტს სექსში ხელს არ უშლის



ვიდრე ჯორჯ ბესტის ყოფილი მეუღლე, ალექსი წარმატებულად მოღვაწეობს ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში, თავად „მანჩესტერის" ცოცხალი ლეგენდა რეგულარულად ხვდება პიკანტურ სიტუაციებში, რომელიც ცხადია, ალკოჰოლიზმთანაა დაკავშირებული. ბოლო დროს, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ორჯერ დააკავეს მთვრალ მდგომარეობაში, ავტომობილის მართვისას, მაგრამ თავად ბესტს, როგორც ჩანს, არა მარტო ეს ფაქტი, არამედ არც ის აღელვებს, რომ მან ერთხელ უკვე გაიკეთა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ურთულესი ოპერაცია. არადა, ალკოჰოლური სასმელების ბოროტად მოხმარება ექსმანჩესტერელს თურმე სულაც არ უშლის ხელს აქტიურ სქესობრივ ცხოვრებაში. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, მას ერთ-ერთ ლუდხანაში 34 წლის ქალბატონი გაუცნია, რომელიც მეტისმეტად მოხიბლულა ფეხბურთელის თვალებითა და ირლანდიური აქცენტით. ცხადია, ამ ხნის მანძილზე თავად ჯორჯი სმას განაგრძობდა. შემდეგ თავისი ახალგაცნობილი პარტნიორი შინ წაიყვანა და „საქმეს" შეუდგა... მოგვიანებით, The Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მისტერ ჯორჯის ახალმა საყვარელმა განაცხადა, რომ იგი ფეხბურთის ლეგენდასთან ურთიერთობით კმაყოფილი დარჩა. ქალბატონმა აღფრთოვანება ვერ დაფარა იმის გამო, რომ იგი ბესტთან სექსით დილითაც იყო გართული. თუმცა, იქვე დასძინა — არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება, ის „ვიაგრის" ზემოქმედების ქვეშაც იმყოფებოდაო...

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# Aston Martin – წმინდა წყლის ინგლისური კაბრიოლეტი

Aston Martin DB9 Volante ფართო საზოგადოების წინაშე პირველად, დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარდგა. ელეგანტური კაბრიოლეტი, მონახაზის ელეგანტურობითა და ორიგინალური საინჟინრო გადაწყვეტით გამოირჩევა. მისი ძარა (მასა – 1700 კგ-ს შეადგენს) ალუმინისგანაა დამზადებული. მანქანა აღჭურვილია V ტიპის 12-ცილინდრიანი,6 ლ სამუშაო მოცულობის ბენზინის ძრავათი, რომელიც 450 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარის მისაღწევად მას მხოლოდ 5 წმ სჭირდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 300 კმ/სთ-ს შეადგენს. მყიდველს საშუალება ექნება, თავად შეარჩიოს გადაცემათა კოლოფი – 6-სიჩქარიანი მექანიკური თუ ასევე 6-სიჩქარიანი ავტომატური.





მგზავრთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ორი მასიური რკალი, რომლის გააქტიურება, საჭიროების შემთხვევაში, ავტომატურად ხდება. სახურავი ელექტროამძრავით იმართება: მის დასაკეცად სულ 17 წმ-ია საკმარისი.

ახალი კაბრიოლეტის საბაზო მოდელად გამოყენებულია Aston Martin DB9, რომელიც 2003 წლის სექტემბერში გამართულ ფრანკფურტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. DB9, ინგლისის ქალაქ ჰაიდონში მდებარე, ,,ასტონ მარტინის“ ქარხანაში წარმოებული პირველი ავტომობილი იყო. კორპორაცია ,,ფორდის“ (მას ეკუთვნის ამჟამად ,,ასტონ მარტინის“ მარკა) მესვეურთა გეგმის თანახმად, მომავალში, სწორედ ეს ქარხანა იქნება პრესტიჟული მოდელების მთავარი სამრეწველო ბაზა. ძრავებს კი ამ მარკის მანქანებისთვის, გერმანიის ქალაქ კიოლნში მდებარე ,,ფორდის“ საწარმოში გამოუშვებენ. აქამდე, ,,ასტონ მარტინის“ აგრეგატებს, კომპანია Audi-ს ერთ-ერთ საწარმოში – Cosworth Technology-ში აწარმოებდნენ. კიოლნის ქარხნის სიმძლავრე იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ 2005 წლიდან, მანქანების წარმოება სამჯერ გაიზარდოს.

Aston Martin DB9 Volante-ს გაყიდვა წლეულს, შემოდგომაზე დაიწყება. მისი სავარაუდო ფასია 170.000 ევრო. უფრო ადრე, კერძოდ მაისში, დილერები კუპეს – Aston Martin DB9-ს მიიღებენ, რომელიც 150.000 ევრო ეღირება. მარკეტოლოგების აზრით, ,,ასტონ მარტინის“ მთავარ კონკურენტად, ასევე ინგლისური ავტომანქანა – Bentley Continental GT მოგვევლინება. ■

# Chrysler-ის სიურპრიზი



იანვარში გამართულ დეტროიტის ავტოსალონზე წარმოდგენილ კონცეპტუალურ მოდელებს შორის, ავტომოყვარულთა და სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო ,,კრაისლერის“ ორმა ახალმა პროექტმა. სპორტული ავტომობილი Dodge Sling Shot 100 კმ/სთ სიჩქარეს 10 წმ-ში ავითარებს და საკმაო ეკონომიურობითაც გამოირჩევა: ყოველ 100 კმ-ზე 5,5 ლ საწვავს ხარჯავს. მაგრამ ჯერჯერობით, მისი სერიული წარმოების სავარაუდო ვადებიც კი არ გამოუცხადებიათ. კომპანიის მესვეურების თქმით, ისინი პოტენციური მომხმარებლების რეაქციას აკვირდებიან.



უფრო რეალურია, ავტობაზარზე ,,კრაისლერის“ მეორე ახალი მოდელის – Jeep Rescue-ის გამოჩენა, რომელიც თავდაპირველად, სამაშველო და სამაძიებლო სამსახურებისთვის განკუთვნილ ავტომობილად იყო ჩაფიქრებული. ის ფენომენალური გავლადობით გამოირჩევა, სალონი კი, ადვილად გარდაიქმნება მოძრავ სამედიცინო პუნქტად. როგორც ,,კრაისლერის“ მენეჯერები აცხადებენ, გამორიცხული არაა, რომ ის, ცნობილი Jeep Wrangler-ის მოდერნიზებისას, საბაზო მოდელად მოგვევლინოს. ■

**ადამიანები ყოველთვის ეძიებდნენ პასუხს კითხვაზე — „რა გველის წინ?“ ამის გასარკვევად კი ისინი მიმართავდნენ ჯადოქრებს, მისნებს, ასტროლოგებსა და ძველ ტრაქტატებს. ეს საკითხი აღელვებს ყველას, დაწყებული დიასახლისებიდან და დამთავრებული პოლიტიკოსებითა და მეცნიერებით. მათ შორის, ვისაც მომავლის წინასწარ განჭვრეტა ძალუძს, არიან ნამდვილი წინასწარმეტყველნი და გაქნილი გაიძვერები, ამასთან ეს უკანასკნელნი ყოველთვის სჭარბობენ პირველთ. კაცობრიობის ისტორიაში იყვნენ ისეთი წინასწარმეტყველნიც, რომელთა სახელებიც მილიონობით ადამიანისთვისაა ცნობილი.**

# winaswarmetyvelebis უცნაური fenomeni



## ნოსტრადამუსი

მიშელ ნოსტრადამუსი, რომელსაც გასული წლის 14 დეკემბერს 500 წელი შეუსრულდა (1503-1566), – აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოღვაწეა. ის მონათლული ებრაელების ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ავინიონის უნივერსიტეტი. როგორც ექიმმა, სახელი გაითქვა ევროპაში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის დროს. მკურნალობის ახალი მეთოდის მეშვეობით, რომელიც უპირველეს ყოვლისა, პირადი ჰიგიენის დაცვას ეყრდნობოდა, ნოსტრადამუსმა ათეულობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო – აი, საკუთარი ცოლისა და ორი შვილის გადარჩენა კი ვერა. მათი სიკვდილის შემდეგ, 1537 წელს, ნოსტრადამუსმა დატოვა ახენი, სადაც იმხანად ცხოვრობდა და მოხეტიალე ცხოვრებას მიჰყო ხელი, ვიდრე საბოლოოდ არ დამკვიდრდა სალონში და ხელმეორედ არ იქორწინა. დაახლოებით იმ ხანებში შეიგრძნო მან, რომ წინასწარმეტყველების უნარით იყო დაჯილდოებული. 1550 წელს, ნოსტრადამუსმა გამოაქვეყნა ალმანახი, რომელშიც 24 წინასწარმეტყველური კატრენი (ოთხტაეპიანი ლექსი, რომელიც დასრულებულ აზრს შეიცავს) შედიოდა. ალმანახის პოპულარობამ ავტორის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ სიკვდილშემდგომი დიდება მას საკუთარმა წიგნმა – ,,ცენტურიონმა‘‘ (ლათინურად Centuria ასი კაცისგან შემდგარ რაზმს, ასეულს ნიშნავს) მოუტანა. ეს გახლდათ წინასწარმეტყველური ციკლი – ყოველი მათგანი ას ოთხტაეპიან კატრენს აერთიანებდა. ამ ნაშრომში ასზე მეტი წინასწარმეტყველება შედის.

ნოსტრადამუსი ირწმუნებოდა, რომ ნაშრომის წერისას მთლიანად ასტროლოგიას ეყრდნობოდა, მაგრამ არსებობს მთელი რიგი ფაქტებისა, რომლის ახსნაც ასტროლოგიურ ჩარჩოებში არაფრით ხერხდება. ეს გახლავთ რუსოს, ჰიტლერის, ფრანკოს გვარების დასახელება; საფრანგეთის ქალაქ ვარენის მოხსენიება, სადაც 1791 წელს, საფრანგეთის რევოლუციის დროს დევნილი ლუდოვიკო XVI, მარიაანტუანეტა და მათი შვილები დააკავეს, როცა ისინი ქვეყნის დატოვებას ცდილობდნენ. ასე რომ, წიგნი ავტორის წინასწარმეტყველურ უნარზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ასტროლოგიაში მის გაწაფულობაზე.

,,ცენტურიონის‘‘ კითხვისას უმთავრესი პრობლემა გახლავთ ის, რომ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებანი საკმაოდ ძნელად გასაგები ფორმითაა დაწერილი. არც ქრონოლოგიური თანამიმდევრობაა დაცული. ლეგენდის თანახმად, წიგნის პუბლიკაციის წინ, ავტორმა ხელნაწერი ფურცლები ჰაერში აყარა და ყოველგვარი თანამიმდევრობის დაცვის გარეშე წამოკრიფა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარმეტყველების ტექსტი კოდირებულია და ამასთან, საკმაოდ ძნელი გასაშიფრიც.

**ლეგენდის თანახმად, წიგნის პუბლიკაციის წინ, ავტორმა ხელნაწერი ფურცლები ჰაერში აყარა**

რისთვის დასჭირდა ავტორს ეს? სავარაუდოა, ავტორი უფრთხოდა იმას, რომ მის დიდებას არაკეთილმოსურნეთა შორის შური არ აღეძრა. მათ ხომ სულ იოლად შეეძლოთ ერეტიკოსობაში მისთვის ბრალის დადება; იმხანად ევროპაში მსგავსი რამეები საკმაოდ გავრცელებული გახლდათ და ამგვარი ბრალდება უმძიმესი შედეგით მთავრდებოდა ხოლმე. არსებობს მოსაზრება, რომ ნოსტრადამუსმა შეგნებულად არია წინასწარმეტყველებანი, რათა მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მომხდარიყო. პრინციპში, რაც არ უნდა ყოფილიყო ამის მიზანი, ფაქტი ერთია – ფრანგი ნათელმხილველის წინასწარმეტყველებიდან ნახევარზე მეტი ახდა. ნოსტრადამუსმა წინასწარ განჭვრიტა მსოფლიო ომების დასაწყისი და დასასრული; ნაცისტური გერმანიის მარცხი; კენედის



## ანტიდეპრესანტი

# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა ღვალიშ

**ჯიბის წიგნაკიდან:**

1. ქინთი საარყე ტიკჭორაა.

1. წაბლისფერ ცხენს ქურანას ეძახიან.

2. „სინდიყი“ და „ვერცხლისწყალი“ სინონიმებია.

3. კრამიტს საქართველოში სილანარევი თიხით ამზადებდნენ.

4. საფრანგეთის ხუთ მილიონზე მეტი მოქალაქე მუსლიმანია.

5. ფიტულთა დამზადების ხელოვნებას ტაქსიდერმია ეწოდება.

6. შექსპირი სუნამოს, „ბროლის კედლების თხიერ ტყვეს“ ეძახდა.

7. ლუდოვიკო XIII მთელ საფრანგეთში უპირველესი ბაზიერი იყო.

8. „კვალი ფერდობზე“ – ასე ითარგმნება სიტყვასიტყვით შვედური სიტყვა „სლალომი“.

9. ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილ პატარა ოთახს იმერეთში სანთიობო ჰქვია.

10. კომპიუტერული ვირუსი „შავი პარასკევი“ 13 რიცხვში, პარასკევ დღეს მოდის მოქმედებაში.

11. ფშავ-ხევსურეთში კაცს, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა – ვინ რა საჩუქარი მოიტანა ქორწილში, მყეფარს ეძახდნენ.

12. საბჭოთა კავშირთან ომის დროს, მილიონ-ნახევარი ავღანელი დაიღუპა და ნახევარი მილიონი დასახიჩრდა.



13. „დანტე, უკანასკნელი რომაული სასახლეა, ხოლო შექსპირი – უკანასკნელი გოტიკური ტაძარი“, – წერდა ვიქტორ ჰიუგო.

14. „ნა მინუ“ (არაფრად ღირებული ხორცი) – ასე ეძახიან პაპუასები მამაკაცს, რომელიც მტრის მოჭრილ თავის ქალებს არ ინახავს შინ.

15. ფრინველის ან ქვეწარმავლის ახალგამოჩეკილ მართვეს, წიწილასა თუ ბარტყს სინსილას ეძახიან.

16. დემოსთენე, მოლიერი, მოლოტოვი, მერილინ მონრო – აქ ჩამოთვლილ ყველა ადამიანს ენა ებმოდა.

17. ერთი წლის ერთსა და იმავე დღეს, მწერალთა სახლიდან გამოასვენეს შალვა დადიანის ნეშტი და დაასვენეს გალაკტიონის ნეშტი.

## შეუცნობელი




მკვლელობა; შიდსის ეპიდემია; საბჭოთა კავშირის დაშლა; ხიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქება...

### ვანგა

ბულგარელმა კასანდრამ (როგორც მას ხშირად უწოდებენ) საკუთარი წინასწარმეტყველური უნარი მას შემდეგ იგრძნო, რაც უცხო ადამიანი გამოეცხადა და ამცნო: „ხვალ ომი დაიწყება და შენ უნდა ამცნო ადამიანებს, ვინ დაიღუპება და ვინ გადარჩება. შენვე უნდა უკარნახო, თუ როგორ დააღწიონ თავი სიკვდილს“.

ცნობილი ნათელმხილველი ვანგელია პანდევა-გუშტეროვა ბულგარეთის სამხრეთდასავლეთით მდებარე ქალაქ პეტრიჩში ცხოვრობდა. ის 1911 წლის 31 იანვარს მოევლინა ქვეყანას. გოგონა უდღეური დაიბადა. 12 წლის ასაკში ვანგა ქარბორბალამ ჰაერში აიტაცა, 2 კილომეტრის მანძილზე ატარა და ბოლოს მიწაზე დაანარცხა. გოგონა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ სამუდამოდ დაბრმავდა.

ვანგას ნათელმხილველური ნიჭი თანდათან ვლინდებოდა. მოგვიანებით, მისი თანატოლები იხსენებდნენ, რომ მაგალითად, გიორგობა დღეს, ის ქოთნიდან მეზობელი გოგონების მიერ ჩაყრილ ნივთებს იღებდა და მათ მფლობელებს მომავალს უწინასწარმეტყველებდა. გოგონები, რაღა თქმა უნდა, იცინოდნენ, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ გააცნობიერეს, რომ მისი ნათქვამი ახდა. ვანგას უჩვეულო ტალანტი განსაკუთრებით ომის წლებში გამოვლინდა. სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება დიმიტრი გუშტეროვთან ნაცნობობა. ახალგაზრდა ჯარისკაცი წინასწარმეტყველს საკუთარი ძმის მკვლელების სახელების გასაგებად ესტუმრა. მკვლელების ვინაობის გამჟღავნებაზე ვანგამ უარი განაცხადა, რადგან შეეშინდა, რომ დიმიტრი შურს იძიებდა. მან ანუგეშა ყმაწვილი და დაჰპირდა, რომ ის აუცილებლად მოესწრებოდა იმ დღეს, როცა მისი ძმის მკვლელებს დასჯიდნენ. ჯარისკაცი იმდენად შეძრა წინასწარმეტყველის სიტყვებმა, რომ კიდევ არაერთგზის ეწვია მას; მოგვიანებით კი, ვანგას ხელიც სთხოვა. საზოგადოდ დამკვიდრებული სტერეოტიპის მიუხედავად, რომ ქალი, რომელიც ზებუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, პირად ცხოვრებაში აუცილებლად უბედური უნდა იყოს, ვანგამ და დიმიტრიმ ერთად ოცი ბედნიერი წელი გაატარეს. ისინი მხოლოდ ულმობელმა სიკვდილმა გაყარა. ამბობენ, როცა ვანგას აგონიაში მყოფი ქმარი სიკვდილის სარეცელზე იწვა, ცოლმა მის სასთუმალთან დაიჩოქა და დიდხანს რაღაცას ჩურჩულებდა. მაშინ კი, როცა დიმიტრის სული სხეულს გაეყარა, მან დაიძინა და მეუღლის დაკრძალვამდე არ გაუღვიძიაო. გამოფხიზლების შემდეგ კი უთქვამს: „მე მივაცილე ის იმ ადგილამდე, სადაც მას განსასვენებელი ჰქონდა მომზადებული“.

1941 წლიდან მოყოლებული 1996 წლამდე (როცა ვანგა გარდაიცვალა) ყოველდღე მის სახლთან უამრავი ადამიანი იყრიდა თავს და გულისფანცქალით ელოდა წინასწარმეტყველთან შეხვედრას. მათ შორის უამრავი ცნობილი ადამიანიც იყო. თავად ვანგას კი, მათთან ურთიერთობას უბრალო ადამიანების მიღება ერჩივნა, რომლებიც მისგან დახმარებასა და თანაგრძნობას ელოდნენ. იშვიათად ის მთელი სახელწიფოებისა და ერების ბედზეც ლაპარაკობდა და კაცობრობის მომავალსაც ჭვრეტდა. აი, ზოგიერთი მისი წინასწარმეტყველება: მეორე მსოფლიო ომის დაწყება; 1968 წელს პრაღაში განვითარებული მოვლენები; 1979 წლის არჩევნებში ინდირა განდის გამარჯვება და მისი მკვლელობა; საბჭოთა კავშირის დაშლა; ბალკანეთის ქვეყნების კონფლიქტი; რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთის დაახლოება; ბალკანეთის ქვეყნების გაერთიანება, აპოკალიფსი XXI საუკუნის დასაწყისში...

ვანგას ტალანტის განსაკუთრებულობა კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ მას ჯერ არდაბადებულ ბავშვებთან და გარდაცვლილთა სულებთან კონტაქტის დამყარება შეეძლო. ერთ-ერთი სტუმრის კითხვაზე, თუ რატომ ესაუბრება ის გარდაცვლილ დედაზე და უხილავად მას ხომ არ მოუყვანია მისი სული თან, ვანგამ უპასუხა: „არა, ის შენ არ მოგიყვანია. ისინი თვითონ მოდიან ჩემთან, ვინაიდან მე ვარ მათთვის – კარიბჭე“. მოგვიანებით კი, ეს მოვლენა ასე განმარტა: „როცა ადამიანი ჩემთან შემოდის, მის გვერდით მისი გარ-

დაცვლილი ნათესავებიც ჩნდებიან, ისინი მისვამენ კითხვებს და ჩემს კითხვებსაც პასუხობენ, მე კი მათ პასუხებს ცოცხლებს ვამცნობ.“

ვანგას საკუთარი წინასწარმეტყველების არანაირი ჩანაწერი არ დაუტოვებია, მას საერთოდ არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი და არც საკუთარ იდუმალებით მოცულ ფენომენზე ამბობდა რამეს. ის ღრმად მორწმუნე გახლდათ და ამტკიცებდა, რომ მას ეს ნიჭი ღვთისგან ჰქონდა ბოძებული: „მან თვალისჩინი წამართვა, მაგრამ სხვაგვარად ამიხილა თვალი, რომლის მეშვეობითაც მე ვხედავ როგორც ხილულ, ასევე უხილავ სამყაროს“. ვანგა საკუთარ ნიჭს ჯილდოდ ან მსუბუქ ტვირთად როდი მიიჩნევდა. მას არაერთხელ უთქვამს: „თქვენ რომ იცოდეთ, რა ხდება ჩემს თავში... მე მშურს თქვენი, ვინაიდან ვერაფერს ხედავთ და არაფერი გესმით“.

## მესინგი

იდუმალებით მოცული პიროვნება გახლდათ ვოლფ მესინგიც. ის 1899 წლის 10 სექტემბერს ვარშავის მახლობლად, ღარიბი, მრავალშვილიანი ებრაელის ოჯახში დაიბადა. უკეთესი ხვედრის საძებნელად რვა წლის ვოლფი სახლიდან გაიქცა და პირველსავე შემხვედრ მატარებელში ავიდა. როგორც აღმოჩნდა, მატარებელი ბერლინში მიემართებოდა. გზად, დახლქვეშ დამალული ბიჭუნა კონტროლიორმა იპოვა და ბილეთი მოსთხოვა. დამფრთხალმა ვოლფმა კონტროლიორს უბრალო ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა და შთააგონა, რომ ეს ბილეთი გახლდათ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მას ეს გამოუვიდა.

ბიჭუნა ბერლინში კარგა ხანს მაწანწალის ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთხელ შიმშილისგან გონებაც დაკარგა – სხეული გაუცივდა, პულსი არ ესინჯებოდა. მისი ცხედარი მორგში გადაასვენეს და იქ



...ამის შემდეგ, სტალინმა მესინგს მოსკოვში ბინა გამოუყო

ვიღაცამ შემთხვევით შენიშნა, რომ მას გული უცემდა. აღმოჩნდა, რომ ბიჭუნას ლეთარგიული ძილით ეძინა. ცნობილმა პროფესორ-ნევროპათოლოგმა აბელმა მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეძლო მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა. სწორედ ექიმი აბელი გახლდათ ის ადამიანი, ვისი აზრებიც პირველად წაიკითხა „გაცოცხლებულმა მიცვალებულმა“ და ხმამაღლაც გააჟღერა. პროფესორი კი ფიქრობდა, რომ როგორც კი ბიჭუნა გამოჯანმრთელდებოდა, ის ღარიბთა თავშესაფარში უნდა გაეგზავნათ. ეს ასე არ მოხდა, მესინგი მოხეტიალე ცირკს მიეკედლა და საკუთარი „ფსიქოლოგიური ცდების“ ჩვენებას მიჰყო ხელი. სულ მალე მან პოპულარობაც მოიპოვა.

1937 წელს, მესინგმა რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში, ნაცისტური გერმანიის გარდაუვალი კრახი იწინასწარმეტყველა. ამის შესახებ ყველა გაზეთმა დაწერა. მესინგი დააპატიმრეს, მაგრამ პოლიციის განყოფილებაში მან საკუთარ ნებას დაუმორჩილა ყველა მცველი და თავის საკანში მოუყარა თავი მათ. ამის შემდეგ, მშვიდად გამოვიდა პოლიციის შენობიდან და ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირში გაიქცა.

ერთხელ ის სტალინმა თავისთან იხმო, გაესაუბრა და შემდეგ საკუთარი ტელეპატიური შესაძლებლობების სადემონსტრაციოდ კრემლიდან საშვის გარეშე გასვლა შესთავაზა. თანაც, ყველა საგუშაგოს დარაჯი წინასწარ გააფრთხილეს, რომ სტალინის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე კრემლიდან არავინ გაეშვათ. რამდენიმე წუთში მესინგი უკვე ქუჩაში იყო. სტალინის თხოვნით, მან მეორე „ნომერიც“ შეასრულა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: სამართალდამცავი ორგანოების ორი მუშაკის თანდასწრებით მან სუფთა ფურცელი გაუწოდა სახელმწიფო ბანკის თანამშრომელს, მისგან კი 100.000 მანეთი მიიღო. ამის შემდეგ, სტალინმა მესინგს მოსკოვში ბინა გამოუყო და მოხსენებებს საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე სისტემატურად იღებდა მისგან.

ცნობილია ისიც, რომ მესინგმა საკუთარი სიკვდილი თავად იწინასწარმეტყველა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მას ძლიერ სტკიოდა ფეხები – ახალგაზრდობის პერიოდის ტრავმამ იჩინა თავი. ბოლოს და ბოლოს, 1975 წელს მან ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო და პაციენტი დაიღუპა. ჰოსპიტალში წასვლამდე მესინგს კედელზე დაკიდებული საკუთარი პორტრეტისთვის შეუვლია თვალი და უთქვამს: „მორჩა, ვოლფ, შენ აქ ვეღარ დაბრუნდები“. ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთერ ღვალი

### უბის წიგნაკიდან:

18. ძველი რომაელები მშობლების მფარველობიდან შვილის გამოსვლის ფორმალურ აქტს ემანსიპაციას ეძახდნენ.

19. გაქცეული ლუდოვიკო XVI ფოსტის მოხელემ იცნო პროფილით, რომელიც მხოლოდ ფულის მონეტებზე ჰქონდა ნანახი.

20. დადგენილია, რომ ადამიანის გემოს რეცეპტორები ყველაზე მგრძნობიარეა დილის 8-დან 11 საათამდე, ამიტომ ღვინის დეგუსტაციას დროის ამ მონაკვეთში ატარებენ.

21. ალექსანდრე მესამეს უყვარდა თავისი გენერლების არყით გამასპინძლება, რომელსაც ცოლის უჩუმრად, განიერი ჩექმის ყელში მალავდა. ფეხსაცმლის ამ ნაწილს „ხალიავას“ ეძახდნენ. აქედან წარმოიშვა გამოთქმა – „ხახალიავნაია ვოდკა“.

22. „კარგ და საუკეთესო ფეხბურთელს შორის ის განსხვავებაა, რომ კარგს შეუძლია, ნებისმიერ სიტუაციაში გაერკვეს, საუკეთესო კი, თვითონ ქმნის სიტუაციას“, – ამბობდა კონსტანტინ ბესკოვი.



23. ერთხელ, პაბლო პიკასომ საკუთარ სახლში წვეულება მოაწყო. სტუმრებმა შენიშნეს, რომ კედლებზე მისი არც ერთი სურათი არ ეკიდა. „საკუთარი სურათები არ მოგწონს, პაბლო?“ – ჰკითხეს მასპინძელს. „როგორ არ მომწონს?! მაგრამ ძალიან ძვირია და მათზე ხელი არ მიმიწვდება“, – უპასუხა მხატვარმა.

24. სამამულო ომის შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტის წინ ტრამვაის ხაზებს აგებდნენ იაპონელი ტყვეები, რომელთა სანახავად ყოველდღე სხვებთან ერთად ქართლოს კასრაძეც დადიოდა. ორი კვირის შემდეგ, იგი ტყვეებს უკვე იაპონურად ელაპარაკებოდა.

25. ვირის ჩოჩორს, რომელიც კოტე მახარაძემ მეუღლეს, სოფიკო ჭიაურელს დაბადების დღეზე აჩუქა, კოსო ერქვა. ბატონმა კოტემ საკუთარი და მეუღლის სახელების თავკიდურა მარცვლები შეაერთა და ისე „მონათლა“ ცხოველი. ■



# თავისუფალი თემა

**რუსუდან ბერიძე**

*(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-7)*

*მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, 8 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა — მიშიკო ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედადღა რჩებიან. თუმცა, გვანცას კიდევ ერთი ადამიანის — თანაკლასელ ლუკა ჩადუნელის დიდი იმედი აქვს. გვანცა ლუკას თავის უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ თვლის, ლუკას კი გოგონა მთელი გულით უყვარს.*

*ახალგაზრდებს შორის შავი კატა მას შემდეგ გაირბენს, რაც გვანცა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმალვე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გოგონას ლოგინშიც უპრობლემოდ ჩაიწვენს. თუმცა, მოგვიანებით, ცოლად შერთვასაც შეჰპირდება.*

*ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება და ირაკლისაც მაშინვე სერიოზული თავსატეხი გაუჩნდება. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მისი ორი ნახევარძმა იბრძვის. ირაკლი მათ იარაღის დაყრას ვერაფრით აიძულებს. ხოლო როცა ერთ-ერთ მათგანს — გიორგის მოკლავენ, იარაღს ხელში თავადაც აიღებს...*

*თბილისის ომის შემდეგ ირაკლი უგზო-უკვლოდ დაიკარგება. გვანცა მის ადგილსამყოფელს ვერაფრით დაადგენს. ცოტა ხანში კი, იმასაც მიხვდება, რომ ფეხმძიმედაა და თავგზა საბოლოოდ აებნევა...*

*როგორც კი გვანცას ფეხმძიმობის ამბავს შეიტყობს, გაცოფებული ლამარა ეჭვს მაშინვე ლუკაზე აიღებს და გვანცას ცოლად შერთვას კატეგორიულად მოსთხოვს. გვანცას გასაოცრად, ლუკა ბავშვის მამობას არ იუარებს და დაქორწინებაზეც სიტყვის უთქმელად დათანხმდება. თუმცა, როგორც კი გვანცასთან მარტო დარჩება, პირობას წაუყენებს: ვიცი, ეს ბავშვი ვისიცაა, ამიტომ მხოლოდ ფორმალურად ვიქორწინებთ და ბავშვის გაჩენისთანავე, გავიყრებითო...*

*ამასობაში, აფხაზეთში ომი დაიწყება. ლუკა ომში წასვლას გადაწყვეტს და გვანცას გამოუცხადებს: არ დამელოდო, რადგან რაც არ უნდა მოხდეს, შენთან აღარ დავბრუნდებიო.*

*ლუკას წასვლიდან ერთი თვის შემდეგ, გვანცას ბიჭი შეეძინება და ამირანის დაჟინებული თხოვნით, მასაც ლუკას დაარქმევს...*

ანთაძეების ოჯახში კიდევ ერთი ბავშვის გამოჩენას ყველაზე აგრესიულად პატარა მიშიკო შეხვდა, რადგან იგრძნო, საერთო სითბო და ყურადღება ნელ-ნელა როგორ მოაკლდა და ერთი-ორჯერ, მარტო ბებია-ბაბუას კი არა, გვანცასაც ნამდვილი ეჭვიანობის სცენა მოუწყო. სამაგიეროდ, ამირანი სიხარულით მეშვიდე ცაზე იყო:

— გაიგეთ, ხალხნო?!. შვილიშვილის შვილს მოვესწარი კაცი და ახლა, თუნდაც ხვალვე სული ამომხდეს, არაფერს ვინანებ!

— მიდი, მიდი, აბა, შენ იცი! — ბავშვივით ამჩატებული ქმრის ყურებას ერთხელაც, ველარ გაუძლო ლამარამ. — იქნებ, მართლა გააფრთხო სული და ეს თოთო ბავშვიც მარტოს შემატოვო გასაზრდელად!

— რატომ მარტოს, შე ქალო?! — სამზარეულოს ქურასთან მოფუსფუსე ცოლს ხელი ალერსით მოხვია ამირანმა. — დაგავიწყდა, რომ ამ ბავშვს დედ-მამაც ჰყავს? ის კი არა და, რაც ჩვენს ოჯახში სიძე შემოვიდა, მიშიკოს დარდიც ნაკლებად მაქვს. ვიცი, ლუკა მასაც არაფერს გაუჭირვებს, აბა!

— კი, როგორ არა, ელოდე! — შეეპასუხა ლამარა. — საკუთარ ცოლ-შვილს ხომ ზედ აღნება და ახლა მიშიკოც აჰკიდე.

— შენ არხეინად იყავი! — თავისას არ იშლიდა ამირანი. — თუ ღმერთმა სიცოცხლე გვაცალა, ლუკას ხელში ჩვენც ტკბილი სიბერე გვექნება! ოღონდაც, მშვიდობიანად დაგვიბრუნდებოდეს და...

— ლუკა ჩვენთან აღარ დაბრუნდება, — ცოლ-ქმრის საუბარში მოულოდნელად ჩაერთო სამზარეულოს კუთხეში აქამდე ჩუმად მჯდარი გვანცა.

— რას ჰქვია, არ დაბრუნდება?! — შეიცხადა ამირანმა. — გვანცა, ბაბუ, ხომ არაფერს გვიმალავ?.. რამე უბედურება ხომ არაა ჩვენს თავს?..

— არა, არაფერი... — მშვიდად განაგრძო გვანცამ. — უბრალოდ, რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ლუკას ასეთ მდგომარეობაში არ უნდა მივეტოვებინეთ... რაკი მიგვატოვა, აღარც დაბრუნდება...

— ა, ბატონო, ეგეც მე ვარ? — ნიშნის მოგებით გადაულაპარაკა ლამარამ ქმარს.

— აბა, ახლა თქვენებურად ნუ გაუტიეთ! — ხმას აუწია ამირანმა.

— ჩვენებურად როგორ? — გაღიზიანდა ლამარა.

— დედაკაცურად! რავა ყველა ქალი ერთ თარგზე ხართ მოჭრილი!.. ტყუილად კი არაა ნათქვამი — ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო... თქვენ რომ ყური დაგიგდოთ, სულ ცოლის კალთას უნდა ვიყოთ გამობმულები. მერე ქვეყანას ვინღა მიხედოს?!

— მიხედოთ, თქვენმა მზემ, თორემ, ქვეყანა ააშენეთ, აი!.. — საბოლოოდ წაიმწარა ენა ლამარამ.

— ავაშენეთ თუ დავაქციეთ, ეგ კიდევ ცალკე საკამათო თემაა, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინე, აფხაზეთში წასვლაზე რომ ყველას უარი ეთქვა, რა გვეშველებოდა?!

— ყველას მე ვერ გამოვეკიდები... მე, პირველ რიგში, ჩემი ოჯახის ამბავი მაინტერესებს და რომც ჩამქოლო, მაინც იმ აზრზე ვიქნები, რომ ლუკას ფეხმძიმე ცოლი არ უნდა მიეტოვებინა... კარგი, წასვლით წავიდა, მაგრამ ერთხელ მაინც არ უნდა დარეკოს და იკითხოს, რა ქნა მისმა ცოლმა? მშვიდობიანად იმშობიარა თუ მუცელს გადაჰყვა?

— საიდან უნდა დარეკოს, ქალო, გადაირიე? — ისევ აუწია ხმას ამირანმა. — ,,დაჩაზეა‘‘ წამოწოლილი თუ რა?!. შეიგნე, ბოლოს და ბოლოს, რომ ომია იქ, ომი!

— ომი მაგის დამწყებს და არგადარჩენა! ერთი აქ დაგვაყარა ხეირი ომმა და მეორე იქ აშენდება დიდი და პატარა!

— აშენდება თუ დაიქცევა, კაცმა თავისი

ვალი მაინც უნდა მოიხადოს! ლუკას ხნისა რომ ვყოფილიყავი, მეც იქ ვიქნებოდი, აბა!.. – ულვაშზე ხელი თავმომწონედ გადაისვა ამირანმა.

– არც ახლაა გვიან... შენმა სანაქებო მთავრობამ ასე უაზროდ თუ ახოცვინა პატარა ბიჭები, მალე შენზე და შენზე უფროსებზეც მიდგება ჯერი!

– ღმერთმა ნუ ქნას, მარა გგონია, მე კი უარს ვიტყვი? – გაიჯგიმა ამირანი.

უცბად, შემოსასვლელში მდგარი ტელეფონი აწკრიალდა.

– ა, მგონი, უკვე გეძებენ და აბა, შენ იცი! – წაუსისინა ლამარამ ქმარს. – მიდი, ჰკითხე, როდისთვის გავემზადო-თქო?..

ამირანი სამზარეულოდან ოხვრით გავიდა და ყურმილი აიღო:

– ალო! გისმენთ!.. დიახ, ჩემო ბატონო!.. ვინ ბრძანდებით?.. ა-ა, ჩვენი ქეთევანის მეზობელი... კი, როგორ არ მახსოვხარ, შე კაცო?.. გისმენ, ჩემო შალვა, ხომ მშვიდობაა?.. რა-ა? როდის?.. ეგ რა მითხარი, კაცო?!. გვანცა?.. სახლშია, სად უნდა იყოს?.. – ყურმილი ხელში შეეყინა ამირანს...

ამირანი სამზარეულოში ლასლასით შებრუნდა, სკამზე მოწყვეტით დაჯდა და გვანცას დამნაშავესავით შეხედა:

– გვანცა, ბაბუ...

– ვინ იყო? – მაშინვე შეეკითხა ქმარს ლამარა.

– ქეთოს მეზობელი... – ძლივს ამოთქვა ამირანმა.

– ქეთო ვინაა?

– ქეთო არ იცი, ქალო?.. ლუკას ბებია...

– ა-ა... მერე?.. მეზობელს რატომ დაარეკვინა? თვითონ რამე ხომ არ უჭირს?

– ეგრე გაუჭირდა ჩემს მტერს, მაგას რომ ახლა უჭირს... – ცრემლები წამოსცვივდა ამირანს და თან, შვილიშვილს თვალი ველარაფრით გაუსწორა: – გვანცა, ბაბუ, მოგიკვდეს ჩემი თავი... ლუკა...

– რა ლუკა, კაცო, არ გადამრიო! – მაშინვე გულზე ხელი იტაცა ლამარამ.

– ლუკა და მისი ორი მმაკაცი აფხაზებს ჩავარდნიათ ტყვედ...

– ვიცოდი! – აკივლდა ლამარა. – ვიცოდი! სამი ღამეა, ისეთ სიზმრებს ვხედავ, რომ ვიცოდი, დავილუპებოდით! მერე?.. ქეთოს ვინ გააგებინა ეგ ამბავი?

– ვიღაცას ტელეფონზე დაურეკავს და პირდაპირ მიუხლია საწყალი ქალისთვის... მეზობელმა მითხრა, იმის მერე გახევებული წევს და ხმას არ იღებსო... – შვილიშვილს შიშით გადახედა ამირანმა.

გვანცაც კარგა ხანს, ქანდაკებასავით უძრავად იჯდა.

– წავალ, ბავშვს დავხედავ... – უცნაურად მშვიდი ხმით ჩაილაპარაკა მან შემდეგ და სკამიდან ნელ-ნელა წამოდგა...

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ნაკლებად იმჩნევდა, ლუკას ამბავს გვანცა ძალზე მტკივნეულად განიცდიდა. ყველაფერში, რაც ბოლო ხანს, ლუკას თავს გადახდა, ის, პირველ რიგში, საკუთარ თავს ადანაშაულებდა და ფიქრში, ვინ იცის, რამდენჯერ იწყებდა ცხოვრებას იქიდან, როცა ლუკა სიყვარულში პირველად გამოუტყდა... „მაშინ რომ უარი არ მეთქვა, ახლა ხომ ორივენი, ბედნიერები ვიქნებოდით?!.“ – თავისთვის გულში მოთქვამდა იგი და იმ წუთში მზად იყო, თავიც კი მოეკლა. მაგრამ როგორც კი საბავშვო ეტლში მწოლიარე პატარა ლუკა ერთს ამოხედავდა, გვანცას ამქვეყნად ყველაფერი ავიწყდებოდა...

ერთ საღამოს, გვანცას თანაკურსელმა გოგონამ დაურეკა და ერთ-ერთი პარლამენტარის გვარი და ტელეფონის ნომერი ჩააწერინა: ტყვეების გაცვლის საქმეშია ჩართული და იქნებ, ლუკაზეც რამე იცოდესო. გვანცამ მეორე დღესვე დარეკა. პარლამენტარმა მას გულდასმით მოუსმინა და რამდენიმე დღეში შეხვედრაზეც დაიბარა, მაგრამ დათქმულ დროს, თავად ადგილზე არ აღმოჩნდა. მდივანმა გოგონამ გვანცას დერეფანში მოცდა შესთავაზა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, გვანცა ისევ დეპუტატის მისაღებში შებრუნდა.

მდივანი გვანცასკენ ზურგით მდგარ ვიღაც მამაკაცს ეკეკლუცებოდა და ამიტომაც, გვანცას უბოდიშო გამოჩენა არ ესიამოვნა.

– ბოდიშს გიხდით... – თავი უხერხულად იგრძნო გვანცამაც. – მაგრამ მეტს ვეღარ მოვიცდი: შინ სამი თვის ბავშვი მყავს დატოვებული... თუ შეიძლება, ხვალისთვის ჩამწერეთ მიღებაზე.

– მე კი ჩაგწერთ, მაგრამ ბატონ გიორგის ხვალ ეცლება თუ არა, ჯერ არ ვიცი... – დაიწყო მდივანმა.

– მოიცა, ნატა! – გააწყვეტინა უცბად მდივანს მამაკაცმა და სასწრაფოდ გვანცასკენ შემობრუნდა. – ხვალ ორ საათზე მოდით და გიორგი ბრეგვაძეს პირადად შეგახვედრებთ.

– ლაშა?.. – თვალები გაუფართოვდა გვანცას. – თქვენ?.. თქვენ აქ საიდან?..

– „ტუმბოჩკიდან“... – გაეღიმა ლაშას და გვანცა ახლობელივით გადაკოცნა. – მეგონა, ვეღარ მიცნობდი.

– ირაკლის ძმას რა დამავიწყებდა?! – უნებლიეთ, თვალზე ცრემლი მოადგა გვანცას.

– რას შვრები?.. როგორა ხარ?.. – დაინტერესდა ლაშა.

– ვარ რა... – მხრები უმწეოდ აიჩეჩა გვანცამ.

– გიორგისთან რა საქმეზე მოხვედი?

– ქმარი დავკარგე აფხაზეთის ომში და მითხრეს, მოძებნაში დაგეხმარებაო... – თვალები დანაშავესავით დახარა გვანცამ.

– ქმარი?.. – შეცბა ლაშა. – გათხოვდი?..

– კი, გავთხოვდი...

– როდის?.. რატომ?.. – ხმაში წყენა დაეტყო ლაშას, – წამო, ერთი, ჩემთან გავიდეთ და კარგად მომიყევი ყველაფერი... – დაფაცურდა ის და თან, სმენად ქცეულ მდივანს გადაულაპარაკა: – ნატული, ხვალ ეს გოგონა გიორგისთან ურიგოდ უნდა შეუშვა... დაიმახსოვრე... ჩემი ახლობელია...

– ნუ... თუ ახლობელია... – ტუჩი აიბზუა მდივანმა, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გვანცას და მისი გვარი მაგიდის კალენდარს მიაწერა.

ლაშამ გვანცა თავის კაბინეტში შეიყვანა და მდივანს ყავის მოდუღება დაავალა.

– აბა, ერთი, დაჯექი და მომიყევი, სად დამეკარგე? – მიუბრუნდა შემდეგ ის გვანცას.

– არ დავკარგულვარ...

– აბა, ერთხელ მაინც რატომ აღარ შემეხმიანე? ხომ შემპირდი, დაგირეკავ ხოლმეო?

– რა ვიცი, აბა...

– ირაკლის ამბავი მაინც აღარ გაინტერესებდა?.. თუმცა, რას გეკითხები? გათხოვილ ქალს ირაკლი რაღაში დაგაინტერესებდა?!

– არა ხარ მართალი... ირაკლის ამბავი მე ყოველთვის მაინტერესებდა... მაგრამ ჯერ რაღაც უცნაური შიში ამეკვიატა, ლაშას რომ დავურეკო – აუცილებლად ირაკლის დაღუპვის ამბავს მეტყვის-მეთქი... მერე კი, ისე უცბად გავთხოვდი, რომ...

– მართლაც, რა გაჩქარებდა?!. როდის გათხოვდი?

– ხუთი თვის წინ...

– ხუთი თვის წინ?.. აბა, ბავშვი მელოდებაო, რომ თქვი?.. ნატულის აუჩუყე გული?..

– არა, ბავშვი მართლა მყავს ოღონდ... ჩემი ქმარი აქ არაფერ შუაშია...

– აბა, ვინ არის შუაში?..

– მოდი, რა წავალ, თორემ, მართლა ძალიან დავაგვიანე... – სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა გვანცა.

– მოიცა! – შეაჩერა ის ლაშამ და თვალი თვალში გაუყარა. – იცი, რომ ირაკლი ცოცხალია?

– რა თქვი?.. – სკამზე მოცელილივით დაეცა გვანცა. – სად არის?

– ჯერ ვერ გეტყვი, მაგრამ ნამდვილად ცოცხალია... თუმცა, საქართველოში, ალბათ, ვეღარ ჩამოვა: ხომ იცი, რა დროა? – ეგრევე ციხეში უკრავენ თავს... ჰო, მართლა, ეს ამბავი ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

დედაჩემისთვისაც კი არაფერი მითქვამს...

— აბა, მე რატომღა მითხარი?

— შენ სხვა ხარ... დედაჩემი თავის შვილს სიცოცხლის ბოლომდე დაელოდება, შენ კი, შეიძლება, ადგე და კიდევ ერთხელ გათხოვდე...

— მე უკვე გათხოვილი ვარ...

— ჰო, მართლა, მითხარი ერთი, ვინაა შენი ქმარი?

— ლუკა ჩადუნელი... თბილისის ბატალიონში იბრძოდა...

— შენი და ირაკლის ამბავი იცოდა?

— იცოდა...

— ბავშვი ირაკლისია? — უცბად, ჯიქურ ჰკითხა ლაშამ.

— აბა, ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს?.. — ამოიოხრა გვანცამ. — ლუკამ ეს თავის თავზე აიღო... ჩემებს ჰგონიათ, რომ შვილი მისგან მყავს და ბოლომდეც ასე ეგონებათ... ბებიაჩემმა რომ სიმართლე გაიგოს, გამიგიჟდება...

— ეტყობა, ძალიან უყვარხარ...

— ვის? — დაიბნა გვანცა. — ბებიაჩემს?

— არა. შენს ქმარზე გეუბნები.

— კი. ძალიან ვუყვარდი... მაგრამ მერე ირაკლი გამოჩნდა და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

— ნაცნობი ამბავია... — გაეღიმა ლაშას. — ირაკლის ქალები თავს ადვილად ვეღარ ანებებენ...

— მე ირაკლის ქალი არასოდეს ვყოფილვარ!.. — გაღიზიანდა გვანცა.

— ვიცი, — მშვიდად უპასუხა ლაშამ. — გახსოვს, შენ და ირაკლი ჩემთან რომ იყავით?

— მერე?

— მერე, საღამოს, ირაკლის დავურეკე და შენზე ვკითხე — ეგ მერამდენეამეთქი? — უკანასკნელიო, — მაშინვე მომაკეტვინა...

მეორე დღეს, გვანცა პარლამენტში აღარ მისულა, მაგრამ მერე, ლაშამ თავად დაურეკა და მისვლა სთხოვა: შენთვის ძალიან კარგი ამბავი მაქვს სათქმელიო. გვანცამ ლაშასთან მაშინვე ფრთაშესხმულმა მიირბინა:

— ლუკას ამბავი ხომ არ გაიგე? — კაბინეტში შესვლისთანავე ჰკითხა მან.

— არა.

— ირაკლისი?

— არც ირაკლისი.

— აბა, კარგი ამბავი რაღაა? — დაიბნა გვანცა.

— კარგი ამბავი ისაა, რომ შეიძლება, გერმანიაში წასვლა „ჩაგიწყო", — ამაყად გამოუცხადა ლაშამ.

— მერედა ვინ გითხრა, რომ გერმანიაში წასვლა მინდა?!. — გაოცდა გვანცა.

— Я так думаю... — ჩაურუსულა ლაშამ. — აბა, ახლა დაჯექი და კარგად მომისმინე...

— დასაჯდომად ნამდვილად არ მცალია, — გაღიზიანდა გვანცა. — შენ რომ დამირეკე, ბავშვს ვაბანავებდი. ბებიაჩემს შევატოვე ხელში და გიჟივით გამოვვარდი... შენ კი, მგონი, ხუმრობის ხასიათზე დამდგარხარ...

— ნამდვილად არ მეხუმრება. უბრალოდ, გავიგე, რომ რამდენიმე ახალგაზრდას გერმანიაში აგზავნიან სასწავლებლად და მაშინვე შენ გამახსენდი. დაიჯერე, მაგარი ვარიანტია. მერე მადლობას მეტყვი. ახლა საქართველოში სწავლა კი არა, წესიერად სუნთქვაც აღარ შეიძლება... გერმანიაში კი, სერიოზულ განათლებას მიიღებ. თანაც, უცხოური დიპლომით რომ დაბრუნდები, აქაც ყველგან გზა ხსნილი გექნება... თუ არა და, სულაც იქ დარჩი...

— ლაშა! — გააწყვეტინა გვანცამ. — სიმართლე მითხარი, რა ხდება?

— კარგი, — სახეზე ორივე ხელი ისე ჩამოისვა ლაშამ, თითქოს, მძიმე ფიქრიდან გამორკვევას ცდილობსო. — გეტყვი, ოღონდ, იცოდე...

— ვიცი, — ისევ გააწყვეტინა გვანცამ. — მითხარი!

— საქმე ისაა, რომ... — შეპარვით დაიწყო ლაშამ, თუმცა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ხაზგასმულად დაუმატა: — მოკლედ, უკვე ზუსტად ვიცი, რომ ირაკლი გერმანიაშია...

როგორც კი გვანცამ თავისი გადაწყვეტილების შესახებ ოჯახში გამოაცხადა, ლამარას კივილი კინაღამ ცას შესწვდა. ამირანმა კი შვილიშვილი ერთი უცნაურად აათვალიერ-ჩაათვალიერა და გულწრფელად ჰკითხა: ბაბუ, შენ მართლა ხომ არ გაგიჟდიო?!. მაგრამ მოგვიანებით, როცა აღელვების პირველმა ტალღამ გადაიარა, მაინც შვილიშვილის მხარეზე გადავიდა და ცოლის დამუნათება დაიწყო:

— მართლა რამ გადაგრია, შე ქალო?!. ბავშვი სასწავლებლად მიდის, გასართობად ხომ არა?! უმაგისოდ ჩვენ კი ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ, თვითონ ექნება გზა ხსნილი... უცხოეთში, თანაც, გერმანიაში მიღებულ განათლებას ეხუმრები შენ?!.

— სწავლა-განათლება თუ ეგრე სწყუროდა, ეს ბავშვი რისთვისღა აიკიდა?! — მაინც, თავისაზე იდგა ლამარა. — სად გაგონილა, დედამ შვილი, სწავლის მომიზეზებით, ძუძუდან მოიწყვიტოს?!

ასე იყო თუ ისე, ანთაძეებმა გვანცა გერმანიაში მაინც გაუშვეს და მალე ის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტიც გახდა.

თავიდან ძალიან გაუჭირდა: ჯერ იყო და, ყოველღამე შვილი ესიზმრებოდა და დილით გულამომჯდარი იღვიძებდა, თანაც, სწავლაც საკმაოდ უმძიმდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში, თავის კურსზე გერმანულის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა, გერმანელ ლექტორებს მისი გერმანული ყურში სულ რახარუხად ესმოდათ და შენიშვნას შენიშვნაზე აძლევდნენ, მაგრამ გამოხდა ხანი და ყველაფერი, მაინც სასურველ კალაპოტში ჩადგა.

გვანცას ახალ სასწავლებელს საკმაოდ კომფორტულად მოწყობილი საერთო საცხოვრებელი ჰქონდა. ის ოთახში ჩინელ და იტალიელ გოგონებთან ერთად ცხოვრობდა. ჩინელს ლი ერქვა, იტალიელს კი — სოფია. გვანცა მათ კარგა ხანს ზვერავდა, მაგრამ საბოლოოდ, ორივეს დაუახლოვდა. ერთი შეხედვით უჟმური ლი სინამდვილეში საკმაოდ ჭკუადამჯდარი და გულთბილი ადამიანი აღმოჩნდა. ხმაურიანმა, თავნება და გამორჩეულად ტემპერამენტიანმა სოფიამ კი, იტალიელებზე გვანცას წარმოდგენა ბოლომდე გაამართლა.

„ოჯახში", როგორც გოგონებმა თავიანთ ერთობას შეარქვეს, ლი გონიერივი ცენტრის როლს თამაშობდა და ამიტომაც, მისი დასტურის გარეშე, არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება ძალაში არ შედიოდა. სოფიას, გართობა-დასვენებაზე ზრუნვა ევალებოდა. გვანცას კი ბებიისგან ნასწავლი მედიცინის ანი-ბანი გამოადგა და თავის ახალ „ოჯახს" შინაურ მკურნალად მოევლინა.

ერთადერთი, რაშიც გოგონები ბოლომდე ვერაფრით შეთანხმდნენ, მათი პირადი ცხოვრება იყო. ლის ერთადერთი და ისიც ჩინელი მეგობარი მამაკაცი ჰყავდა, რომელსაც პერიოდულად ხვდებოდა და მასზე დაქორწინებაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ, სოფიას თავაშვებულ ცხოვრებას ვერაფრით ურიგდებოდა. სოფიას იტალიაში საქმრო ელოდებოდა, მაგრამ ეს თაყვანისმცემლების ხელთათმანებივით ცვლაში ხელს არ უშლიდა და ერთ დღეს რომ „ჭეშმარიტ არიელს" ეხუტებოდა, მეორე დღეს, უკვე როიალივით შავ „მავრს" ეკურკურებოდა...

— რას ჰგავს შენი საქციელი? — ხშირ-ხშირად ტუქსავდა ლი სოფიას, რაზეც ეს უკანასკნელი ყოველთვის მხიარულად კისკისებდა:

— სულ ტყუილად ღელავ, ძვირფასო! მე და ჩემს მარჩელოს ჯენტლმენური შეთანხმება გვაქვს: სანამ ერთმანეთისგან შორს ვიცხოვრებთ, ერთმანეთის პირად ცხოვრებაში ცხვირი არ უნდა ჩავყოთ. ხოლო თუ იტალიაში დაბრუნების შემდეგ, ერთმანეთი ძველებურად გვეყვარება, ამ შემთხვევაში ვიქორწინებთ...



ლის არც გვანცას სრული კარჩაკეტი-ლობა მოსწონდა:

— ასე ხომ ერთხელაც იქნება, გაგიჟდე-ბი! — უკიჟინებდა ის მეგობარს.

მაგრამ გვანცა ახლოს მაინც არავის იკარებდა. ერთ საღამოს კი, ლის ალალ-ად გამოუტყდა: გერმანიაში ჩემი შვი-ლის მამა, ჩემი დიდი სიყვარული ცხ-ოვრობს და დღეს თუ არა, ხვალ უსათ-უოდ მომძებნისო.

— ნუ... თუ ასეა... — ცოტა არ იყოს, მაინც უნდოდ გადახედა ლიმ გვანცას. — მაგრამ ისე, მთლად გულახდილი თუ ვიქნები, მე პირადად, სოფიასნაირ თავაშ-ვებულს, ისევ შენნაირი უკარება მირჩევნია...

ლის ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარი ხმაურით გაიღო და ოთახში სოფია მორიგ კავალერთან ერ-თად შემოვარდა. ის თურქი სტუდენტი, ალი აღმოჩნდა. გვანცა და ლი დაუ-პატიჟებელ სტუმარს საკმაოდ ცივად შეხვდნენ და ალიც მათი ოთახიდან მა-ლევე გაიძურწა. თუმცა, დილით ისევ გამოეცხადა, სამივეს ულამაზესი თაი-გულებიც მიართვა და ამით აღფრთოვ-ანებული გოგონების გულებიც უმალ მოინადირა. სულ მალე — ალი „ოჯახ-ის“ ხშირი და სასურველი სტუმარიც გახდა.

ერთხელ კი, ალისგან გვიან ღამით მო-ბრუნებულმა კმაყოფილმა სოფიამ მეგო-ბრებს სიხარულით გამოუცხადა:

— მოემზადეთ! ამ უიკ-ენდზე ანკარაში მივდივართ.

— სა-ად? — თითქმის ერთხმად ჰკითხ-ეს გაოცებულმა გვანცამ და ლიმ.

— ან-კა-რა-ში! — დაუმარცვლა სოფი-ამ. — ალის შაბათს და-ბადების დღე აქვს, მშობლე-ბი უზარმაზარ ზეიმს უწყ-ობენ და სამივეს გვეპატიჟე-ბა.

— რას ამბობ?! — შეიცხ-ადა ლიმ. — რა დროს ან-კარაში წასვლაა?! გამოცდე-ბი უკვე კარს მოგვადგა. თანაც, მგზავრობის ფულის შოვნა არ გინდა?

— ნუ ღელავ! — სას-წრაფოდ დაამშვიდა ის სოფიამ. — თქვენ პასპორტე-ბი მომეცით და დანარჩენზე ნუ იდარდებთ. ყველა ხარ-ჯს ალი კისრულობს.

— პასპორტები? — წარბი შეიკრა ფრთხილმა ლიმ. — მაგას სჯობს, ფული მოგც-ეს და ბილეთები თავად ავი-ღოთ.

— კარგი რა, ლი! — არ დაუთმო სოფიამ. — უხერხულია... აბა, ალის ფული როგორ მოვთხოვო?! იმას ხომ არ ვეტყვი, ლი თავის პასპორტს არ განდობს-მეთქი?!

— კარგი, წაიღე, — მცირეოდენი ყოყმა-ნის შემდეგ დათანხმდა ლი, — ოღონდ, როგორც კი ბილეთებს აიღებს, მაშინვე დაგვიბრუნოს...

— ნუ ღელავ, დაგიბრუნებს... — არხეი-ნად ჩაილაპარაკა სოფიამ და გვანცასა და ლის პასპორტები სასწრაფოდ ჩან-თაში ჩააგდო...

ალიმ გოგონებს პასპორტები აეროპორტ-შივე ჩამოურიგა და თან, ბოდიშიც მოუხ-ადა: ფული არ მეყო და უკან დასა-ბრუნებელი ბილეთების აღება ანკარაში მოგვიწევსო.

ანკარაში ალიმ გოგონები ქალაქის პრესტიჟულ უბანში მდებარე მდიდრულ სახლში მიიყვანა. კარი მათ კარისკაცმა გაუღო და ალის თავი მდაბლად დაუკრა. ალი გოგონებს უზარმაზარ სასტუმრო ოთახში შეუძღვა და აჩრდილივით ადევნებულ კარისკაცს თურქულად რაღაც ჰკითხა. კარისკაცმა პასუხად, მოზრდილი კონვერტი გადასცა და იქაურობას სასწრაფოდ გაერიდა.

ალიმ კონვერტი ხმაურით გახსნა და ფულის მოზრდილი დასტა ამოიღო, რომელსაც ოთხად მოკეცილი ქაღალ-დის ფურცელიც ამოჰყვა. ალიმ ფურ-ცელი გაშალა, სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა და მაშინვე სახე შეეცვალა.

— რა მოხდა? ცუდი ამბავი ხომ არაა? — ჰკითხა მას შემცბარმა სოფიამ.

— საკმაოდ, — ხმაში სევდა გამოურია ალიმ. — დღეს დილით მამაჩემის ბიძა გარდაცვლილა. მეზობელ ქალაქში ცხ-ოვრობდა, საწყალი... ჩვენი წესებით, მიცვალებული მზის ჩასვლამდე უნდა დაიკრძალოს და ჩემი მშობლები და ძმებიც სასწრაფოდ იქ წასულან. წერ-ილს დედაჩემი მწერს და დიდ ბოდიშს გიხდით, რომ ვერ დაგხვდათ და გი-მასპინძლათ.

— აბა, ახლა რაღა უნდა ვქნათ? — უცბად ბავშვივით მოიწყინა სოფიამ.

— ნუ ღელავ, საყვარელო, რამეს მოვი-ფიქრებ, — დაამშვიდა ის ალიმ და თან, ხელში, ფულის დასტა შეათამაშა. — მთავარია, ფული გვაქვს! სადაც მოისურ-ვებთ, იქ წავიდეთ...

— მაშინ ჯერ ავიასალაროში წავიდეთ და ბილეთები ავიღოთ, — მაშინვე თა-დარიგი დაიჭირა ლიმ.

— ბილეთები?.. რა პრობლემაა?! — სასწრაფოდ კარისკაცი იხმო ალიმ, რაღაც თურქულად გადაულაპარაკა და შემდეგ, თავისი პასპორტი და ფული გაუწოდა.

ოდნავ შემცბარმა გოგონებმა ერთმა-ნეთს ერთი კი გადახედეს, მაგრამ შემდეგ ხელჩანთებიდან თავიანთი პასპორტებიც უსიტყვოდ ამოიღეს...

იმ საღამოს, ალიმ გოგონები საკმაოდ მაღალი კლასის რესტორანში წაიყვანა და ჩინებული დროც გაატარებინა. წა-მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე კი, ოფი-ციანტს ჯიბეში რამდენიმე მსხვილი კუპიურა ჩაუკუჭა და ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა. ოფიციანტი მაშინვე სადღაც გაქრა და მალე უკან ლანგრით ხელში დაბრუნდა. ლანგარზე ბოთლი და ოთხი ყელყელა ჭიქა იდგა. ოფი-ციანტმა სასმელი ჭიქებში ფრთხილად ჩამოასხა, ყველას სათითაოდ ჩამოურიგა და კვლავ უკვალოდ გაქრა.

— ეს რაღაა? — მაშინვე იკითხა ცნო-ბისმოყვარე სოფიამ.

— ეს, ჩემო ლამაზო, ამ რესტორნის ყველაზე ძვირფასი საფირმო სასმელია! — ამაყად გამოუცხადა ალიმ და ჭიქა პირთან პირველმა მიიტანა...

რესტორნიდან გამოსულმა ლიმ, მანქა-ნაში ჩაჯდომამდე, გვანცას ენის ბორძი-კით გადაულაპარაკა:

— რა ბანგივით სასმელი იყო. ლამისაა, ზეზეულად დამეძინოს...

— მეც... — უპასუხა გვანცამ და როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ, თავი მეგობრის მხარზე ჩამოდო და გაითიშა...

ცოტა ხანში, მანქანაში სრული სიჩუმე ჩამოწვა. ალის კი პირზე ცბიერი ღი-მილი დასთამაშებდა და ერთმანეთს ბავშ-ვებივით ჩახუტებულ გოგონებს ქალაქის ბნელი გარეუბნისკენ მიაქანებდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## კორტნი ლავი პირად დღიურებს გამოაქვეყნებს



ჯგუფ „ნირვანის“ ლიდერის, კურტ კობეინის ქვრივმა, მსახიობმა და მომღერალმა კორტნი ლავმა პირადი დღიურების გამოქვეყნება გადაწყვიტა. წიგნის სახელწოდება იქნება „სასიყვარულო დღიურები: სიტყვებით და სურათებით გადმოცემული ჩემი ცხოვრება“. მასში ყველა ის ინფორმაცია მოიყრის თავს, რაზეც აქამდე მხოლოდ ფარულად ლაპარაკობდნენ – ქმრისადმი მიძღვნილი წერილები, აქამდე გამოუქვეყნებელი ადრეული ლექსები და სიმღერების ტექსტები. ასევე, პირადი ფოტოები, რომელზეც აღბეჭდილნი არიან ლავი, კობეინი და მათი ქალიშვილი ფრენსის ბინი.

250-გვერდიანი წიგნის გამომცემლებთან მოლაპარაკებები ამ დღეებში დაიწყება. ის სავარაუდოდ, 2004 წლის შემოდგომისთვის დაიბეჭდება. ■



## ჯეკ ნიკოლსონი – სასიყვარულო თავგადასავლების ოსტატი



ლეგენდარულმა „ცუდმა ბიჭმა“ ჯეკ ნიკოლსონმა აღიარა, რომ „ვიაგრას“ გამოყენება დაიწყო, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთბაშად ერთზე მეტ პარტნიორთან უწევს ურთიერთობა. ცნობილ მექალთანეს, რომელიც ჰოლივუდის არაერთი სახელგანთქმული ქალის საყვარელი ყოფილა, ძალზე უყვარს თავისი გამარჯვებებით ტრაბახი.

ახალ ფილმში Something`s Gotta Give მსახიობი ფაქტობრივად თავის ნამდვილ სახეს განასახიერებს. ფილმში მის გმირს საკუთარი ახალგაზრდა საყვარლის დედა უყვარდება. შეგახსენებთ, რომ 66 წლის ვარსკვლავი მხოლოდ ერთხელ გახლდათ დაქორწინებული და ცოლად ჰყავდა მსახიობი სანდრა ნაიტი. წყვილის ქორწინებამ 6 წელს გასტანა. მათი ქალიშვილი ჯენიფერი ახლა 38 წლისაა.

რამდენიმე წლის წინ, მსახიობს ხანგრძლივი რომანი ჰქონდა მსახიობ ანჯელინა ჰიუსტონთან. ისინი ერთმანეთს მას შემდეგ დაშორდნენ, როცა ანჯელინასთვის ცნობილი გახდა ჯეკის რებეკა ბრუსარდთან ურთიერთობების შესახებ, რომელმაც მისგან გოგონა – ლორენი გააჩინა; ის ახლა 13 წლისაა. ამ წყვილს კიდევ ერთი შვილი ჰყავს – რეიმონდი, რომელიც დაზე 2 წლით უმცროსია.

ამჟამად მარტოხელა ნიკოლსონი თავისას ამ ასაკშიც არ იშლის და კვლავ ცდუნების ხელოვნების დახვეწას ცდილობს. ■



## მეტისმეტად ლამაზი კიდმანი

მას შედეგ, რაც ენტონი მინგელას ისტორიულ-ეპიკური მელოდრამა „ცივი მთა“ „ოსკარის“ პრემიის მთავარ ნომინაციებში ვერ მოხვდა, დამნაშავეების ძებნა დაიწყეს.

პროდიუსერმა ჰარვი უაინსტაინმა აღიარა, რომ ფილმის ეკრანზე გამოსვლის თარიღი ვერ გათვალა. მისი აზრით, ფილმი დეკემბერში კი არა, ნოემბერში მაინც უნდა ეჩვენებინათ, რათა ამერიკული კინოაკადემიის ჟიურის წევრებს ხეირიანად ენახათ და შეეფასებინათ იგი.

სულ ახლახან კი ფილმის შემქმნელებმა იერიში ნიკოლ კიდმანზე მიიტანეს და ყველაფერი მის „მეტისმეტ სილამაზეს“ გადააბრალეს. როგორც ამბობენ, მონტაჟის დროს, ჰოლივუდის ვარსკვლავის სახეს ზედმეტი ელვარება შემატეს, რის გამოც ის ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდის ფერმის უბედური მფლობელის როლში მეტისმეტად თვალისმომჭრელად გამოიყურება. ■

## დევიდ ბოუი კარიერის 30 წლისთავს აღნიშნავს



ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა და მსახიობმა დევიდ ბოუიმ მოღვაწეობის 30 წლისთავის ფოტოგამოფენით აღნიშვნა გადაწყვიტა. იდეა, ლონდონში ექსპოზიციის ჩვენების შესახებ, დენის ო'რიგანს დაებადა, რომელიც დიდი ხანია უკვე მსახიობის ფოტოგადაღებებითაა დაკავებული. ამ გამოფენაზე ბევრი ფოტო დამთვალიერებელმა პირველად იხილა. გამოფენა მარტის ბოლომდე გასტანს. იგი ბრიტანელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რის გამოც მის სანახავად არა მარტო ბოუის თაყვანისმცემლები, არამედ ფოტოხელოვნების მოყვარულებიც მიდიან. ■

## ბრიტნი სპირსი ჯეიმს ბონდის მორიგი გოგონა ხდება



მომღერალმა ბრიტნი სპირსმა ჰოლი ბერის შემდეგ შესაძლოა, „ბონდიანას“ მომდევნო ფილმში 007-ის მეგობარი ქალის როლი შეასრულოს. როგორც ცნობილია, ჰოლი ბერი აღნიშნული ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარეს. DPA-ის ინფორმაციით, ახლახან ბრიტნი სპირსი ლონდონს ეწვია, სადაც იგი „ბონდიანას“ პროდიუსერებს თავის მომავალ როლთან დაკავშირებით შეხვდა. თუმცა მომღერლის ოფიციალური საიტი ხსენებულ როლზე არაფერს იუწყება. მასზე მხოლოდ ის არის დაფიქსირებული, რომ სპირსი ახალ ფილმში („კარიდან კარში“) მონაწილეობისათვის ემზადება, სადაც ის ამბიციური გოგონას როლს შეასრულებს, რომელსაც ჰოლივუდის მოჯადოება აქვს გადაწყვეტილი. ■

## კანიბალი ჰიუ გრანტი ბრედ პიტს „შესანსლავს“



„ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სხვადასხვა კინოკომპანიასთან“, — აცხადებდა გერმანიაში მიმდინარე სასამართლო პროცესის მესამე დღეს კანიბალის, ჰარალდ ერმელის ადვოკატი, რასაც გაზეთი **Daily Star**-ი ყველაზე სენსაციურ წინადადებას უწოდებს. გერმანული გაზეთის **Bild**-ის ცნობით, ფილმის გადაღებაზე უფლების მოპოვებას 43 წლის ჰიუ გრანტი ცდილობს, რომელსაც ამავდროულად კანიბალის როლის შესრულებაც სურს. მსხვერპლის — 43 წლის ბერნდ ბრანდესის როლს კი — 40 წლის პლეიბოი ბრედ პიტი განასახიერებს.

როგორც გრანტის ერთ-ერთი მეგობარი ამბობს: „ჰიუ დარწმუნებულია, რომ ფილმში „ოსკარს“ მიანიჭებენ. მას მოჰბეზრდა მხოლოდ რომანტიკულ კომედიებში თამაში და ახლა სურვილი აქვს, მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ იგი უდიდესი დრამატული მსახიობია“. ■

## დაიდო რასისტთა რიგს მიაკუთვნეს



ბრიტანელი მომღერალი დაიდო განცვიფრდა, როცა მას ბრალი რასისტულ გამოხდომებში დასდეს. ერთ-ერთი რასისტული საზოგადოების წევრებმა, რომლებიც თეთრი რასის უპირატესობაში დარწმუნებულები არიან, საკუთარი აზრების სადემონსტრაციოდ საიტზე ჩაწერეს მომღერლის ორი სიმღერის — White Flag და This Land is Mine-ის ტექსტები, რომელიც არასწორად იყო განმარტებული. აღშფოთებულმა მომღერალმა მაშინვე BMG-ის ლეიბლის ხელმძღვანელობას მიმართა, რის შემდეგაც საიტმა რამდენიმე საათში შეწყვიტა არსებობა.

როგორც BMG-ის წარმომადგენლები იტყობინებიან, დაიდოს სასტიკად არ სურს, ვინმემ იფიქროს, რომ იგი რასისტულ იდეებს იზიარებს. ■

## მაიკლ დუგლასმა 1 მლნ დოლარი სიამოვნებით გაიღო

ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა მაიკლ დუგლასმა სანტა-ბარბარას კალიფორნიის უნივერსიტეტს 1 მლნ დოლარი გადასცა. თანხა, კინოს, ტელევიზიისა და მასმედიის ახალი საშუალებების შემსწავლელი ცენტრის დაარსებას მოხმარდება. როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ასეთი სახის ცენტრი პირველი იქნება



კალიფორნიის უნივერსიტეტთა შორის, რომელშიც 10 უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა გაერთიანებული. ცენტრისთვის კი სპეციალური შენობა აიგება, რომელიც გადასაღები მოედნებით, 325-ადგილიანი კინოდარბაზით, სასწავლო შენობით, ლაბორატორიითა და არქივით აღიჭურვება. აღნიშნული ცენტრის დაარსებას მთლიანობაში 10 მლნ დოლარი სჭირდება. დუგლასი ბედნიერია, რომ მის შექმნაში გარკვეულ წვლილს შეიტანს. გაწეული წვლილისთვის კი, ცენტრის ერთ-ერთ დარბაზს მაიკლ დუგლასის სახელი დაერქმევა. მსახიობმა აღნიშნული უნივერსიტეტი, დრამატული ხელოვნების სფეროში ბაკალავრის წოდებით, 1968 წელს დაამთავრა. ■

# ლენოქსი შეყვარებულია

ალბათ ბევრი დარჩა გაკვირვებული პროფესიონალური რინგიდან ლენოქს ლუისის მოულოდნელი წასვლის გამო. სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბრიტანელ მოკრივეს აქტიური სპორტული კარიერის დასრულების კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელებია და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. კრივის ზოგიერთმა სპეციალისტმა კი მიიჩნია, რომ მას ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრისა ეშინოდა... მაგრამ საქმე თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა – უბრალოდ, ლენოქსი შეყვარებულია და დაქორწინება განუზრახავს. გაზეთის – The Sun-ის კორესპონდენტებმა საზოგადოებას მოკრივის მომავალი მეუღლე, იამაიკის სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, ვიოლეტა ჩინგი წარუდგინეს. სწორედ 26 წლის „მის-იამაიკა 2000“-ს აუძულებია მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი, რომ რინგი მიეტოვებინა. თავად ლუისი აცხადებს, რომ მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც სატრფოს, საკურთხეველთან მიიყვანს, რაც ლენოქსის თქმით, საკმარისი იქნება მისი სრული ბედნიერებისთვის... მიუხედავად ამისა, დიდი სპორტიდან მოკრივის წასვლამ მაინც გააკვირვა მისი ნაცნობები. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ინგლისელი მძიმეწონოსანი სერიოზულად განიხილავდა ვიტალი კლიჩკოსთან გასამართი მატჩ-რევანშის დეტალებს და აი, მოულოდნელად შეცვალა გეგმები. შეიძლება, მოკრივის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა დედამისის რჩევამაც, რომლის აზრსაც იგი ყოველთვის ითვალისწინებდა. სხვათა შორის, ლენოქსის დედა კლიჩკოსაც შეხვედრია, შემდეგ ყველაფერი კარგად გაუაზრებია და გადაუწყვეტია, რომ მისი ვაჟიშვილისთვის უმჯობესი იქნებოდა, რინგიდან დროულად წასულიყო. ამჟამად კი, იგი მიიჩნევს, რომ ლენოქსი კრივის გარეშეც ბედნიერი იქნება. ■



# მოდელები და სპორტსმენები ერთობლივ ფოტოსესიაში


ჰაიდი კლუმი

ანა კურნიკოვამ სხვა ცნობილ სპორტსმენებთან და მოდელებთან ერთად ჟურნალის – Sports Illustrated საიუბილეო გამოშვებისთვის მოწყობილ გადაღებებში მიიღო მონაწილეობა. ცნობილი ამერიკული გამოცემა, რომელიც უმთავრეს ყურადღებას საცურაო კოსტიუმებს უთმობს, დაარსებიდან 40 წლისთავს ზეიმობს. რუს ლამაზმანს კომპანიონობას უწევს კიდევ ერთი ჩოგბურთელი – სერენა უილიამსი, რომელსაც უკვე ექვსი თვეა, არც ერთ ტურნირში აღარ მიუღია მონაწილეობა. მისმა დამ, ვინუსმა საკმაოდ დიდი ხანია, პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ათეული დატოვა, სერენა კი, მეშვიდე პოზიციამდე დაქვეითდა. ანასა და სერენას გარდა, Sports Illustrated-ის გადაღებებში მონაწილეობა მიიღეს ამერიკული საფეხბურთო კლუბის Tennessee Titans-ის მოთამაშემ, ედი ჯორჯმა, ბეისბოლისტმა ალექს როდრიგესმა (Texas Rangers) და ჰოკეისტმა პეტრ ნედვედმა (New-York Rangers). მოდელებიდან კი, ფოტოსესიაში ტაირა ბენქსი, კრისტი რინკლი და ჰაიდი კლუმი მონაწილეობდნენ. ■

# ბრაზილიელები ახალი ფორმებით ითამაშებენ

ამიერიდან, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ახალი ფორმით ისპარეზებს, რომელიც პენტაკამპეონებისთვის სპეციალურად დაამზადა Nike-მა. „ტყავის ბურთის ჯადოქრები“ სუპერმჩატე მაისურებით ითამაშებენ, რომლის წონაც სულ რაღაც 155 გრამი იქნება. ახალი ფორმა ორი წლის წინანდელისგან (როდესაც ბრაზილიელებმა მეხუთედ გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონატში) მხოლოდ ამ ნიშნით და კიდევ იმით განსხვავდება, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა, ძველი მაისურისგან განსხვავებით, მარჯვენა მხარეზე გადაინაცვლებს. ■

# ფორმენი ბრუნდება?!



სუპერმძიმე წონაში ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა, ჯორჯ ფორმენმა კიდევ ერთი მატჩის ჩასატარებლად რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. 55 წლის მოკრივე ძალზე ოპტიმისტურადაა განწყობილი და უკვე ერთი თვეა, რაც ინტენსიურად ვარჯიშობს. „ხალხი ამბობს: ბიჭო, შენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალე! არც კი გაიფიქრო ასეთი რამეო, – მაგრამ თუ სიმართლე გსურთ, გეტყვით, რომ ასეთი ფრაზები 19 წლის ასაკიდან მესმის...“ – სიცილით ამბობს ჯორჯ ფორმენი, რომელმაც თავისი ბოლო ორთაბრძოლა 1997 წელს, შენონ ბრიგსთან წააგო. ■

# რაიკონენი უკმაყოფილოა

ამას წინათ ბარსელონაში მოწყობილ ტესტ-რბოლებზე McLaren-ის პილოტმა, კიმი რაიკონენმა საკმაოდ არასასიამოვნო აღმოჩენა გააკეთა: იგი დარწმუნდა, რომ მისი გუნდის ახალი ავტომობილი – MP4-19 ყველა კონკურენტ ბოლიდზე უფრო ნელა დადის. „ჰერესსა და ვალენსიაში გამართულ ტესტებზე ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ბარსელონაში პრობლემები შეგვექმნა, რაც უპირველეს ყოვლისა, მანქანის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, არ შემიძლია ვთქვა – რამდენად სწრაფია ჩვენი ბოლიდი. ვიმედოვნებ, რომ ავსტრალიაში სეზონის სტარტზე წარმატებულად ვიასპარეზებთ. ჯერჯერობით კი, კორპუსთან ძრავას რიგიანად ადაპტირება ვერ შევძელით“, – ამბობს რაიკონენი, რომელმაც McLaren-ის ახალი მოდელით არცთუ ისე სახარბიელო შედეგები უჩვენა. ■

## „სპარტაკის“ ფეხბურთელებიც გაშიშვლდნენ

ბოლო დროს მთელი სპორტული სამყარო ფოტომოდელობის მანიამ შეიპყრო. ამ მხრივ გამონაკლისი არც მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელები არიან, რომლებმაც ცოტა ხნის წინ Plauboy-ისთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. ცნობილი ფოტოგრაფი, ანტონ ლანგე, რომელიც ეროტიკულ ჟურნალთან თანამშრომლობს, „სპარტაკის“ მესვეურებმა საკლუბო ალმანახზე სამუშაოდ მიიწვიეს. გადაღებების შემდეგ ლანგე საკმაოდ კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, „სპარტაკელები“ პროფესიონალი მოდელებივით იქცეოდნენ და მათგან რამდენიმეს, შოუბიზნესში კარიერის შესაქმნელად დიდი პოტენცია აქვს. ■

## კანმა საყვარელს შოუბიზნესისკენ გაუხსნა გზა



ოლივერ კანის 22 წლის გელფრენდი, ვერენა სატელევიზიო ვარსკვლავად იქცა. MTV-ზე მისი პირველი შოუ „აშშ-ის ტოპ 40“ გავიდა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მისი დებიუტი წარმატებულად შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ვერენას მეტყველების ხარვეზი აქვს, იგი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა ახალ ამპლუაში. „ძალიან ვღელავდი, — განაცხადა კანის საყვარელმა გადაცემის შემდეგ, — გადაცემის წინაღამეს ნერვიულობის გამო ვერც კი დავიძინე, თუმცა გადასაღებ მოედანზე, ცოტა არ იყოს, დავმშვიდდი“. შეგახსენებთ, რომ ოლივერ კანის გაცნობამდე ვერენა ოფიციანტად მუშაობდა. ლამაზმანს შოუბიზნესში გზა სწორედ „ბაიერნისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების გოლკიპერმა გაუხსნა. თავად ოლივერი კი,რომელიც ამჟამად გერმანიაში ყველაზე არაპოპულარულ სპორტსმენად ითვლება (2002 წლის მუნდიალის შემდეგ ყველაფერი პირიქით იყო), მალე 31 წლის მეუღლესთან, სიმონასთან განქორწინებას ოფიციალურად გააფორმებს. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ სიმონას ცოტა ხნის წინ კანისგან მეორე შვილი შეეძინა. ■

## „პლეიბოის“ წინადადებას ლეილაც დათანხმდა

ორიოდე დღის წინ „პლეიბოისთვის“ მოწყობილ ფოტოგადაღებაში მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთში სუპერპოპულარული ტელესერიალის — „საფეხბურთო ცოლები“ ვარსკვლავმა, ლეილა როუესმა. 27 წლის მსახიობს რამდენიმე ეროტიკული სურათის გადაღებისთვის 250 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. აღსანიშნავია ის, რომ ბოლო მომენტამდე ლეილა გადაღებაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა და „პლეიბოის“ წარმომადგენლები ამაოდ ცდილობდნენ მის დაყოლიებას. როუესის თქმით, ახალგაზრდობაში მას ფულის გამომუშავების მიზნით, ხშირად მიუმართავს იაფფასიანი ბულვარული გამოცემებისათვის. „დღესაც შეძრწუნებული ვიხსენებ იმ დროს, — ამბობს მსახიობი, — როგორც კი გავიგე, რომ ფოტოგადაღებებზე მეპატიჟებოდნენ, მაშინვე უარი განვაცხადე, თუმცა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მაინც მივიღე ეს წინადადება“. სხვათა შორის, ლეილა როუესის გადაწყვეტილება დადებითად იმოქმედებს სერიალ „საფეხბურთო ცოლების“ პოპულარობაზე, რომელშიც იგი ცნობილი მოთამაშის მეუღლის როლს ასრულებს. როგორც ცნობილია, „საპნის ოპერებით“ ძირითადად ქალები არიან დაინტერესებულნი. ამიერიდან კი, „საფეხბურთო ცოლების“ მაყურებელ სუსტი სქესის წარმომადგენელთა უზარმაზარ აუდიტორიას, ალბათ მამაკაცებიც შეუერთდებიან. ■

## ბრუკლინი „ტოტენჰემის“ კუთვნილებაა

„ტოტენჰემის“ ღირსებას ბექჰემი დაიცავს — ორიოდე დღის წინ ეს სიახლე მთელ საფეხბურთო სამყაროს მოედო. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობას მისი შეძენისთვის „რეალის“ მესვეურებთან ხანგრძლივი მოლაპარაკება და ფეხბურთელის სანაცვლოდ ასტრონომიული თანხის გადახდა არ დასჭირვებია. უბრალოდ, პატარა ბრუკლინი დიდმა დევიდმა თავად მიიყვანა „ტოტენჰემის“ საბავშვო გუნდ „შპორში“. ამიერიდან ბექჰემთა უფროსი ვაჟიშვილი „ტოტენჰემის“ კუთვ-



ნილებაა, თუმცა მისთვის ჯერ არ განუსაზღვრავთ სათამაშო პოზიცია. პირველ ვარჯიშზე იგი მამამისმა მიიყვანა, მას შემდეგ კი ყოველდღე, დედა — ვიქტორია ადამსი ატარებს. აღნიშნულ საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან ღებულობენ, მაგრამ ოთხი წლის ბრუკლინისთვის გამონაკლისი დაუშვეს, რადგან მას განსაკუთრებული საფეხბურთო მონაცემები აღმოაჩნდა. ბუნებრივია, ბექჰემთა წყვილი ამ ფაქტს არ ახმაურებდა, თუმცა ფეხბურთი გუნდური თამაშია და როგორც ჩანს, ეს ამბავი მასმედიის ყურამდე ბრუკლინის თანაგუნდელთა მშობლებმა მიიტანეს. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

*წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №6*

აკაკი გეგენავა

*როცა უცხო ქვეყანაში ხარ და თანაც თავს მოგზაურად თვლი, ბუნებრივია, იმ ქვეყნის შესახებ ყველაფერი გაინტერესებს. რაც უფრო მეტს ვიგებდი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, მით უფრო მეტ გაუცხოებას ვგრძნობდი. როცა ამის გამო ნოსტალგიამ შემომიტია, ეკლესიაში შესვლა დავაპირე. ვიცოდი, ამერიკაში რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარი იყო, მაგრამ სად, ვერავინ მითხრა. ვიფიქრე, არა უშავს, რომელიმე კათოლიკურ ეკლესიაში შევალ, ჩემთვის დავდგები და ორგანის მშვიდ მელოდიებს მოვუსმენ-მეთქი.*



# როგორ მოვხვდი კალათბურთის მატჩის ნაცვლად ჩიკაგოს საქონლის ბირჟაზე...

## კომერცია... ეკლესიაში

ასეც მოვიქეცი. ერთ-ერთი შენობა ეკლესიას მივამსგავსე და შევედი. მანამდეც ვყოფილვარ კათოლიკურ ეკლესიებში. ერთხელ, შოუდ ქცეულ ლოცვასაც დავესწარი — სასულიერო პირი შთამბეჭდავად გალობდა... ერთხელ, რომელიღაც სექტის კრებაზეც მოვხვდი. იქ შეკრებილთ რომ შევხედე, ლამის გული წამივიდა: ყველა მათგანს სახე დასისხლიანებული ჰქონდა. ჯერ ვიფიქრე — ეტყობა, ერთმანეთს დაერივნენმეთქი, — მაგრამ მერე დავინახე, როგორ მივიდა ერთ-ერთი სექტანტი მაგიდასთან, რომელზეც დაკლული ცხვარი იდო, იქვე სისხლით სავსე თასში როგორ ჩაყო ორივე ხელი და მერე, სისხლით „გაიმშვენიერა“ სახე...

ჩიკაგოს კათოლიკური ეკლესია დიდი არ იყო, მაგრამ სკამები ისე კომპაქტურად დაეწყოთ, უამრავ ადამიანს დაიტევდა. არც ორგანი ჩანდა და არც მუსიკოსები. სამაგიეროდ, ყოველ კუთხეში იდგა მოზრდილი შესაწირი ყუთი წარწერებით: „ბიზნესი გამარჯვებისათვის“, „კრედიტის აღებისათვის“, „მშვიდი მოხუცებულობისათვის“ და ა.შ. კედლები შევათვალიერე; მაცხოვარი და ღვთისმშობელი ზოგან თეთრკანიანი იყო, ზოგან — შავკანიანი, ზოგან კიდევ — ყვითელკანიანი... ერთ ადგილას 15-ოდე კაცი შეკრებილიყო და ვიღაცას ელოდა. ერთი, ორმოცდაათს მიტანებული სიმპათიური მამაკაცი შედარებით ახალგაზრდებს გატაცებით უხსნიდა რაღაცას.

— უნიკალური პიროვნებაა, რაც ამ ეკლესიაში, მასთან დავიწყე სიარული, წარმატებას წარმატებაზე ვაღწევ, დამიჯერეთ, არ ინანებთ... — ამბობდა მამაკაცი.

— მეც იმდენი რამ მსმენია მის შესახებ, ალბათ ის თუ მიხსნის განსაცდელისგან... — მორიდებით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ახალგაზრდა კაცმა.

— მალე გამოვა და ნახავ, რამხელა შვებას იგრძობ... — გაამხნევა „აგიტატორმა“ და იქით გაიხედა, საიდანაც „მხსნელი“ უნდა მოვლენოდათ.

არა, ნამდვილად არ ვაპირებდი ამ შენობიდან ისე წასვლას, რომ ის ყოვლისშემძლე ღვთისმსახური არ მენახა. მართლაც, ათიოდე წუთში, ჯგუფს შავმოსასხამიანი სასულიერო პირი მიუახლოვდა, პირჯვარი გადასწერა მათ, იქვე, პატარა სცენაზე ავიდა და ლოცვების კითხვა დაიწყო. ის-ის იყო, წამოსვლა დავაპირე, რომ მღვდელმა ლოცვების კითხვა დაამთავრა და მრევლი სცენისკენ დაიძრა. ყველა ცდილობდა, ღვთისმსახურთან რაც შეიძლება ახლოს მისულიყო.

— შვილებო... — დაიწყო „ქადაგება“ შავმოსასხამიანმა. — მოხარული ვარ, რომ ჩვენს ეკლესიაში მოხვედით და წირვას ესწრებით. უფალი არავის ივიწყებს და ყოველთვის გქონდეთ მისი იმედი. ვიცი, რომ ბედნიერი ცხოვრება გინდათ. ამისთვის კი ბევრი ფულია საჭირო. ბევრი ფული ძნელი საშოვნელია, მაგრამ თუ მოხვალთ აქ და მოიტანთ შესაწირს თქვენი მომავალი საქმისთვის, მერწმუნეთ, ერთიასად აგინაზღაურდებათ... — დაბალი, მგრძნობიარე ხმით მოძღვრავდა მრევლს მქადაგებელი.

აქაურობა ბირჟას უფრო ჰგავდა, სადაც ბიზნესის ლექციას კითხულობენ. არადა, მართლაც ასე იყო: ღვთისმსახური განუმარტავდა მრევლს, თუ როგორ უნდა მიეღწიათ წარმატებისთვის სავაჭრო თუ საფინანსო საქმიანობაში, მოჰყავდა იმის მაგალითები, თუ როგორ გადალახეს მისი მრევლის წევრებმა ფინანსური პრობლემები, ლაპარაკობდა ეკონომიკური ტერმინებით, მაგრამ გამუდმებით უბრუნდებოდა შესაწირის თემას და ხაზს უსვამდა იმას, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა შესაწირი, მით უფრო გარანტირებული იყო წარმატება... დროდადრო, რომელიმე მორწმუნე მივიდოდა ყუთთან და მასში მწვანე ბანკნოტებს ჩაყრიდა. თვალი იმასაც შევასწარი, თუ როგორი კმაყოფილებით გადახედავდა ხოლმე, გულუხვ მრევლს შავმოსასხამიანი...

დავიბენი. ნამდვილი აღებ-მიცემობის ტიპური სურათი გადამეშალა თვალწინ... მოგვიანებით შევიტყვე, რომ კათოლიკურ ეკლესიაში კი არა — რომელიღაც სექტის ტაძარში ვყოფილვარ და რომ ჩიკაგოში ეს მოძრაობა დღითი დღე, სულ უფრო პოპულარული ხდებოდა.

უხალისოდ დავტოვე ეკლესია. ეზოში ჩემი ყურადღება ახალთახალმა, ვერცხლისფერმა „როლს-როისმა“ მიიპყრო, რომელსაც ეკლესიის მსახურები აპრიალებდნენ. მითხრეს — ეს მანქანა შავმოსასხამიანი მღვდლის საკუთრებააო...

## კალათბურთის ბილეთებით ამერიკაშიც ვაჭრობენ

კალათბურთი შტატებში პოპულარობით მხოლოდ ბეისბოლს თუ ჩამორჩება. ამიტომ მატჩზე ბილეთის შოვნა ყოველთვის პრობლემაა. მეც, ჩემი აზრით, თადარიგი დავიჭირე და ადრე მივედი სპორტული დარბაზის სალაროსთან, რათა ცოცხლად მენახა ჩემი თანამემამულის, ვოვა სტეფანიას თამაში.

სალარო დაკეტილი დამხვდა. წარწერა კი იუწყებოდა, რომ ყველა ბილე-

თი გაყიდული იყო. უხალისოდ გამოვბრუნდი და წამოვლასლასდი. უცბად, საიდანღაც ახალგაზრდა ზანგი გაჩნდა.

— თუ ბილეთი გინდა, შემიძლია დაგეხმარო!.. — უცერემონიოდ გამომიცხადა. — იაფფასიანები გამითავდა — შუა რიგების ბილეთები დამრჩა, 200 დოლარად მოგცემ!

— რამდენად?!.

— 150 თავისი ფასია — აბა, ხომ არ გაჩუქებ?!. — მიპასუხა გაოცებულმა.

— ძვირია, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— თუ არ გინდა, კი არ გეხვეწები! კლიენტის მეტი რაა? უფრო ძვირადაც გავყიდი!.. — სწრაფად მომაყარა, შეტრიალდა და წავიდა.

— დამიკელი, რა!.. — ბოლო შანსი მივეცი.

— გამორიცხულია! — არც შემოუხედავს, ისე მიპასუხა და იქვე მოაჯირზე შემოსკუპდა.

ბილეთის ფასი კი მეძვირა, მაგრამ იმდენად მინდოდა ჩემი თანამემამულის ნახვა, რომ ზანგს დავუძახე.

— მომეცი. რაც არის — არის, ავიღებ, ოღონდ — ხომ ნაღდია?

— შენ ჩიკაგოში ხარ!.. — წყენა გაერია ხმაში.

— ჩიკაგოში რომ ვარ, იმიტომ გეკითხები...

— თუ გინდა, იყიდე, თუ არა და — შემეშვი!..

ორი 100-დოლარიანი უსიტყვოდ გავუწოდე და ნანატრი ბილეთი გულდაგულ შევინახე. თამაშის დაწყებამდე სამ საათზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი და ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა ეს დრო, რომ დიდ სპორტულ სანახაობას დავსწრებოდი...

### ყველაფერს ბედი უნდა!..

მობილური აწკრიალდა. ხაზზე ტვირთის გადაზიდვის კომპანიის მეპატრონე, ედმონდი იყო.

— აკაკი, შეკვეთა მივიღეთ და სხვამ რომ არ დაგვასწროს, დროზე უნდა წავიდე!

— სად უნდა წავიდე? — ვიკითხე და თან გულში ჩემს ბედს ვწყევლიდი.

— მანდვე, ჩიკაგოშია. მიხვალ ბირჟაზე და მენის შტატის დელეგაციის წარმომადგენელს შეხვდები. როგორც კი მიხვალ, დამირეკე და ფასზე მოველაპარაკები. აბა, მანქანა დაქოქე და რაც შეიძლება სწრაფად მიდი.

ხასიათი წამიხდა, მაგრამ რას ვიზამდი? შეკვეთა ჩემი მიზეზით რომ ჩაშლილიყო, კარგი დღე არ დამადგებოდა. თანაც, დილითვე გამაფრთხილა — ტრაილერთან ახლოს იყავი, შეკვეთა რომ მივიღოთ, დრო არ დაკარგოო. სანუკვარი მატჩის მოლოდინში არც ტრაილერი მახსოვდა და არც ჩემი მკაცრი ბოსი.

ტაქსი გავაჩერე და მძღოლს ვთხოვე, რაც შეიძლება მალე მივეყვანე ავტოსადგომზე. ჩემმა ახალმა „მეგობარმა“, ბიძია ჯომ (ყარაულმა) რომ დამინახა, გაოცებულმა მითხრა — რა ხდება, რა გიჟივით მორბიხარო?

— ჯო, ბოსმა დამირეკა, სასწრაფოდ საქონლის ბირჟაზე უნდა მივიდე. მე კი წესიერად გზაც არ ვიცი... მომეცით გადახდის ჩეკი და მივდივარ... — ამას რომ ვამბობდი, თან უკვე მანქანას ვქოქავდი. ჯომ მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით მოაგვარა ყველაფერი და საბუთები გადმომცა.

— ყოჩაღ, მოხუცო, ბევრ ახალგაზრდას აჯობებ!.. — გავამხნევე ბერიკაცი და გამოსამშვიდობებლად გავუწოდე ხელი.

— მეც მოვდივარ ბირჟაზე. მოკლე გზები ვიცი და მიგიყვან... — შემომძახა და გვერდით მომიჯდა.

— მერე აქ ვინ დარჩება?

— მაგაზე ნუ დარდობ, ახლახან ძველი მეგობარი მომივიდა და ყველაფერს ის მიხედავს. აბა, წავედით!.. — გამიღიმა ჯომ და ტრაილერიც დავძარი.

საქონლის ბირჟა ავტოსადგომიდან ორმოცი წუთის სავალზე ყოფილა. ჯო რომ არ მყოლოდა გვერდით, მის მიგნებას ალბათ ორ საათს მაინც მოვანდომებდი.

— იშოვე კალათბურთის ბილეთი? — მკითხა გზაში ჯომ.

— ჰო, თანაც გადამყიდველთან... — ვუპასუხე.

— გამოდის, რომ თამაშს ვერ ნახავ — ე.ი. ფული ტყუილად გადაგიყრია...

— რას იზამ? კალათბურთისთვის, სამსახურს ხომ ვერ დავკარგავ?!

— ბედი არ გქონია! — თანამიგრძნო ჯომ.

უხმოდ დავეთანხმე. თუმცა, უკვე იმას ვდარდობდი, რომ ბირჟაზე არ დამეგვიანა და კომპანიაში პრობლემა არ გამჩენოდა...

### ჩიკაგოს საქონლის ბირჟაზე...

ჩიკაგოს საქონლის ბირჟა, შინაური ცხოველების სავაჭრო ცენტრი აღმოჩნდა, რომელიც უდიდესია არა მარტო შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში. წარმოიდგინეთ უზარმაზარი, თვალუწვდენელი მინდორი, რომელიც სავსეა ცხენებით, ხარებით, ძროხებით, ცხვრებით, ხბოებით, ბატკნებით... იქაურობას პირველად რომ შევავლე თვალი, გაოცება ვერ დავფარე. შუა ჩიკაგოში ნამდვილად არ ველოდი ფერმერთა თავშეყრის ადგილს. თანაც, ყველაფერი ძალზე ორგანიზებული და მოწესრიგებული იყო: სხვადასხვა ჯიშის ცხოველი შემოღობილ ტერიტორიებზე ჰყავდათ. საკვები და წყალი არც ერთს არ აკლდა. სპეციალურ დაფებზე ამა თუ იმ ცხოველის მახასიათებლები და ფასები იყო გამოკრული, იქვე მეპატრონეც იდგა. ბირჟაზე უამრავი მყიდველი ირეოდა.

როგორც იქნა, ვიპოვე მენის შტატის წარმომადგენლობა. კოვბოის ფორმაში გამოწყობილმა ფერმერმა ძველი ნაცნობივით ჩამომართვა ხელი და მითხრა:

— კიდევ კარგი, რომ მოხვედით, თორემ, უკვე სხვა კომპანიაში უნდა დამერეკა... მე ჯეკი ვარ...

— მე აკაკი ვარ, ეს კიდევ — ჩემი მეგობარი ჯოა...

— ძალიან კარგი. ახლა საქმეს მივხედოთ. ათი ძროხა და ხუთი ცხენი უნდა გადავიყვანოთ მენში, თანაც — რაც შეიძლება სწრაფად. რა დაჯდება?..

— იცით, საფინანსო საკითხებზე ჩემს ბოსს უნდა მოელაპარაკოთ...

ედმონდის ნომერი ავკრიბე და მობილური კოვბოის მივაწოდე. ლამის 20 წუთი გაგრძელდა მათი მოლაპარაკება. ამერიკელი რა მდიდარიც არ უნდა იყოს, თითოეულ ცენტს მაინც უფრთხილდება.

როგორც იქნა, ჩემი ბოსი და კოვბოი მორიგდნენ და მეც შვებით ამოვისუნთქე. მაგრამ ახლა ერთი სადარდებელი გამიჩნდა: როგორ უნდა აეყვანათ ეს ცხოველები ტრაილერში და მერე, როგორ უნდა გამერეცხა ძარა... ამასობაში მობილურმაც დარეკა. ედმონდის მორიგი ინსტრუქტაჟის დრო იყო:

— აკაკი, ბირჟის ავტოსადგომზე იქირავებ სპეციალურ ძარას ცხოველებისთვის... მენში რომ ჩახვალ, დამირეკე. გასაგებია?

— გასაგებია. როდის უნდა წავიდე? — გამახსენდა კალათბურთის მატჩი...

— არ ვიცი, კლიენტს მოელაპარაკე, ალბათ — ხვალ... — მიპასუხა ბოსმა და... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ე.ი. კალათბურთის მატჩზე დასწრების შანსი გამიჩნდა!..

*P.S. აკაკი გეგენავას მომდევნო წერილს „გზის“ №10-ში შემოგთავაზებთ.*

■

# როგორ გადაარჩინა მაუველი ქართველმა მთამსვლელმა



**ხუთჯვრიანი დროშა მთის მწვერვალზე პირველად 12 თებერვალს აფრიალდა. გია თორთლაძემ („პადოშა“) ის ტიან-შანში ალა არჩას ხეობის მწვერვალ „კარონაზე“ აიტანა.**

**როდესაც ბატონი გია ექსპედიციაში მიდიოდა, ხუთჯვრიანი დროშა ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო დროშა და ალპინისტმა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლო ისე წაიღო. თუმცა, ექსპედიცია პრეზიდენტის ინაუგურაციას დაემთხვა და მთის მწვერვალზე უკვე არა პარტიული, არამედ სახელმწიფო დროშა აფრიალდა. ეს ასვლა გია თორთლაძემ საქართველოში განვითარებულ ბოლო მოვლენებს — „ვარდების რევოლაციას“ მიუძღვნა.**

**ექსპედიცია ორი ნაწილისაგან — პამირისა და ტიან-შანისაგან შედგებოდა. სამწუხაროდ, ბატონი გია პამირში ავად გახდა, 12 დღე იწვა და ექსპედიციის პირველ ეტაპს გამოეთიშა. თუმცა, როგორც თავად გვითხრა, მეორე ეტაპი მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან მთამსვლელებს მწვერვალ „კარონას“ 800-მეტრიანი ჩრდილოეთ კედლის გავლა ჰქონდათ გამიზნული.**

*ხათუნა ჯავახიშვილი*

— საბოლოო ჯამში, ამ მარშრუტით ორი ადამიანი — მე და შკალევსკი წავედით. საკმაოდ რთული კედელია, დახრაც ძალიან დიდი აქვს და მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ კედელი უფრო ცივია. ღამის 4 საათზე, ფარნის შუქზე გავედით და ერთ დღეში უკანვე დავბრუნდით.

**— ამ ექსპედიციაში სხვა ქართველი წევრები არ ყოფილან?**

— რატომღაც საქართველოში არ არის მე-5 კატეგორიის ყინულის კედლებზე ზამთარში ასვლის პრაქტიკა. მესმის, ადრე საამისო აღჭურვილობა არ არსებობდა, ახლა ეს პრობლემა აღარ დგას, მაგრამ მაინც არ დადიან. ბოლო წლებში, მე სწორედ ეს მიმართულება მაქვს აღებული — მაინტერესებს და მომწონს. ერთხელ, პირენეებში ვიყავი და სამჯერ — ტიან-შანში, 800-900-მეტრიანი ყინულის კედლები გავიარე.

**— ზამთარში ალბათ რისკის ფაქტორი უფრო დიდია?**

— რისკის ფაქტორი ყოველთვის დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში ძალიან ცივა, მოკლე დღეა და ნახევრად სიბნელეში გიწევს სიარული, ერთი დადებითი მხარე მაინც არსებობს — იმდენად ცივა, რომ ყველაფერი გაყინულია და ზემოდან არაფერი ცვივა: არსებობს ადგილები, რომელსაც ზაფხულში ვერც გაივლი, იმის გამო, რომ ქვები ცვივა და ყინულის ფერდზე ისეთ სიჩქარეს იღებს — თუ მოგხვდა, ან მოგკლავს, ან საფუძვლიანად დაგაზიანებს.

*ბატონი გიასთვის მთის მწვერვალზე ასვლისგან გამოწვეულ შეგრძნებებსა და იმაზე, თუ რატომ უჩნდებათ მთამსვლელებს ეს სურვილი, არ მიკითხავს — იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ამჯერად, ამაზე საუბარი ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა, თანაც, ამ კითხვას ყველა დროის უდიდესმა ალპინისტმა რაინჰოლდ მესნერმა გასცა პასუხი: „მიდიან, რადგან ევერესტი არსებობს“... და ეს გამოთქმა ალბათ მხოლოდ ევერესტს არ ეხება. რაც შეეხება ინტერვიუს თემას — ეს იყო ადამიანი, რომელიც ბატონ გიას მთაში შეხვედრია და დაუვიწყარი მოგონება დაუტოვა.*

*იგი დაფიქრდა, რადგან როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი შემთხვევა მის ცხოვრებაში არაერთხელ ყოფილა. ბოლოს, ერთი გამოარჩია და ძალზე საინტერესო ამბავი მოგვითხრო:*

— 2000 წელს, 21 მთამსვლელი ვცდილობდით ევერესტზე ასვლას. ქართველი მხოლოდ მე ვიყავი. საშინელი ამინდი იდგა. ასვლისას სამი ადამიანი დაიღუპა: ერთი, რომელსაც შუბლზე ფარანი ჰქონდა დამაგრებული, დავინახეთ, როგორ გადავარდა ნაპრალისკენ, დანარჩენი ორი — დაიკარგა. როგორც უკვე ვთქვი, ძალიან ცუდი ამინდი იყო და ყველანი უკან დაბრუნდნენ. მხოლოდ მე და ერთი შერპა მთამსვლელი დავრჩით, რათა მეორე დღეს, კიდევ გვეცადა ბედი. ეს 8300 მეტრ სიმაღლეზე ხდებოდა. დილით, ისევ ცუდი ამინდი იდგა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

შერპას ვუთხარი — ქვემოთ დაეშვი და თოვლში ჩაყინული კარავი მოხსენი-მეთქი. მე დავრჩი, რომ ზევით გაშლილი კარავი მომეხსნა, რომელიც ძალიან მომწონდა. მოვხსენი და დავიწყე დაშვება. 7700 მეტრს რომ მივუახლოვდი, ვხედავ, ვიღაც ზის კლდეზე და არც თოკშია ჩაბმული. არ ვიცოდი, ვინ იყო, ვიფიქრე, — ისვენებს-მეთქი. გამომხედა, მეც გავხედე, მაგრამ ხმა არ ამოუღია და მეც არაფერი მითქვამს. რაღაც მანძილი გავიარე და გავჩერდი, რადგან თოკი თავდებოდა. იქ პალო იყო ჩარჭობილი, კარაბინით მეორე თოკზე უნდა ამოვებმულიყავი და დაშვება გამეგრძელებინა. გავჩერდი თუ არა, საშინელი ხმაური მომესმა და ის, ზემოთ მჯდარი კაცი პირდაპირ მე დამეცა. ინსტინქტურად დავიჭირე. ორკილომეტრიან კედელზე ვიყავი დაკიდებული და ჩაბმული რომ არ ვყოფილიყავი, ჩავვარდებოდი ან, ერთი ნაბიჯით წინ რომ ვყოფილიყავი, ის გაფრინდებოდა... დავიჭირე და ვხედავ — არც ქამარი უკეთია, არც კარაბინი, ქურთუკი გახსნილი აქვს, ფეხზე მხოლოდ „ბათინკი“ აცვია, რომლითაც ყინულზე ვერ გაივლი... — იქვე რაღაც ძველი თოკი მოვხსენი და წელზე შევაბი. ზედმეტი კარაბინი მქონდა და ამით ჩავაბი თოკზე. ქურთუკი შევუკარი. ვხედავ, — ნამდვილი გიჟის თვალები აქვს, ვერ ხვდება, სად არის. ხან ინგლისურად ვეკითხები, ხან ნეპალურად — ვინა ხარ, რა ხარ? — მაგრამ გაშტერებული მიყურებს და ვერაფერს მპასუხობს. მივხვდი, რომ ვერ იყო კარგად, მოძრაობებიც არაადეკვატური ჰქონდა. ზურგჩანთაში მოვაფათურე ხელი და კიდევ კარგი, ხელთათმანები ვიპოვე. არ ეცვა და ხელები როგორ არ მოეყინა იმ სიმაღლეზე, არ ვიცი. ჩავაცვი ხელთათმანები და ნელნელა დავიწყე დაშვება. ერთ-ორ მეტრს ჩავიდოდი და ვეუბნებოდი — წამოდი-მეთქი. ის ნელ-ნელა, კი არ ეშვებოდა თოკზე, პირდაპირ ვარდებოდა, სრიალ-სრიალით და მე ვიჭერდი... დაახლოებით ნახევარი გზა რომ გავიარეთ, ხმა ამოიღო და თქვა — „პანი“, რაც ნეპალურად წყალს ნიშნავს. მივხვდი, რომ ნეპალელი იყო, მანამდე, ტიბეტელი მეგონა. მერე თქვა — „ჩისო“ — მცივაო. სცივა, სცივა — ვერაფერს ვუშველიდი, არც წყალი მქონდა. ამ დროს, ზემოთ დავინახე ორი კანადელი მთამსვლელი, რომლებიც ძალიან ცუდ დღეში იყვნენ და დაშვებას იწყებდნენ. მკითხეს — რა ხდებაო? — მარტო ვარ, ცუდ დღეში ვარ, მომეხმარეთ-მეთქი. — ვერ მოგეხმარებითო: ძალიან მძიმედ იყვნენ, არაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ და დაშვება გააგრძელეს. ცუდად იყვნენ, მაგრამ ჩემზე სწრაფად მიდიოდნენ, იმიტომ, რომ მე ყოველ მეტრში ვჩერდებოდი, ვეძახდი ამ კაცს — ის გამოქანდებოდა და ვიჭერდი. თავისუფალი ვარდნასავით იყო... როგორც იქნა, ჩამოვიყვანე 7000 მეტრზე, სადაც საბაზო ბანაკი იყო გაშლილი. ამ მანძილის გავლას დაახლოებით საათ-ნახევარი სჭირდება, მე შვიდსაათ-ნახევარი მოვანდომე, იმიტომ, რომ ძალიან ცუდად ვიყავი — გადაღლილი, გამოფიტული, თან, ბარგი მომქონდა, თან, ეს კაცი მომყავდა. კიდევ კარგი, რომ ბანაკში წყალი დაგვახვედრეს. იქ იცნეს ეს კაცი. ტიბეტური ექსპედიციის შერპა ყოფილა — ჰაბა შერპა. ექსპედიციას ეხმარებოდა, უკვე სამი დღის დაკარგული ყოფილა და მკვდარი ეგონათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში უჟანგბადოდ იყო და სად დაბორიალებდა, თვითონაც არ იცოდა. წყალი დალია და დაეძინა. შერპებს ვუთხარი — გააღვიძეთ, ქვემოთ მივდივარ და ჩავიყვან-მეთქი, — მაგრამ ვეღარ გააღვიძეს. მე კატმანდუში წამოვედი. ეს კაცი ცოტა ხანს, ტიბეტში იყო და მერე ჩამოიყვანეს კატმანდუში. ოღონდ მე უკვე წამოსული ვიყავი. თურმე ექვსი თვე იწვა საავადმყოფოში. ეს, მომდევნო წელს რომ ჩავედი კატმანდუში, მაშინ მითხრეს. იმ წელს ვერ ვნახე. მხოლოდ შემდეგ ჩასვლაზე ვნახე. თვითონ ვერ მიცნო, ვერც მიცნობდა... ვინც მიმიყვანა, იმან უთხრა — ეს ის კაცია, შენ რომ გადაგარჩინაო. ცრემლები წამოუვიდა და ამბობდა — „დანებად“, „დანებად“, რაც მადლობას ნიშნავს. ექვსი თვის განმავლობაში თურმე, საერთოდ ვერ მოძრაობდა. ახლაც ძნელად მოძრაობს. 7000 მეტრის სიმაღლეზე რომ გაეღვიძებინათ და წამომეყვანა, შეიძლება, ასე ცუდად არ ყოფილიყო... ეს ამბავი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ჰიმალაის ისტორიაში მგონი, ერთადერთი შემთხვევაა, როცა არაშერპამა ჩამოიყვანა შერპა — ჩვეულებრივ, ისინი ეხმარებიან მთამსვლელებს. რაღაცნაირი კარგი გრძნობაა: ზუსტად ვიცი, რომ მე გადავარჩინე ეს შერპი სიკვდილს. იქ რომ არ აღმოვჩენილიყავი, გადავარდებოდა, დაიღუპებოდა. იმდენად გათიშული იყო ჩამოყვანისას, ორჯერ მოიხსნა თოკი და მე უკან აბრუნება და თავიდან მისი ჩაბმა მომიწია.



ზუსტად ვიცი, რომ მე გადავარჩინე ეს შერპი

**— შერპის წამოყვანისას, არ გიფიქრიათ, რომ შეიძლებოდა, ვერც ის გადაგერჩინათ და საკუთარი თავიც გაგეწირათ?**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ მქონდა ძალა მის გადასარჩენად. კანადელებს, რომლებიც ვერ მომეხმარნენ და გზა გააგრძელეს, არ ვამტყუნებ — ძალზე ცუდად გრძნობდნენ თავს, არაფრის ძალა არ ჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში, დარჩენას აზრი არა აქვს, აბსურდია. ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოიქცე, როცა იქ შენი ცოლი, შვილი ან დედაა, რომლის გარეშე სიცოცხლეც არ გინდა.

**— ე.ი. არც ერთი წუთით არ გიფიქრიათ შერპის იქ დატოვება?**

— არა, იმიტომ, რომ შემეძლო, მქონდა ამის ძალა... არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს გმირი ვარ და შეუძლებელი შევძელი, თითქოს გადავხტი და ისე დავიჭირე... არა — პირდაპირ ხელებში ჩამივარდა და ინსტინქტურად დავიჭირე... კარგად მახსოვს მისი სახეც, მოძრაობებიც და ეს არასდროს დამავიწყდება...

■



ტიან-შანი, მწვერვალი „კარონა“ 2004 წლის 12 თებერვალი



# დემი მური: გემოვნებაზე არ დაობენ

**ექვსიოდე თვის წინ, დემი მურმა ყველასგან მალულად ბევერლი-ჰილზში მწვანეში ჩაფლული ვილა იყიდა, მაგრამ ინფორმაცია ამ შენაძენის თაობაზე ფართო საზოგადოებისთვის მაშინვე გახდა ცნობილი. დაფარული, არც მსახიობის მიერ ამ ვილაში გადახდილი თანხა დარჩენილა — სამ მილიონ დოლარზე ცოტა მეტი. თუმცაღა, მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენდა ის, რომ ვარსკვლავის მიერ შეძენილი ვილა, მისი ახლანდელი შეყვარებულის, ახალგაზრდა მსახიობ ეშტონ კატჩერის სახლის მახლობლად მდებარეობდა. იმასაც ამბობდნენ, რომ მურის არჩევანი სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა.**

სიმართლის მარცვალი ამაში ალბათ მართლაც არის. იმხანად დემი და ეშტონი საკუთარი ურთიერთობის აფიშირებას ერიდებოდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ რადგან არავის უმხელდნენ ამ ურთიერთობის შესახებ, არც არავინ იცოდა ამის თაობაზე რამე. საიდუმლო შეხვედრების გასაიოლებლად კი, ყველაზე მარტივ პროცედურად მათ გვერდიგვერდ დასახლება მოეჩვენათ. სულ მალე განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. მათი ვილები სულ მცირე მანძილით იყო დაშორებული ერთმანეთისგან და სურვილის გაჩენის შემთხვევაში, ორივე მათგანს შეეძლო ჩვეულებრივი დურბინდით შეიარაღებულიყო და გაერკვია, თუ რა ხდებოდა სატრფოს ფანჯრებს მიღმა, მაგრამ წყვილს ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენა აღარ დასჭირდა: მათ ოფიციალურად განაცხადეს თავიანთი ურთიერთობის შესახებ...

როგორც ჩანს, დემის ვილასა და ეზოში მიმდინარე გაცხოველებული სარემონტო სამუშაოები შეყვარებულებს ხელს არ უშლის. მართალია, ამ გრანდიოზული კარ-მიდამოს კეთილმოწყობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. უპირველეს ყოვლისა, მოაწყო საძინებელი ოთახი, სადაც საწოლის ფუნქციას მასიური მატრასი ასრულებს. პატარა სასტუმრო ოთახის ერთ-ერთ კედელზე დემიმ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი გონებამახვილური სტატიები გამოაკრა, რომელიც თავად მისი და მისი მეგობრების შემოქმედებას ეხება. დასრულებულია სატრენაჟორო დარბაზის მოწყობაც, სადაც დემი ფორმის შესანარჩუნებლად ყოველდღიურად ვარჯიშობს. უკვე მზად გახლავთ ვეებერთელა ღია აუზიც, რომელსაც შადრევანი და შეზლონგების დასადგმელად განკუთვნილი მოედანი ესაზღვრება.

მისი საძინებელი ოთახის ფანჯრებიდან საოცარი ხედი იშლება — სახლი ხომ პირდაპირ კანიონს გადაჰყურებს. ვილა ძალზე მაღალჭერიანია (ჭერის სიმაღლე ზოგან შვიდი მეტრია), შენობას ძირითადად შუშის კედლები აქვს დატანებული, ამასთან სახლში ავეჯის რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ყოველივე ეს კი, მნახველში გაშლილი სივრცისა და ჰაეროვნების გასაოცარ შეგრძნებას იწვევს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფეშენებელური რაიონის მცხოვრებლები სახტად დატოვა მურის მიერ ფრიად სპეციფიკური გემოვნებით მოწყობილმა ვილამ. ყველასთვის ცნობილია, რომ ჰოლივუდის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი დემი მური საკმაოდ სოლიდური კაპიტალის მფლობელია. მიუხედავად ამისა, მას სახლის მოსაწყობად ცნობილი დიზაინერები არ მოუწვევია და გადაწყვიტა, ამ პრობლემას საკუთარი ძალებით გამკლავებოდა. სამი საძინებელი ოთახი მან შვედური ფირმის „იკეას“ ავეჯით მოაწყო. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ დემიმ ყოველივე ეს, ეკონომიის მიზნით გააკეთა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მსახიობი რომელიმე კონკრეტული სტილის მხატვრული ეტალონის შექმნას სრული-







ად არ ელტვოდა — ამიტომ სხვადასხვა სტილის ულაზათოდ შერწყმას მოერიდა. იმისთვის, რათა თავიდან აეცილებინა უგემოვნოდ მოწყობილი სახლი, მსახიობმა საშუალო კლასისთვის შემუშავებული, ძველი, ნაცადი სტილი აირჩია: მან საფირმო კატალოგი გადაშალა და მისთვის სასურველი მოდელები ფერადი ფლომასტერით შემოხაზა; შემდეგ ტელეფონის ნომრები აკრიბა და სულ მალე ყველაფერი უკვე შინ ჰქონდა. ახლა მის ვილაში საკმაოდ იაფფასიანი არაერთი ეტაჟერი, შუშის მაგიდა (ერთი ცალის ფასი 80 დოლარია) და უბრალო დივანია. ხელოვნების ნიმუშებით სახლის გავსება ხომ სულაც არ არის აუცილებელი! ასეთი დივანიც, მატრასიცა და რომელიმე ცნობილი დიზაინერის ესკიზით დამზადებული ექსკლუზიური საწოლიც ხომ ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს.

რაღა თქმა უნდა, დემი მურის მიერ მოწყობილი სახლის ნახვისას, ძნელია იმის თქმა, რომ ეს მილიონერისა და მსოფლიო რანგის ვარსკვლავის საცხოვრებელია. ყველა ოთახი მოსაწყენი, ოთხკუთხა ფორმისაა; იატაკი ჩვეულებრივი, ლამინირებული ფიცრითაა დაგებული; სამზარეულო კი, ჩამონტაჟებული საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ფრიად მეშჩანურად გამოიყურება. როგორც ჩანს, დემი დახვეწილი გემოვნებით დიდად არ გამოირჩევა: მის თაყვანისმცემლებს ალბათ ახსოვთ დრო, როცა მური ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ჰოლივუდის ვარსკვლავთა სიას სათავეშიც კი ედგა. მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ დიასახლისი საკუთარ სახლში კომფორტულად გრძნობდეს თავს. აი, კომფორტულობით კი, მისი ვილა ნამდვილად გამოირჩევა.

ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში დემსა და ეშტონს დაქორწინება აქვთ განზრახული. ჟურნალ Globe-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ქორწილი, რომლის გადახდასაც ლას-ვეგასში აპირებენ, წყვილს სულ ცოტა ნახევარი მილიონი დოლარი მაინც დაუჯდება. სხვათა შორის, დემი მურის პირველი ქორწილიც ლას-ვეგასში შედგა. იმავე წყაროს ცნობით, მისი ქმარყოფილი ბრიუს ვილისი საპატიო სტუმართა სიაში იმყოფება და მონაწილეობას მიიღებს საქორწინო ცერემონიაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრიუსსა და ეშტონს საკმაოდ კარგი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. დემისა და ბრიუსის გოგონებიც კატჩერის მიმართ კეთილგანწყობას ავლენენ.

თავად დემი და ეშტონი ინფორმაციას მომავალი ქორწილის შესახებ, არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. ჯერჯერობით კი, ისინი ხშირად ერთად დადიან ბუტიკებსა თუ ფეშენებელურ რესტორნებში, სტუმრობენ მეგობრებს, ზრუნავენ დემის სამ გოგონაზე და შინაც სიამოვნებით ატარებენ დროს.

■




დემი მური საქმროსთან და ქალიშვილებთან ერთად



# გარდატეხის ასაკი და ჩვენი შვილები

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

ათვალიერებთ თქვენი შვილის თანაკლასელების ფოტოსურათებს და გიკვირთ, როგორ განსხვავდებიან ბავშვები ერთმანეთისაგან — ზოგი ერთი ციცქნაა, ზოგიც ლამის მასწავლებლის სიმაღლეა... მაგრამ როგორ ვითარდება თქვენი შვილი? ხომ არ ფერხდება მისი მომწიფება?

გოგონათა უმრავლესობას სქესობრივი მომწიფება 10 წლის ასაკში ეწყება. თუ თქვენს ქალიშვილს სიმწიფის ნიშნები 8 წლისას დაეტყო, ანდა მხოლოდ 13 წლის ასაკში გამოუვლინდა, საშიში არაფერია: ესეც ნორმალურია.

დასაწყისში გოგონებს დვრილის ირგვლივ არე უმუქდებათ, დვრილი უდიდდებათ და მკერდი ეზრდებათ. მისი თხოვნა, შეუძინოთ ბიუსტჰალტერი, სასაცილოდ გეჩვენებათ, მაგრამ სულ ტყუილად. უყიდეთ, თუნდაც ყველაზე პატარა ზომის — ეს მას თავდაჯერებულობას შემატებს. შემდეგ ძლიერდება თმიანობა შორისისა და იღლიის არეში, 12 წლის ასაკში კი პირველი მენსტრუაცია ეწყება; თუმცა ციკლის ჩამოყალიბებას კიდევ ერთი წელი სჭირდება და 13-14 წლის ასაკში თქვენ წინაშე უკვე ფიზიოლოგიურად მომწიფებული ქალბატონი დგას.

ბიჭებს პუბერტატული პერიოდი საშუალოდ 12 წლის ასაკში ეწყებათ. პირველი ნიშანი სათესლე ჯირკვლების ზრდაა. ერთ დღეს თქვენი ვაჟი გამოგიცხადებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ შეძენილი ტრუსი ვიწრო აქვს — ე.ი. მას მამაკაცის მოდელის ტრუსი უნდა უყიდოთ. ამის შემდეგ სახეზე ამოსდის პირველი ღინღლი; უჩნდება თმა შორისსა და იღლიებში. პუბერტატი მთავრდება ღამის პირველი პოლუციებით (უნებლიე თესლდანთხევა ძილში), 16-17 წლის ასაკში.

## რას მივაქციოთ ყურადღება

*ხომ არ დაიწყო სქესობრივი მომწიფება ვადაზე ადრე?*

თუ გოგონა 8 წლამდე, ხოლო ბიჭი 9 წლამდე, სიმაღლეში ერთი წლის განმავლობაში 7 სმ-ზე მეტს მატულობს, ფხიზლად იყავით. პუბერტატულ პერიოდამდე ბავშვები წელიწადში 4-6 სმ-ით უნდა იზრდებოდნენ.

თუ პირველი სასქესო ნიშნებიც დადგენილ ასაკზე ადრე გაჩნდა, ეს სასქესო ჯირკვლების, თირკმელზედა ჯირკვლების ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაზე მეტყველებს.

*ხომ არ იგვიანებს პუბერტატი?*

თუ გოგონა უკვე 13 წლისაა, მას კი ჯერ მკერდიც არ დასტყობია, შემთხვევათა 80%-ში ეს პათოლოგიასთანაა დაკავშირებული.

ბიჭებში სქესობრივი განვითარების შეფერხება არც ისე საშიშია. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ თანატოლებს „ჩამორჩენილი" ბიჭები ამის გამო კომპლექსდებიან. ასეთ დროს უმჯობესია, ვაჟი ექიმთან წაიყვანოთ: იგი დაამშვიდებს მოზარდს, ურჩევს, კარგად იკვებოს, მეტი იძინოს და არ ინერვიულოს.

*სიმწიფის პირველ ნიშნებს რომ დანარჩენებიც მოჰყვეს...*

იმის მიუხედავად, იგვიანებს პუბერტატი თუ ძალიან ადრე იწყება, საჭიროა ბავშვი ენდოკრინოლოგს აჩვენოთ. ამჟამად არსებობს საშუალებები, რომელიც ამუხრუჭებს ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას ან, პირიქით, ეხმარება ბავშვს განვითარებაში.

## ყველაფერს თავისი დრო აქვს

ზოგჯერ სქესობრივი მომწიფების ნიშნები ბავშვებს არასწორი თანამიმდევრობით უვითარდებათ.

მაგალითად, გოგონებს, ინტიმურ ადგილებში, მკერდის გაზრდამდე და დვრილის გამუქებამდე უჩნდებათ თმა, ვაჟებს კი — გენიტალური ორგანოების გაზრდამდე. ადრე მედიკოსები ამას მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებად მიიჩნევდნენ.

დღეს ენდოკრინოლოგებმა იციან, რომ სქესობრივი მომწიფების არასწორ თანამიმდევრობას პრობლემები მოსდევს. გოგონებში ნაადრევი თმიანობა მამაკაცური სასქესო ჰორმონების სიჭარბის ნიშანია. ასეთ გოგონებს მომავალში შესაძლოა, მენსტრუალური დისფუნქციები აღენიშნოთ, ჩასახვასა და ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნათ. ბიჭებში ანალოგიური დარღვევები მოწმობს, რომ პუბერტატის პირველი იმპულსები ჰიპოფიზიდან კი არა,თირკმელზედა ჯირკვლებიდან მოდის. ამის მიზეზები ექიმმა უნდა გაარკვიოს.

## ამოწმეთ სიმაღლე

სქესობრივ მომწიფებას სიმაღლეში მკვეთრი მატებაც ახლავს თან. გოგონები გარდატეხის ასაკის პირველი წლის განმავლობაში 7-10 სმ-ით, მაქსიუმ 15 სმ-ით იზრდებიან. შემდეგ ძვლების ზრდის ზონები იხურება და ქალიშვილები სულ უმნიშვნელოდღა მატულობენ სიმაღლეში. ბიჭებში კი ზრდის ინტენსივობა 13-14 წლის ასაკზე მოდის — ამ დროს ისინი 10-15 სმ-ით, ზოგი 20-25 სმ-ითაც იზრდებიან.

ნაადრევი და დაგვიანებული მომწიფება მოზარდებს ზრდის პრობლემებსაც უქმნის. ბიჭები, რომლებსაც ადრიანად დაეწყოთ გარდატეხის ასაკი, მისი დამთავრებისას მხოლოდ 130-140 სმ-ს აღწევენ. ისინი კი, ვინც 14 წლის შემდეგ იწყებს მომწიფებას, 175-176 სმ-მდე იზრდებიან. მაღლები იზრდებიან ისინი, ვისი განვითარებაც სწორი თანამიმდევრობით მიმდინარეობს. სხვათა შორის, მსუქანი ბიჭები მაღლები იმიტომ ვერ იზრდებიან, რომ მათ პუბერტატი გვიან ეწყებათ.

გოგონებში კი სიმსუქნეზე უფრო საშიში ზედმეტი სიგამხდრეა. პირველი მენსტრუაცია დროულად რომ დაეწყოს, 12 წლის ასაკში გოგონა 45 კგ-ზე ნაკლებს არ უნდა იწონიდეს, ამიტომ თვალყური უნდა ადევნოთ მის სწორ კვებას. ასევე საყურადღებოა ბავშვის ფიზიკური დატვირთვის დოზირება. ზედმეტი დატვირთვა, როგორიც მაგალითად, სპორტსმენებს ან ბალერინებს აქვთ, სქესობრივ მომწიფებას აფერხებს.

და კიდევ: ყურადღება მიაქციეთ, რომ

სამედიცინო ცენტრი „ქირონი"
ქირონი
სამედიცინო ცენტრი
სექსუალური პრობლემები
უროლოგიური დაავადებები
– ერექციის უკმარისობა
– ხანმოკლე სქესობრივი აქტი
– ხშირი შარდვა
– ტკივილები შარდ-სასქესო ორგანოებში
– სხვა გადახრები
სრული დიაგნოსტიკა ერთ დღეში
მკურნალობა უახლესი კომპლექსური მეთოდებით
მის: ძმები იმნაიშვილების (ყოფ. დიდუბის) ქ. №4
ტელ: 34-26-69; 899-21-36-30 გია აფაქიძე

ბავშვი იოდის საჭირო დოზას ღებულობდეს (დღეში 150 მკგ-ს) — უმჯობესია, იოდის შემცველი ვიტამინების ან კალიუმის იოდიდის დოზირებული პრეპარატების სახით. იოდი აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლისათვის, რომელიც გოგონებისა და ბიჭების დროულ დაქალებასა და დავაჟკაცებაზეა პასუხისმგებელი.

### ოფლის სუნი

ოფლის სუნზე მამაკაცის სასქესო ჰორმონებია პასუხისმგებელი, ამიტომ კაცის ოფლის სუნი უფრო მკვეთრია. თუ გოგონას სქესობრივი მომწიფების დროს ოფლის ანდროგენული (მამაკაცური) სუნი აღენიშნება, ის აუცილებლად უნდა აჩვენოთ ენდოკრინოლოგს იმის დასადგენად, ხომ არ არის დარღვეული ჰორმონული ბალანსი.

### ნუ შეგეშინდებათ

პუბერტატის დროს ბიჭების ნახევარს უმაგრდება მკერდის ერთ-ერთი ან ორივე ჯირკვალი. ამ მდგომარეობას ახალგაზრდათა გინეკომასტიას უწოდებენ. მისი ნუ შეგეშინდებათ — 2-3 წელიწადში შემთხვევათა 93%-ში ყველაფერი უკვალოდ გაქრება. ■

## თაფლის რეცეპტები



თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები ყველაზე ეფექტური ბუნებრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებია. მკურნალობის მიზნით, დღეში 100 გრამამდე თაფლის მიღება შეგიძლიათ. თუ მას ძილის გასაუმჯობესებლად ან კუჭის წვენის მჟავიანობის დასაქვეითებლად იღებთ, თბილი წყალი მიაყოლეთ. კუჭის სეკრეციისა და მოტორიკის გაძლიერების მიზნით თაფლის მიღებისას, რეკომენდებულია ცივი წყლის მიყოლება, ხოლო გაცივების დროს — ცხელი წყალი სჯობს.

● ბრონქიტის, პნევმონიისა და ძლიერი ხველის დროს ასეთი საშუალება დაგეხმარებათ: აიღეთ 500 გ ხახვი, გაფცქვენით, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შეურიეთ 50 გრამი თაფლი და 50 გრამი შაქარი, დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე, სამი საათის განმავლობაში. ნარევი შეაგრილეთ და მიიღეთ 4-6 ს/კ დღეში.

● გაცივების დროს სასარგებლოა თაფლისა და პირშუშხას ნარევი (თანაბარი რაოდენობით). წამალი უნდა მიიღოთ სუფრის კოვზით, ძილის წინ და მიაყოლოთ ცხელი ჩაი ან რძე.

სასუნთქი სისტემის ზოგიერთი დაავადების საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ფიჭა. მისი ღეჭვა დადებითად მოქმედებს სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე. მკურნალობის კურსში მასთან ერთად შედის თაფლის ყოველდღიური მიღება გარკვეული რაოდენობით (50-დან 100 გრამამდე). ფიჭის რეგულარულად ღეჭვისას ადამიანს გამოუმუშავდება მყარი იმუნიტეტი გაცივებით გამოწვეული დაავადებების მიმართ.

● სურდოს დროს ფიჭა უნდა ღეჭოთ ყოველ საათში ერთხელ, 15 წუთის მანძილზე. შემდეგ დაღეჭილი მასა უნდა გადააგდოთ. ცხვირის დანამატების ლორწოვანის მწვავე ანთებისას მკურნალობის 4-6-საათიანი ერთი ასეთი კურსი უნდა ჩაიტაროთ — ცხვირის ღრუ გამავალი ხდება, ტკივილი იხსნება. ამის შემდეგ, შესაძლო რეციდივის თავიდან ასაცილებლად, ფიჭა კიდევ ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ერთხელ მაინც უნდა ღეჭოთ.

● ფიჭის გამოყენება გაცივებისა და სასუნთქი სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით ბავშვობიდან შეიძლება. ბავშვმა დღეში ერთხელ უნდა დაღეჭოს ფიჭა და ყოველდღიურად მიიღოს 2 ჩ/კ თაფლი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. შედეგად გრიპისა და სურდოს განვითარების ალბათობა მკვეთრად ქვეითდება. ■

## მედიცინის სიახლეები

### შიშსა და ტუბერკულოზს ერთნაირად მკურნალობენ?

ფობიის სამკურნალოდ ანტიბიოტიკების გამოყენება შეიძლება. როგორც ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევებმა აჩვენა, პრეპარატი ციკლოსერინი, რომელიც ტუბერკულოზის დროს ინიშნება, 5-ჯერ ზრდის სიმაღლის შიშის მკურნალობის ეფექტურობას. ვირთხებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ციკლოსერინი ზემოქმედებას ახდენს თავის ტვინის შიშის შეგრძნებასთან დაკავშირებულ რეცეპტორზე. ახლა მეცნიერები კლინიკური გამოკვლევების გაგრძელებას გეგმავენ — ექსპერიმენტში ჩართავენ ადამიანებს, რომელთაც პუბლიკის წინაშე გამოსვლის შიში აქვთ.

### ტკივილგამაყუჩებლები თირკმლებისთვის საშიშია

ანალგეტიკებისა და სიცხის დამწევი პრეპარატების ერთდროული მიღება თირკმლისთვის საშიშია. სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს 200-მდე ადამიანი, რომელთაც თირკმლის უკმარისობა ჰქონდათ. მათგან 7%-ს გამოუვლინდა სპეციფიკური დაზიანება, რომლის დროსაც თირკმელი მცირდება (იჭმუხნება) და მასში კალციუმი ლაგდება. ასეთი ცვლილებების მესამედი აღენიშნათ იმ ადამიანებს, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ ანალგეტიკებს და მათთან ერთად, სიცხის დამწევ პრეპარატებსაც იღებდნენ. გაცივების საწინააღმდეგო პოპულარული საშუალებები, როგორც წესი, შეიცავს აცეტილსალიცილის მჟავას (ასპირინს) და პარაცეტამოლს. ასე რომ, შეიძლება მოხდეს დოზის გადამეტება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თირკმლებისთვის საშიშია 300 გ-ზე მეტი გამაყუჩებლის მიღება წლის განმავლობაში. ■



# რომელ მითოლოგიურ პერსონაჟს ჰგავხართ?

*ნებისმიერი ქალი — იქნება ის ისტორიული პიროვნება თუ მითოლოგიური პერსონაჟი — აშკარა, დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს. ყოველი მითის წარმოშობას რეალური საფუძველი აქვს და ამიტომ, მისი პერსონაჟები არც შემთხვევით გამოჩენილან და არც უკვალოდ გამქრალან — უფრო მეტიც: ისინი მისტიკურ სიმბოლოებად იქცნენ. მათი გავლენა თანამედროვე ცხოვრებაშიც იგრძნობა — ზოგიერთი ქალბატონი აფროდიტეს სილამაზეს ასხივებს, ზოგი — კლეოპატრას დედოფლურ ბრწყინვალებას, ზოგიც კი, კასანდრას წინასწარმეტყველური ნიჭითაა დაჯილდოებული. უინტერესო არ იქნება, თუ განსაზღვრავთ, ქალის რომელ ტიპს მიეკუთვნებით, შემდეგ კი შეგიძლიათ, თქვენი რჩეული მამაკაციც რომელიმე მითოლოგიურ პერსონაჟს მიუსადაგოთ — ამის შესაძლებლობა მომავალ ნომერში, ამავე რუბრიკით გამოქვეყნებულ მასალაში გექნებათ.*

**ათენა** — სიბრძნის სიმბოლოა. თუ შეგიძლიათ, მშვიდად მოაგვაროთ პრობლემები, იოლად გაერკვეთ ჩახლართულ სიტუაციებში და ისე გაარჩიოთ მტყუან-მართალი, რომ მომავალში მტრები არ შეიძინოთ, — ათენას თვისებების მატარებელი ხართ. ამ ტიპის ქალი ბედს არ უნდა ემდუროდეს — მისი ჭკუა-გონებით ხომ ყველა მოხიბლულია. მამაკაცები მის ყოველ სიტყვას ისე აღიქვამენ, როგორც აღმოჩენას.

**ასტარტა** — განდიდების სიმბოლოა. ამ ტიპის ქალი ადვილად ხდება თაყვანისცემისა და პატივისცემის უცვლელი ობიექტი და თქვენც ნუ გაგიკვირდებათ, თუ ლექსებს მოგიძღვნიან, სასიყვარულო წერილებს მოგწერენ, თქვენს პორტრეტებს დახატავენ... სხვათა შორის, თუ თავადაც ხელოვანი ხართ, თქვენი შემოქმედება საყოველთაო აღტაცებას დაიმსახურებს.

**აფროდიტე** — სილამაზისა და მარადიული ახალგაზრდობის სიმბოლოა. ქალი-აფროდიტე მხიარული, უდარდელი და სიცოცხლით აღსავსეა. ის არასოდეს ღელავს ასაკის მომატების გამო, რადგან ღრმა მოხუცებულობაშიც კი შინაგანად ნორჩი რჩება — ამ ტიპის ქალისთვის დრო თითქოს შეჩერებულია. „აფროდიტე" უფრო ხშირად სოლიდური ასაკის მამაკაცების მუზა ხდება.

**ელენე ტროელი** — საბედისწერო, არაჩვეულებრივი სილამაზის, ძველბერძნული ეპოსის უპოპულარესი ქალია. ტროის ომიც ხომ სწორედ მისი მიზეზით დაიწყო — ამიტომ ამ ტიპის ქალი ხშირად ხდება მამაკაცებს შორის კონფლიქტის მიზეზი, რაც არცთუ ისე იშვიათად, ტრაგიკულად მთავრდება. ასე რომ, თუ საკუთარ თავში ელენე ტროელი ამოიცანით, დიდი ძალისხმევა გმართებთ იმისთვის, რომ გამიჯნურებულმა მამაკაცებმა თქვენი გულისთვის კიდევ ერთი „ტროა არ აღგავონ პირისაგან მიწისა".

**კლეოპატრა** — დედოფალი იყო და ამით ყველაფერი ნათქვამია. კლეოპატრას ტიპის ქალი ფუფუნებაში ცხოვრობს და გარს უამრავი თაყვანისმცემელი ახვევია. სასიყვარულო ბერკეტები, როგორც წესი, ყოველთვის მის ხელშია — მოკლედ, უბედნიერესი ქალია, თუ არ ჩავთვლით ერთ „მოუგვარებელ" პრობლემას: „კლეოპატრას" ძალზე უჭირს ურიცხვ თაყვანისმცემელთაგან რომელიმე ერთის ამორჩევა.

**კასანდრა** — წინასწარმეტყველური ნიჭით იყო დაჯილდოებული და უშეცდომოდ ახდენდა მომავლის პროგნოზირებას. თუ გამახვილებული ინტუიცია გაქვთ, ხშირად გიცხადდებათ სიზმარი, გიყვართ ვარსკვლავებზე დაკვირვება და მომავლის შეცნობის დაუოკებელი წყურვილი არ გასვენებთ, თქვენ კასანდრას ტიპის ქალი ხართ. „კასანდრას" შეუძლია იცხოვროს, როგორც აწმყოში, ასევე მომავალში — თუმცა ვურჩევთ, ზედმეტად ნუ გაერთობა დროში მოგზაურობით, თორემ შეიძლება უსასრულობაშიც აღმოჩნდეს.



**ნემეზიდა** — მძვინვარე ქალღმერთია, განახლებისა და აღორძინების სიმბოლო. არავის ვურჩევთ განრისხებულ „ნემეზიდასთან" შეხვედრას. როგორც წესი, ნემეზიდას ტიპის ქალები, შურისმაძიებლები არიან, გამახვილებული აქვთ პატივმოყვარეობისა და ღირსების გრძნობა და თუ ვინმემ მისი შელახვა განიზრახა, არაფრით აპატიებენ — ასმაგად იყრიან ჯავრს.

**ნეფერტიტი** — მისი მომნუსხველი პროფილი დღემდე ატყვევებს მამაკაცებს. თუ თქვენ „ნეფერტიტი" ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ქალებისთვის სამაგალითო ყოფილხართ: მეგობრები აბსოლუტურად ყველაფერში გბაძავენ — დაწყებული თმის ვარცხნილობიდან, დამთავრებული ჩაცმულობითა და სიარულის მანერით. მოკლედ, თუ „მოდის კანონმდებელი" ხართ, ე.ი. ნამდვილად ნეფერტიტის თვისებებს ფლობთ.

**პანდორა** — ქალური იდუმალებისა და დამღუპველი ვნებების სიმბოლოა. პანდორას ტიპის ქალი გარშემომყოფთათვის ნამდვილი გამოცანაა — ის ლამაზი, მჭევრმეტყველი, ამავე დროს, მზაკვარი და ცბიერია. მასთან ურთიერთობისას ყველას დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან არავინ უწყის, როდის რა იფარება მისი იდუმალი ღიმილის მიღმა.

**თემიდა** — მართლმსაჯულებისა და სიმართლის ქალღმერთია. თემიდას ტიპის ქალი ობიექტურობის განსახიერებაა და უმეტესწილად, სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს. მას გამუდმებით მიმართავენ რჩევისთვის — უფრო მეტიც, გარშემომყოფთა ბედს ხშირად მისი ერთი სიტყვა წყვეტს. ამ ტიპის ქალებისგან კარგი მოსამართლეები და იურისტები გამოდიან.

**პენელოპა** — ქალური დიდებულების, ერთგული მეუღლის იდეალია. თუ თქვენთვის „სიყვარული ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოდის", თუ შეგიძლიათ საყვარელ ადამიანს თუნდაც მთელი ცხოვრება ელოდოთ, მაშინ თანამედროვე პენელოპა ყოფილხართ. თქვენი რჩეული ნამდვილად ბედნიერია, მაგრამ არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ საპასუხო ერთგულებას იმსახურებთ.

**იუნონა** — სიწმინდისა და უმანკოების განსახიერებაა. ამ ტიპის ქალები, ყველგან, ნებისმიერ სიტუაციასა და პირობებში ახერხებენ ბავშვური უმწიკვლოებისა და სიწრფელის შენარჩუნებას. მათ ცხოვრება ვერ გააბოროტებს და ნამდვილ სახეს ვერ დაუკარგავს. თუ საკუთარი თავი ამოიცანით, ე.ი. თქვენში იუნონა „თვლემს". ■

# გამოჩენილი ადამიანების მოსწრებული გამონათქვამები



## ბალზაკი და ქურდი

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთ ღამეს, მის ბინაში ქურდი შეიპარა, სიბნელეში საწერ მაგიდას მიაგნო და ფულის ძებნას მიჰყო ხელი.

ოთახის კუთხეში მიყუჟულ მწერალს სიცილი აუტყდა, მან სანთელი აანთო და ხმაურისაგან დაფეთებულ ქურდს მიაძახა:

— არ გაგიკვირდეთ, გეთაყვა, ჩემი ხარხარი. თქვენ სიბნელეში გინდათ ჩემთან ფული იპოვოთ, მე კი სინათლეზეც ვერ მიპოვია. ამაზე მეტი სასაცილო რაღა იქნება?!

## დასვენება

— უკვე დროა, სამუშაოს თავი მიანებო და დაისვენო, ხვალ ხომ სანატორიუმში მიდიხარ, — უთხრა ცოლმა სამუშაო კაბინეტში მოფუსფუსე ედისონს.

— სად მივდივარ? — იკითხა მეცნიერმა.

— შენ ხომ თვითონ აირჩიე ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს?

— მართალია, უკვე არჩეული მაქვს და მივდივარ კიდეც, — მიუგო ედისონმა.

მეორე დღეს, ცოლმა იგი ლაბორატორიაში, სამუშაოში ჩაფლული იპოვა.

## რენტგენის სხივები

ვილჰელმ კონრად რენტგენმა მეგობრისაგან წერილი მიიღო: ამურმა სასტიკად დამკოდა, მგონი, ისრის წვერი გულისფიცარში ჩამჩარა. დრო არა მაქვს, შენთან მოვიდე და თუ შეიძლება, შენი სახელობის სხივები გამომიგზავნეო.

რენტგენმა წერილითვე უპასუხა: სხივების გამოგზავნა ვერ ხერხდება და თუ მოსასვლელად არ გცალია, მაშინ გულისფიცარი გამომიგზავნეო.

## გარკვეული წარმატება

გამოცდაზე ხელმეორედ გასულმა სტუდენტმა პროფესორ რენტგენის ვერც ერთ შეკითხვას ვერ უპასუხა. ბოლოს, პროფესორმა ჰკითხა — ლექციებს ვინ გიკითხავდათო?

სტუდენტმა გვარი დაუსახელა.

— აი, ხომ ხედავთ, გარკვეული წარმატებისათვის მიგიღწევიათ — პირველად ხომ ეგეც არ იცოდით?! — ღიმილით მიუგო დიდმა მეცნიერმა.

# ანეკდოტები

***

ქალი ქმრის ძმაკაცთან ერთად საუნაშია.

ქმარი ურეკავს:

— კარგი, სიხარულო, — ეუბნება ცოლი.

— ვინ იყო? — ეკითხება საყვარელი.

— ჩემი ქმარი, მითხრა, რომ შენთან ერთადაა და ცოტა შეაგვიანდება.



***

— ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გაგაჩნიათ და მაინც საკმაოდ დიდ ხელფასს ითხოვთ.

— განა არ იცით — მუშაობა მით უფრო ძნელია, რაც უფრო ნაკლებად ერკვევი საქმეში.

***

საღამოს შინ დაბრუნებულ, დაღლილ ქმარს ცოლი უყვირის:

— სად იყავი?

— ძვირფასო, ახლა არაფრის თავი არ მაქვს, ჰოდა, თავად მოიფიქრე რამე...



***

ღმერთმა შექმნა ადამი და ევა. ერთი კვირის შემდეგ, ევა ადამს ეუბნება:

— იცი, ძვირფასო, ხვალ დედაჩემი გვესტუმრება.

***

— შენ ვისთან გინდა იცხოვრო — მამასთან თუ დედასთან? — ეკითხებიან განქორწინების პროცესზე პატარა ბიჭს.

— ჯერ არ ვიცი — გააჩნია, კომპიუტერი ვის ერგება.

***

მასწავლებელი ქუჩაში მოსწავლის დედას ხვდება.

— გამარჯობა, ქალბატონო ნათელა. თქვენი ბიჭი აშკარად, ცოდნის წყურვილს ამჟღავნებს. მაინტერესებს, ეს თქვენგან მოსდევს თუ თქვენი ქმრისაგან?

— ორივესგან. ცოდნა — ჩემგან, წყურვილი კი — მამამისისგან.

***

ოჯახი რესტორანში სადილობს. ძუნწი მამა ეუბნება ოფიციანტს:

— დარჩენილი ხორცის ნაჭრები შემიხვიეთ — ჩემს ძაღლს წავუღებ.

— რა კარგია, ძაღლს რომ ყიდულობ, მამა!.. — სიხარულით შესძახებს შვილი.

***

ყასაბი ეძებს მარჯვე გამყიდველს. მოდის ახალგაზრდა ქალი.

— აბა, თუ მეტყვით, რამდენი გრამია ერთ კილოგრამში? — ეკითხება ყასაბი.

— ზუსტად 800, — პასუხობს ქალი.

— ყოჩაღ! დღესვე შეგიძლია, შეუდგე მუშაობას!



***

გაჩერებაზე სქელი კაცი დგას. პატარა გოგონა ეკითხება:

— ბიძია, ბიჭს ელოდებით თუ გოგოს?

— ავტობუსს.

— რომ გააჩენთ, გამასეირნებთ?

***

შუაღამეა. განერვიულებული ქალიშვილი დედას ურეკავს:

— დედი, უკვე ღამის სამი საათია და ჩემი ქმარი კიდევ არ მოსულა შინ. ალბათ საყვარელი გაიჩინა.

— შვილო, რატომ მოგდის თავში ასეთი საშინელი აზრები? ხომ შეიძლება, ავარიაში მოყვა და სადმე რეანიმაციაში წევს, მარტოდმარტო?

# კვირის (23 - 29 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

## თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. ნუ მოახვევთ გარშემომყოფებს თქვენს საწუხარს თავზე. შესაძლებელია, ოჯახის წევრების მიმართ აგრესიაც გაგიჩნდეთ.

მამაკაცი: მეგობრების წრეში შეიძლება პრობლემები შეგექმნათ, მაგრამ მათი მოგვარება დიდ დროს არ წაგართმევთ. მშვიდად განაგრძეთ თქვენი საქმიანობა და დაელოდეთ უკეთეს პერიოდს.

## ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში ფულის შოვნის არაჩვეულებრივი შანსი მოგეცემათ. ნუ გაუშვებთ მას ხელიდან. კარგი დროა საჭირო ხალხთან პირადი თუ საქმიანი ურთიერთობების მოსაგვარებლადაც.

მამაკაცი: თქვენს წარმატებულ კარიერას მხოლოდ გაუწონასწორებელმა ხასიათმა შეიძლება შეუშალოს ხელი. თუ ემოციებს ვერ იმორჩილებთ, ჯობს ხელმძღვანელობასთან პოლემიკას მოერიდოთ.

## კურო – 21/IV-21/V

ქალი: თუ შინაგან დისკომფორტს განიცდით, შვება სიყვარულში ეძიეთ. მამაკაც პარტნიორებთან ერთად წამოწყებული საქმე წარმატებას მოგიტანთ. გადაწყვეტილების მიღებამდე რჩევა ახლობელ ადამიანებს ჰკითხეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში საინტერესო თავგადასავალი გელით, მაგრამ ჯობს, ამის შესახებ უახლოეს მეგობრებთანაც კი არაფერი თქვათ. შეგიძლიათ მათ გული მოგვიანებით გადაუშალოთ.

## მარჩბივი – 22/V-21/VI

ქალი: თქვენი უნარი, დაარწმუნოთ ადამიანი საკუთარ ძალებში – ამ კვირაში უნდა გამოიყენოთ. თუ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ხართ, მაშინ თანამშრომლებთან შეიძლება პრობლემები შეგექმნათ იმის გამო, რომ თქვენ მხოლოდ სანიმუშოდ შესრულებული სამუშაო გაკმაყოფილებთ.

მამაკაცი: თქვენი მოთმინება და თავშეკავება სასურველ შედეგს გამოიღებს. კვირის შუა დღეებში ახლობლები სიურპრიზს შემოგთავაზებენ. თქვენი რჩევები ბევრ ადამიანს მოუტანს სიკეთეს.

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: დროს უსაქმურობაში ნუ გაიყვანთ. ის, თუ რამდენად შრომისმოყვარე იქნებით ამ კვირაში, თქვენს მომავალს განსაზღვრავს. ასე რომ, ხელი გაანძრიეთ და გეშველებათ.

მამაკაცი: თქვენ გარშემო უამრავი პერსპექტიული ადამიანი მოიყრის თავს, დაიმსახურეთ მათი კეთილგანწყობა, რადგან ახლო მომავალში, შეიძლება მათ ფასდაუდებელი სამსახური გაგიწიონ. თქვენი გეგმების განხორციელება, სხვების დახმარების გარეშე შეუძლებელია.

## ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თუ მალე ვერ მიიღებთ შედეგს, რომლის მიღწევისთვისაც დიდი ხანია ილვწით, ფარ-ხმალს ნუ დაყრით. თქვენი მიზანსწრაფულობა ამ კვირაში შეუმჩნეველი არ დარჩება და შემოგთავაზებენ პროექტს, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება.

მამაკაცი: ბობოქარი პერიოდი დამთავრდა. დროა, მშვიდ და სტაბილურ ცხოვრებაზე იფიქროთ. მოაწესრიგეთ სასიყვარულო ურთიერთობები და მოემზადეთ სასიამოვნო ადამიანებთან შესახვედრად.

## ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით პრობლემებმა არ შეგაშინოთ. შემდეგი კვირიდან ყველაფერი გამოსწორდება. ჯობს, პირად ურთიერთობებს მიხედოთ.

მამაკაცი: მოერიდეთ მანდილოსნებთან დისკუსიას. რატომღაც ამ კვირაში მათ თქვენი არ ესმით. შეეცადეთ, ქალაქგარეთ დაისვენოთ, ან დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

## სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: მოერიდეთ პირად საკითხებზე საუბარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭორიკანების სამიზნე გახდებით. გაფრთხილდით ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით.

მამაკაცი: ფული შესაძლოა იქიდან მოვიდეს, საიდანაც არ ელოდებით, მაგრამ თუ ავანტიურისტი მეგობარი გყავთ, საშიშროების წინაშე დგახართ. მისი რჩევის შესაბამისად თუ იმოქმედებთ, შემდეგ კვირაში უკვე გაკოტრებული იქნებით.

## ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: თავი შეიკავეთ დაპირებებისგან, რადგან ძალიან გაგიჭირდებათ მისი შესრულება. ნუ დაგეგმავთ წინასწარ ნურაფერს, ეს კვირა მოულოდნელობებით იქნება აღსავსე.

მამაკაცი: თქვენ ბევრი ადამიანი დაგპირდებათ მხარდაჭერას, მაგრამ ჯობს მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყოთ. ყურადღებით მოუსმინეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენ მიმართ კრიტიკულნი არიან.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: არ შეგეშინდეთ მოსალოდნელი უსიამოვნო საუბრის. ჯობს ერთხელ და საბოლოოდ გაარკვიოთ ურთიერთობები და სამომავლო გეგმებიც ამის შესაბამისად დასახოთ.

მამაკაცი: ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. მხოლოდ მშვიდად, დაწყნარებული გონებით გაკეთებული საქმე მოგიტანთ მოგებას. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

## თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მოსალოდნელია წარმატება სიყვარულსა და კარიერაში. მოგეცემათ საშუალება, მაქსიმალურად მოახდინოთ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზება. სტუმრიანობა და აქტიური მიმოწერა ამ კვირაში საფიქრალს გაგიჩენთ.

მამაკაცი: თქვენი ემოციური მდგომარეობა ისეთია, რომ ჯობს დასვენებაზე იფიქროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მიზეზით ბევრ ადამიანს შეექმნება პრობლემები.

## მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ეს კვირა თქვენთვის წარმატების მომტანია. გართობა, სასიყვარულო თავგადასავლები, მეგობრებთან ერთად საქმიანი საუბრები – თქვენ ყველგან იბრწყინებთ. ამიტომ გირჩევთ, ნუ დაჯდებით სახლში და ნუ მოერიდებით საზოგადოებას.

მამაკაცი: ამ კვირაში ყველაზე რთული და ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდანაც ადვილად იპოვით გამოსავალს – თქვენს ნაამბობ ზღაპარსაც კი დაიჯერებენ. მაგრამ ისეთ რამესაც ნუ მოჰყვებით, რომ შემდეგ კვირაში უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.



ცხენის ზურგზე დასაჯდომი მოწყობილ.

ჯუჯა ხარი

ფილმი უილ სმიტის მონაწილეობით

ბიბლიური ნაგებობა

ფილმი ბულგაკოვის ნაწარმოების მიხედვით

მეცნიერება

შრი-ლანკის დედაქალაქი

ნოტი

ნადირობის მფარველი ქალღმერთი

მდინარე შოლოხოვის ეპოპეაში

ბატკნის მოგების დრო

ფრანგული სალათა

ნორვეგიის დედაქალაქი

წინასწარი თანხა

1:1; 2:2; 0:0

ეფენბერგის მეტსახელი

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი

ხსნადი ყავის მარკა

მომღერალი ... კონტრიძე

გაფრინდაშვილი

ადამიანის რაიმე ცუდი თვისება

„ვერის უბნის მელოდიები" (პერსონაჟი)

შვედი მოქანდაკე ქლო ... კრამლინგი

ფრთოსანი მერანი

„ლამზმანი" (მსახიობი)

ბანქოს კიკო ფრანგულად

... ფარულავა

ელექტრული ძაბვის ერთეული

ქართული სალეჭი რეზინი

კახელი ბაბუა

მუსიკალური ჯიბის საათი

საწინდარი

მაღლის პარაზიტი

60-იანი წლ. სუპერმოდელი

თბილისის ისტორიული უბანი

აღორძინების ხანა

გამოსახულებიანი ქვირფასი ქვა

ბეშქენ ოპიზარის ძმა

მატონიზირებელი სასმელი

ქართული ლუდი

ლექსმეტი

ბანდერასის პერსონაჟი

„მილანის" ყოფილი ფეხბურთელი

ზამთრის კურორტი შვეიცარიაში

ფრანგული

ამფიბია

შეადგინა რამაზ ალანიამ





23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.



# ზემფირა: „მოსკოველები საკმაოდ მკაცრი და გველი ხალხია"

*ზემფირას კონცერტზე დასასწრებად „აჭარა მიუზიკ-ჰოლის" შესასვლელს უამრავი ხალხი მიაწყდა. დაცვა მათ კლუბში ნაწილ-ნაწილ უშვებდა, მაგრამ ხალხის ტალღა კარს მიაწვა და დაცვის წინააღმდეგობის მიუხედავად, კლუბის ვესტიბიულში შესვლა მოახერხა. ზემფირას სცენაზე გამოსვლამ მაყურებლის დიდი ოვაცია გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი რეპერტუარი მაყურებელთან ერთად შეასრულა. კონცერტის შემდეგ მომღერლისთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა მოვახერხეთ.*

— **კმაყოფილი ხართ, დღევანდელი დღით?**

— რა თქმა უნდა. ქართველი ხალხი ძალიან თბილი და ყურადღებიანია. ხომ ნახეთ, მათ თითქმის ყველა ჩემი სიმღერა ზეპირად იციან.

— **რას გრძნობთ საქართველოში ყოფნისას?**

— საქართველოში უკვე მესამედ ვარ. გასულ წელს ბათუმში ვიყავი. იქაც ჩავატარე კონცერტი და კმაყოფილი დავრჩი. საქართველოცა და ქართველებიც ძალიან მომწონს. აქ თავს კარგად ვგრძნობ.

— **თქვენი თბილისში ჩამოსვლა რამდენჯერმე გადაიდო. რა იყო ამის მიზეზი?**

— ეს მთლად ჩემი ბრალი არ არის. კონცერტი იმიტომ გადაიდო, რომ ერთ-ერთმა მუსიკოსმა, რომელიც დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს, ერთი დღით ადრე ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ამისთვის დიდ ბოდიშს ვიხდით. მანამდეც ჩვენგან დამოუკიდებელი პრობლემების გამო ვერ ვახერხებდით ჩამოსვლას.

— **ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი მუსიკალური ჯგუფი დაიშალა...**

— არა, რას ამბობთ. უბრალოდ, კონფლიქტის შედეგად ჩვენგან წავიდა მუსიკოსი, რომელიც დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. საერთოდ, ამ ინსტრუმენტის მუსიკოსებთან არ მიმართლებს. თუ საქართველოში გყავთ ძლიერი შემსრულებელი, სიამოვნებით მოვუსმენ. იქნებ, მომეწონოს და ჩემს ჯგუფში ავიყვანო.

— **რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ზემფირას მიწვევა რომელიმე ქვეყანაში?**

— საქართველოში ადვილია, რადგან კვლავ ვიმეორებ, რომ ქართველი ხალხი ძალიან მომწონს, ხოლო აქ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ჩემი საქმე არ არის. სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციის" შესახებ ყველაფერი ვიცი, რადგან ამ ბოლო დროს საინფორმაციო გამოშვებებს სისტემატურად ვუყურებ.

— **თავად როგორი სტილის მუსიკას უსმენთ?**

— ძალიან მომწონს ჯგუფი Queen.

— **ქართულ ესტრადაზე რა აზრის ხართ?**

— არაჩვეულებრივი მომღერალი გყავთ, თამრიკო გვერდწითელი. ძალიან მომწონს სოსო პავლიაშვილიც.

— **როგორც ცნობილია, სიმღერის დაწყებამდე თქვენ სპორტით იყავით გატაცებული. რატომ მიატოვეთ სპორტული კარიერა?**

— ჩემს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როდესაც სპორტი აღარ მაინტერესებდა. ადრე ვოცნებობდი, რომ მწვრთნელი გავხდებოდი, მაგრამ მოგვიანებით სიმღერით დავინტერესდი.

— **რატომ გაქვთ ცუდი დამოკიდებულება რუს ჟურნალისტებთან? ცნობილია, რომ რამდენიმე მათგანი სცემეთ კიდეც...**

— მათ ეს დაიმსახურეს. საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოველები საკმაოდ მკაცრი და გველი ხალხია. იქ დიდი ფული ტრიალებს, ბევრი ვარსკვლავი და ბევრი პოლიტიკოსია, შესაბამისად, ჟურნალისტებიც აგრესიულები არიან. ისინი ჩემს პირად ცხოვრებაში იქექებიან. მე კი უცხო ადამიანებთან პირად საკითხებზე საუბარი არ მსიამოვნებს. ■

# ჯგუფი „რონდო" თავდაუზოგავად მუშაობს

როგორც ქართველი მსმენელისთვის ცნობილია, ჯგუფმა „რონდომ" სულ ახლახან სიმღერაზე „მოდი და გული გათბება" კლიპი გადაიღო. სიმღერის ავტორია ჯგუფის ხელმძღვანელი ლიზი ოთარაშვილი, კლიპის რეჟისორი კი — დათო იმედაშვილი. გოგონები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ზაზა ხუბუკელაშვილის ხმის ჩამწერ სტუდიაში ერთდროულად სამ ახალ სიმღერაზე მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანი ზემოთ აღნიშნული სიმღერის „მოდი და გული გათბებას" ნელი ვარიანტია. მეორე სიმღერა „იები" მანანა არაბიძეს ეკუთვნის, ხოლო მესამე — ინლისურენოვანია. ამ სამიდან ერთ-ერთ სიმღერაზე ჯგუფის წევრები კლიპსაც გადაიღებენ, რომლის რეჟისორიც კვლავ დათო იმედაშვილი იქნება. ■



მოამზადა ნათია ქივიძე

# ფლობთ თუ არა საკუთარ თავს?

*არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ურთულეს ცხოვრებისეულ პრობლემებს თამაშ-თამაშით წყვეტენ. ზოგიერთებს კი, უმნიშვნელო წინააღმდეგობა შესაძლოა, გადაულახავ ბარიერად ექცეს. ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით, იოლად გაარკვევთ, თუ რომელ ტიპს განეკუთვნებით თქვენ.*



**1) უყვებით თუ არა ვინმეს საკუთარი პრობლემებისა და უსიამოვნებების შესახებ?**

ა) არა. ეს ხომ ვერაფერს გიშველით – 3;

ბ) რა თქმა უნდა, ოღონდ, ამისათვის შესაფერისი თანამოსაუბრე გჭირდებათ – 1;

გ) ყოველთვის არა. ზოგჯერ ამ საკითხზე ფიქრი თავადაც კი გიჭირთ – 2.

**2) რამდენად მწვავედ განიცდით საკუთარ სატკივარს?**

ა) ყოველთვის ძალზე მწვავედ განიცდით – 4;

ბ) ეს დამოკიდებულია მთელ რიგ გარემოებაზე – 0;

გ) ცდილობთ, გაუმკლავდეთ სატკივარს, რამეთუ მტკიცედ გწამთ, რომ ნებისმიერი უსიამოვნება ბოლოს და ბოლოს, დასრულდება – 2.

**3) თუკი სპირტიან სასმელებს არ ეტანებით, შეგიძლიათ, პირდაპირ შემდეგ შეკითხვაზე გადახვიდეთ; ხოლო თუკი სვამთ, დააკონკრეტეთ, რა მიზნით სვამთ:**

ა) საკუთარი პრობლემების სასმელში „ჩასახრჩობად" – 5;

ბ) გულის გადასაყოლებლად – 3;

გ) უბრალოდ გსიამოვნებთ სმის პროცესი – 1.

**4) იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე მოვლენა განსაკუთრებულად დაგწყვიტთ გულს, რას მოიმოქმედებთ?**

ა) თავს უფლებას მისცემთ, გააკეთოთ ისეთი რამ, რაც სიამოვნებას მოგანიჭებთ და რასაც კარგა ხნის მანძილზე უკრძალავდით საკუთარ თავს – 0;

ბ) მეგობრებს ესტუმრებით – 2;

გ) შინ დარჩებით და შეიცოდებთ საკუთარ თავს – 4.

**5) რას მოიმოქმედებთ, თუ თქვენი ახლობელი გაწყენინებთ?**

ა) საკუთარ ნაჭუჭში შეიკეტებით – 3;

ბ) ახსნა-განმარტებას მოსთხოვთ – 0;

გ) ამ წყენის შესახებ მოუყვებით ყველას, ვინც კი ყურს გათხოვებთ – 1.

**6) როგორ მოიქცევით ბედნიერების წუთებში?**

ა) წარსულში გადატანილი ნებისმიერი უბედურება დაგავიწყდებათ – 1;

ბ) შეგიპყრობთ შიში, რომ შესაძლოა, ბედნიერება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდეს – 3;

გ) ბედნიერი წუთებიც კი ვერ დაგავიწყებთ იმას, რომ ცხოვრებაში უამრავი უბედურება არსებობს – 5.

**7) როგორი აზრი გაქვთ ფსიქიატრების შესახებ?**

ა) არავითარი სურვილი არ გაქვთ, რომ მათი პაციენტი იყოთ – 4;

ბ) მათ ბევრი ადამიანის დახმარება შეუძლიათ – 2;

გ) საკუთარი თავის დახმარება ადამიანს თავადაც ძალუძს – 3.

**8) გწყალობთ თუ არა ბედი?**

ა) ბედი თქვენს ცხოვრებაში მდევრის როლს ასრულებს – 4;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ბედი უსამართლოდ არ გწყალობთ – 2;

გ) ბედის წყალობას არ უჩივით – 1.

**9) რაზე ფიქრობთ მეუღლესთან (შეყვარებულთან) ჩხუბის შემდეგ, მაშინ როცა, ასე თუ ისე, ვნებათაღელვა უკვე ჩამცხრალია?**

ა) ძირითადად, იმ სასიამოვნო მოგონებებზე, რაც მასთან გაკავშირებთ – 1;

ბ) ოცნებობთ სამაგიეროს გადახდაზე – 2;

გ) ფიქრობთ იმაზე, თუ რამდენი რამის ატანა მოგიხდათ მისგან – 4.

## დააჯამეთ ქულები

**7-15 ქულა:** სიტუაციის სწორად შეფასების საოცარი უნარით გამოირჩევით. ამიტომ საკუთარ უსიამოვნებებს (უბედურებასაც კი) იოლად უმკლავდებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკუთარი თავისადმი სიბრალულით არასოდეს ივსებით (ეს თვისება ხომ უამრავ ადამიანს ახასიათებს). თქვენი საოცარი სულიერი წონასწორობა აღფრთოვანებას იწვევს!

**16-26 ქულა:** პრობლემასთან პირისპირ შეჯახებისას თავბედს იწყევლით ხოლმე. თუმცა სულის მოსათქმელად იოლი გზაც გაქვთ ნაპოვნი: საკუთარ პრობლემებსა და უსიამოვნებებზე ლაპარაკით გარშემომყოფებს გამუდმებით აბეზრებთ თავს (ამასთან, თქვენთვის მნიშვნელოვანია, ყურადღებით მოგისმინონ და თანაც, არა მარტო თანაგიგრძნონ, არამედ საკუთარივით გაითავისონ თქვენი სატკივარი). ყოველივე ამის შემდეგ კი, თავს გაცილებით უკეთესად გრძნობთ. უმჯობესი იქნებოდა, დაფიქრებულიყავით და თავის ხელში აყვანა გესწავლათ. საკუთარი პრობლემების გარშემომყოფებისათვის თავზე მოხვევას კი სჯობდა, მათ გადასაჭრელად სხვა გზა გამოგენახათ.

**27-36 ქულა:** როგორც ჩანს, საკუთარ პრობლემებთან გამკლავება ჯერ კიდევ ვერ ისწავლეთ. აქტიურ ქმედებას საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ამჯობინებთ; არც საკუთარი თავის სიბრალული არის თქვენთვის უცხო. იქნებ, გამოსავალი მოგეძებნათ და პრობლემების გადაჭრა სხვა ხერხით გეცადათ? საკუთარი ენერგიის მობილიზება მოახდინეთ! კეთილი და კარგი საწყისი თქვენში მძლავრად იგრძნობა, ეს კი პრობლემების გადაჭრასა და უსიამოვნო სიტუაციისათვის თავის დაღწევაში დაგეხმარებათ.

## გიგანტურმა კურდღელმა პატრონი სიკვდილისგან იხსნა

გიგანტურმა კურდღელმა – სახელად დორიმ, რომელიც 10 კილოგრამზე მეტს იწონის, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა – პატრონი, 42 წლის საიმონ სტეგალი სიკვდილისგან იხსნა.

საიმონი, რომელიც დიაბეტითაა დაავადებული, კომაში ჩავარდნილა და დივანზე დავარდნილა. მის მეუღლეს – ვიკის ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან უფიქრია, რომ ქმარს უბრალოდ ჩაეძინა. თურმე მხოლოდ კურდღელი „მიხვდა", რომ საქმე მთლად რიგზე ვერ იყო, პატრონს გულზე აახტა და ხტუნაობა დაიწყო. სწორედ ამან დააეჭვა ვიკიც, რადგან „უცნაურია, გაუნძრევლად იწვე მაშინ, როცა ათკილოგრამიანი კურდღელი შენს გულმკერდზე დახტის", – აღნიშნა მან. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად სტეგალი გონზე მოვიდა. ექიმმა აღნიშნა, რომ კომა სისხლში შაქრის დონის მკვეთრად დაცემამ გამოიწვია.

„ჩემი მკურნალი ექიმი გაოცებულია. მან თქვა, რომ ხშირად სმენია იმ ძაღლებისა და კატების შესახებ, რომლებსაც პატრონი სიკვდილს გადაურჩენიათ, მაგრამ კურდღლებზე მსგავსი რამ არასოდეს გაუგია" – სიამაყით აცხადებს საიმონ სტეგალი. ■



## ბერლინში მერილინ მონროს გამოუქვეყნებელი ფოტოსურათების გამოფენა მოეწყო



ბერლინში მოაწყვეს მერილინ მონროს დღემდე უცნობი ფოტოსურათების გამოფენა, რომელიც ვარსკვლავს, მისმა საყვარელმა ფოტოგრაფმა – სემ შომ გადაუღო. „საერთოდ, მონრო შოსთვის არ პოზირებდა და ეს გამოფენა სწორედ ამით არის უნიკალური" – გადმოსცა ტელეკომპანია CNN-მა.

ეს არის მერილინის ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფოტოები – სადაც მსახიობი ხან მწერალ არტურ მილერს ეხვევა, ხან მანჰეტენზე, მაღაზიებში დასეირნობს, ხანაც უბრალოდ, ზღვაში ჭყუმპალაობს...

ფოტოსურათები 1954-1958 წლებშია გადაღებული. ეს ის პერიოდია, როცა მონრომ იმიჯის შეცვლა გადაწყვიტა და სამსახიობო ხელოვნების დასაუფლებლად ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ იქ შეხვდა არტურ მილერს, რომელიც მოგვიანებით მისი მესამე ქმარი გახდა.





„ფოტოებიდან საოცრად მშვიდი, შეყვარებული და ძალიან ბედნიერი მერილინი იმზირება". – ამბობს გამოფენის ორგანიზატორი ტომას ლარდონი.

სემ შო მერილინის გულითადი მეგობარი იყო, რომელმაც ვარსკვლავის ყველა საიდუმლო იცოდა. მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნეს, როცა ნორმა ჯინ პარკერს (მონროს ნამდვილი სახელი და გვარი), როგორც მსახიობს, არავინ იცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ მერილინი და სემი მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ, ფოტოგრაფს ძალზე იშვიათად ჰქონდა მერილინისთვის სურათების გადაღების ბედნიერება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მრავალწლიანი მეგობრობის მანძილზე, შომ მხოლოდ 50-მდე ფოტოსურათის შეგროვება შეძლო. ■

## ცხენი ამწეთი ამოიყვანეს



რუსეთში, ქალაქ ჩერეპოვეცში, მაშველებმა თითქმის სამი საათი იწვალეს საკანალიზაციო ჭაში ჩავარდნილი ცხენის ამოსაყვანად.

დიდთოვლობის გამო ცხოველმა ვერ შეამჩნია გზაზე ახდილი ლიუკი და 5 მეტრი სიმაღლის ჭაში ჩავარდა. ცხენის პატრონი მაშინვე სამაშველო სამსახურს დაუკავშირდა, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაშველებმა ცხენს ვერაფერი მოუხერხეს. სხვა გზა რომ აღარ დარჩენოდათ, დასახმარებლად ამწე გამოიძახეს და მასზე გამობმული თოკების საშუალებით, ძლივძლივობით ამოიყვანეს საბრალო ცხოველი.

მომხდარის შედეგად ცხენს სხეულის სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. მან გზა თავისი ფეხით განაგრძო. ■

# ფოტოკურიოზები












F1224
2004
ხ51/ხ

№4(64) 19.II–3.III 2004

# ოჯახის მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი



სეფსისი

ქერტლი

ფსიქოლოგიური კასტრაცია

აპენდექტომია

**მთავარი თემა:**
**ქირურგიული დაავადებები**

როგორ აღვიდგინოთ პოტენცია

ეროვნება და დაავადებანი

სასარგებლოა თუ არა მანანის ბურღული

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის